სს „ბანკი ქართუ“

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

(2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის)

2019 წელი

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე 3

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში 4-5

1. შესავალი 6

2. საქმიანობის მდგომარეობის აღწერა....6

2.1 ბანკის შვილობილი კომპანიები....8

3. განვითარების გეგმები....10

4. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ....10

5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები....11

5.1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები....11

5.2 ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი....11

5.3 ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა (ფასს-ის მიხედვით)....12

5.4 საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები....12

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები....12

6.1 რისკების მართვის პოლიტიკა და მიზნები....12

6.2 საკრედიტო რისკები და მისი მართვის მექანიზმები 15

6.3 სავალუტო რისკები და მისი მართვის მექანიზმები....16

6.4 საპროცენტო რისკები და მისი მართვის მექანიზმები....17

6.5 საოპერაციო რისკები და მისი მართვის მექანიზმები....17

6.6 ლიკვიდურობის რისკები და მისი მართვის მექანიზმები....18

6.7 სხვა არაფინანსური რისკები 19

ბანკი ქართუ CARTU BANK

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიულ აქტების მიხედვით.
- აგრეთვე, მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვდენილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 13 მაისს.

სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს დირექტორთა საბჭოს სახელით:

ფინანსური დირექტორი
გივი ლებანიძე

13 მაისი 2019
თბილისი, საქართველო

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიულ აქტების მიხედვით.
- აგრეთვე, მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვდენილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 13 მაისს.

სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს დირექტორთა საბჭოს სახელით:

_____

ფინანსური დირექტორი

გივი ლებანიძე

13 მაისი 2019

თბილისი, საქართველო

Deloitte.

შპს დელოიტი და ტუში
ბიზნეს ცენტრი King David
მერაბ ალექსიძის ქ. 12
თბილისი, 0171, საქართველო

ტელ: +995 (32) 224 45 66
ფაქსი: +995 (32) 224 45 69
deloitte.ge

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს („ბანკი"), ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებული, 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ბანკის მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე. ჩვენ ჩავატარეთ გარიგება, მარწმუნებელი გარიგებებისათვის ნებადართული, მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მგსს) 3000 (გადასინჯული). ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად, გააჩნია ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა, მათ შორის, დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების, პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

აუდიტის საერთაშორისი სტანდარტების შესაბამისად, ჩვენ აქამდე ჩავატარეთ ბანკის 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2019 წლის 13 მაისს. 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები, რომლებიც მოხდა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი") კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

© 2019 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

Deloitte.

ჩვენ, პროფესიული განსჯის საფუძველზე, შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ გამოკითხვა, ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა, კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასევე განვახორციელეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა, შედარება და შეჯერება.

დასკვნა

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვდენილია 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ჯონ რობინსონი

დელოიტი და ტუშის სახელით

Deloitte & Touche

13 მაისი, 2019

თბილისი საქართველო

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს („ბანკი“), ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებული, 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ბანკის მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოთქვათ მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე. ჩვენ ჩავატარეთ გარიგება, მარწმუნებელი გარიგებებისათვის ნებადართული, მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მგსს) 3000 (გადასინჯული). ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად, გააჩნია ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა, მათ შორის, დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების, პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე;

ჩვენ, აუდიტის საერთაშორისი სტანდარტების შესაბამისად, აქამდე ჩავატარეთ ბანკის 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2019 წლის 13 მაისს. 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები, რომლებიც მოხდა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ, პროფესიული განსჯის საფუძველზე, შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები, როგორიცაა გამოკითხვა, ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა, კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასევე განვახორციელეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა, შედარება და შეჯერება.

დასკვნა

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვდენილია 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან

ჯონ რობინსონი
დელოიტი და ტუშის სახელით

13 მაისი 2019

თბილისი, საქართველო

1. შესავალი

სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუ („ბანკი“) 20 წელზე მეტია წარმატებულად ოპერირებს ფინანასურ ბაზარზე. დაარსების დღიდან აფინანსებს პროექტებს, რომლებიც მიმართულია საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე, ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობასა და იმპორტშემცვლელი და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების დაფინანსებაზე.

აღსანიშნავია საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „Fitch“-ის მიერ ჩატარებული მორიგი კვლევა, რომლის შედეგად სს „ბანკ ქართუს“ მიენიჭა IDR-ის (Issuer Default Rating) რეიტინგი „B“, ასევე საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „S&P Global Rating“-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, სს „ბანკ ქართუს“ მინიჭებული აქვს ემიტენტის საკრედიტო რეიტინგი (Issuer Credit Rating) „B/B სტაბილური განვითარება“ რაც მისი სიძლიერისა და სტაბილურად განვითარების შესაძლებლობების თვალსაჩინო მაგალითია.

ბანკი მტკიცედ იცავს მდგრადი განვითარების სტრატეგიას, რომლის მიზანია ქვეყნის მასშტაბით ბიზნეს სექტორის აქტიური მხარდაჭერა და, შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ღირსეული წვლილის შეტანა.

2. საქმიანობის მდგომარეობის აღწერა

ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბანკო კომერციული საქმიანობა, სესხებისა და გარანტიების გაცემა, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით, აგრეთვე დეპოზიტების მოზიდვა.

ბანკი ქართუ არის გამორჩეული საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც:

- დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური და მოტივირებული კადრებით;
- განსაკუთრებული წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის ზრდასა და ბიზნესის განვითარებაში;
- სტაბილურად ზრდის საკუთარ ღირებულებებს როგორც აქციონერთა, ასევე, კლიენტებისათვის, რაც დადებითად მოქმედებს, ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

ბანკი სთავაზობს თავის მომხმარებლებს შემდეგ საკრედიტო პროგრამებს:

- იმპორტშემცვლელი წარმოების დაკრედიტების პროგრამა;
- ქსელური ბიზნესის განვითრების დაკრედიტების პროგრამა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების პროგრამა;
- ექსპორტ-იმპორტის სავაჭრო ოპერაციების ხელშეწყობის პროგრამა.

2018 წლის იანვრიდან დაიწყო ვიზას და მასტერქარდის უკონტაქტო ბარათების გამოშვება, ხოლო წლის ბოლოს, ბანკის საბარათო ბიზნესი მთლიანად გადავიდა უკონტაქტო პროდუქტების გამოშვებაზე.

2018 წელს ბანკმა დანერგა ორი პრემიალური საბარათო პროდუქტი - Visa Infinite და Mastercard World Elite.

ბანკი ქართუ ბაზარზე არსებულ 16 კომერციულ ბანკს შორის 2018 წლის მონაცემებით საზედამხედველო კაპიტალის მოცულობით მესამე, სააქციო კაპიტალით მეოთხე, ხოლო აქტივების მიხედვით - მეშვიდე ადგილზეა (საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხების სექტორალური ანალიზი შესაძლო დანაკარგის რეზერვის გარეშე:

ანალიზი სექტორების მიხედვით 31.12.2018 (1,000 ლარი)	სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	%
ფიზიკური პირები	47,324	5.2%
ვაჭრობა და მომსახურება	337,815	36.9%
მშენებლობა	197,366	21.6%
მრეწველობა	242,285	26.5%
სოფლის მეურნეობა	50,822	5.6%
ენერგეტიკა	2,735	0.3%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	27,064	3.0%
სხვა	9,325	1.0%
სულ	**914,736**	

დღეისათვის ვაჭრობისა და მომსახურების სექტორი ბანკის პორტფელში პირველ პოზიციაზეა 36.9% - იანი წილით, შემდეგ მოდის მრეწველობა 26.5% იანი წილით, მშენებლობის დარგი 21.6%. ამასთან, 5.6%-ია სოფლის მეურნეობის სექტორზე გაცემული სესხების წილი.

ბანკი ქართუ, ასევე, აქტიურად არის ჩაბმული სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ პროექტებში: „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროგრამის მიზანია ფერმერების, აგრარული კომპანიებისა და სოფლის მეურნეობაში ჩართული ფიზიკური პირების ხელშეწყობა დაბალპროცენტიანი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით.

„შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ძირითადი მონაცემები:

- პროექტის დასაწყისი - 20 მარტი, 2013 წელი;
- 2018 წლის მონაცემებით პროექტის ფარგლებში - 66 კლიენტი სარგებლობს ბანკი ქართუს მიერ გაცემული სესხებით
- პროექტის ჯამური პორთფელი 31.12.2018 წლის მდგომარეობით - 29,322 ათასი ლარი.

დაკრედიტების პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ გამოიყოფა 3 ძირითადი მიმართულება:

1. *ინდუსტრიული ნაწილი* - ხელს უწყობს საქართველოში წარმოებაზე ორიენტირებული დარგების განვითარებას, ახალი საწარმოების შექმნას და არსებული საწარმოების გაფართოება-გადაიარაღებას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში ბანკმა დააფინანსა რამოდენიმე ახალი წარმოება ნაკლებად აქტიურ და მაღალმთიანი რეგიონებში, კერძოდ, მაღალმთიან რაჭასა და თეთრიწყაროს რაიონში.
2. *სოფლის მეურნეობის ნაწილი* - საშუალებას აძლევს მსურველებს შექმნან ახალი ან განავითარონ საშუალო და მსხვილი საწარმოები სოფლის მეურნეობის დარგში.
3. *სასტუმრო ინდუსტრიის ნაწილი* - პროგრამას დაემატა 2016 წლიდან და ცნობილია სახელწოდებით „უმასპინძლე საქართველოში“. ამ ნაწილის მიზანია განავითაროს რეგიონებში სასტურმოების ბიზნესი, რათა მათ შეძლონ უმასპინძლონ გაცილებით მეტ ტურისტს.

„აწარმოე საქართველოში“ პროექტის ძირითადი მონაცემები:

- პროექტის დასაწყისი - 1 ივნისი, 2014 წელი
- 2018 წლის მონაცემებით პროექტის ფარგლებში - 24 კლიენტი სარგებლობს ქართუ ბანკის მიერ გაცემული სესხებით.
- პროექტის ჯამური პორტფელი 31.12.2018 წლის მდგომარეობით - 15,438 ათასი ლარი.

ბანკი ქართუს ძლიერ მხარეებზე საუბრისას, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ბანკში მომუშავე ადამიანები. ბანკი თანამშრომლების კვალიფიციის ამაღლებას დიდ ყურადღებას უთმობს. თანამშრომლების დიდი ერთგულებით სარგებლობს რასაც ადასტურებს ფაქტი რომ თანამშრომელთა 34%-მა თავიანთი კარიერის 10 წელზე მეტი ბანკ ქართუს დაუთმო.

2018 წლის განმავლობაში ბანკის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების არც შეძენა და არც გასხვისება.

ადამიანური რესურსების მართვა

ბანკი ქართუ ზრუნავს თანამშრომლებზე, მათ სხვადასხვა უპირატესობას სთავაზობს და საუკეთესო სამუშაო გარემოს უქმნის. ესენია:

- ჯანმრთელობის დაზღვევა;
- საბანკო პროდუქტებით სარგებლობის შეღავათები;
- თანამშრომლების პროფესიული განვითარების ტრენინგები;
- ქორწინებასთან, შვილის შეძენასა თუ ოჯახის წევრის ავადმყოფობასთან დაკავშირებული ფინანსური მხარდაჭერა და სხვ.


თითოეულ თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა ამ და სხვა უპირატესობებით ისარგებლოს და თავი დაცულად და კომფორტულად იგრძნოს.

ბანკის ტრენინგ-ცენტრი სრულად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად არის აღჭურვილი და მისი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა სახის ტრენინგებისა და მასტერკლასებისთვის. ბანკი ქართუ თავის თანამშრომლებს საკვალიფიკაციო პროგრამების ფართო არჩევანს სთავაზობს, რომლებსაც როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტუტორები უძღვებიან.

2018 წელს ბანკის თანამშრომელთა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ განხორციელებულ საკვალიფიკაციო ღონისძიებებზე მთლიანად დაიხარჯა 51 045 ლარი. მათ შორისაა ტრენინგები როგორც შიდა, ასევე, საზღვარგარეთ. სულ გადამზადდა 93 თანამშრომელი, მათგან 7 ღონისძიებას დაესწრო საზღვარგარეთ.

2.1 ბანკის შვილობილი კომპანიები

ბანკი წარმოადგენს ჯგუფის (შემდგომში “ჯგუფი”) დამფუძნებელ კომპანიას, რომელიც შედგება ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებული შემდეგი სუბიექტებისგან:



სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“ - კომპანია დაფუძნდა 2001 წელს და ფლობს როგორც სიცოცხლის, ასევე არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას.

სადაზღვევო კომპანია თანამშრომლობს ისეთ საყოველთაოდ ცნობილ საერთაშორისო საბროკერო და სადაზღვევო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა Syndicates of Lloyd's, Allianz, ACE, HDI-Gerling, Munich Re, SCOR, Hannover Re, Polish Re, Zurich, AXA, Partner Re, Everest, Catlin Re, Trans Re, Trust Re, Sava Re, CHUBB, Generali, General Insurance Corporation of India, AON, Marsh, Mapfre Re, Atradius Re, Ingosstrakh და Willis.

2014 წლის შემდეგ, სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“ არის საქართველოს სადაზღვევო კომპანიების ასოციაციის წევრი, ხოლო 2018 წლის იანვრიდან, სხვა 17 სადაზღვევო კომპანიასთან ერთად, არის ა(ა)იპ “სავალდებულო დაზღვევის ცენტრის” დამფუძნებელი, რომელიც ახორციელებს უცხო ქვეყნების სანომრე ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო დაზღვევას საქართველოს ტერიტორიაზე.

ქართუ დაზღვევის მთავარი მიზნებია:
- ქართულ სადაზღვევო ბაზარზე კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- სამომხმარებლო მომსახურების დონის გაუმჯობესება და განვითარება;
- კომპანიის აქციონერების მოგების ოპტიმიზაცია.

2018 წელს მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 5.9 მილიონი ლარი. კომპანიის აქტივები 2018 წლის მონაცემებით 11,300 ათასი ხოლო სააქციო კაპიტალი 5 მილიონი ლარია. 2018 წლის გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 353 ათასი ლარი. 2018 წლის 31 დეკემბერს ბანკმა ასევე განახორციელა 2 მილიონი ლარის ინვესტიცია დაზღვევის კომპანია ქართუში.

შპს „ქართუ ბროკერი“ – კომპანია დაფუძნდა 2001 წელს და არის საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველის, მიერ ლიცენზირებული ბროკერი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა:
- კონსულტაციები ინვესტორებისა და ემიტენტებისთვის;
- კლიენტების საინვესტიციო პორტფელის მართვა;
- ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა კლიენტების მითითებების შესაბამისად.

2018 წლის განმავლობაში „ქართუ ბროკერის“ წმინდა მოგებამ შეადგინა 16 957 ლარი. „ქართუ ბროკერის“ წარმატებული საქმიანობის საწინდარი კავშირების დამყარება, სწრაფი რეაგირება და კლიენტებისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევაა.

შპს „საინვესტიციო კომპანია ქართუ ინვესტი“ - კომპანია დაფუძნდა 1999 წელს. წარმოდგენილ საანგარიშგები პერიოდში ბიზნეს საქმიანობას არ ეწევა.

შპს „ჯეოპლასტი“ - ბანკმა კომპანია დააფუძნა 2018 წელს დასაკუთრებული ქონებების ეფექტურად განკარგვის მიზნით. 2018 წლის განმავლობაში ბანკს არ აქვს განხორციელებული რაიმე სახის ინვესტიცია კომპანიაში.

3. განვითარების გეგმები

ბანკი ქართუს სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია კორპორატიული, მცირე და საშუალო კლიენტების დაკრედიტება. ბანკი საშუალოვადიან პერსპექტივაში გეგმავს არსებული პროფილის შენარჩუნებას და მცირე და საშუალო კლიენტების წილის ზრდას მთლიან საკრედიტო პორტფელში.

ბანკისათვის, საშუალოვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანია აქტივების ხარისხის გაუმჯობესება, რაც თავისთავად გულისხმობს: დასაკუთრებული ქონებების წილის შემცირებას აქტივებში, უმოქმედო სესხების წილის შემცირებას მთლიან საკრედიტო პორტფელში, საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგების გაუმჯობესებას, საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაცია დარგების ჭრილში. გრძელვადიან პერსპექტივაში ბანკი გეგმავს მოზიდული სახსრების სტრუქტურის ცვლილებას, კერძოდ შედარებით მოკლევადიანი რესურსის ჩანაცვლებას უფრო გრძელვადიანი რესურსით და დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას.

ბანკი ქართუ ყოველთვის ცდილობდა კონკურენტუნარიანი საფასო პოლიტიკის საფუძველზე მოწინავე პოზიციის შენარჩუნებას, განსაკუთრებით დიდ კომპანიებთან და კორპორაციებთან მიმართებით. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კლიენტებისთვის შედარებით იაფი ფინანსური რესურსების მოზიდვას.

2018 წლისთვის ბანკი ქართუსთვის კვლავ პრიორიტეტულად დარჩება ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი დარგების - სოფლის მეურნეობის, იმპორტშემცვლელი და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარება.

4. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ქართუ ბანკი თბილისის მასშტაბით წარმოდგენილია 5 სერვისცენტრით, ესენია:

- ცენტრალური სერვისცენტრი - ი. ჭავჭავაძის გამზ. N39ა, 0162
- ვაკის სერვისცენტრი - ი. აბაშიძის ქ. N24, 0179
- საბურთალოს სერვისცენტრი - პეკინის გამზ. N14ბ, 0171
- მთაწმინდის სერვისცენტრი - ვ. ვეკუას ქ. N1, 0105
- ისნის სერვისცენტრი - ქეთევან დედოფლის გამზ./ბოჭორმის ქ. N50/18, 0144

საქართველოს მასშტაბით ყველა მსხვილ რეგიონში ბანკს გააჩნია მოქმედი სერვისცენტრები, რომლებიც სრულ საბანკო მომსახურეობას უწევენ კლიენტებს. ესენია:

- ბათუმის სერვისცენტრი - ა. გრიბოედოვის ქ. N2, 6000
- ბათუმის სერვისცენტრის შეკვეთილის განყოფილება - სასტუმრო Paragraph resort & spa Shekvetili, Autograph Collection Hotels
- ქუთაისის სერვისცენტრი - ზ. ფალიაშვილის ქ. N4, 4600
- გორის სერვისცენტრი - სტალინის გამზ. N10, 1400
- თელავის სერვისცენტრი - ი. ჭავჭავაძის მოედანი, 2200

5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მონაცემების ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ბანკის კაპიტალთან დაკავშირებული საზედამხედველო მოთხოვნების და ლიკვიდურობის შესახებ, ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია ბანკის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკასთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემული ფინანსური ინფრომაცია წარმოდგენილია სებ-ს სტანდარტების მიხედვით (თუ სხვა სტანდარტი არ არის მითითებული).

5.1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები

თანხები მოცემულია 1,000 ლარში	31.12.2018	31.12.2017
ძირითადი პირველადი კაპიტალი	220,764	222,346
დამატებითი პირველადი კაპიტალი	-	-
მეორადი კაპიტალი	211,893	231,320
სულ საზედამხედველო კაპიტალი	432,657	453,666
რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	1,381,509	1,384,981
მიმდინარე კოეფიციენტები		
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	15.98%	16.05%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	15.98%	16.05%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	31.32%	32.76%

კაპიტალის არსებული მოცულობა და კოეფიციენტები ადექვატურია სებ-ს მოთხოვნების.

5.2 ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი

თანხები მოცემულია 1,000 ლარში	31.12.2018	31.12.2017
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ)	243,568	321,657
ფულის წმინდა გადინება (სულ)	100,516	119,615
ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	**242.32%**	**268.9%**

ბანკის სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტები დანართის სახით მოცემულია 2018 წლის მეოთხე კვარტლის კვარტალური გამჟღავნების ფორმის გვერდზე „ძირითადი მაჩვენებლები“. (იხ. ბმულზე: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=672)

5.3 ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა (ფასს-ის მიხედვით)

თანხები მოცემულია 1,000 ლარში	2018	2017	2016
მთლიანი აქტივები	1,213,494	1,302,141	1,420,363
წმინდა სესხები	821,895	794,886	854,338
სააქციო კაპიტალი	342,078	341,706	278,193
კაპიტალის უკუგება (ROE)	8.0%	16.0%	27.1%
აქტივების უკუგება (ROA)	2.3%	3.7%	5.8%

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემულმა სესხებმა მთლიანად შეადგინა 914,736 და 869,722 ათასი ლარი შესაბამისად, ხოლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვმა შეადგინა 92,841და 74,837 ათასი ლარი შესაბამისად.

ბანკმა მიმდინარე წელს მოახდინა ფასს 9 და ფასს 15 სტანდარტების დანერგვა რომელიც ეფექტურია 2018 წლის პირველი იანვრიდან. ფასს 9 დანერგვამ გამოიწვია მოსალოდნელი სასესხო დანაკარგების რეზერვის ზრდა 20.04% ით. დამატებითი ინფორმაცია ფასს 9-ის დანერგვასთან დაკავშირებით მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

5.4 საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

ბანკი ქართუ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას, ძირითადად, საქველმოქმედო „ფონდ ქართუს“ მეშვეობით ახორციელებს. 2018 წელს საქველმოქმედო პროექტებზე დაიხარჯა 2,502 ათასი ლარი.

2018 წლის 6 მაისს, ბანკი ქართუმ მონაწილეობა მიიღო გლობალურ საქველმოქმედო ღონისძიებაში - ,,Wings For Life World Run 2018''.

საქველმოქმედო აქტივობების მთავარი მიზანი სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური სუბიექტების აქტიური ჩართულობით ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

6.1 რისკების მართვის პოლიტიკა და მიზნები

სს „ბანკი ქართუს“ ბიზნეს მოდელი შემუშავებულია ისე, რომ ბანკმა მუდმივად შეინარჩუნოს კაპიტალიზაციის საშუალოზე მაღალი დონე და რესურსები გადანაწილებული ჰქონდეს ისეთ აქტივებსა და სექტორებზე, რომლითაც მიაღწევს მდგრად და დაბალანსებულ ზრდას. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ძირითადი პირველადი, პირველადი და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ მინიმალურ საზედამხედველო მოთხოვნებს აღემატება შესაბამისად 6.71, 4.45 და 11.10 პროცენტული პუნქტებით, რაც თანხობრივად შესაბამისად შეადგენს 92.8, 61.5 და 153.8 მლნ ლარს.

ის ძირითადი რისკები, რომლებსაც ბანკი ქართუ იღებს სტრატეგიული მიზნების განხორციელებისას დაჯგუფებულია შემდეგნაირად: საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო, საოპერაციო და სხვა არაფინანსური რისკები.

ბანკის რისკების მართვის მიზნებს წარმოადგენს:

- რისკის აპეტიტის განსაზღვრა, რომლითაც მოახდება რისკი/მომგებიანობის ოპტიმიზაცია, კაპიტალის მუდმივად ადეკვატურ დონეზე შენარჩუნებასთან ერთად;
- ლიკვიდურობის ისეთ მართებულ დონეზე შენარჩუნება და მართვა, რომლითაც ბანკი მოახდენს მოკლევადიანი ვალდებულებების შესრულებას სტრესული მდგომარეობის დროსაც;
- ადეკვატური და ეფექტური კონტროლის მექანიზმების ქონა;
- სრულ შესაბამისობაში ყოფნა იმ კანონებსა და რეგულაციებთან, რომლებიც უკავშირდება ბანკის ბიზნეს საქმიანობას.

ძირითადი პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეფექტური რისკების მართვის სტრატეგიას არის:

- ბანკში დაცვის მძლავრი მეორე ხაზის (LOD 2) არსებობა;
- ბანკის ბიზნეს სტრატეგიით განსაზღვრული ძირითადი პრინციპების და იმ რისკის დონის შესაბამისობა, რომლის აღებაც ბანკს სურს და შეუძლია (რისკის აპეტიტი);
- იმის უზრუნველყოფა, რომ ბიზნეს საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებული რისკები არის სწორად იდენტიფიცირებული, გაზომილი და დოკუმენტირებული;
- სათანადო კონტროლის მექანიზმების მუშაობის უზრუნველყოფა.

რისკის აპეტიტი

სამეთვალყურეო საბჭო იხილავს და ამტკიცებს რისკის აპეტიტს (ICAAP ფარგლებში), რომელიც ხელს უწყობს ბანკის გრძელვადიან მდგრად ზრდას და აბალანსებს გრძელვადიან მომგებიანობას გონივრული რისკების მართვასთან. რისკის აპეტიტი გამოიხატება რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ბანკის რისკის აპეტიტს იყენებს იმ რისკის დონეების განსასაზღვრად, რომლებიც შეუძლია და სურს აიღოს ბიზნეს საქმიანობის განსახორციელებლად.

კაპიტალის დაგეგმვა

სამეთვალყურეო საბჭო აფასებს კაპიტალის მოთხოვნებს, რომელიც აუცილებელია როგორც ბიზნეს გეგმის მხარდასაჭერად, ისე სტრესული გარემოებების დასაძლევად. აღნიშნული დოკუმენტურად ასახულია კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესში (ICAAP), რომელიც ხელმისაწვდომია მარეგულირებლისთვის.

ლიკვიდურობის დაგეგმვა

დირექტორატი ზედმიწევნით აფასებს ლიკვიდურობის იმ დონეს, რომელიც ბანკს სჭირდება როგორც ბიზნეს გეგმის მხარდასაჭერად, ისე სტრესული გარემოებების დასაძლევად. 1 თვემდე, 3-დან 6 თვემდე, და 6-დან 12 თვემდე ლიკვიდურობის პროგნოზირება ხაზინისა და რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ ხდება ყოველთვიურად და წარედგინება დირექტორატს.

რისკის მართვის მოდელი ბანკის დონეზე

რისკების სამართავად ბანკი იყენებს მართვის 3 ხაზიან მოდელს. მოდელი გამოიყენება ვალდებულებების და პასუხისმგებლობების გასამიჯნად, რათა მიღწეული იყოს მთლიანი რისკების ეფექტური მართვა, რომელიც ხელს უწყობს ბანკის შიდა კონტროლის ჩარჩოს გაძლიერებას.

დაცვის სამ ხაზიანი მიდგომა აცალკევებს მფლობელობა/რისკის მართვას იმ ფუნქციებისგან, რომლებიც ახდენენ რისკების ზედამხედველობას და ასევე იმ ფუნქციებისგან, რომელიც ახდენენ დამოუკიდებელ აუდიტს.

- **დაცვის პირველი ხაზი (LOD 1)** - ბანკის სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ფლობენ და მართავენ რისკს. აღნიშნული ხაზი მოიცავს ბიზნეს და საოპერაციო ერთეულებს. განყოფილების უფროსები და დეპარტამენტის დირექტორები, როგორც რისკის მფლობელები და კონტროლის მფლობელები არიან საბოლოოდ პასუხისმგებელი ყველა იმ რისკსა და კონტროლზე, რომელიც ვარდება მათი პასუხისმგებლობის არეალში.
- **დაცვის მეორე ხაზი (LOD 2)** - სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ახდენენ რისკების იდენტიფიცირებას და ზედამხედველობას. რისკის მართვის პროცესი, რომლებიც არსებობს მძლავრი დაცვის მეორე ხაზის ფუნქციონირებისთვის მოიცავს:
  - რისკის კონტროლის შეფასებას;
  - სცენარების ანალიზს;
  - საკრედიტო პორტფელის ხარისხის აქტიური მართვას;
  - ძირითადი რისკის ინდიკატორებს / ადრეული სტადიაზე გამაფრთხილებელ ნიშნებს;
  - ბანკში არსებული სხვადასხვა მოდელების მართვას
  - ახალი პროდუქტებს და სერვისებს
  - შიდა კონტროლის შეფასება/ტესტირებას
  - ძირითადი რისკების მართვის პოლიტიკების და პროცედურების მუდმივ მონიტორინგს
  - საოპერაციო რისკების შემთხვევების რეპორტინგს
  - და სხვას
- **დაცვის მესამე ხაზი (LOD 3)** - ერთეულები, რომლებიც ახდენენ:
  - რისკის აპეტიტის განსაზღვრას;
  - დამოუკიდებელ აუდიტს;
  - პროცესების და ძირითადი მაჩვენებლების დამოუკიდებელ კონტროლს;

რისკების გაზომვის და მონიტორინგის სისტემები

მთავარი პრინციპები რისკების ეფექტურად გაზომვისა და მონიტორინგისთვის არის:

- რისკის პოზიციების გაზომვა მოსალოდნელი დანაკარგების მოდელირების გზით, რისკის ინდიკატორები და სცენარების ანალიზი მთლიანად ბანკის დონეზე;
- უმაღლესი მენეჯმენტის მიერ რისკების სიმძიმის გაცნობიერების ხელშეწყობა;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის და დირექტორატისთვის რისკის პროფილის ანგარიშების მიწოდება რისკის ინდიკატორებთან და მიტიგაციის საშუალებებთან ერთად, რათა მათ მიერ მოხდეს რისკის აპეტიტის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გადახედვა;
- აღებული რისკების სათანადო აღრიცხვის წარმოება.

ყოველკვარტალური რისკის პროფილის ანგარიშები, რომლებიც მიეწოდება დირექტორატს და სამეთვალყურეო საბჭოს მოიცავს:

- საკრედიტო რისკის პროფილის ანალიზს;
- ლიკვიდურობის რისკის პროფილის ანალიზს;
- სავალუტო რისკის პროფილის ანალიზს;
- საპროცენტო განაკვეთის რისკის პროფილი ანალიზს;

სტანდარტიზირებული მიდგომა

ბანკი საზედამხედველო მიზნებისათვის რისკის პოზიციების გაანგარიშებისას იყენებს მხოლოდ „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების“ მიხედვით განსაზღვრულ სტანდარტიზებულ მიდგომას (რომელიც შესაბამისობაშია „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოსთან).

სტრეს-ტესტები

ბანკი ატარებს სხვადასხვა სტრეს ტესტებს და ახდენს სხვადასხვა პარამეტრების საპროგნოზო სცენარების გაანალიზებას. აღნიშნული ბანკს საშუალებას აძლევს შეაფასოს/გაზომოს არა მხოლოდ მიმდინარე ეტაპზე იდენტიფიცირებული რისკები, არამედ მოვლენების სტრესული სიტუაციის განვითარების შემთხვევაში ახალი შესაძლო წარმოშობილი რისკები.

6.2 საკრედიტო რისკები და მისი მართვის მექანიზმები

საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი პარტნიორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი. საკრედიტო რისკი ბანკს შეიძლება წარმოეშვას თავის კლიენტებთან სხვადასხვა საქმიანობით, როგორიცაა კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვა .

საკრედიტო რისკის მართვა იწყება ბანკის უმაღლესი მენეჯმენტიდან. საკრედიტო რისკის მართვასთან დაკავშირებით ბანკის რისკის მართვის კომიტეტს აქვს შემდეგი პასუხისმგებლობები:

- განსაზღვროს ბანკის რისკის ტოლერანტობა საკრედიტო რისკთან მიმართებაში.
- უზრუნველყოს ბანკში საკრედიტო რისკის იდენტიფიცირების, გაზომვის, მონიტორინგის და კონტროლის ფუნდამენტური პრინციპების დანერგვა.
- დაადგინოს ბანკის ლიმიტები საკრედიტო პოზიციებზე და კონცენტრაციებზე
- პერიოდულად განიხილოს ბანკის საკრედიტო პორტფელი და მის რისკიანობა.
- პერიოდულად წარუდგინოს ბანკის დირექტორატს და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში ბანკში საკრედიტო რისკის მართვასთან დაკავშირებით.
- უზრუნველყოს საკრედიტო რისკის ამღები მმართველი განყოფილებები, საკრედიტო დეპარტამენტი და ფინანსური რისკების მართვის განყოფილება, შესაბამისი კვალიფიციური საკადრო და ტექნიკური რესურსით.

საკრედიტო რისკის პოლიტიკის პირველი ელემენტი არის რისკის იმ დონის განსაზღვრა რომელიც ბანკს შეუძლია აიღოს. საკრედიტო რისკის ტოლერანტობა უნდა იქნას განსაზღვრული ბანკის კაპიტალის ოდენობის, და ზოგადი რისკის აპეტიტის გათვალისწინებით.

საკრედიტო რისკის შეფასება

ბანკში საკრედიტო რისკების ეფექტურად მართვისთვის არსებობს სესხების შიდა სარეიტინგო სისტემა და დარეზერვების (სესხების მოსალოდნელი დანაკარგების გაზომვის) მეთოდოლოგია, როგორც IFRS-ის, ისე საზედამხედველო მიზნებისათვის. მსესხებლების ინდივიდუალური საკრედიტო რისკების შეფასების გარდა ბანკი პილარი 2-ის ფარგლებში ახდენს საკრედიტო პორტფელის ერთი მსესხებლის ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფის კონცენტრაციის რისკისათვის საჭირო კაპიტალის განსაზღვრას Herfindahl-Hirschman Index (HHI)-ის გამოყენებით. აღნიშნული ინდექსი გამოითვლება ბანკის ჯამური რისკის პოზიციის პორტფელში 100 ყველაზე მსხვილი ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფის რისკის პოზიციის წილის გათვალისწინებით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკებისათვის განკუთვნილი საზედამხედველო კაპიტალი შეადგენდა 48.3 მლნ ლარს. ბანკის პილარი 2-ის ფარგლებში ასევე ახდენს არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის დაცვას, რომლისთვისაც განკუთვნილი საზედამხედველო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა 27 მლნ ლარს.

საკრედიტო რისკების მონიტორინგი

საკრედიტო რისკების მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება საკრედიტო პორტფელის მონიტორინგის განყოფილების მიერ, რომელიც წარმოადგენს რისკების მართვის დეპარტამენტში შემავალ განყოფილებას. აღნიშნული განყოფილება ახორციელებს ყოველკვარტალურად ან/და ყოველთვიურად (დამოკიდებულია ბიზნესის სპეციფიკაზე, დავალიანების სიდიდესა და მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებაზე) ბანკის მსესხებელი კომპანიების ფინანსური ანალიზს და მონიტორინგის დასკვნების მომზადებას შესაბამისი რეკომენდაციებით.

უზრუნველყოფა

ბანკი კორპორატიული და საცალო კლიენტების მიმართ საკრედიტო რისკების მიტიგაციის საშუალებად აქტიურად იყენებს უზრუნველყოფის სახით იპოთეკით დატვირთულ/დაგირავებულ უძრავ და მოძრავ ქონებას. უძრავი და მოძრავი ქონებები არ გაითვალისწინება რისკის მიტიგანტად საზედამხედველო მიზნებისათვის საკრედიტო რისკების მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციის გაანგარიშებისას. უზრუნველყოფის რისკების შეფასებისას ხდება უზრუნველყოფის ღირებულების, საგნის, ლიკვიდურობის და აღსრულებადობის შეფასება. უზრუნველყოფა ასევე ჯგუფდება დაფინანსებულ ბიზნესთან კორელაციის კუთხით. უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი აქტივები, რომელთა ღირებულება მაღალ კორელაციაშია დაფინანსებული ბიზნესის ფინანსურ შედეგებთან სესხის გაცემის განხილვისას LGD-ის კალკულაციისას ანგარიშდება უფრო მაღალი დისკონტით.

ბანკს ჰყავს უზრუნველყოფის შეფასების და მართვის სტრუქტურული ერთეული, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ახდენს უზრუნველყოფაში მისაღები/მიღებული ქონებების შეფასება/გადაფასებას. ზოგიერთ შემთხვევაში ბანკი მიმართავს გარე საშემფასებლო კომპანიებს/ფიზიკურ პირებს.

6.3 სავალუტო რისკები და მისი მართვის მექანიზმები

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ბანკის უცხოურ ვალუტაში ფორმირებული წმინდა აქტივების გაუფასურების რისკი, რომელიც ამცირებს ბანკის კაპიტალს.

სავალუტო რისკის მართვა იწყება ბანკის უმაღლესი მენეჯმენტიდან. სავალუტო რისკის მართვასთან დაკავშირებით ბანკის რისკის მართვის კომიტეტს აქვს შემდეგი პასუხისმგებლობები:

- განსაზღვროს ბანკის რისკის ტოლერანტობა სავალუტო რისკთან მიმართებაში.
- უზრუნველყოს ბანკში სავალუტო რისკის იდენტიფიცირების, გაზომვის, მონიტორინგის და კონტროლის ფუნდამენტური პრინციპების დანერგვა.
- დაადგინოს ბანკის ლიმიტები ღია სავალუტო პოზიციაზე სხვადასხვა ვალუტების მიხედვით.
- პერიოდულად განიხილოს ბანკის სავალუტო პოზიციები როგორც ლიკვიდურ სახსრებში ასევე გრძელვადიან საკრედიტო დაბანდებებში.
- პერიოდულად წარუდგინოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში ბანკში სავალუტო რისკის მართვასთან დაკავშირებით.

სავალუტო რისკების სამართავად ბანკში წესდება შემდეგი ლიმიტი: ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით ბანკის საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი, როგორც საბალანსო და გარესაბალანსო ისე კრებსითი სავალუტო პოზიციების მიხედვით, არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20%-ს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის რეგულაციების მიხედვით დათვლილი ბანკის ღია სავალუტო პოზიცია შეადგენდა 43.1 მლნ ლარს. შესაბამისად

სავალუტო რისკებისათვის ბანკს 2018 წლის 31 დეკემბრისათვის პირველადი კაპიტალის ნაწილში ეჭირა 3.7 მლნ ლარი, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის ნაწილში 4.5 მლნ ლარი.

6.4 საპროცენტო რისკები და მისი მართვის მექანიზმები

საპროცენტო რისკის მართვა იწყება ბანკის უმაღლესი მენეჯმენტიდან. საპროცენტო რისკის მართვასთან დაკავშირებით ბანკის რისკის მართვის კომიტეტს აქვს შემდეგი პასუხისმგებლობები:

- განსაზღვროს ბანკის რისკის ტოლერანტობა საპროცენტო რისკთან მიმართებაში.
- უზრუნველყოს ბანკში საპროცენტო რისკის იდენტიფიცირების, გაზომვის, მონიტორინგის და კონტროლის ფუნდამენტური პრინციპების დანერგვა
- დაადგინოს სხვადასხვა ოპერაციების მიხედვით ბანკის ლიმიტები.
- პერიოდულად განიხილოს ბანკის ფიქსირებული შემოსავლის მქონე საინვესტიციო და სავაჭრო პორტფელის შედეგები და განიხილოს საბაზრო რისკის სტრატეგია.
- პერიოდულად წარუდგინოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში ბანკში საპროცენტო რისკის მართვასთან დაკავშირებით.
- უზრუნველყოს საპროცენტო რისკის ამღები და მმართველი სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი კვალიფიციური საკადრო და ტექნიკური რესურსით.

საპროცენტო რისკის პოლიტიკის პირველი ელემენტი არის რისკის იმ დონის განსაზღვრა რომელიც ბანკს შეუძლია აიღოს. საპროცენტო რისკის ტოლერანტობა და აპეტიტი განისაზღვრება ბანკის კაპიტალის ოდენობის, და ზოგადად რისკის აპეტიტის გათვალისწინებით.

საპროცენტო რისკის ერთერთი მთავარი მხარეა საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივების და საპროცენტო ხარჯის მქონე ვალდებულებების სხვადასხვა ვადიანობის გამო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით წარმოქმნილი რისკი. აღნიშნული რისკის გასაზომად ბანკი იყენებს "გადაფასების გეპის" მეთოდს, რომელიც ერთნაირ ვადიანი აქტივებს და ვალდებულებებს ადარებს ერთმანეთს თანხების მიხედვით. დანაკარგის მიღების შესაძლებელობა არის იმ შემთხვევაში, თუ ბანკს აქვს თანხობრივი გეპი ერთნაირი ვადის მქონე საპოცენტო შემოსავლის მომტან აქტივებსა და საპროცენტო ხარჯის მქონე ვალდებულებებს შორის და ბაზარზე იცვლება განაკვეთი. ცალკე საპროცენტო რისკებისათვის ბანკი საზედამხედველო მიზნებისათვის კაპიტალის დაცვას არ ახორციელებს, თუმცა იცავს ICAAP-ის ფარგლებში და აღნიშნული რისკისთვის განკუთვნილი საზედამხედველო კაპიტალი შეადგენს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 0.9%-ს (თანხობრივად 12.7 მლნ ლარს).

6.5 საოპერაციო რისკები და მისი მართვის მექანიზმები

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც გამოწვეულია გაუმართავი ან ჩავარდნილი შიდა პროცესებით, ადამიანური რესურსებით და სისტემებით, ან გარე ფაქტორებით.

საოპერაციო რისკი ჩნდება ბანკის ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე და დაკავშირებულია ბიზნესის ნებისმიერ მიმართულებასთან. ბანკი ქართუ იდენტიფიცირებას უკეთებს, აფასებს და მართავს საოპერაციო რისკებს შემდეგი პროცესების და ინსტრუმენტების მეშვეობით:

- საოპერაციო რისკის მოვლენების ანგარიშგება - ეს არის საოპერაციო რისკით გამოწვეული დანაკარგების, ჩავარდნილი პროცესების და სხვა არა ფულადი სახით მომხდარი მოვლენების აღრიცხვა და ანგარიშგება. ეს მოვლენები ფიქსირდება და რეგისტრირდება ცენტრალიზებულად და გაანალიზდება რისკების პრო-აქტიური მართვისთვის ძირითადი მიზეზების ანალიზის მეშვეობით.

- სცენარების ანალიზი (RCA) - ეს პროცესი მიზნად ისახავს მაღალი ზემოქმედების, მცირე ალბათობის, მაგრამ რეალისტური მოვლენების იდენტიფიცირებას, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა იქონიონ ბანკზე, ასევე აფასებს შესაბამის ალბათობას და სიხშირეს ძირითადი რისკ კატეგორიების მიხედვით, რათა ბანკმა ადეკვატურად შეძლოს შეაფასოს არა მხოლოდ არსებულ რისკები, არამედ ის რისკებსაც რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ბანკი. ანალიზი ფოკუსირდება მაღალი ზემოქმედების, მაგრამ დაბალი ალბათობის შემთხვევებზე;
- რისკისა და კონტროლის თვითშეფასება (RCSA) - ეს პროცესი მიზანმიმართულია ბანკში არსებული და მოსალოდნელი რისკების შესაფასებლად ბანკში არსებული ბიზნეს პროცესების ანალიზის გზით. იგი აფასებს ბანკის ძირითადი რისკ კატეგორიებისთვის არსებულ თანდაყოლილ რისკებს, კონტროლის ეფექტიანობას და ნარჩენ რისკებს, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითი ასახვა იქონიონ სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე. ამ გზით ბანკი უზრუნველყოფს, შესაბამისი კონტროლის მექანიზმებისა და/ან აღდგენითი გეგმების არსებობას რათა შეარბილოს რისკისა და ზარალის ზემოქმედება.
- რისკის მიღება - დაცვის პირველი ხაზი და დეპარტამენტების დირექტორები ახორციელებენ რისკების იდენტიფიცირებას, რისკის საკითხების და კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებების დაფიქსირებას. გარკვეულ შემთხვევებში, რისკის მიტიგაცია არ არის შესაძლებელი ან შესაძლებელია ითხოვდეს აღდგენის ხანგრძლივ პერიოდს. ამ სიტუაციებში რისკი უნდა იყოს მიღებული. ეს პროცესი მხარს უჭერს აღნიშნულ საჭიროებას და აღწერს რისკის მიღების მიდგომას - საკითხის წამოწევას, მიღებას, მონიტორინგს და ანგარიშგებას.

ზემოაღნიშნული პროცესების შედეგების ანალიზი სრულდება იმ მიზნით, რომ წარმოდგენა შეიქმნას ბანკში არსებული საოპერაციო რისკების პროფილის შესახებ ბანკის რისკ აპეტიტთან მიმართებაში. ანალიზის შედეგად ხორციელდება საოპერაციო რისკების მიტიგაცია ან მიღება (საჭიროების შემთხვევაში) რათა შემდგომში გათვალისწინებულ იქნას ბანკის ბიზნეს საქმიანობაში და სტრატეგიაში.

ბანკი რაოდენობრივად საოპერაციო რისკებისთვის საჭირო კაპიტალს ითვლის ძირითადი ინდიკატორის მეთოდის მიხედვით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირველადი კაპიტალის ნაწილში შეადგენდა 13,1 მლნ ლარს, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის ნაწილში 16.2 მლნ ლარს.

6.6 ლიკვიდურობის რისკები და მისი მართვის მექანიზმები

ლიკვიდურობის რისკი არის ბანკის რისკი, რომ ვერ მოახდინოს ვალდებულებების გასტუმრება დათქმულ ვადაში ან გაისტუმროს აქტივების მნიშვნელოვანი დისკონტირების გზით

ლიკვიდურობის რისკის პოლიტიკის პირველი ელემენტი არის რისკის იმ დონის განსაზღვრა რომელიც ბანკს შეუძლია აიღოს. ლიკვიდურობის რისკის ტოლერანტობა და აპეტიტი განისაზღვრება ბანკის კაპიტალის ოდენობის, და ზოგადი რისკის მიმართ ტოლერანტობის გათვალისწინებით.

ლიკვიდურობის რისკის სტრატეგიის შემუშავებისას რისკების მართვის დეპარტამენტის ფინანსური რისკების მართვის განყოფილება და ხაზინის დეპარტამენტის აქტივ-პასივების მართვის განყოფილება ითვალისწინებს ზოგად ეკონომიკურ და საბაზრო მდგომარეობას და მათი შესაძლო ეფექტი ბანკის მიერ აღებულ ლიკვიდურობის პოზიციებზე, დაფინანსების სხვადასხვა წყაროების და მათ შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის შეფასების საფუძველზე.

სს „ბანკ ქართუში“ ლიკვიდურობის მართვა ძირითადად ხორციელდება მაკონტროლებელი ორგანოს მიერ დაწესებული ლიმიტებით. ბანკში სისტემატიურად ხორციელდება ფულადი ნაკადების დინების

პროგნოზი ვალდებულებების და ლიკვიდური სახსრების სტატისტიკურ ანალიზზე და სხვა ზემოქმედ ფაქტორებზე დაყრდნობით.

6.7 სხვა არაფინანსური რისკები

ბანკი თავისი საქმიანობის შედეგად შესაძლოა დადგეს იმ პოტენციური რისკების წინაშე, როგორიცაა რეპუტაციის, იურიდიული, სტრატეგიული, შესაბამისობის და სხვა რისკები.

რეპუტაციის რისკი

რეპუტაციის რისკი არის რისკი, რომელსაც სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს ბანკის ოპერაციებთან დაკავშირებული უარყოფითი საჯარო განცხადებების გაკეთება ან ბანკის უარყოფითად წარმოდგენა.

რეპუტაციის რისკის მართვა იწყება ბანკის უმაღლესი მენეჯმენტიდან. რეპუტაციის რისკის მართვასთან დაკავშირებით ბანკის რისკის მართვის კომიტეტს აქვს შემდეგი პასუხისმგებლობები:

- განსაზღვრავს ბანკის რისკის ტოლერანტობას რეპუტაციის რისკთან მიმართებაში; უზრუნველყოფს ბანკში რეპუტაციის რისკის იდენტიფიცირების მონიტორინგის და კონტროლის ფუნდამენტური პრინციპების დანერგვას;
- პერიოდულად წარუდგინოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშს ბანკში რეპუტაციის რისკის მართვასთან დაკავშირებით.

რისკის მართვის კომიტეტის მიერ დადგენილი პოლიტიკის და მათზე დელეგირებული უფლებების ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღებას ახდენენ ხარისხის მართვის და პერსონალის მართვის განყოფილებები. აღნიშნული განყოფილებები აფასებენ ბანკის რეპუტაციის რისკებს და საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ რისკის მართვის კომიტეტს გაზრდილ რეპუტაციულ რისკებზე რეაგირების მიზნით.

სამართლებრივი რისკი

სამართლებრივი რისკი არის რისკი, რომელიც გამოწვეულია სამართლებრივი სისუსტეებით, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს სამართლებრივი მოქმედებები, კანონებსა და ნორმატიულ აქტებში დამხმარე დებულებების უქონლობა ან სამართლებრივად სავალდებულო მოთხოვნების სისუსტე, როგორიცაა, მაგალითად, ხელშეკრულებების შეუსაბამობა სამართლებრივ მოთხოვნებთან, ასევე ხელშეკრულებების გაფორმებამდე კანონმდებლობით დადგენილი, ან ბანკის შიდა ნორმატიული აქტრებით განსაზღვრული დოკუმენტების ანალიზის უქონლობა.

სამართლებრივი რისკის მართვას ახორციელებს ბანკის უმაღლესი მენეჯმენტი, ბანკის იურიდიული დეპარტამენტის მეშვეობით. ბანკის სტუქტურის თანახმად იურიდიული დეპარტამენტი პირდაპირ ექვემდებარება ბანკის რისკების დირექტორს, რომელსაც აქვს შემდეგი პასუხისმგებლობები:

- განსაზღვროს ბანკის სამართლებრივი რისკების სტრატეგია;
- უზრუნველყოს ბანკში სამართლებრივი რისკის განხორციელება, მონიტორინგი და კონტროლის ფუნდამენტური პრინციპების დანერგვა;
- პერიოდულად წარუდგენოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში ბანკში სამართლებრივი რისკის მართვასთან დაკავშირებით.

იურიდიული დეპარტამენტი ახორციელებს სამართლებრივი რისკების ანალიზს ბანკის ნებისმიერი იმ განყოფილების მოთხოვნით, რომელთაც შეიძლება წარმოეშვას ასეთი რისკები.

დეპარტამენტი უზრუნველყოფს სამართლებრივი რისკების მონიტორინგს, იმ სფეროებში, სადაც მის მიერ გაკეთდა სამართლებრივი რისკების ანალიზი. იურიდიული დეპარტამენტი უზრუნველყოფს ბანკის შიდა ნორმატიული ბაზის პერიოდულ მონიტორინგს და მის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

სტრატეგიული რისკი

სტრატეგიული რისკი არის რისკი, რომელსაც სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს ბანკი სტრატეგიის სუსტი დაგეგმვა და ცუდი განხორციელება, ბანკის სუსტი ბიზნეს გადაწყვეტილებები ან ბანკის მიერ რეაგირების არ მოხდენა გარე ცვლილებებზე. სტრატეგიული რისკის მართვა იწყება ბანკის უმაღლესი მენეჯმენტიდან. სტრატეგიული რისკის მართვასთან დაკავშირებით ბანკის დირექტორატს აქვს შემდეგი პასუხისმგებლობები:

- განსაზღვროს ბანკის სტრატეგია;
- უზრუნველყოს ბანკში სტრატეგიული რისკის იდენტიფიცირების მონიტორინგის და კონტროლის ფუნდამენტური პრინციპების დანერგვა;
- პერიოდულად წარუდგინოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში ბანკში სტრატეგიული რისკის მართვასთან დაკავშირებით.

ბანკის სტრატეგიის გადახედვა ხდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ დირექტორატზე. მინიმუმ კვარტალში ერთხელ ჯამდება ბანკის პროგრესი დასახული მიზნებისაკენ და განიხილება ახალი მოვლენები, რომლებმაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს ბანკის სტრატეგიაზე.

ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში ბანკში მოქმედი ყველა დეპარტამენტი და განყოფილება ადგენს მომავალი კალენდარული წლის გეგმას და აწვდის ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტს.

თითოეული დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი გეგმა განიხილება და მტკიცდება დირექტორატის მიერ ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტთან ერთად. ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი ყოველკვარტალურად იკვლევს დეპარტამენტების და განყოფიელებების მიერ დასახული გეგმების შესრულებას და ვერ შესრულების მიზეზებს და ანგარიშს წარუდგენდეს დირექტორატს.

რისკის მართვის დეპარტამენტი აკონტროლებს სხვადასხვა დეპარატემენტებისა და განყოფილებების მოქმედებას, რათა მათ მიერ განხორციელებული ქმედებები არ გასცდეს ბანკის ზოგად რისკის ტოლერანტობას.

სტრატეგიული რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებაზე ბანკში პასუხისმგებელია რისკის მართვის კომიტეტი. რისკის მართვის კომიტეტის მიერ დადგენილი პოლიტიკის და მასზე დელეგირებული უფლებების ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღებას ახდენს ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი.

შესაბამისობის რისკი

შესაბამისობის რისკი არის საკანონმდებლო და რეგულაციური სანქციების, ფინანსური დანაკარგების, ან ბანკის რეპუტაციის დაკარგვის რისკი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს კანონმდებლობის, წესებისა და სტანდარტების შეუსრულებლობამ. ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი ახორციელებს გასული კვარტლის განმავლობაში მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი ნორმატივების ფარგლებში ბანკის ფუნქციონირების, მათთან შესაბამისობის და მათი შესრულების კუთხით შესაძლო საფრთხეეების ანალიზს.

ყველა ზემოთ მოცემულ რისკების მართვას ზედამხედველობას უწევს რისკების მართვის დეპარტამენტი. რადგან რეპუტაციის, სამართლებრივი, სტრატეგიული და შესაბამაბისობის რისკები მიმდინარე ეტაპზე ბანკისთვის წარმოადგენენ არაკვანტიფიცირებად რისკებს და მათი მართვა ხორციელდება შესაბამისი პოლიტიკების ფარგლებში, ბანკი აღნიშნული რისკებისთვის დამატებითი კაპიტალის დაცვას არ საჭირეობს.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ჯგუფი ბანკი ქართუ

სარჩევი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:	
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიში	5
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში	6
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში	7-8
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:	
1. ორგანიზაცია	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა	12
4. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	20
5. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები	41
6. ფული და ფულის ექვივალენტები	44
7. სავალდებულო მინიმალური რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში	44
8. მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	45
9. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	45
10. კლიენტებზე გაცემული სესხები	46
11. ინვესტიციები კაპიტალში	49
12. ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	49
13. ძირითადი საშუალებები	50
14. სხვა აქტივები	51
15. ბანკების დეპოზიტები	52
16. კლიენტების დეპოზიტები	53
17. სხვა ნასესხები სახსრები	53
18. სხვა ვალდებულებები	54
19. სუბორდინირებული სესხები	54
20. საწესდებო კაპიტალი	57
21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	57
22. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე და სხვა რეზერვები	57
23. წმინდა მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე	58
24. წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	59
25. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები	59
26. სხვა შემოსავალი, წმინდა	59
27. საოპერაციო ხარჯები	60
28. მოგების გადასახადი	60
29. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	62
30. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	63
31. ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება	65
32. კაპიტალის რისკის მართვა	67
33. რისკის მართვის პოლიტიკა	69
34. შემდგომი მოვლენები	91

ჯგუფი ბანკი ქართუ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც რეალურად ასახავს სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს („ბანკი") და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი") ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების კონსოლიდირებულ შედეგებს, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობასა და კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 13 მაისს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

_____	_____
გენერალური დირექტორი	**ფინანსური დირექტორი**
ნატო ხაინდრავა	**გივი ლებანიძე**
2019 წლის 13 მაისი	2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება ბანკის ქართუს („ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კონსოლიდირებული მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლების, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს აუდიტის მოსაზრებას.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ წინამდებარე რეპორტში არ გადმოვცემთ არანაირ რწმუნებულებას მასზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის უნარი, განაგრძოს უწყვეტი საწარმოს პრინციპით საქმიანობა. აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ბანკის ან მისი შვილობილების ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი მოსაზრების გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიცირებას ვუკეთებთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარ განზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების შესაფერისობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, უწყვეტად გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში, შესაბამისი ტრანზაქციებსა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ჯონ რობინსონი
შპს დელოიტი და ტუშის სახელით

თბილისი, საქართველო
2019 წლის 13 მაისი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
აქტივები:			
ფული და ფულის ექვივალენტები	6	124,535	224,644
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	7	138,155	120,479
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	8	-	18,253
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	9	12,380	18,800
კლიენტებზე გაცემული სესხები	10	821,895	794,886
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში*	12	19,295	27,978
ინვესტიციები კაპიტალში*	11	57	57
ძირითადი საშუალებები	13	12,583	14,062
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		7,225	1,537
სხვა აქტივები	14	77,369	81,445
სულ აქტივები		**1,213,494**	**1,302,141**
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები:			
ბანკების დეპოზიტები	15	15,106	18,398
კლიენტების დეპოზიტები	16	641,862	690,657
სხვა ნასესხები სახსრები	17	-	26,289
სხვა რეზერვები	22	3,797	2,408
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები	28	8,637	6,362
სხვა ვალდებულებები	18	7,380	7,953
სუბორდინირებული სესხები	19	190,595	208,368
სულ ვალდებულებები		**867,377**	**960,435**
კაპიტალი:			
დამფუძნებელ აქციონერებზე განაწილებული კაპიტალი:			
სააქციო კაპიტალი	20	114,430	114,430
დამატებით შეტანილი კაპიტალი	19	12,667	13,795
გაუნაწილებელი მოგება		218,946	213,496
სულ დამფუძნებელ აქციონერებზე განაწილებული კაპიტალი		346,043	341,721
არაკონტროლირებადი წილი		74	(15)
სულ კაპიტალი		**346,117**	**341,706**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**1,213,494**	**1,302,141**

* ჯგუფმა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ასახვის ფორმა შეიცვალა 2018 წლის 1 იანვარს ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკის გატარების შედეგად. დამატებითი ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკის მიღების თაობაზე იხილეთ შენიშვნაში #4

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნატო ხაინდრავა

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
გივი ლებანიძე

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

9-91 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	21	91,686	99,520
საპროცენტო ხარჯი	21	(30,691)	(31,529)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვებამდე/(რეზერვის აღდგენამდე)		60,995	67,991
საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების (რეზერვი)/რეზერვის აღდგენა	22	(3,026)	6,522
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**57,969**	**74,513**
საკომისიო შემოსავალი	25	6,803	6,552
საკომისიო ხარჯი	25	(6,362)	(5,088)
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	24	(3,959)	3,148
სხვა ოპერაციების რეზერვი	22	(1,830)	(142)
საპროცენტო შემოსავლის არმქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის აღდგენა	22	47	-
წმინდა მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე	23	-	2,717
სხვა შემოსავალი, წმინდა	26	8,085	4,122
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		**2,784**	**11,309**
საოპერაციო შემოსავალი		60,753	85,822
საოპერაციო ხარჯები	27	(28,235)	(29,156)
მოგება მოგების გადასახადამდე		**32,518**	**56,666**
მოგების გადასახადის ხარჯი	28	(6,314)	(6,948)
წლის წმინდა მოგება		**26,204**	**49,718**
სხვა სრული შემოსავლები		**-**	**-**
სულ სრული შემოსავლები		**26,204**	**49,718**
განეკუთვნება:			
დამფუძნებლის აქციონერები		26,200	49,676
არაკონტროლირებადი წილი		4	42
		26,204	**49,718**

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნატო ხაინდრავა

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
გივი ლებანიძე

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

9-91 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ ბანკის აქციონერებზე განაწილებული კაპიტალი	უმცირესობის წილი	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2017		**114,430**	**9,424**	**154,422**	**278,276**	**(83)**	**278,193**
წლის წმინდა მოგება		-	-	49,676	49,676	42	49,718
არაკონტროლირებადი წილის შემცირება ს.ს. "დაზღვევის კომპანია ქართუს" წილის შესყიდვის გამო		-	-	(26)	(26)	26	-
გადატანილი გაუნაწილებელ მოგებაში		-	(9,424)	9,424	-	-	-
დამატებით შეტანილი კაპიტალი		-	16,230	-	16,230	-	16,230
მოგების გადასახადი დამატებით შეტანილ კაპიტალზე		-	(2,435)	-	(2,435)	-	(2,435)
დეკემბერი 31, 2017		**114,430**	**13,795**	**213,496**	**341,721**	**(15)**	**341,706**
ფასს 9-ის პირველი გამოყენებით გამოწვეული კორექტირება, გადასახადის გარეშე		**-**	**-**	**(2,515)**	**(2,515)**	**-**	**(2,515)**
იანვარი 1, 2018 (გადაფასებული)		**114,430**	**13,795**	**210,981**	**339,206**	**(15)**	**339,191**
წლის წმინდა მოგება		-	-	26,200	26,200	4	26,204
არაკონტროლირებადი წილის შემცირება ს.ს. „დაზღვევის კომპანია ქართუს" წილის შესყიდვის გამო		-	-	(85)	(85)	85	-
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები		-	-	(20,000)	(20,000)	-	(20,000)
გადატანილი გაუნაწილებელ მოგებაში	19	-	(1,572)	1,572	-	-	-
დამატებით შეტანილი კაპიტალი	19	-	522	-	522	-	522
მოგების გადასახადი დამატებით შეტანილ კაპიტალზე	19	-	(78)	278	200	-	200
31 დეკემბერი, 2018		**114,430**	**12,667**	**218,946**	**346,043**	**74**	**346,117**

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნატო ხაინდრავა

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
გივი ლებანიძე

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

9-91 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება მოგების გადასახადამდე:		32,518	56,666
კორექტირებები:			
გაუფასურების დანაკარგების რეზერვის შექმნა/(რეზერვის აღდგენა)საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე	22	3,026	(6,522)
სხვა ოპერაციების რეზერვის შექმნა	22	1,830	142
საპროცენტო შემოსავლის არ მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების აღდგენა	22	(47)	-
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	24	10,319	3,432
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	27	2,640	2,818
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება		(15,364)	(9,463)
პირობის ცვლილების ეფექტი სუბორდინირებულ სესხზე	19	(848)	-
დასაკუთრებული აქტივებისა და ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება	26	(5,700)	(667)
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების წმინდა ცვლილება		-	9,622
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**28,374**	**56,028**
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში			
(ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:			
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში		(11,229)	12,595
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		6,832	(13,761)
კლიენტებზე გაცემული სესხები		19,108	13,432
სხვა აქტივები		(6,621)	5,851
ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:			
ბანკების დეპოზიტები		(4,346)	205
კლიენტების დეპოზიტები		(78,488)	(21,297)
სხვა ვალდებულებები		(723)	(6,120)
საოპერაციო საქმიანობიდან გაცემული/(მიღებული) ნაღდი ფული		**(47,093)**	**46,933**
გადახდილი მოგების გადასახადი		(9,060)	(10,479)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება/(შემოდინება) საოპერაციო საქმიანობიდან		**(56,153)**	**36,454**

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(219)	(5,405)
შემოსავალი ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან		-	47
შემოსავალი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან		-	2,108
დასაკუთრებული ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		15,142	-
სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციების შესყიდვა		27,692	19,008
შემოსავალი სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალიზაციიდან		(19,023)	(27,281)
წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება/(გადინება)საინვესტიციო საქმიანობიდან		**23,592**	**(11,523)**
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან:			
სხვა ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი		-	89,341
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა		(24,953)	(190,542)
არაკონტროლირებადი წილიდან შვილობილი კომპანიის წილის შესყიდვა		(85)	(450)
გადახდილი დივიდენდები		(20,000)	-
შემოსავალი სუბორდინირებული სესხიდან		4,303	-
სუბორდინირებული სესხის დაფარვა		(29,987)	-
ფულადი სახსრების წმინდა გადინებაფინანსური საქმიანობიდან		**(70,722)**	**(101,651)**
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილ ნაღდ ფულზე		3,174	2,748
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(103,283)	(76,720)
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში		**224,644**	**298,616**
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს		**124,535**	**224,644**

ჯგუფის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შეადგინა 25,531 ათასი და 70,395 ათასი ლარი, შესაბამისად.

ჯგუფის მიერ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შეადგინა 33,373 ათასი და 95,006 ათასი ლარი, შესაბამისად.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნატო ხაინდრავა

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
გივი ლებანიძე

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

9-91 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

1. ორგანიზაცია

სააქციო საზოგადოება "ბანკი ქართუ" (შემდგომში "ბანკი") რეგისტრირებულია საქართველოში 1996 წლიდან. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი ("სებ"). ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს #229 გენერალური ლიცენზიის საფუძველზე. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საქმიანობა, სესხებისა და გარანტიების გაცემა, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით, აგრეთვე, დეპოზიტების მოზიდვა.

ბანკის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 39ა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს გააჩნდა ხუთი სერვის-ცენტრი თბილისში, აგრეთვე, განყოფილება შეკვეთილში და სერვის-ცენტრები გორში, თელავში, ქუთაისსა და ბათუმში.

ბანკი წარმოადგენს ჯგუფის (შემდგომში "ჯგუფი") დამფუძნებელ კომპანიას, რომელიც შედგება ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებული შემდეგი სუბიექტებისგან:

		ბანკის მფლობელობის საპროცენტო წილი (%)		
სახელწოდება	**საქმიანობის ქვეყანა**	**2018**	**2017**	**საქმიანობის ტიპი**
შპს "ქართუ ბროკერი"	საქართველო	100.00%	100.00%	საბროკერო
სს "დაზღვევის კომპანია ქართუ"	საქართველო	91.39%	88.77%	დაზღვევა
საინვესტიციო კომპანია შპს „ქართუ ინვესტი"	საქართველო	100.00%	100.00%	უმოქმედო
შპს „გეოპლასტი"	საქართველო	100.00%	100.00%	უმოქმედო

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ქართუ ჯგუფი" (საქართველო) ფლობდა ბანკის აქციების 100%-ს.

ძირითადი აქციონერი, რომელიც აკონტროლებს ჯგუფის ოპერაციებს, არის უტა ივანიშვილი, ბიძინა ივანიშვილის შვილი.

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2019 წლის 13 მაისს.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ ჯგუფი წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისთვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის, იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება, ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას ჯგუფი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, კონდოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები რეგისტრირებულნი არიან საქართველოში და აწარმოებენ საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია შენიშვნაში #33.

ფუნქციონალური ვალუტა. ჯგუფის ყველა კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ღირებულებები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ჯგუფი მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში არ ქვითავს შემოსავლებსა და ხარჯებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაქვითვა მოითხოვება რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, ან ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ჯგუფის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პირველი კომპლექტი, რომელშიც გამოყენებულია ფასს 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“ და ფასს 15 - „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“. ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში აღწერილია შენიშვნაში #4.

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბანკისა და მის მიერ კონტროლირებადი საწარმოების, ასევე მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი ხორციელდება, როდესაც

- ბანკს გააჩნია ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე;

- ბანკს ეძლევა ან აქვს უფლება, მოითხოვოს ინვესტირების ობიექტთან საქმიანი ურთიერთობის შედეგად მიღებული ამონაგები; და
- ბანკს შეუძლია მის ხელთ არსებული ძალაუფლება გამოიყენოს ამონაგებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.

ბანკი შეაფასებს, აქვს თუ არა ინვესტირების ამა თუ იმ ობიექტზე კონტროლი, თუ გარემოებები მიუთითებს, რომ კონტროლის ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან მეტ ელემენტში მოხდა ცვლილება.

თუ ინვესტირების ობიექტში ბანკს გააჩნია ხმის უფლების უმრავლესობაზე ნაკლები, მას ინვესტირების ობიექტში ძალაუფლება ექნება იმ შემთხვევაში, თუ მის ხელთ არსებული ხმის უფლებები საკმარისია მისთვის ობიექტის სათანადო საქმიანობის ცალმხრივად გაძღოლის პრაქტიკული შესაძლებლობის მისანიჭებლად. იმის შესაფასებლად, საკმარისია თუ არა მის ხელთ არსებული ხმის უფლებები ძალაუფლების მისანიჭებლად, ბანკი ითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტსა და გარემოებას, მათ შორის:

- ბანკის მიერ ფლობილი ხმის უფლებების მოცულობას ხმის დანარჩენი უფლებების წილთან და განაწილებასთან შედარებით;
- ბანკის, სხვა ხმის უფლებათა მქონე თუ სხვა მხარეთა მიერ ფლობილ პოტენციურ ხმის უფლებებს;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოშობილ უფლებებს; და
- ყველა დამატებით ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ ბანკს აქვს ან არ აქვს შესაძლებლობა, გადაწყვეტილების მიღების საჭიროების შემთხვევაში, წარმართოს შესაბამისი საქმიანობა, მათ შორის აქციონერთა წინაშე კრებებზე ხმათა განაწილების სქემები.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდირება იწყება, როდესაც ბანკი იძენს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და სრულდება, როდესაც ბანკი ამ კონტროლს კარგავს. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში შედის ბანკის მიერ კონტროლის მიღების დღიდან ბანკის მიერ კონტროლის დაკარგვის დღემდე.

საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები კორექტირდება ჯგუფის მიერ გამოყენებულ ბუღალტრულ პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ჯგუფის ყველა შიდა ვალდებულება, ასევე კაპიტალი, ტრანზაქციებთან დაკავშირებული შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრების მოძრაობა კონსოლიდაციის დროს სრულად ბათილდება.

არაკონტროლირებადი წილი. არასაკონტროლირებადი წილი წარმოადგენს შვილობილი კომპანიების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, ასევე წმინდა აქტივების წილს, რომელიც არ არის პირდაპირ ან არაპირდაპირ ჯგუფის მფლობელობაში.

მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშსა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში არაკონტროლირებადი წილი წარმოდგენილია ცალკე, ხოლო ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში იგი შედის კაპიტალში დამფუძნებელი აქციონერი კომპანიის კაპიტალისაგან დამოუკიდებლად.

არსებულ შვილობილ კომპანიებში ჯგუფის მიერ ფლობილი წილების ცვლილება. ჯგუფის მიერ შვილობილ კომპანიებში ფლობილი წილების ისეთი ცვლილება, რომელიც არ იწვევს ამ კომპანიაზე ჯგუფის კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება, როგორც წილობრივი ტრანზაქცია. ჯგუფის მიერ ფლობილი წილებისა და არაკონტროლირებადი წილის საბალანსო ღირებულება ისე კორექტირდება, რომ მათში აისახოს შვილობილ კომპანიაში ფარდობითი წილის ცვლილება. სხვაობა არაკონტროლირებადი წილის კორექტირებულ ოდენობასა და გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების რეალურ ღირებულებას შორის პირდაპირ აღიარდება კაპიტალში და მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელებს.

3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა

ფინანსურ ანგარიშებში ნაჩვენებ თანხებზე მოქმედ ფასს-ებში შეტანილი შესწორებები

ბანკმა ფასს 9 და ფასს 15-ის გამოყენება დაიწყო 2018 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 9 *"ფინანსური ინსტრუმენტები".*

ბანკმა მიიღო ბასს-ის მიერ 2014 წლის ივლისში გამოცემული ფასს 9, რომლის თავდაპირველი გამოყენების თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ახალი სტანდარტის გამოყენებამ გამოიწვია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების ცვლილებები და ფინანსურ ანგარიშგებაში მანამდე აღიარებული თანხების კორექტირების აუცილებლობა.

ფასს 9-ის გარდამავალი დებულებების შესაბამისად, ბანკმა გადაწყვიტა, არ გადაეფასებინა შესადარისი რიცხვები. ფასს 9-ზე გადასვლის დღისათვის დაფიქსირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება აისახა მიმდინარე პერიოდის საწყის გაუნაწილებელ მოგებასა და სხვა რეზერვებში. ამდენად, განმარტების მიზნებისათვის, ფასს 7-ით გათვალისწინებული განმარტებების შესაბამისი შესწორება გამოყენებული იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდზე, გარდა ქვემოთ აღწერილი შემთხვევებისა.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-ზე გადასვლის გამო ბანკმა ცვლილებები შეიტანა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშისა და განმარტებების საპრეზენტაციო ფორმაში. ეს ცვლილებები შეეხო მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებს, რომლებიც ფასს 9-ის თანახმად აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით კლიენტზე გაცემულ სესხებთან ერთად განსხვავებით 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისგან, როდესაც მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები წარმოდგენილი იყო ცალკე;

ფასს 9-ის მიღებამ გამოიწვია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების, კლასიფიკაციისა და შეფასების, აგრეთვე, ფინანსური აქტივების გაუფასურების პოლიტიკების ცვლილება. ფასს 9-ის ამოქმედების შედეგად, მნიშვნელოვანი ცვლილება შედის ფინანსური ინსტრუმენტების მარეგულირებელ სხვა სტანდარტებში, მაგალითად, ფასს 7: „ფინანსური ისნსტრუმენტები: განმარტება".

ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების ეფექტი ძირითადად ვრცელდება შემდეგზე:

- გაუფასურების ახალი მოდელის გამო, ფინანსურ აქტივებზე აღიარებული გაუფასურების დანაკარგების ზრდა/კლება
- ფასს 9-თან დაკავშირებული დამატებითი განმარტებები.

დამატებითი ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკების თაობაზე იხილეთ შენიშვნაში #4.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის ნაშთების შედარება ბასს 39-სა ფასს 9-ს შორის

ბანკში ჩატარდა ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელებისა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების დეტალური ანალიზი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ერთმანეთს არის შედარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები ბასს 39-ის მიხედვით შეფასების წინანდელი კატეგორიისა და 2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ზე გადასვლისას მიღებული შეფასების ახალი კატეგორიის მიხედვით:

	თავდაპირველი კლასიფიკაცია ბასს 39-ის მიხედვით	ახალი კლასიფიკაცია ფასს 9-ის მიხედვით	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით	ახალი საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით
ფული და ფულის ექვივალენტები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	224,644	224,602
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	120,479	120,447
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები [1]	მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	N/A	18,253	-
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	18,800	18,779
კლიენტებზე გაცემული სესხები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	794,886	810,327
ინვესტიციები კაპიტალში	სავაჭროდ განკუთვნილი	რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში - საკუთარი კაპიტალი	57	57
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	დაფარვის ვადამდე ფლობილი	ამორტიზებული ღირებულება	27,978	27,951
სხვა ფინანსური აქტივები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	4,889	4,423
სულ ფინანსური აქტივები			**1,209,986**	**1,206,586**
ბანკების დეპოზიტები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	18,398	18,398
კლიენტების დეპოზიტები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	690,657	690,657
სხვა ნასესხები სახსრები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	26,289	26,289
სხვა ფინანსური ვალდებულებები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	3,327	3,327
სუბორდინირებული სესხი	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	208,368	208,368
სულ ფინანსური ვალდებულებები			**947,039**	**947,039**
წმინდა ფინანსური აქტივები			**262,947**	**259,547**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბანკის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეფასების თავდაპირველი კატეგორიები ბასს 39-ის მიხედვით და შეფასების ახალი კატეგორიები ფასს 9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**რეკლასიფიკაცია**	**გადაფასება**	**საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით**
ფინანსური აქტივები სესხებიდან და მოთხოვნებიდან	**1,163,696**	**(1,163,696)**	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	224,644	-	(42)	224,602
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	120,479	-	(32)	120,447
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18,800	-	(21)	18,779
კლიენტებზე გაცემული სესხები	794,886	-	(10,141)	784,745
სხვა ფინანსური აქტივები	4,889	-	(466)	4,423
ამორტიზებულ ღირებულებაში	**-**	**(1,163,696)**	**(10,702)**	**1,152,996**
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებიდან	18,253	**(18,253)**	**-**	**-**
კლიენტებზე გაცემული სესხები [1]		18,253	7,329	25,582
ამორტიზებულ ღირებულებაში		**18,253**	**7,329**	**25,582**
გასაყიდად განკუთვნილიდან	**57**	**(57)**	**-**	**-**
ინვესტიციები კაპიტალში	-	57	-	57
რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში- საკუთარ კაპიტალში	-	**57**	-	**57**
დაფარვის ვადამდე ფლობილიდან	**27,978**	**(27,978)**	-	-
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	-	27,978	(27)	27,951
ამორტიზებულ ღირებულებაში	**-**	**27,978**	**(27)**	**27,951**
ფინანსური ვალდებულებები ბასს 39 საბალანსო ღირებულებიდან	**947,039**	**(947,039)**	-	-
ბანკების დეპოზიტები	18,398	-	-	18,398
კლიენტების დეპოზიტები	690,657	-	-	690,657
სხვა ნასესხები სახსრები	26,289	-	-	26,289
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,327	-	-	3,327
სუბორდინირებული სესხი	208,368	-	-	208,368
ფასს 9 ამორტიზებულ ღირებულებაში	-	**(947,039)**	-	**947,039**

[1] კლიენტებთან გაფორმებული და ლარში დენომინირებული გარკვეული ხელშეკრულებები მოიცავს უცხოური ვალუტის პირობებს, რომლებითაც ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. ბასს 39-ის მიხედვით, ითვლებოდა, რომ ასეთი პირობა არ განსაზღვრავდა წარმოებული ინსტრუმენტის თავდაპირველ ხელშეკრულებასთან მჭიდრო კავშირს , შესაბამისად, აღირიცხებოდა ინდივიდუალურად, მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით.

ფასს 9 კრძალავს ჰიბრიდული ხელშეკრულებიდან ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტის გამოცალკევებას, როდესაც თავდაპირველი ხელშეკრულება მის მიერ რეგულირებადი ფინანსური აქტივია. ამდენად, მთელი ჰიბრიდული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება შეფასების სამი კატეგორიიდან ერთ-ერთით.

ბანკის მენეჯმენტმა გაანალიზა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადებისა და ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მათი რაოდენობრივი ცვლილები. ძირისა და დარჩენილ ძირზე უღევერიჯო გაცვლითი კურსით დარიცხული პროცენტის გადახდების დაკავშირება ფულის დროში ღირებულებას მიმდინარე დონეზე აფიქსირებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინსტრუმენტზე მოქმედ საპროცენტო განაკვეთში აისახება „რეალური“ პროცენტი და ფულადი ნაკადების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები საბაზისო სასესხო გარიგების

შესაბამისია. ამდენად, აღნიშნული ხელშეკრულებები გადის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ტესტს და ფასს 9-ის მიხედვით, ჰიბრიდული ხელშეკრულება ამორტიზებული ღირებულებით ფასდება.

შემდეგ ცხრილში ერთმანეთთან შედარებულია, ერთი მხრივ, წინა პერიოდის საბოლოო გაუფასურების დანაკარგების რეზერვი, რომელიც შეფასებულია ბასს 39-ის გაწეული ზარალის მოდელით და, მეორე მხრივ, გაუფასურების დანაკარგების ახალი რეზერვი, რომელიც შეფასებულია 2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ის მოსალოდნელი ზარალის მოდელით:

	გაუფასურების ზარალის რეზერვი ბასს 39-ით/რეზერვი ბასს 37-ით	რეკლასიფიკაცია	გადაფასება	მსდ-ის რეზერვი ფასს 9-ით
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	42	42
სავალდებულო მინიმალური რეზერვი ი სებ-ში	-	-	32	32
კლიენტებზე გაცემული სესხები	74,837	-	15,273	90,110
დაფარვამდე ფლობილი ინვესტიციები (ბასს 39)	-	-	-	-
სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური აქტივები (ბასს 39)	-	-	-	-
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	-	21	21
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	-	-	27	27
ინვესტიციები კაპიტალში	-	-	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	466	466
სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის კონტრაქტები	2,408	-	(441)	1,967
სულ	**77,245**	**-**	**15,420**	**92,665**

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი, გადასახადის გარეშე, გაუფასურების დანაკარგების ანარიცხებსა და გაუნაწილებელ მოგებაზე. ეფექტი დაკავშირებულია გაუნაწილებელ მოგებასთან. საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტებზე ეფექტი არ ფიქსირდება.

გაუნაწილებელი მოგება	
საბოლოო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით (2017 წლის 31 დეკემბერი)	**213,496**
კლიენტებზე გაცემულ სესხებში ჩაშენებული წარმოებულის გადაფასება ამორტიზებული ღირებულებით, რომელიც ადრე განცალკევებით იყო აღიარებული	7,329
გაცემული სესხების გადაფასება ფასს 9-ის მიხედვით	5,132
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის აღიარება ფასს 9-ის მიხედვით	(15,861)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის აღიარება ფასს 9-ის მიხედვით გარანტიებისა და აუთვისებელი საკრედიტო ხაზებისთვის	441
გადავადებული მოგების გადასახადის სარგებელი	444
გადაფასებული საწყისი ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით (2018 წლის 1 იანვარი)	**210,981**

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის „ბასს 18 – შემოსავლები“, „ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები“ და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მიდგომას შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;

- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, პირი შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის საკონტრაქტო ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი" კლიენტს გადაეცემა. ფასს 15-ს დაემატა უფრო კონსტრუქციული ხასიათის ინსტრუქციები სპეციფიური სცენარების დამუშავების მიზნით. ასევე, შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

2016 წლის აპრილში სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა „ფასს 15-ის განმარტება", რომელიც დაკავშირებულია საკონტრაქტო ვალდებულებათა შესრულების დადგენის, პრინციპალისა და აგენტის ანაზღაურების განსაზღვრის, აგრეთვე, ლიცენზირების გამოყენების პროცედურებთან.

ფასს 15-ის შესწორების გამოყენებას კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის მოცულობაზე ან მიღების დროზე და ბანკის მიერ აღიარებულ შესაბამის აქტივებსა და ვალდებულებებზე არ უმოქმედია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

ბანკი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ, მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 16 - იჯარა;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები;
- შესწორება ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი;
- შესწორება ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება
- შესწორება ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
- ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება;

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების მიღება არსებით ზეგავლენას იქონიებს მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაზე, გარდა ქვემოთ აღწერილი ფასს 16-ისა.

შესწორება ფასს 16 - იჯარა

ბანკი ვალდებულია, ფასს 16 „იჯარები" 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენოს. ბანკმა შეაფასა ის სავარაუდო ეფექტი, რასაც ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე იქონიებს. ქვემოთ აღწერილია აღნიშნული შეფასების შედეგები. 2019 წლის 1 იანვარს სტანდარტის ამოქმედების რეალური ეფექტი შეიძლება შეიცვალოს, რადგან:

- ბანკს არ დაუსრულებია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების კონტროლის ტესტირება და შეფასება; და
- თავდაპირველი გამოყენების თარიღის მომცველი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკები შეიცვლება.

ფასს 16-ში მოცემულია მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს საიჯარო გარიგებებისა და იჯარის ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურების დადგენას მეიჯარეებისა და მოიჯარეებისთვის. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 16 ჩაანაცვლებს იჯარის დამუშავების არსებულ ინსტრუქციებს, მათ შორის "ბასს 17 - იჯარა" და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16 იჯარისა და მომსახურების კონტრაქტებს ერთმანეთისგან განასხვავებს იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა იდენტიფიცირებულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო (არა-საბალანსო) იჯარისა და ფინანსური (საბალანსო) იჯარის განსხვავება მოიჯარის შემთხვევაში უქმდება და ჩანაცვლებულია მოდელით, რომლის მიხედვით, მოიჯარემ უნდა აღიაროს გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება ყველა იჯარაში გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების აქტივებისა.

გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივი თავდაპირველად აისახება სრული ღირებულებით, შემდეგში კი ღირებულებისა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების დანაკარგების სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების გადაფასების ყოველი შემთხვევისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. შემდგომში საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების, აგრეთვე სხვა ფაქტორებს შორის, იჯარის მოდიფიკაციების ეფექტის გათვალისწინებით. გარდა ამისა, იცვლება ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია, რადგან საოპერაციო იჯარის გადახდები, ბასს 17-ის მიხედვით, წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ფულადი ნაკადები; ხოლო ფასს 16-ის მოდელის მიხედვით, საიჯარო გადახდები დაიყოფა ძირითად თანხად და პროცენტად, რომლებიც, შესაბამისად, წარმოდგენილი იქნება ფულად ნაკადებად ფინანსური და საოპერაციო საქმიანობიდან.

მოიჯარის აღრიცხვისგან განსხვავებით, მეიჯარის მხარის ბუღალტრული აღრიცხვა ფასს 16-ში არსებითად ბასს 17-დან არის გადმოტანილი და მის მიხედვით, მეიჯარე კვლავაც ვალდებულია, იჯარა საოპერაციოა ან ფინანსურ იჯარად განასხვავოს.

ბანკმა დაასრულა ფინანსურ ანგარიშგებაზე პოტენციური ზეგავლენის საწყისი შეფასება, მაგრამ დეტალური შეფასება ჯერ არ დასრულებულა. თავდაპირველი გამოყენების პერიოდში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფასს 16-ის რეალური ზეგავლენა დამოკიდებული იქნება მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, ბანკის საიჯარო პორტფელის განვითარებაზე, ბანკის გადაწყვეტილებაზე, გამოიყენებს თუ არა იჯარის განახლების არჩევანს, და იმაზე, თუ რა მასშტაბით გადაწყვეტს იგი პრაქტიკული საშუალებებისა და არასავალდებულო აღიარების უფლების გამოყენებას.

წინასწარი ანალიზი მიუთითებს, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს 8,981 ლარის ოდენობის საოპერაციო იჯარის გადახდის სავალდებულო ხარჯი.

ფასს 16-ის შესაბამისად, გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი გაუფასურებაზე შემოწმდება ბასს 36 - აქტივების გაუფასურების მიხედვით. ეს ჩაანაცვლებს აქამდე არსებულ მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებდა დამამძიმებელი კონტრაქტების რეზერვის აღიარებას.

მოკლევადიანი (12 თვე ან ნაკლები) და დაბალღირებულებიანი აქტივების (მაგალითად, პერსონალური კომპიუტერები და საოფისე ავეჯი) იჯარების შემთხვევაში, ბანკმა გადაწყვიტა, იჯარის ხარჯი წრფივ საფუძველზე ასახოს, რაც ფასს 16-ით არის ნებადართული.

აქამდე ბანკი საოპერაციო იჯარის ხარჯს წრფივად აღიარებდა იჯარის ვადის განმავლობაში, ხოლო აქტივებსა და ვალდებულებებს - მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის დროში სხვაობა რეალურ გადახდებსა და ხარჯის აღიარებას შორის.

ბანკი ფასს 16-ის თავდაპირველ გამოყენებას გეგმავს 2019 წლის 1 იანვარს, მოდიფიცირებული რეტროსპექციული მიდგომით. ამდენად, ფასს 16-ის გამოყენების კუმულატიური ეფექტი აღიარდება როგორც 2019 წლის 1 იანვარს გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება, შესადარისი ინფორმაციის გადაფასების გარეშე.

ბანკი გეგმავს, უარი თქვას ახალ ფასს-ზე გადასვლისას იჯარის განსაზღვრების გამოყენებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ფასს 16-ს გამოიყენებს 2019 წლის 1 იანვრამდე გაფორმებულ და ბასს 17 და ფაისკ 4-ით იჯარად იდენტიფიცირებულ კონტრაქტებზე. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკს არ შეუფასებია ფასს 16-სი ეფექტი.

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები

ახალი სტანდარტით დგინდება სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, გაზომვის, წარდგენისა და განმარტების პრინციპები. ის ფასს 4-ს - "სადაზღვევო კონტრაქტებს" ჩაანაცვლებს.

სტანდარტი იძლევა "ზოგად მოდელს", რომელიც მოდიფიცირდება ისეთი სადაზღვევო კონტრაქტებისათვის, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას ითვალისწინებს, რაც "ცვლადი ანაზღაურების მიდგომად" განისაზღვრება. "ზოგადი მოდელი" მარტივდება "პრემიუმის განაწილების მიდგომის" გამოყენებით დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებათა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

"ზოგად მოდელში" გამოყენებულია მიმდინარე დაშვებები სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასთან, დროსა და არასარწმუნოებასთან დაკავშირებით. მოდელი მკაფიოდ ზომავს ამ არასარწმუნოების ღირებულებას; მოდელი ეფუძნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებსა და პოლისის მფლობელის ოფციონებისა და გარანტიების ზეგავლენას.

სტანდარტის გამოყენება სავარაუდოდ მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს პროცესებსა და სისტემაში და აუცილებელს გახდის ბიზნესის მრავალ ფუნქციას, მათ შორის, ფინანსებს, აქტუარულსა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს შორის მეტი კოორდინაციის არსებობას.

ახალი სტანდარტი ძალაში შევა 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენების უფლება დაშვებულია. კომპანიამ ფასს 17 რეტროსპექტიულად უნდა გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია. ასეთ დროს გამოყენებული იქნება რეალური ღირებულების ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა.

ახალ სტანდარტზე გადასვლის მოთხოვნების მიზნებისათვის, თავდაპირველი გამოყენების თარიღად ითვლება რეალური გამოყენების თარიღი, თუ ის წლიური საანგარიშგებო პერიოდი, რომელშიც კომპანია პირველად გამოიყენებს სტანდარტს და გადასვლის თარიღი არის თავდაპირველი გამოყენების თარიღის უშუალოდ წინმსწრები პერიოდის დასაწყისი.

ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ სტანდარტის ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან სადაზღვევო კომპანია ბანკის უმნიშვნელო წილს შეადგენს.

შესწორებები ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები

შესწორებები განმარტავს, რომ ფასს 9, მისი გაუფასურების მოთხოვნების ჩათვლით, ეხება მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებულ გრძელვადიან წილებს.გარდა ამისა, ფასს 9-ის გრძელვადიან წილებზე გამოყენების დროს, პირი მხედველობაში არ იღებს ბასს 28-ით მოთხოვნილ, საბალანსო ღირებულების კორექტირებას (ანუ გრძელვადიანი წილების საბალანსო ღირებულების იმ კორექტირებას, რომელიც წარმოიშვა ბასს 28-ის შესაბამისად ინვესტირების ობიექტის ზარალის განაწილების ან გაუფასურების შეფასების შედეგად).

შესწორება ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებები იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა შესწორებათა თავდაპირველი გამოყენება ფასს 9-ის პირველ გამოყენებას.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებების გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს სტანდარტების წლიური რედაქტირების 2015-2017 წლების ციკლი

წლიური რედაქტირების ციკლი მოიცავს შესწორებებს ოთხ სტანდარტში.

ბასს 12 - მოგების გადასახადი
შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდებზე მოგების გადასახადის მოქმედების შედეგი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში იმის მიხედვით უნდა აღიაროს, თუ თავდაპირველად სად მოხდა გასანაწილებელი მოგების მომტანი ტრანზაქციების აღიარება. აღნიშნული ვრცელდება ყველა შემთხვევაზე, იმის მიუხედავად, მოქმედებს თუ არა განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებაზე გადასახადის სხვადასხვა განაკვეთი.

ბასს 23 - სესხის აღების ხარჯები
შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ფასს 3 - ბიზნეს-კომბინაციები
ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან უნდა გამოიყენოს ეტაპობრივად მიღწეული ბიზნეს-კომბინაციის მოთხოვნები, მათ შორის, რეალური ღირებულებით ხელახლა შეაფასოს ერთობლივ საწარმოში მანამდე ფლობილი წილები. ეს უკანასკნელი უნდა მოიცავდეს ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებულ აუღიარებელ აქტივებს, ვალდებულებებსა და გუდვილს.

ფასს 11 - ერთობლივი საქმიანობა
ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანია მონაწილეობს, მაგრამ არ ფლობს ერთობლივ კონტროლს ისეთ ერთობლივ საქმიანობაზე, რომელიც არის ბიზნესი და ამ კომპანიამ მოიპოვა ერთობლივი კონტროლი ამგვარ ერთობლივ საქმიანობაზე, კომპანია არ არის ვალდებული, ხელახლა შეაფასოს ერთობლივ საქმიანობაში მანამდე ფლობილი წილი.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნაადრევი გამოყენება ნებადართულია.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება მომავალში არსებით არსებითზეგავლენას იქონიებს ბანკის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორება ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება

შესწორება განმარტავს, რომ წარსულში გაწეული მომსახურების ღირებულება (ან ანგარიშსწორებით მიღებული მოგება ან ზარალი) გამოიანგარიშება დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) შეფასებით, განახლებული დაშვებების გამოყენებითა და შეთავაზებული ანაზღაურებისა და ანაზღაურების პროგრამის აქტივების შედარებით პროგრამის ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ (ან შეკვეცისა თუ გადახდის შემთხვევაში), მაგრამ აქტივის ზღვრული ოდენობის გაუთვალისწინებლად (ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოიშვას, როდესაც განსაზღვრული ანაზღაურების პროგრამა პროფიციტურია). ბასს 19 მკაფიოდ ადგენს, რომ ზღვრული ოდენობის ეფექტი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროგრამის შესწორების (ან შეკვეცის თუ გადახდის) შედეგად, განისაზღვრება მეორე ეტაპზე და ჩვეულებრივად აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ასევე შეიცვალა პარაგრაფები, რომლებიც უკავშირდება მიმდინარე მომსახურების ღირებულებისა და წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) წმინდა პროცენტის შეფასებას. კომპანიებს ახლა ევალებათ მიმდინარე მომსახურების ღირებულებისა და წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) წმინდა პროცენტის შეფასება მთელი დარჩენილი საანგარიშო პერიოდისათვის პროგრამის ცვლილების შემდეგ გადაფასებით მიღებული ახალი დაშვებების გათვალისწინებით. წმინდა პროცენტის შემთხვევაში, შესწორება მკაფიოდ ამბობს, რომ პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში წმინდა პროცენტი გამოითვლება ბასს 19.99-ით გადაფასებული წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) გამრავლებით გადაფასებაში გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთზე (და ასევე წმინდა დადგენილ ვალდებულებაზე (აქტივზე) შენატანებისა და ბენეფიტის გადახდების ეფექტის გათვალისწინებით).

შესწორებები გამოიყენება პროსპექტიულად და ვრცელდება მხოლოდ იმ შესწორებულ, შეკვეცილ ან გადახდილ პროგრამებზე, რომლებიც განხორციელდა ბასს 19-ის პირველი გამოყენების წლიური პერიოდის დაწყების შემდეგ.

ბასს 19-ის შესწორებები ვრცელდება 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, თუმცა, კომპანიის შეხედულებისამებრ, მათი გამოყენება შეიძლება ნაადრევადაც.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ სტანდარტის გამოყენება მომავალში ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორებები)

ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები ეხება ისეთ ვითარებას, როდესაც ინვესტორსა და მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოს შორის ხდება აქტივების ყიდვა-გაყიდვა ან გადაცემა. კერძოდ, შესწორება ამბობს,

რომ ისეთი შვილობილი კომპანიის კონტროლის დაკარგვიდან წარმოშობილი მოგება ან ზარალი, რომელიც არ შეიცავს ბიზნესს ასოცირებულმეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოსთან, რომელიც აღირიცხება კაპიტალის მეთოდით, აღირიცხება დამფუძნებელი კომპანიის მოგება-ზარალში მხოლოდ ამ ასოცირებულმეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოში სხვა ინვესტორების წილების ფარგლებში. მსგავსად, ყოფილ შვილობილ საწარმოში (რომელიც გახდა ასოცირებულიმეკავშირე პირი ან ერთობლივი საწარმო და ახლა წრფივი მეთოდით აღირიცხება) შენარჩუნებული ინვესტიციების რეალურ ღირებულებამდე გადაფასებით მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება თავდაპირველი დამფუძნებელი კომპანიის მოგება-ზარალში მხოლოდ ამ მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოში სხვა არადაკავშირებული ინვესტორების წილების ფარგლებში.

შესწორების ძალაში შესვლის თარიღი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან არსებით ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება

ფასიკ 23 განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია, როდესაც არსებობს მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, რომ მან:

- დაადგინოს, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად ფასდება თუ ჯგუფურად; და
- შეაფასოს, რამდენად სავარაუდოა, საგადასახადო ორგანო დაეთანხმოს კომპანიის მიერ მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან შემოთავაზებული არასარწმუნო საგადასახადო დამუშავების ფორმას:
    - თანხმობის შემთხვევაში, კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია დაადგინოს მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან ნავარაუდევი ბუღალტრული დამუშავების შესაბამისად.
    - უარის შემთხვევაში, კომპანიამ არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს ბუღალტრული საგადასახადო პოზიციის დადგენაში.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ მთლიანად რეტროსპექტიულად ან ნაწილობრივ რეტროსპექტიული მიდგომით შედარებითი მონაცემების გადაფასების გარეშე.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ სტანდარტის გამოყენება ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკის პრინციპები:

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშში აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება შემდეგ ერთეულებს:

- შესყიდული ან წარმოქმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. მათ შემთხვევაში ბანკი კრედიტზე შესწორებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს იყენებს ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას დაფიქსირებულ ამორტიზებულ ღირებულებაზე.

- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის/იყო შესყიდული ან წარმოქმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები, მაგრამ შემდგომ გაუარესდა/გაუფასურდა. ასეთ ფინანსურ აქტივების ბანკი შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დათვლილი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხავს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების ზუსტ დისკონტირებას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას ბანკი მხედველობაში იღებს მოსალოდნელ ფულად სახსრებს, ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობის გათვალისწინებით, გარდა სესხის დანაკარგებისა. გამოთვლაში შედის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, ასევე ტრანზაქციის ხარჯებსა და სხვა პრემიუმებსა თუ დისკონტებს.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება - 2018 წლის 1 იანვრამდე

ფინანსური აქტივიდან საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ჯგუფში მოხდება ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებული ღირებულების გამოთვლას, რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგებების ხარჯების, სხვა ფასნამათებისა და დისკონტების განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

საკომისიო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტის საკომისიო გადასახადი ექვემდებარება გადავადებას მასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღირიცხება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

თუ სავარაუდოა, რომ ნაკისრი ვალდებულების შედეგად შეიძლებაწარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, ნაკისრი ვალდებულების საკომისიო გადავადდება დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღიარდება როგორც კორექტირება სესხის ეფექტურ განაკვეთზე. სადაც არ არის მოსალოდნელი, რომ ნაკისრმა ვალდებულებამ შეიძლება წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, ნაკისრი ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალში ნაკისრი ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულების ვადა იწურება შედეგად სასესხო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, ნაკისრი ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვადის ამოწურვის დღეს. სესხის მომსახურების საკომისიო შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევისას.

ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აისახება ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

თუ ტრანზაქციის ფასი თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულებისგან განსხვავდება, ბანკი სხვაობას აღრიცხავს შემდეგი წესით:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისათვის ან ეფუძნება შეფასების ისეთ მეთოდს, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ იმ ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, რომელთა დაკვირვებაც შესაძლებელია. ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას (ანუ პირველი დღის მოგება ან ზარალი).
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით (ანუ პირველი დღის მოგება ან ზარალი გადავადდება აქტივის ან ვალდებულების საწყის საბალანსო ღირებულებაში შეყვანით).

პირველადი აღიარების შემდეგ გადავადებული მოგება ან ზარალი აისახება როგორც მოგება ან ზარალი რაციონალური საფუძვლით მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც იგი წარმოიშობა იმ ფაქტორის (მათ შორის, დროის) ცვლილებიდან, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული; რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში; ან მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივები.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ აქტივებს:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და მის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

კაპიტალში ინვესტიციის საწყისი აღიარებისას, რომელიც არ არის განკუთვნილი ვაჭრობისათვის, ბანკს შეუძლია განახორციელოს რეალური ღირებულების ცვლილება სხვა სრულ შემოსავალში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება ყოველი ინვესტიციისათვის ცალკე. ბანკმა გადაწყვიტა, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს "გაერთიანებულ ბილინგ-ცენტრში" ფლობილი ინვესტიციის რეალური ღირებულების შემდგომი ცვლილება.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

საწყისი აღიარებისას ბანკს შეუძლია აირჩიოს იმ ფინანსური აქტივების შეფასება რეალური ღირებულებით მოგება ზარალში, რომელებიც ექვემდებარება ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში ასახვას იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ასახვით ბათილდება ან მნიშვნელოვნად მცირდება მოსალოდნელი შეუსაბამობა აღიარებასა თუ შეფასებაში.

ბანკის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად:

ფინანსური აქტივები	ბიზნეს-მოდელი	მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	საზომი კატეგორია
ფული და ფულის ექვივალენტები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
ინვესტიციები კაპიტალში	სხვა ბიზეს-მოდელი	ფულადი ნაკადები არ წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას	სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით ასახული
კლიენტებზე გაცემული სესხები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
სხვა დებიტორული დავალიანება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება

ბიზნეს-მოდელის შეფასება

ბანკი აფასებს ბიზნეს-მოდელის მიზანს, რომლის მიხედვითაც ფლობს ფინანსურ აქტივებს, ვინაიდან ეს არის საუკეთესო გზა, რომლითაც ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის წარდგენა მენეჯმენტისთვის. ინფორმაცია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- დადგენილ პოლიტიკებსა და მიზნებს პორტფელისთვის და ამ პოლიტიკების პრაქტიკაში განხორციელებას. ეს განსაზღვრავს, მიმართულია თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია

სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის მიღებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პორტფელის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის დამთხვევაზე დაკავშირებული ვალდებულების ხანგრძლივობასთან თუ ფულადი სახსრების გადინებასა და აქტივების გაყიდვის გზით ფულადი ნაკადების მიღებაზე აქტივების გაყიდვის გზით;

- როგორ არის შეფასებული და წარდგენილი ბანკის ხელმძღვანელობისთვის პორტფელის მაჩვენებლები;
- რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნეს-მოდელზე (და ამ ბიზნეს-მოდელით ფლობილ ფინანსურ აქტივებზე) და როგორ იმართება ეს რისკები;
- როგორ ხდება მენეჯმენტის ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა მათი ანაზღაურება ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- ფინანსური აქტივების გაყიდვების სიხშირეს, მოცულობას და ვადებს წინა პერიოდებში, ამგვარი გაყიდვების და მომავალი გაყიდვების მოლოდინებს.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლებიც ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არ არის განკუთვნილი.

<u>შეფასება, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდას</u>

ამ შეფასების მიზნებისთვის, 'ძირი თანხა' განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. 'პროცენტი' განისაზღვრება, როგორც ფულის დროში ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის კომპენსაცია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, აგრეთვე, კომპენსაცია სხვა ძირითადი დაკრედიტების რისკებისა და დანახარებისთვის მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარები და მოგების მარჟისთვის.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ბანკი აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომლებიც არ შეესაბამება ამ პირობებს. ამ შეფასების გაკეთებისას კომპანია განიხილავს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- პირობებს, რომლებსაც შეუძლია შეცვალოს სახელშეკრულებო კუპონური განაკვეთი, ცვლადი განაკვეთის ჩათვლით;
- წინასწარ გადახდისა და გადავადების ფუნქციებს; და
- პირობებს, რომლებიც ზღუდავს ბანკის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ხელზე არსებული ნაღდი ფულისგან, საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული შეუზღუდავი ნაშთებისგან და მაღალლიკვიდური ფინანსური აქტივებისგან სამ თვემდე ან ნაკლები დაფარვის ვადით, რომლებზეც მოქმედებს რეალური ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი და რომელთაც ბანკი იყენებს მოკლევადიანი ვალდებულებების სამართავად.

სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში

სებ-ში განთავსებული სავალდებულო მინიმალური რეზერვი აისახება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტს, რომლის გამოყენება ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად დაუშვებელია. ამდენად, ეს ნაშთი არ განიხილება ფულისა და ფულის ექვივალენტების ნაწილად ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის მიზნებისათვის.

მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება მაშინ, როდესაც ბანკი ავანსის სახით, სამ თვეზე მეტი თავდაპირველი ვადით გასცემს ფულს კონტრაგენტ ბანკებზე. ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების დამატებით, ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში მოიცავს ინვესტიციებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებულ სადეპოზიტო სერტიფიკატებში და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ სახაზინო ვალდებულებებში. ეს ინვესტიციები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების დამატებით, ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიციები კაპიტალში

ბანკმა არჩია, არასავაჭროდ განკუთვნილი კაპიტალში ინვესტიციის რეალური ღირებულება წარმოადგინოს სხვა სრულ შემოსავალში. გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალურად თითო ინსტრუმენტისათვის თავდაპირველი აღიარებისას და შეუქცევად ხასიათს ატარებს.

კაპიტალის ინსტრუმენტებით მიღებული მოგება და ზარალი მოგება-ზარალის ანგარიშში არასოდეს რეკლასიფიცირდება და გაუფასურება ამავე ანგარიშში არ აისახება.

დივიდენდები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში, თუ ეს დივიდენდები მკაფიოდ არ წარმოადგენს ინვესტიციის ღირებულების ნაწილს, რა შემთხვევაშიც მათი აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ჯამური მოგება და ზარალი ინვესტიციის რეალიზაციისას გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა ბანკის მიერ ბიზნეს-მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც ბანკი ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიციკაციის შემდგომი საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან. მიმდინარე და გასულ საანგარიშო პერიოდში ბიზნეს-მოდელი, რომლის პირობებშიც ბანკი ფლობს ფინანსურ სახსრებს, არ შეცვლილა და ამდენად, რეკლასიფიცირებაც არ მომხდარა. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობაში გათვალისწინებულია სააღრიცხვო პოლიტიკით ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ (იხილეთ ქვემოთ).

გაუფასურება

ბანკი აღიარებს რეზერვებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგისთვის იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.
გარდა შემენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი უნდა შეფასდეს თანხით, რომელიც ტოლია:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგისა, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგისა, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში (მოიხსენიება როგორც 1-ელი ეტაპი); ან

- მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი არსებობის მანძილზე, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში ამ ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების ვადაში (მოიხსენიება, როგორც მე-2 და მე-3 ეტაპი).

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი საჭიროა შეიქმნას იმ ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანასური ინსტრუმენტის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი იზომება თანხით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგისა.

სხვა დებიტორული დავალიანებების რეზერვი იანგარიშება თანხით, რომელიც ტოლია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგისა არსებობის მანძილზე.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი წარმოადგენს საკრედიტო დანაკარგების მიმდინარე ღირებულების ალბათურ-შეწონილ შეფასებას. იგი იზომება, როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ღირებულებისა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სხვაობის მიმდინარე ღირებულება, რომელიც გამოითვლება სხვადასხვა სამომავლო ეკონომიკური სცენარის დისკონტირებული აქტივების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის განსაზღვრის შესახებ მოცემულია 33-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ინსტრუმენტების დაჯგუფება მათი კოლექტიურად შეფასების შემთხვევაში.

<u>საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები</u>

ფინანსური აქტივი ითვლება „საკრედიტო რისკით გაუფასურებულად“, როდესაც მოხდა ერთი ან რამდენიმე მოვლენა, რომელთაც აქვს მნიშვნელოვანი გავლენა მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები მიეკუთვნება მე-3 ეტაპის აქტივებს. საკრედიტო გაუფასურება მტკიცდება შემდეგი მოვლენების დაკვირვებადი მონაცემებით:

- მსესხებლის ან კრედიტორის სერიოზული ფინანსური პრობლემები;
- კონტრაქტის დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი ან ვადაგადაცილებული ვალდებულება;
- სესხის გამცემი მსესხებლის ფინანსური პრობლემების გამო მიდის გარკვეულ დათმობაზე, რის შესაძლებლობასაც კრედიტორი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო; ან
- ფინანსური აქტივის შეძენა დიდი ფასდაკლებით, რაც წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგის მაჩვენებელია.

ზოგჯერ არ არის შესაძლებელი ცალკეული ზარალის გამომწვევი მოვლენის აღმოჩენა და ფინანსური აქტივის საკრედიტო გაუფასურება შეიძლება რამდენიმე მოვლენის კომბინირებული მოქმედებით იყოს გამოწვეული. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ბანკი აფასებს, არის თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული ის სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს და გაზომილია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში.

სესხი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მსესხებელს ეძლევა შეღავათი მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, თუკი არ არსებობს დამადასტურებელი ფაქტი, რომ დათმობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაღდი ფულის არმიღების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება და არ არსებობს გაუფასურების სხვა ნიშნები. ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც განიხილება შეღავათები, მაგრამ არ ხდება მათი გამოყენება, აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება, თუ არსებობს საკრედიტო რისკით გაუფასურების აშკარა დამადასტურებელი ფაქტი, დეფოლტის განსაზღვრების ჩათვლით.

დეფოლტის განსაზღვრება (იხ. ქვემოთ) გულისხმობს ვალის არ გადახდას, თუ ვალის გადახდა დაგვიანდა 90 ან მეტი დღით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებელი შეძენილი ან წარმოშობილი ფინანსური აქტივები

საკრედიტო რისკით გაუფასურებელ შეძენილ ან წარმოშობილ ფინანსური აქტივებზე გაუფასურების შეფასება ხდება განსხვავებულად, რადგან ასეთი აქტივები გაუფასურებული იყო თავდაპირველი აღიარების დროს. ამ აქტივებისთვის ბანკი ყველა ცვლილებას აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგში, როგორც ზარალს ყველა ცვლილებასთან ერთად, რომელიც აღიარდა მოგება-ზარალში. ასეთ აქტივებზე დადებითი ცვლილება გაუფასურების მოგებას წარმოშობს.

ვალდებულებათა შეუსრულებლობის (დეფოლტის) განმარტება

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის განმარტების მიზნით უნდა განვსაზღვროთ, თუ რა არის დეფოლტი. დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ოდენობის გასაზომად და იმის შესაფასებლად, ზარალის შეფასების რეზერვი ეფუძნება 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს თუ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს, რადგან დეფოლტი წარმოადგენს დეფოლტის ალბათობის კომპონენტს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის სიდიდეების გაზომვაზე, ისე საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენაზე.

ბანკი აღიარებს ვალდებულებების შეუსრულებლობას, ანუ დეფოლტს შემდეგ შემთხვევებში:

- ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკრედიტო ვალდებულების 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილება მსესხებლის მხრიდან; ან
- მსესხებლის სესხზე დანაკარგის რეზერვირების განაკვეთი, სებ-ის მიხედვით, 30% ან მეტია; ან
- მსესხებელი გადაყვანილია პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებაში; ან
- ნაკლებ სავარაუდოა, რომ მსესხებელმა სრულად გადაუხადოს საკრედიტო ვალდებულება კომპანიას.

დეფოლტი განმარტებულია ისე, რომ კარგად ასახოს სხვადასხვა ფინანსური აქტივების მახასიათებლები. იმის შეფასებისას, თუ რამდენად არსებობს იმის ალბათობა, რომ მსესხებელი არ შეასრულებს საკრედიტო ვალდებულებას, ბანკი ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. რაოდენობრივი მაჩვენებლები, როგორიცაა იმავე მხარესთან სხვა ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება და გადაუხდელობა, წარმოადგენს მთავარ მონაცემებს ასეთი ანალიზისთვის. ბანკი დეფოლტის შესაფასებლად იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებს, რომლებიც ან ბანკის დონეზეა შემუშავებელი, ან მოპოვებულია გარეშე წყაროებიდან.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ბანკი ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომელიც ექვემდებარება გაუფასურების მოთხოვნას იმის შესაფასებლად, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ბანკი გაზომავს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვს არსებობის მანძილზე და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის საფუძველზე.

30 დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში ან თუ სესხზე დანაკარგის რეზერვირების განაკვეთი, რომელიც სებ-ის მოთხოვნებითაა დადგენილი, 10%-მდე გაიზარდა, ბანკი თვლის, რომ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას და აქტივი გადადის გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზე, ანუ გაუფასურების დანაკარგების რეზერვი აღირიცხება როგორც მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი არსებობის მანძილზე.

ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არის მიზანშეწონილი იმის დაშვება, რომ «დაბალი» საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზრდებოდა ანგარიშგების თარიღისთვის. შედეგად, ბანკი ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომლებიც უფასურდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში.

დეტალური ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ მოცემულია 33-ე შენიშვნაში.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის: როგორც აქტივების მთლიანი ღირებულებიდან გამოქვითვა;
- ფულად-სასესხო და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისთვის: როგორც რეზერვი; და
- როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიცავს როგორც ათვისებულ, ისე აუთვისებელ კომპონენტებს, კომპანიას არ აქვს შესაძლებლობა, დაადგინოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი სესხის აუთვისებელ კომპონენტზე ათვისებული კომპონენტისგან განცალკევებულად: კომპანია წარმოადგენს ზარალის შეფასების ერთობლივ რეზერვს ორივე კომპონენტისთვის. ერთიანი თანხა ნაჩვენებია, როგორც ათვისებული კომპონენტის ერთიანი საანგარიშო ღირებულებიდან გამოქვითვა. ზარალის რეზერვის სიჭარბით შეფასება ათვისებული კომპონენტის საერთო ოდენობაზე ნაჩვენებია, როგორც რეზერვი.

ფინანსური აქტივების მოდიფიცირება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების მოდიფიცირება ხდება მაშინ, როდესაც ხდება ხელშეკრულების იმ პირობებზე ხელახალი მოლაპარაკება, რომლებიც არეგულირებს ფინანსური აქტივების ფულადი ნაკადების მოძრაობას ან ხდება ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მათი გადახდის ვადის დადგომამდე პერიოდში. მოდიფიცირების ზეგავლენა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან/და დროზე მყისიერია ან მოსალოდნელია მომავალში მოსალოდნელი.

ბანკი აწარმოებს ხელახალ მოლაპარაკებას იმ კლიენტებზე გაცემულ სესხებზე, რომელთაც შეექმნათ ფინანსური პრობლემები, რათა მაქსიმალურად გაზარდოს ამ თანხების ამოღება და მინიმუმამდე შეამციროს დეფოლტის რისკი. სესხის პირობები იცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებლის ყველა შესაძლო ძალისხმევის მიუხედავად, გადაეხადა სათანადო თანხები ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით, არსებობს დეფოლტის დიდი რისკი და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შეასრულებს ახალ პირობებს. განახლებული პირობები უმეტესწილად გულისხმობს სესხის დაფარვის ვადის გაგრძელებას, ფულადი ნაკადების (ძირი თანხისა და პროცენტის გადახდის) მოძრაობის ვადების შეცვლას, მისაღები ფულადი ნაკადების ოდენობის შემცირებას (ძირი თანხიდან და პროცენტიდან) და სხვა პირობების შეცვლას.

ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისას ბანკი აფასებს, თუ რამდენად იწვევს მოდიფიკაცია აღიარების შეწყვეტას. ბანკის პოლიტიკის თანახმად, მოდიფიკაცია იწვევს აღიარების შეწყვეტას, როდესაც მის შედეგად ხელშეკრულებაში ჩნდება არსებითად განსხვავებული პირობები. იმის დასადგენად, თუ შეცვლილი პირობები რამდენად არსებითად განსხვავდება თავდაპირველი ხელშეკრულების პირობებისგან, ბანკი მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

- ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა სახელშეკრულებო თანხების მოძრაობა, მოდიფიცირების შემდეგ აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ ძირი თანხისა და დარჩენილ ძირზე პროცენტის გადახდების კატეგორიას, ვალუტის ან ხელშეკრულების მხარის შეცვლას, საპროცენტო განაკვეთის შეცვლას, გადახდის ვადის დადგომას, კოვენანტების დაწესება/მოლაპარაკებებს; თუ აღნიშნული ფაქტორები აშკარად არ მიუთითებს არსებით ცვლილებაზე (მოდიფიკაციაზე), მაშინ:
- რაოდენობრივი შეფასება ტარდება დარჩენილი თავდაპირველი პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შედარებით განახლებული პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებასთან. ამასთან, ორივე თანხა დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ მიმდინარე ღირებულებათა სხვაობა 10%-ზე მეტია, ბანკი თვლის, რომ ახალი შეთანხმება არსებითად განსხვავდება თავდაპირველი შეთანხმებისგან, რაც იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგისთვის ხდება რეზერვის ხელმეორედ გაზომვა, რათა მოხდეს აღიარების შეწყვეტის დღეს აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულების დადგენა. სხვაობა ამგვარად განახლებულ საბალანსო

ღირებულებასა და ახალი პირობებით ახალი ფინანსური აქტივის რეალურ ღირებულებას შორის გამოიწევს სარგებლის ან ზარალის მიღებას აღიარების შეწყვეტისას. ახალ ფინანსურ აქტივს ექნება ზარალის რეზერვი, რომელიც გაზომილია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის საფუძველზე, გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ითვლება, რომ წარმოშობილი ახალი სესხი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება ახალი სესხის რეალური ღირებულების აღიარება მნიშვნელოვანი ფასდაკლებით განახლებული ნომინალური ღირებულებით, რადგან ამ შემთხვევაში არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, რომელიც არ შემცირდა მოდიფიცირების შედეგად. ბანკი მონიტორინგს უწევს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკს, რა მიზნითაც აფასებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას, როგორიცაა მაგალითად, ინფორმაცია იმის შესახებ, ხომ არ რჩება მსესხებელს ვადაგადაცილებულის სტატუსი ახალი პირობების მიხედვით;

როდესაც ხდება ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირება და ასეთი მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ბანკი აფასებს, ხომ არ გაიზარდა მნიშვნელოვნად ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან.

ისეთი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომელთა მოდიფიცირებაც მოხდა ბანკის რესტრუქტურიზაციის პოლიტიკის ფარგლებში და აღნიშნულმა მოდიფიცირებამ არ გამოიწვია აღიარების შეწყვეტა, დეფოლტის ალბათობის შეფასება ასახავს ბანკის უნარს, მიიღოს მოდიფიცირებული ფულადი ნაკადები წარსული გამოცდილების გათვალისწინებით რესტრუქტურიზაციის ანალოგიური მოქმედების განხორციელებისას და, ასევე, ქცევითი ინდიკატორების გათვალისწინებით, მათ შორის, მსესხებლის გადახდების ისტორიისა, ხელშეკრულების მოდიფიცირებული/შეცვლილი პირობების ფონზე. თუ საკრედიტო რისკი კვლავ მნიშვნელოვნად მაღალია მოსალოდნელ მნიშვნელობაზე თავდაპირველი აღიარების მომენტში, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი კვლავაც შეფასდება იმ ოდენობით, რომელიც ტოლია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგისაარსებობისმანძილზეზარალის ტოლია. გადაუხდელი სესხების რეზერვი როგორც წესი, იზომება მხოლოდ 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის საფუძველზე, როდესაც არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტი, რომ მსესხებლის გადახდის უნარი გაუმჯობესდა მოდიფიცირების შემდგომ, რაც იწვევს წარსულში საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეჩერებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოდიფიციკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ბანკი მოდიფიცირების სარგებელს/ზარალს ანგარიშობს ერთიანი საანგარიშო ღირებულების შედარებით მოდიფიკაციამდე და მას შემდეგ (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის შეღავათის გამოკლებით). შემდეგ ბანკი ზომავს მოდიფიცირებული აქტივის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს, როდესაც მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის შედეგად წარმოშობილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადებიც მონაწილეობს თავდაპირველი აქტივის მოსალოდნელი ფულადი ფულადი დეფიციტის გაანგარიშებისას.

ბანკი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ აქტივის ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებების ვადის ამოწურვის შემდეგ (მათ შორის, ვადის ამოწურვისაც, რომელიც წარმოიშვება არსებითად განსხვავებული პირობებით მოდიფიცირების შემთხვევაში), ან როდესაც ფინანსური აქტივი და აქტივის ფლობის ყველა რისკი და სარგებელი არსებითად გადაეცემა სხვა პირს. თუ ბანკი არც არსებითად გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს და კვლავ აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, ის აღიარებს, რომ მას კვლავ გააჩნია ინტერესი აქტივის მიმართ და თანახმაა ვალდებულების დაფარვაზე. თუ ბანკი არსებითად ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს, იგი კვლავაც აღიარებს ფინანსურ აქტივს.

ჩამოწერა

სესხები და ავანსები გაუფასურების ზარალის რეზერვის მეშვეობით ჩამოიწერება, როდესაც ბანკი თვლის, რომ მათი ამოღება შეუძლებელია. ჩამოწერა ხდება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი ყველა შესაძლო ზომას მიმართავს თანხის მიღების უზრუნველსაყოფად. ჩამოწერილი თანხების აღდგენა აისახება, როგორც აღდგენის პერიოდში მოგება-ზარალის ანგარიშში ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯის შემცირება.

ფინანსური აქტივები - 2018 წლის 1 იანვრამდე

ფინანსური აქტივები, სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივების გამოკლებით, მოგება-ზარალში თავდაპირველი აღიარებისას იმ შემთხვევაში შეიძლება აისახოს რეალური ღირებულებით, თუ:

- ამგვარი ასახვით ბათილდება, ან მნიშვნელოვნად მცირდება მოსალოდნელი შეუსაბამობა აღიარებასა თუ შეფასებაში;
- ფინანსური აქტივი შეადგენს ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების, ან ორივე ჯგუფის ნაწილს, რომელიც იმართება და ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე ბანკის დოკუმენტირებული რისკის მართვის ან ინვესტირების სტრატეგიის შესაბამისად, და დაჯგუფების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა შიდა მოხმარებისათვის მათ საფუძველზე ხორციელდება; ან
- იგი წარმოადგენს იმ კონტრაქტის ნაწილს, რომელიც მოიცავს ერთ, ან მეთ ჩართულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს და ბასს 39 "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება" ნებას იძლევა ერთიანი კომბინირებული კონტრაქტი (აქტივი ან ვალდებულება) რეალური ღირებულებით აისახოს მოგებასა და ზარალში.

რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში გადაფასებისას წარმოქმნილი მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით. წმინდა მოგება ან ზარალი, რომელიც მოგება-ზარალში აისახება, მოიცავს ფინანსურ აქტივზე მიღებულ ყველა დივიდენდსა და საპროცენტო შემოსავალს და შედის "სხვა მოგება და ზარალისა" და "საპროცენტო შემოსავლის" ჯგუფში მოგება-ზარალის უწყისში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, მათ შორის, ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში წარმოადგენს არადერივატიულ ფინანსურ აქტივებს განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებით. ბანკს აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინახოს აღნიშნული ფასიანი ქაღალდები დაფარვის ვადის დადგომამდე. ამგვარი ფასიანი ქაღალდების ასახვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდზე დაფუძნებული ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების დანაკარგების რეზერვის გამოკლებით.

იმ შემთხვევაში თუ ბანკი იძულებული იქნება დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები (გამონაკლისი სპეციფიური გარემოებების გარდა) დაფარვის ვადამდე გაყიდოს, ან მოახდინოს მათი რეკლასიფიკაცია, ამას მთელ კატეგორიაზე ექნება გავლენა და საჭირო გახდება მათი რეკლასიფიკაცია გასაყიდად არსებულად. უფრო მეტიც, შემდეგი ორი წლის განმავლობაში ბანკს ეკრძალება ნებისმიერი ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების სახით.

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები, მათ შორის, ინვესტიციები კაპიტალში, წარმოადგენს არადერივატიულ აქტივებს, რომლებიც ან გასაყიდად არის გამიზნული, ან არ კლასიფიცირდება როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები, (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან (გ) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები.

ბანკის მიერ ფლობილი, აქტიურ ბაზარზე კოტირებული აქციები კლასიფიცირდება გასაყიდად არსებულ ინვესტიციებად და აისახება რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული მოგება და ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავლებში და გროვდება ინვესტიციების გადაფასების რეზერვში. აღნიშნული არ ეხება არადროებითი გაუფასურების დანაკარგებს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილ საპროცენტო სარგებელს, დივიდენდურ შემოსავალსა და მონეთარულ აქტივებზე ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებულ მოგებასა და ზარალს, რომელიც მოგება-ზარალში აისახება. ინვესტიციის გაყიდვის ან გაუფასურების შემთხვევაში, მანამდე ინვესტიციების გადაფასების რეზერვში დაგროვილი მთლიანი მოგება ან ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში არსებული, გასაყიდად განკუთვნილი ფულადი აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრება იმავე ვალუტით და ითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული გაცვლითი კურსით. მოგება-ზარალში ასახული უცხოური ვალუტიდან მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება ფულადი აქტივის ამორტიზებული ღირებულების საფუძველზე. უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული სხვა მოგება და ზარალი აისახება სხვა სრულ შემოსავლებში.

გასაყიდად არსებული ინვესტიციები კაპიტალში, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე და რომელთა რეალური ღირებულების განსაზღვრა ვერ ხერხდება, ფასდება თვითღირებულებით თითოეული

ანგარიშგების პერიოდის დასასრულისათვის დადგენილი გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯის გამოკლებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და სხვა მოთხოვნები (მათ შორის, ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნები, კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა ფინანსური აქტივები) განსაზღვრული ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე, კლასიფიცირდება როგორც ,,სესხები და მოთხოვნები". სესხები და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომელიც არ არის არსებითი.

ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტები - 2018 წლის 1 იანვრამდე

ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტი არის ფინანსური ინსტრუმენტების ნაწილი , რომელიც აგრეთვე მოიცავს არაწარმოებულ ძირითად კონტრაქტს. ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტი მოითხოვს, რომ საკონტრაქტო ფულადი ნაკადების გარკვეული ნაწილი შეიცვალოს ცვლადის ცვლილების შესაბამისად, მაგალითად:

- მისი ღირებულება იცვლება გარკვეულ საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური ინსტრუმენტის ფასის, სასაქონლო ფასის, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის, ფასების ან ტარიფების ინდექსის, საკრედიტო რეიტინგის ან საკრედიტო ინდექსის თუ სხვა არაფინანსური ცვლადის ცვლილების შესაბამისად, თუ ეს ცვლადი არ არის მხოლოდ კონტრაქტის რომელიმე მხარის მახასიათებელი;
- ის არ საჭიროებს წინასწარ წმინდა ინვესტიციას ან მოთხოვილი წმინდა ინვესტიციის თანხა არის უფრო ნაკლები, ვიდრე ეს იქნებოდა სხვა ისეთი ტიპის კონტრაქტისათვის, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური რეაქცია საბაზრო ფაქტორების ცვლილებებთან მიმართებაში; და
- მისი გასტუმრება ხდება მომავალ თარიღში;

არაწარმოებულ ძირითად კონტრაქტებში ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტები დამოუკიდებელ წარმოებულ ინსტრუმენტებად განიხილება, თუ ისინი აკმაყოფილებს ამგვარის განსაზღვრებას, რისკები და მახასიათებლები არ არის მჭიდროდ დაკავშირებული ძირითად კონტრაქტებთან, ხოლო ეს უკანასკნელი არ აღირიცხება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებულ ფინანსურ აქტივებად.

ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტები - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ფასს 9 კრძალავს ჰიბრიდული ხელშეკრულებიდან ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტის გამოცალკევებას, როდესაც თავდაპირველი ხელშეკრულება მის მიერ რეგულირებადი ფინანსური აქტივია. ამდენად, მთელი ჰიბრიდული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება შეფასების სამი კატეგორიიდან ერთ-ერთით. ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტის რეკლასიფიკაციასა და გადაფასებთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 3.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

გასაყიდად არსებულ ინვესტიციებად კლასიფიცირებულ კაპიტალში არაკოტირებულ ინვესტიციების გაუფასურების ობიექტურ მაჩვენებლად ითვლება ფასიანი ქაღალდის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი, ან ხანგრძლივი შემცირება თვითღირებულებასთან შედარებით.

ყველა სხვა ფინანსური აქტივის შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამომშვების, ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან

- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადახდისუუნარობას, ან თავის არიდებას; ან
- პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადაუხდელობას; ან
- მსესხებლის გაკოტრებას, ან ფინანსურ რეორგანიზაციას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად როგორიცაა სესხები და მოთხოვნები, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არ არის გაუფასურებული, დამატებით ფასდება ჯგუფური გაუფასურების თვალსაზრისით. სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური საფუძველი მოიცავს ბანკის წარსულ გამოცდილებას გადახდებთან მიმართებაში, პორტფელში ვადაგადაცილებული გადახდების რაოდენობის ზრდასა და ეროვნული, ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების თვალსაჩინო ცვლილებებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მოთხოვნების ამოუღებლობასთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით, გარდა სესხებისა და მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის, ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოწურულია იგი ჩამოიწერება სარეზერვო ანგარიშის გამოყენებით. ჩამოწერილი ღირებულების შემდგომი აღდგენა კრედიტად ირიცხება დანაკარგების ანგარიშზე. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგება-ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დანაკარგების თანხის შემცირება აღიარების მომდევნო პერიოდში ობიექტურად შეიძლება დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ მოვლენებს, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების დანაკარგები კორექტირდება მოგება-ზარალში იმ ოდენობით, რომ ინვესტიციების საბალანსო ღირებულებამ გაუფასურების რეზერვის კორექტირების თარიღისათვის არ გადააჭარბოს იმ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც იქნებოდა გაუფასურების არაღიარების შემთხვევაში.

სესხები შეცვლილი პირობებით

სადაც შესაძლებელია, ბანკი ცდილობს უზრუნველყოფის დასაკუთრების მაგივრად მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია. ეს შეიძლება მოიცავდეს გადახდის გრაფიკის გაზრდასა და ახალი სესხის პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება იანგარიშება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, როგორც გამოითვლებოდა პირობების მოდიფიკაციამდე და სესხი აღარ ითვლება გადავადებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს სესხებს რომელთა პირობები შეიცვალა, რათა უზრუნველყოს ყველა კრიტერიუმთან შესაბამისობა და მომავალში გადახდების დაწყება. სესხები კვლავ ექვემდებარება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით, რაც გამოითვლება სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით.

ჩამოწერა

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელობამ ამოწურა კლიენტის მიმართ მოთხოვნების ამოღების ყველა შესაძლებლობა. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანსური აქტივების გაუფასურების გაქვითვით და კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში აღდგენის პერიოდში აისახება.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ბანკის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ ჯგუფი სხვა საწარმოში გადასცემს ფინანსური აქტივებს და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს. თუ ბანკი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ჯგუფი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივის და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური აქტივის მთლიანობაში აღიარების შეწყვეტისას, აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თუ მისაღები ანაზღაურებებისა და სხვა სრულ მოგება-ზარალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მოგების ან ზარალის ჯამს შორის სხვაობა ექვემდებარება აღიარებას მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც ჯგუფი ინარჩუნებს უფლებას გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი, ან როდესაც ინარჩუნებს გარკვეულ მონაწილეობას აქტივში, გარდა ისეთი მონაწილეობისა, რომლის შედეგად ჯგუფი ძირითადად ინარჩუნებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და შემოსავალს და შესაბამის კონტროლს), ჯგუფი ანაწილებს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტამდე არსებულ საბალანსო ღირებულებას გადაცემისას არსებული შენარჩუნებული წილისა და იმ ნაწილის რეალურ ღირებულებებს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა. აქტივის იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც შეწყდა, გადანაწილებულ საბალანსო ღირებულებასა და ამ ნაწილისთვის მიღებულ მთლიან ანაზღაურებას შორის სხვაობა, სხვა სრული მოგება-ზარალის ანგარიშში ასახული ნებისმიერი დაგროვილი მოგებისა თუ ზარალის გათვალისწინებით, უნდა აღიარდეს მოგება-ზარალში. დაგროვილი მოგება ან ზარალი რომელიც აღიარებულია სხვა სრული მოგება ზარალის ანგარიშში უნდა გადანაწილდეს აქტივის შენარჩუნებულ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა, მათი რეალური ღირებულებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები და გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიკაცია სესხის ან კაპიტალის სახით

ჯგუფის წევრის მიერ გამოშვებული სესხი და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების არსის, ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებიდან გამომდინარე.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ჯგუფის აქტივებსი ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

კომბინირებული ინსტრუმენტები

ჯგუფის მიერ გამოშვებულ კომბინირებულ ინსტრუმენტებში შემავალი ნაწილები ცალკე კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულებები და კაპიტალი კონტრაქტის პირობების შესაბამისად. გამოშვების დღეს ვალდებულებების კომპონენტის რეალური ღირებულება განისაზღვრება მსგავსი არაკონვერტირებადი ინსტრუმენტებისათვის ბაზარზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთით. ეს თანხა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საშუალებით ამორტიზებული ღირებულებით აისახება როგორც ვალდებულება სანამ დაიფარება კონვერტაციისას, ან გადაიხდება ინსტრუმენტის დაფარვის თარიღისათვის. დაფარვის შემდეგ ან ინსტრუმენტის დაფარვის ვადის დადგომის დღეს წილობრივი კომპონენტი გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება არის კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს სხვა პირისათვის ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემას ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების გაცვლას ისეთი პირობებით, რომლებიც პოტენციურად არასასურველია ბანკისათვის, ან ისეთი კონტრაქტი, რომელზე ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს ბანკის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით და რომელიც არის არაწარმოებული კონტრაქტი, რომლის მიხედვით ბანკი ვალდებულია ან შეიძლება ვალდებული გახდეს, პირს მიაწოდოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ცვლადი რაოდენობა ან წარმოებული კონტრაქტი საკუთარ კაპიტალზე, რომელზე ანგარიშსწორება მოხდება ან შეიძლება მოხდეს ბანკის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობის სანაცვლოდ ფულის (ან სხვა ფინანსური აქტივის) ფიქსირებული ოდენობის გადახდის გარდა სხვა გზით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი კონტრაგენტ ბანკებთან ვალუტების გასაცვლელად აფორმებს ურთიერთგაქვითვის დეპოზიტებს. მართალია, ამგვარი დეპოზიტები სამართლებრივად დამოუკიდებელი ანგარიშებია, ისინი ჯგუფდება და აღირიცხება, როგორც ერთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი (სავალუტო სვოპი) წმინდა ღირებულების საფუძველზე, თუ (ა) დეპოზიტები ერთდროულად და ერთმანეთის გათვალისწინებით გაიხსნა, (ბ) მათი კონტრაგენტი ერთი და იგივეა, (გ) მათთან დაკავშირებული რისკი ერთი და იგივეა და (დ) არ არსებობს ტრანზაქციების ცალცალკე სტრუქტურირების საფუძველი, თუ ეს ტრანზაქციები შეიძლება ერთ ტრანზაქციადაც განხორციელდეს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით გარიგების დადების დღისათვის და შესაბამისად გადაფასება ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის არსებული რეალური ღირებულებით.

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღირიცხება აქტივად, თუ მისი რეალური ღირებულება დადებითია და, აღირიცხება ვალდებულებად, თუ მისი რეალური ღირებულება უარყოფითია. ინსტრუმენტის ბუნებიდან გამომდინარე, მისი რეალური ღირებულების ცვლილება მოგება-ზარალში შედის, როგორც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მოგება/(ზარალი) ან უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული მოგება/(ზარალი).

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, ბანკებისა და კლიენტების დეპოზიტების, ნასესხები სახსრების, სუბორდინირებული სესხებისა და სხვა ვალდებულებების ჩათვლით, თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები, შესაბამისად, ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით საპროცენტო ხარჯის აღიარების პარალელურად ეფექტური მოგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას და რომლის საშუალებით საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (სადაც მართებულია), ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ბანკი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს, როდესაც მისი პირობები იცვლება და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება წინანდელისგან. ასეთ დროს ხდება შეცვლილი პირობების საფუძველზე ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება მისი რეალური ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილ

ანაზღაურებაში უნდა შევიდეს, თუ ასეთი არსებობს, გადაცემული არაფინანსური აქტივები და ნაკისრი ვალდებულება, მათ შორის, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულება.

თუ ფინანსური ვალდებულების ცვლილება არ აღირიცხა როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ გაწეული ხარჯები და გადახდილი საკომისიოები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში ამორტიზდება ინსტრუმენტის ხელახლა გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ცვლადგანაკვეთიანი ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში, მოდიფიცირებით გამოწვეული მოგების ან ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება ისე, რათა მასში აისახოს მოდიფიცირების მომენტში არსებული საბაზრო პირობები. გაწეული ხარჯები და გადახდილი საკომისიოები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში ამორტიზდება ინსტრუმენტის ხელახლა გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ბანკი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს, როდესაც მისი პირობები იცვლება და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება წინანდელისგან. ასეთ დროს ხდება შეცვლილი პირობების საფუძველზე ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება მისი რეალური ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გადახდილ ანაზღაურებაში უნდა შევიდეს, თუ ასეთი არსებობს, გადაცემული არაფინანსური აქტივები და ნაკისრი ვალდებულება, მათ შორის, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულება. თუ ფინანსური ვალდებულების ცვლილება არ აღირიცხა როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ გაწეული ხარჯები და გადახდილი საკომისიოები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში ამორტიზდება ინსტრუმენტის ხელახლა გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, კლიენტების დეპოზიტები და სუბორდინირებული სესხები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს გადასახდელებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, კლიენტების დეპოზიტებსა და იმ სუბორდინირებულ სესხებს, რაც წარმოადგენს ბანკის აღებული სესხებით დაფინანსების წყაროებს. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, პირდაპირი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ფინანსური ვალდებულებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური უკუგების საფუძველზე.

სააქციო ინსტრუმენტები

სააქციო ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ბანკის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ბანკის მიერ გამოშვებული სააქციო ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ სახსრებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

გაცემული გარანტიები და სესხის გაცემის ვალდებულებები- 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ფინანსური გარანტიის კონტრაქტი არის კონტრაქტი, რომლის მიხედვით ბანკი ვალდებულია, განახორციელოს წინასწარ დადგენილი გადახდები მისი მფლობელისათვის გაწეული ზარალის ანაზღაურების მიზნით, თუ დადგენილი მოვალე არ ფარავს გადახდის ვალდებულებას ვადის დადგომის შემთხვევაში სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად. სესხის გაცემის ვალდებულება არის კრედიტის გაცემის დამოწმებული გარანტია წინასწარ განსაზღვრული პირობებით.

ფინანსური გარანტიები და საბაზროზე ნაკლები განაკვეთით სესხის გაცემის ვალდებულებები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით. შემდგომ ისინი იზომება ფასს 9-ის მიხედვით

განსაზღვრული დანაკარგის ანარიცხებსა და თავდაპირველად აღიარებული თანხის (შესაბამის შემთხვევაში, ფასს 15-ის პრინციპებით აღიარებული ჯამური შემოსავლის გამოკლებით) სხვაობას შორის უმეტესით.

ბანკს მოგება-ზარალის ანგარიშში რეალური ღირებულებით ასახული სასხის გაცემის ვალდებულებები გაცემული არ აქვს.

სხვა ფულად-სასესხო გარანტიების შემთხვევაში, ბანკი დანაკარგის ანარიცხებს აღიარებს ფასს 9-ის შესაბამისად.

გაცემული გარანტიები და სესხის გაცემის ვალდებულებები- 2018 წლის 1 იანვრამდე

ბანკის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით, ხოლო თუ ისინი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებულად არ ითვლება, შემდგომში იზომება შემდეგიდან უმეტესით:

- კონტრაქტით ნაკისრი სესხის გაცემის ვალდებულობის მოცულობა ბასს 37 - რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების მიხედვით; და
- თავდაპირველად აღიარებული თანხა (შესაბამის შემთხვევაში, შემოსავლის აღიარების პოლიტიკის თანახმად აღიარებული ჯამური ამორტიზაციის გამოკლებით).

იჯარა

იჯარა ფინანსურად ითვლება მაშინ, როდესაც იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა სახის იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

ბანკი როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში. საოპერაციო იჯარის გაფორმებისას გაწეული საწყისი პირდაპირი დანახარჯები ემატება იჯარით გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებას და აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში.

ბანკი როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იჯარით არებული აქტივიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სქემას სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს. საოპერაციო იჯარიდან წარმოქმნილი პირობითი გადასახდელები ხარჯად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად შეღავათების მიღების შემთხვევაში, ამგვარი შეღავათები აღიარდება ვალდებულებად. შეღავათების მთლიანი სარგებელი წრფივად აღიარდება, როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს იჯარით მიღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების ვადას.

დასაკუთრებული ქონება

გარკვეულ გარემოებებში აქტივების დასაკუთრება ხდება კრედიტის გადაუხდელობის შემთხვევაში. ჯგუფი დასაკუთრებულ ქონებას განიხილავს, როგორც დეფოლტის მდგომარეობაში მყოფი სესხის თანხების ანგარიშსწორების ფორმას და თვლის, რომ იგი არის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას შესყიდული და გასაყიდად განკუთვნილი აქტივი. დასაკუთრებული ქონების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი – საბალანსო ღირებულებისა და რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უმცირესი ღირებულებით.

უზრუნველყოფა

ბანკი უზრუნველყოფას ითხოვს კლიენტების ვალდებულებებზე, საჭიროების მიხედვით. ჩვეულებრივ, უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების გირავნობას და ბანკს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებული, ასევე მომავალი ვალდებულებებისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის აღიარება ხორციელდება აქტივების ღირებულების ან გადაფასების ხარჯების ჩამოწერის მიზნით (გარდა უპირობოდ ფლობილი მიწებისა და დაუმთავრებელი მშენებლობისა) მათი სასარგებლო მოხმარების პერიოდის ნარჩენი ღირებულების გამოკლებით წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის, ნარჩენი ღირებულებისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დაშვებებში ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობები და სხვა უძრავი ქონება	2%-3%
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	10%-20%
საოფისე და კომპიუტერული მოწყობილობა	10%-33%
სხვა	5%-20%
არამატერიალური აქტივები	10%

მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

იჯარით არებული ძირითადი საშუალებების გაუმჯობესებაზე ცვეთა ითვლება მათთან დაკავშირებული იჯარით არებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის მიხედვით. რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

ძირითადი საშუალებების ერთეული ჩამოიწერება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში თუ მათი გამოყენების შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ძირითადი საშუალებების ერთეულების ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში აქტივის რეალიზაციისას.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი ექსპლუატაციის ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დაშვებებში ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა

ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გუდვილის გარდა

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი განიხილავს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება გაუფასურების მასშტაბების განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, ჯგუფი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პათარა ჯგუფებზე, რომელთა მართებული განაწილების საფუძველი არსებობს.

განუსაზღვრელი სასარგებლო მოხმარების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები და მოსახმარებლად ხელმიუწვდომელი არამატერიალური აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება წლიურად და ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მათი გაუფასურების რაიმე ნიშანი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის უმეტესი, ერთი მხრივ, რეალურ ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და, მეორე მხრივ, გამოყენებად ღირებულებას შორის. გამოყენებადი ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირდება არსებული საპროცენტო განაკვეთით გადასახადების გამოკლებით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და აქტივისათვის დამახასიათებელ იმ რისკებს, რომელთა საფუძველზე სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირება არ მომხდარა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გამოყენებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგები აისახება, როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

გაუფასურების გაუქმების შემთხვევაში აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება გაუქმებული თანხით ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს ნარჩენ ღირებულებას, რომლის აღიარებას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების დანაკარგების აღიარება არ განხორციელდებოდა. გაუფასურების დანაკარგების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ აისახება გადაფასებული ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგების აღდგენა განიხილება როგორც გადაფასების ზრდა.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა საანგარიშგებო პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი წარმოიქმნება წინასწარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა სხვაობაზე შესაბამის დასაბეგრ ბაზასთან, რომელიც გამოიყენება დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისათვის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომელსაც გამოაკლდება გამოსაქვითი დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია გუდვილის, ან აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში (საწარმოთა გაერთიანების გარდა), რომელიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე ბუღალტრულ მოგებაზე.

სხვა აქტივებთან დაკავშირებული გამოსაქვითი დროებითი სხვაობებიდან წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება, თუ საგადასახადო მოგება დროებითი სხვაობის მოგების უთილიზაციისათვის სავარაუდოდ საკმარისი იქნება და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობის რეზერვის წარმოქმნა ივარაუდება.

გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა აქტივის ან აქტივების ნაწილის აღსადგენად.

გადავადებული გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე (საგადასახადო კანონმდებლობა), რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მოყვება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების აღდგენას, ან დაფარვას.

წლის მიმდინარე და გადავადებული გადასახადები

მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აისახება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის აისახება სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან პირდაპირ კაპიტალში. ასეთ შემთხვევაში მიმდინარე და გადავადებული გადასახადები ასევე აისახება შესაბამისად სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან პირდაპირ კაპიტალში.

2018 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი კომპანიების მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ასევე, ცნობილია, როგორც კომპანიების დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვით დაბეგვრა ხდება არა დასაბეგრი მოგების მიღების, არამედ მისი განაწილების მომენტში.

კომპანიების მოგების დაბეგვრის ახალი სისტემა მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას არ გულისხმობს. მასში დაბეგვრა უბრალოდ გადატანილია მოგების მიღების მომენტიდან მათ განაწილებამდე; ანუ დაბეგვრის ობიექტი განაწილებული მოგებაა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის განსაზღვრებით, განაწილებული მოგება არის აქციებზე დივიდენდის სახით განაწილებული მგოგება. თუმცა, მოგების განაწილებად ითვლება ზოგიერთი სხვა ტრანზაქციაც, მაგალითად, საერთაშორისო ტრანზაქცია დაკავშირებულ პირებს შორის ან/და გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან საგადასახადო მიზნებისათვის. გარდა ამისა, გადასახადის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებსა თუ სხვა გადახდებს, თუ ისინი არაა დაკავშირებული პირის ეკონომიკურ საქმიანობასთან, საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას და ზედმეტად დიდ წარმომადგენლობით ხარჯებს.

თუ 2008-2016 წლებში გაუნაწილებელი მოგება 2019 წელს ან შემდგომ წლებში განაწილდა, შესაძლებელია მათზე გადახდილი მიმდინარე გადასახადის დაბრუნება.

დივიდენდების გადახდისგან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მათი გადახდის თარიღის თუ პერიოდის მიუხედავად.

კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ყველა პირის შემთხვევაში, ფინანსური ინსტიტუტების გარდა (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), ვრცელდება 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებულ საგადასახადო პერიოდებზე. ფინანსური ინსტიტუტების შემთხვევაში, კანონი თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2019 წლის 1 იანვარს. 2018 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა კანონის ძალაში შესვლის ვადა 2023 წლის 1 იანვრამდე გადაწია.

საოპერაციო გადასახადები

საქართველოს ასევე გააჩნია სხვა გადასახადები, რომლებიც განისაზღვრება ჯგუფის საქმიანობიდან გამომდინარე. ეს გადასახადები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში აისახება როგორც საოპერაციო ხარჯების ნაწილი.

რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

რეზერვად აღიარებული თანხა წარმოადგენს ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად ფინანსური მდგომარეობის საანგარიშგებო პერიოდისათვი ვალდებულების გარშემო რისკებისა და უზუსტობების არსებობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ფულადი სახსრების მოძრაობიდან მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ყველა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საჭიროებს რეზერვის ფორმირებას, დაიფარება მესამე მხარის მიერ, მოთხოვნები აისახება აქტივებში, თუკი გადახდა ნამდვილად სარწმუნოა და მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ იწერება ფინანსურ ანგარიშგების შენიშვნებში, სანამ არ გაჩნდება სახსრების გადინების შესაძლებლობა. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშგების შენიშვნებში იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა ნავარაუდევი.

უცხოური ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის ფუნქციონირებადი ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ექვემდებარება გადაფასებას ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები გადაფასებას ექვემდებარება მათი რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში ფასდება ისტორიული ღირებულების გათვლისწინებით და არ ექვემდებარება გადაფასებას.
ჯგუფმა წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა შემდეგი გაცვლითი კურსები:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044

5. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები

ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც აღწერილია მე-4 შენიშვნაში, ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას გაკეთებული კრიტიკული დაშვებები

ქვემოთ წარმოდგენილია კრიტიკული დაშვებები (იხილეთ ქვემოთ), იმ გათვლების გარდა, რომლებიც ხელმძღვანელობამ გააკეთა ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენების პროცესში და რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ბიზნეს-მოდელის შეფასება, რომლის ფარგლებშიც ხდება აქტივების ფლობა და იმის შეფასება, ეხება თუ არა ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობები მხოლოდ ძირი თანხისა და გადაუხდელ ძირ თანხაზე პროცენტის გადახდას.

ფასს 9-ის მიხედვით, ისეთ კონტრაქტში ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტები, სადაც თავდაპირველი კონტრაქტი არის სტანდარტის მიერ რეგულირებადი ფინანსური აქტივი, არასოდეს განიხილება კონტრაქტისგან დამოუკიდებლად. კლასიფიკაციისას ფასდება მთლიანი ჰიბრიდული ინსტრუმენტი. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვლადობისა და საბაზისო სესხის გარიგებასთან დაკავშირებულ რისკებთან მოცემული რისკის შესაბამისობა ფასდება კრიტიკულად. როგორც ეს შენიშვნაში #3 უკვე აღიწერა, ბანკის აზრით, სესხის კონტრაქტში ჩაშენებული უცხოური ვალუტის პირობა არის საბაზისო სასესხო გარიგებების შესაბამისი რისკი.

დეტალური ინფორმაცია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში - 2018 წლის 1 იანვრამდე

დირექტორებმა განიხილეს ბანკის დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები კაპიტალის შენარჩუნებისა და ლიკვიდობის მოთხოვნების ჭრილში და დაადასტურეს, რომ ბანკს გააჩნია განზრახვა და უნარი, ფლობდეს მათ დაფარვის ვადამდე. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენს 27,978 და 19,295 ათას ლარს შესაბამისად. ამ აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში.

შეფასებების არასარწმუნოობის მთავარი წყაროები

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასების არასარწმუნოობის მომავალ და სხვა ძირითად წყაროებთან დაკავშირებული შემდეგი უმთავრესი დაშვებები, რომელთაც გამოიწვიეს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ზარალის რეზერვები - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ზარალის შეფასების რეზერვებზე:

- **საპროგნოზო სცენარების დადგენა:** მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაზომვისას ბანკი იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება მოსაზრებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

  დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 33-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის საანგარიშო საპროგნოზო სცენარებისადმი სენსიტიურობის ანალიზიც.

- **მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში:** როგორც შენიშვნაში #3 არის ახსნილი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი იანგარიშება, როგორც 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი პირველი ეტაპის აქტივებისათვის, ან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი მეორე ან მესამე ეტაპის აქტივებისათვის. აქტივი მეორე ეტაპზე გადადის, თუ საწყისი აღიარების შემდეგ მისი საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ფასს 9 არ განსაზღვრავს, თუ კერძოდ რა წარმოადგენს საკრედიტო რისკის ზრდას. ამის შესაფასებლად ბანკი მხედველობაში იღებს გონივრულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებს და დამხმარე საპროგნოზო ინფორმაციას.

  დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 33-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის საანგარიშო საპროგნოზო სცენარებისადმი სენსიტიურობის ანალიზიც.

- **დეფოლტის ალბათობა:** დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.

  დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 33-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის დეფოლტის ალბათობაზე სენსიტიურობის ანალიზიც.

- **დანაკარგი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში:** დანაკარგი დეფოლტის შემთხვევაში არის შესაძლო დანაკარგის სიდიდე, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებიდან და „გირაოსა და კრედიტიდან მისაღები ფულადი ნაკადების გათვალისწინებით.

  დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 33-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის დეფოლტის შემთხვევაში ზარალზე სენსიტიურობის ანალიზიც.

სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება - 2018 წლის 1 იანვრამდე

სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება. ბანკი რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებსა და მოთხოვნებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ჯგუფი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ჯგუფი სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს შეუსაბამობის მთავარ წყაროდ, რადგან (ა) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე და (ბ) ჯგუფის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ჯგუფის მხრიდან რეზერვების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მომავალი პერიოდების წინასწარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ეყრდნობა პროფესიულ განსჯას ნებისმიერი გაუფასურების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ჯგუფი ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებაზე და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს უარყოფით ცვლილებებზე ჯგუფში შემავალი მსესხებლის გადახდისუნარიანობის და ადგილობრივი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება ჯგუფში შემავალი აქტივების ამოღების შესაძლებლობის არარსებობას. ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს იმ აქტივების ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით, რომელთა საკრედიტო რისკების მახასიათებლები და გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მსგავსია სესხების მოცემული ჯგუფისათვის. ჯგუფი ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას იყენებს და აკორექტირებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ

მონაცემებს იმ მიმდინარე გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი წინასწარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ჯგუფისათვის ამ ეტაპზე რთულია იმის პროგნოზი თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემულმა სესხებმა მთლიანად შეადგინა 869,723 ლარი, ხოლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვმა შეადგინა 74,837 ლარი.

ძირითადი საშუალებებისა და აღჭურვილობის სასარგებლო მომსახურების ვადა. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბანკი ახდენს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვას. 2018 წლის განმავლობაში ბანკის მენეჯმენტს არ შეუცვლია აღნიშნული ვადები.

დასაკუთრებული აქტივების შეფასება. დასაკუთრებული აქტივები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, შემდგომში კი საბალანსო ღირებულებასა და რეალური ღირებულებისა და რეალიზაციის ხარჯების სხვაობას შორის უმცირესი თანხით.

შეფასება ჩაატარა შემფასებელთა დამოუკიდებელმა ფირმამ, რომელსაც გააჩნია აღიარებული და დასმული ამოცანის შესაბამისი პროფესიული კვალივიკაცია და, აგრეთვე, ბოლოდროინდელი გამოცდილება მსგავსი ადგილმდებარეობისა და კატეგორიის აქტივების შეფასებაში. შედარების პროცესში მათ გამოიყენეს სამი შედარებითი ანალოგია (რეგისტრირებული გაყიდვა ან/და გაყიდვის წინადადება), რომელთა ფასები კორექტირდა შესაფასებელ აქტივებსა და ანალოგებს შორის არსებული სხვაობების საფუძველზე. აქტივების უმეტესობა შეფასდა საბაზრო მიდგომით/მეთოდით, რაც ბაზრის მდგომარეობით, კერძოდ კი შეფასების დღისათვის რეგისტრირებული გაყიდვებისა და გაყიდვის წინადადებების საკმარისი რაოდენობის რაოდენობით, იყო განპირობებული.

გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების აღრიცხვა

2018 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან და ეხება კომერციულ ბანკებს, საკრედიტო კავშირებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ლომბარდებს. ახალი კოდექსით შეიცვალა ბანკის მოგების გადასახადის აღიარებისა და გაზომვის პრინციპები და ბანკის გადავადებული მოგების გადასახადის აქტივების/ვალდებულებების ასახვის წესი. კომერციული ბანკები არ არიან ვალდებულნი, მოგების გადასახადი გადაიხადონ დასაბეგრ მოგებაზე (თუ, ეს მოგება მიღებულია 2018 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე), სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდების ან მოგების განაწილების სხვა ფორმით.

როდესაც ეს კანონი საბანკო სექტორისათვის 2023 წლის 1 იანვარს ძალაში შევა, მას უფრო პირდაპირი ზეგავლენა ექნება გადავადებული გადასახადის გამოთვლაზე.

ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ან საანგარიშო დღეს გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების ნაშთები სრულად იქნება მოხმარებული ან კიდევ მისი ეფექტი უმნიშვნელო იქნება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების საბალანსო ღირებულებამ შეადგინა, შესაბამისად, 6,963 ათასი და 6,362 ათასი ლარი.

უცხოური ვალუტის ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტის შეფასება - 2018 წლის 1 იანვრამდე

კლიენტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებულ კონტრაქტებში ჩაშენებული უცხოური ვალუტის წარმოებული პირობები თავდაპირველ კონტრაქტთან მჭიდროდ არ არის დაკავშირებული და განცალკევებულ ფინანსურ ინსტრუმენტად აღირიცხება. ამგვარი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნეს-საქმიანობის პროცესში ჯგუფი ტრანზაქციებს ახორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ისა და ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, იმის გარკვევა, ტრანზაქცია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ფასდება თუ არა, შეფასებით ხდება, რომელიც დაუკავშირებელ მხარეებთან მიმდინარე მსგავსი ტრანზაქციების ფასებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთების ანალიზს ეფუძნება. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების შესახებ განმარტებულია შენიშვნაში #30.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ნაღდი ფული	18,226	16,478
ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში	2,130	63,150
ნაშთები ბანკებთან 90 დღემდე თავდაპირველი ვადიანობით	104,225	145,016
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	(46)	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**124,535**	**224,644**

ფული და ფულის ექვივალენტები არის ვადაგადაუცილებელი ფინანსური აქტივები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი დადგინდა კონტრაგენტებისათვის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული რეიტინგების საფუძველზე.

7. სავალდებულო მინიმალური რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო მინიმალური რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოადგენს სებ-ში განთავსებულ თანხას. რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტები ვალდებულნი არიან, სებ-ში განთავსებული ჰქონდეთ საპროცენტო შემოსავლის მომტანი სავალდებულო რეზერვი, რომლის ოდენობა დამოკიდებულია ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოზიდულ თანხებზე. სებ-ში განთავსებული სავალდებულო მინიმალური რეზერვი პროცენტიანი ფინანსური აქტივია.

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	138,191	120,479
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(36)	-
სულ სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	**138,155**	**120,479**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში არის ვადაგადაუცილებელი ფინანსური აქტივი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი დადგინდა კონტრაგენტებისათვის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული რეიტინგების საფუძველზე. სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მიხედვით, საქართველოს, როგორც ქვეყნის, საკრედიტო რეიტინგია BB - პოზიტიური პერსპექტივით.

8. მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები შეადგენს:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
უცხოურ ვალუტაში ჩაშენებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი	-	18,253
სულ მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	**-**	**18,253**

როგორც შენიშვნაში #3 უკვე აღინიშნა, ფასს 9-ის მიხედვით, თავდაპირველ კონტრაქტში ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტი კონტრაქტისგან არ ცალკევდება და ხდება მთლიანი ჰიბრიდული ინსტრუმენტის კლასიფიკაციის გადაფასება.

კლიენტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით გაფორმებულ გარკვეულ კონტრაქტებში ჩაშენებული უცხოური ვალუტის წარმოებული ინსტრუმენტები არ იწვევს „მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდების“ ტესტის დარღვევას და ამდენად მთელი ჰიბრიდული ინსტრუმენტი აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

9. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავდა ბანკის მიერ განთავსებულ საგარანტიო დეპოზიტებს საბარათე ოპერაციებისთვის, შესაბამისად, 3,845 ლარისა და 4,048 ლარების ოდენობით.

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	12,392	18,800
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	(12)	-
წმინდა მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	**12,380**	**18,800**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ წარმოადგენს ვადაგადაუცილებელ ფინანსურ აქტივებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი დადგინდა კონტრაგენტებისათვის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული რეიტინგების საფუძველზე.

10. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
კლიენტებზე გაცემული სესხები	842,807	819,530
დარიცხული პროცენტი	71,929	50,193
	914,736	**869,723**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის (მსდ) / გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯი	(92,841)	(74,837)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**821,895**	**794,886**

კლიენტებზე გაცემული ყველა სესხი აისახება ამორტიზებული ღირებულებით. კლიენტებზე გაცემული სესხები სახეობებად კლასიფიცირდება რამდენიმე ფაქტორის კომბინაციის საფუძველზე (ძირითადად, მსესხებლის შემოსავლის წყარო და სესხის დანიშნულება). ინდივიდუალური ბიზნესის მფლობელების მიერ სამომხმარებლო მიზნით აღებული სესხები შესაბამის კატეგორიებში წარმოდგენილია მსესხებლის ბიზნეს-საქმიანობის მიხედვით.

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	715,979	738,488
ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხები	10,811	7,290
მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფილი სესხები	47,768	14,499
მარაგებით უზრუნველყოფილი სესხები	19,293	13,414
სხვა უზრუნველყოფა	12,447	5,226
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	15,597	15,969
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**821,895**	**794,886**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის ჯგუფმა მიიღო ფინანსური და არაფინანსური აქტივები უზრუნველყოფის დასაკუთრების შედეგად. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სხვა აქტივების ჯგუფმა შესაბამისად მოიცვა ამგვარი აქტივები 63,613 და 66,977 ლარის ოდენობით, (შენიშვნა 14).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხების დარგობრივი ანალიზი.

	სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	მსდ რეზერვი	წმინდა კლიენტებზე გაცემული სესხები	მსდ რეზერვის ფარდობა კლიენტებზე გაცემულ მთლიან სესხებთან
ანალიზი სექტორის მიხედვით:				
ფიზიკური პირები	47,324	(3,507)	43,817	7.41%
ვაჭრობა და მომსახურება	337,815	(37,179)	300,636	11.01%
მშენებლობა	197,366	(27,010)	170,356	13.69%
მრეწველობა	242,285	(19,219)	223,066	7.93%
სოფლის მეურნეობა	50,822	(4,783)	46,039	9.41%
ენერგეტიკა	2,735	(1)	2,734	0.04%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	27,064	(1,053)	26,011	3.89%
სხვა	9,325	(89)	9,236	0.95%
სულ	**914,736**	**(92,841)**	**821,895**	**10.15%**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხების დარგობრივი ანალიზი.

	სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	გაუფასურების დანაკარგის რეზერვი	წმინდა კლიენტებზე გაცემული სესხები	გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ფარდობა კლიენტებზე გაცემულ მთლიან სესხებთან
ანალიზი სექტორის მიხედვით:				
ფიზიკური პირები	46,862	(4,359)	42,503	9.30%
ვაჭრობა და მომსახურება	335,329	(25,066)	310,263	7.48%
მშენებლობა	182,885	(28,326)	154,559	15.49%
მმრეწველობა	235,481	(14,932)	220,549	6.34%
სოფლის მეურნეობა	48,118	(2,065)	46,053	4.29%
ენერგეტიკა	3,182	-	3,182	0.00%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	3,956	-	3,956	0.00%
სხვა	13,910	(89)	13,821	0.64%
სულ	**869,723**	**(74,837)**	**794,886**	**8.60%**

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები მოიცავს შემდეგ პროდუქტებს:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
სამომხმარებლო სესხები	23,025	22,613
იპოთეკური სესხები	21,301	20,687
სხვა	2,998	3,562
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის / გაუფასურების ზარალის რეზერვი	(3,507)	(4,359)
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	**43,817**	**42,503**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული მიმდინარე სესხების საკრედიტო ხარისხი შემდეგნაირად გამოიყურება:

2018 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	მსდ რეზერვი	წმინდა კლიენტებზე გაცემული სესხები	მსდ რეზერვის ფარდობა მთლიან კლიენტებზე გაცემულ სესხებთან
ჯგუფურად გაუფასურებული				
ვადაგადაუცილებელი	601,879	(20,903)	580,976	3.47%
ვადაგადაცილებული:			-	
30 დღემდე	1,574	(9)	1,565	0.57%
31-60 დღე	166	(52)	114	31.33%
61-90 დღე	2,513	(525)	1,988	20.89%
91-180 დღე	20,594	(183)	20,411	0.89%
180 დღეზე მეტი	62,802	(8,556)	54,246	13.62%
სულ ჯგუფურად გაუფასურებული სესხები	**689,528**	**(30,228)**	**659,300**	**4.38%**
ინდივიდუალურად გაუფასურებული				
ვადაგადაუცილებელი	73,871	(28,955)	44,916	39.21%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	1,091	(197)	894	18.06%
31-60 დღე	37	(5)	32	13.51%
61-90 დღე	49,780	(6,675)	43,105	13.41%
91-180 დღე	13,441	(1,679)	11,762	12.49%
180 დღეზე მეტი	86,988	(25,102)	61,886	28.86%
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები	**225,208**	**(62,613)**	**162,595**	**27.80%**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**914,736**	**(92,841)**	**821,895**	**10.15%**

2017 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	გაუფასურების რეზერვი	წმინდა სესხები	გაუფასურების რეზერვის ფარდობა მთლიან სესხებთან
ჯგუფურად გაუფასურებული				
ვადაგადაუცილებელი	635,882	(5,829)	630,053	0.92%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	815	-	815	0.00%
31-60 დღე	129	-	129	0.00%
61-90 დღე	3,767	-	3,767	0.00%
91-180 დღე	1,909	(25)	1,884	1.31%
180 დღეზე მეტი	87,424	(23,215)	64,209	26.55%
სულ ჯგუფურად გაუფასურებული სესხები	**729,926**	**(29,069)**	**700,857**	**3.98%**
ინდივიდუალურად გაუფასურებული				
ვადაგადაუცილებელი	132,400	(43,604)	88,796	32.93%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	-	-	-	0.00%
31-60 დღე	-	-	-	0.00%
61-90 დღე	14	(3)	11	21.43%
91-180 დღე	113	(23)	90	20.35%
180 დღეზე მეტი	7,270	(2,138)	5,132	29.41%
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები	**139,797**	**(45,768)**	**94,029**	**32.74%**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**869,723**	**(74,837)**	**794,886**	**8.60%**

კლიენტებზე გაცემული სესხების განაწილება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ეტაპების მიხედვით, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, შემდეგია:

	31დეკემბერი, 2018			1 იანვარი, 2018		
	მთლიანი სესხები	მსდ რეზერვი	წმინდა სესხები	მთლიანი სესხები	მსდ რეზერვი	წმინდა სესხები
1-ელი ეტაპი- 12 თვიანი მსდ	**448,371**	**(4,955)**	**443,416**	**488,429**	**(5,161)**	**483,268**
ინდივიდუალურად გაუფასურებული	9,249	(754)	**8,495**	8,559	**-**	**8,559**
ჯგუფურად გაუფასურებული	439,122	(4,201)	**434,921**	479,870	**(5,161)**	**474,709**
მე-2 ეტაპი - მსდარსებობის მანძილზე – საკრედიტო რისკის არმქონე:	**108,971**	**(7,258)**	**101,713**	**87,436**	**(2,976)**	**84,460**
ინდივიდუალურად გაუფასურებული	49,807	(6,677)	**43,130**	-	-	-
ჯგუფურად გაუფასურებული	59,164	(581)	**58,583**	87,436	(2976)	84,460
მე-3 ეტაპი - მსდ არსებობის მანძილზე – საკრედიტო რისკიანი:	**357,394**	**(80,628)**	**276,766**	**324,572**	**(81,973)**	**242,599**
ინდივიდუალურად გაუფასურებული	166,152	(55,182)	**110,970**	128,713	(52,400)	76,313
ჯგუფურად გაუფასურებული	191,242	(25,446)	**165,796**	195,859	(29,573)	166,286
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**914,736**	**(92,841)**	**821,895**	**900,437**	**(90,110)**	**810,327**

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემულ სესხებში შესულია სავალუტო რისკის პრემიუმი 25,581 ლარის ოდენობით, რაც მანამდე კლასიფიცირებული იყო როგორც ფინანსური აქტივები მოგება-ზარალში და განიმარტებოდა ცალკე ფინანსურ ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით 18,253 ლარის ოდენობით.

11. ინვესტიციები კაპიტალში

ინვესტიციები კაპიტალში მოიცავს:

	ფლობილი წილი, %	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ს.ს. „გაერთიანებული კლირინგ-ცენტრი“	6.25%	54	54
სს „GSCD“	0.27%	3	3
სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“	1.34%	-	-
სულ ინვესტიციები კაპიტალში		**57**	**57**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ შეაფასა კაპიტალში ინვესტიციების რეალური ღირებულება და დაასკვნა, რომ რეალური ღირებულება მიახლოებულია მათ თვითღირებულებასთან.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიციები კაპიტალში ასახული იყო თვითღირებულებით.

12. ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში

	31 დეკემბერი, 2018		31 დეკემბერი, 2017	
	წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	თანხა	წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	თანხა
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	7.10% - 7.45%	13,724	7.10% - 7.85%	21,032
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სადეპოზიტო სერთიფიკატები	7.10% - 7.15%	5,585	7.05% - 7.30%	6,946
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი		(14)		
სულ ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში		**19,295**		**27,978**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში წარმოადგენს ვადაგადაუცილებელ ფინანსურ აქტივებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი დადგინდა კონტრაგენტებისათვის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული რეიტინგების საფუძველზე.

13. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოიცავს:

	შენობები და სხვა უძრავი ქონება	ავეჯი და საოფისე მოწყობილობები	კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება						
იანვარი 1, 2017	**9,493**	**6,597**	**7,183**	**2,267**	**415**	**25,955**
შესყიდვა	611	194	240	-	309	1,354
გადატანა	256	81	67	107	(511)	-
რეალიზაცია	-	(3)	(319)	(154)	(11)	(487)
დეკემბერი 31, 2017	**10,360**	**6,869**	**7,171**	**2,220**	**202**	**26,822**
შესყიდვა	-	41	-	-	34	75
გადატანა	-	-	194	-	(194)	-
რეალიზაცია	-	(134)	-	-	-	(134)
დეკემბერი 31, 2018	**10,360**	**6,776**	**7,365**	**2,220**	**42**	**26,763**
დაგროვილი ცვეთა						
იანვარი 1, 2017	**1,656**	**4,646**	**3,570**	**1,528**	**-**	**11,400**
ცვეთის დარიცხვა	244	459	993	104	-	1,800
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	(2)	(294)	(144)	-	(440)
დეკემბერი 31, 2017	**1,900**	**5,103**	**4,269**	**1,488**	**-**	**12,760**
ცვეთის დარიცხვა	249	403	815	87	-	1,554
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	(134)	-	-	-	(134)
დეკემბერი 31, 2018	**2,149**	**5,372**	**5,084**	**1,576**	**-**	**14,180**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
დეკემბერი 31, 2018	**8,211**	**1,404**	**2,281**	**645**	**42**	**12,583**
დეკემბერი 31, 2017	**8,460**	**1,766**	**2,902**	**732**	**202**	**14,062**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ცვეთას სრულად დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებები შეადგენდა 7,219 და 5,771 ლარს, შესაბამისად.

14. სხვა აქტივები

სხვა აქტივები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
სხვა ფინანსური აქტივები:		
მოთხოვნები	1,463	905
მოთხოვნები სადაზღვევო პრემიიდან	2,863	3,825
მოთხოვნები გადახდილ გარანტიებზე	159	159
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(419)	-
სულ სხვა ფინანსური აქტივები	**4,066**	**4,889**
სხვა არაფინანსური აქტივები:		
გირაოში დარჩენილი ქონება	63,613	66,977
არამატერიალური აქტივები	5,222	6,164
მოთხოვნები გადაზღვევიდან	2,108	1,735
საგადასახადო ანგარიშსწორება, მოგების გადასახადის გარდა	1,321	728
გადახდილი ავანსები	111	688
სხვა მარაგები	786	106
სხვა	142	158
სულ სხვა არაფინანსური აქტივები	**73,303**	**76,556**
სულ სხვა აქტივები	**77,369**	**81,445**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გირაოში დარჩენილი აქტივები მოიცავს მიწასა და შენობებს შესაბამისად, 58,614 და 60,906 ლარის ოდენობით, რომლებიც შემდეგ ფასდება ღირებულებებს შორის უმცირესით: საბალანსო ღირებულება და რეალური ღირებულება გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივები მოიცავს:

	არამატერიალური აქტივები
თვითღირებულება	
იანვარი 1, 2017	**6,683**
შესყიდვა	4,051
რეალიზაცია	(1,134)
დეკემბერი 31, 2017	**9,600**
შესყიდვა	144
რეალიზაცია	(330)
დეკემბერი 31, 2018	**9,414**
დაგროვილი ამორტიზაცია	
იანვარი 1, 2017	**2,933**
წლიური ამორტიზაციისდარიცხვა	1,018
შემცირება რეალიზაციის შედეგად	(515)
დეკემბერი 31, 2017	**3,436**
წლიური ამორტიზაციისდარიცხვა	1,086
შემცირება რეალიზაციის შედეგად	(330)
დეკემბერი 31, 2018	**4,192**
წმინდა საბალანსო ღირებულება	
დეკემბერი 31, 2018	**5,222**
დეკემბერი 31, 2017	**6,164**

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

15. ბანკების დეპოზიტები

ბანკების დეპოზიტები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
სხვა ბანკების საკორესპოდენტო ანგარიშები	25	3,796
ბანკების მოკლევადიანი დეპოზიტები	15,081	14,602
სულ ბანკების დეპოზიტები	**15,106**	**18,398**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკების მიმართ ვალდებულებებში შესული დარიცხული პროცენტი, შესაბამისად, შეადგენდა 360 და 345 ლარს.

16. კლიენტების დეპოზიტები

კლიენტების დეპოზიტები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ვადიანი დეპოზიტები	301,051	259,892
მოთხოვნამდე ანგარიშები	340,811	430,765
სულ კლიენტების დეპოზიტები	**641,862**	**690,657**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტების დეპოზიტები მოიცავს დარიცხულ პროცენტს 9,250 და 4,117 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტების დეპოზიტებმა შეადგინა 2,433 და 5,648 ლარი, შესაბამისად, რაც წარმოადგენდა ჯგუფის მიერ გამოშვებული გარანტიების უზრუნველყოფას.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტების დეპოზიტები ათი და თექვსმეტი კლიენტის მიმართ შეადგენდა 317,057 და 304,351 ლარს (კლიენტების ანგარიშების 49% და 44%) შესაბამისად, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან კონცენტრაციას.

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ანალიზი დარგების /კლიენტების ტიპების მიხედვით:		
ფიზიკური პირები	185,632	197,929
ვაჭრობა და მომსახურება	286,329	273,578
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	71,384	55,608
ენერგეტიკა	33,874	31,644
მშენებლობა	5,776	24,545
მრეწველობა	4,396	20,116
სოფლის მეურნეობა	2,400	2,460
სხვა	52,071	84,777
სულ კლიენტების დეპოზიტები	**641,862**	**690,657**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტები მოიცავს, შესაბამისად, 184,390 და 170,275 ათასი ლარის ოდენობის ნაშთებს, რომელთა უმეტესი ნაწილიც, 183,991 და 169,005 ლარის ოდენობით საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დააყადაღა 2015 წლის 11 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

17. სხვა ნასესხები სახსრები

	ვალუტა	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი %	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
GCF LP	აშშ დოლარი	28/09/2022	5.50%	-	26,289
სულ სხვა ნასესხები სახსრები					**26,289**

2018 წელს ბანკმა სრულად დაფარა აღებული სესხები მათი დაფარვის ვადამდე; ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ცვლილება ბანკის სხვა ნასესხებ სახსრებში, რომლებიც გამოწვეულია ფინანსური საქმიანობით. ნაჩვენებია როგორც ფულადი, აგრეთვე, არაფულადი ცვლილებები. ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებები ის ვალდებულებებია, რომელთა ფულადი ნაკადები კლასიფიცირდა ან მომავალში

კლასიფიცირდება ბანკის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში, როგორც ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან.

	1 იანვარი, 2018	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	2018 წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	2018 წლის გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით მიღებული მოგება 2018 წლის განმავლობაში	31 დეკემბერი, 2018
სხვა აღებული სესხები	26,289	(24,953)	612	(985)	(963)	-

	1 იანვარი, 2017	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	2017 წელს დარიცხული პროცენტი	2017 წელს გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი 2017 წელს	31 დეკემბერი, 2017
სხვა აღებული სესხები	124,400	(101,201)	682	(315)	2,723	26,289

18. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	2018 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი
სხვა ფინანსური ვალდებულებები		
გადასახდელები	769	931
გადასახდელები გადაზღვევის ვალდებულებებზე	2,538	2,396
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები	**3,307**	**3,327**
სხვა არაფინანსური ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი პრემია	3,006	3,119
სადაზღვევო რეზერვის ანარიცხები	710	796
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	14	-
სხვა	343	711
სულ სხვა არასაფინანსო ვალდებულებები:	**4,073**	**4,626**
სულ სხვა ვალდებულებები	**7,380**	**7,953**

19. სუბორდინირებული სესხები

სუბორდინირებული სესხები მოიცავს:

	ვალუტა	დაფარვის ვადა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი %	31 დეკემბერი, 2018
ფინ სერვისი XXI	USD	31-მარ-26	4.5%	76,030
ფინ სერვისი XXI	USD	31-მარ-26	4.5%	25,354
ფინ სერვისი XXI	USD	31-მაი-28	4.5%	25,068
„ქართუ ჯგუფი“	USD	31-ოქტ-26	4.5%	17,683
„ინტერ-კონსალტინგ პლუსი“	USD	22-მაი-43	4.5%	3,783
„ინტერ-კონსალტინგ პლუსი“	USD	17-ოქტ-29	4.5%	17,799
„ჯორჯიან ჰოლდინგი“	USD	21-ივნ-29	4.5%	24,878
სულ კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხები				**190,595**

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

	ვალუტა	დაფარვის ვადა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი %	31 დეკემბერი, 2017
ფინ სერვისი XXI	USD	31-მარ-26	4.5%	73,180
ფინ სერვისი XXI	USD	15-თებ-23	4.5%	24,945
ფინ სერვისი XXI	USD	31-მარ-26	4.5%	24,403
„ქართუ ჯგუფი“	USD	01-ივნ-25	4.5%	27,594
„ქართუ ჯგუფი“	USD	31-ოქტ-26	4.5%	17,151
„ინტერ-კონსალტინგ პლუსი“	USD	17-ოქტ-29	4.5%	17,129
„ჯორჯიან ჰოლდინგი“	USD	21-ივნ-29	4.5%	23,966
სულ კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხები				**208,368**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებულ სესხებში შესულმა დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 107 და 794 ლარი შესაბამისად.

ჯგუფის გაკოტრების შემთხვევაში, აღნიშნული სესხების დაფარვა მოხდება ყველა სხვა კრედიტორის მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვის შემდეგ.

2018 წლის 31 მაისს ჯგუფმა შპს „ფინსერვის XXI“-თან შეათანხმა 10,000 აშშ დოლარის სასესხო გარიგებების ვადის შეცვლის პირობა. ხელშეკრულებებში შესული შესწორებების თანახმად, სესხის დაფარვის ვადამ 2028 წლის 31 მაისამდე გადაიწია. ბანკმა ცვლილების ეფექტი მხედველობაში მიიღო და მასზე გამოიყენა 10%-იანი ზღვრული ტესტი, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ სუბორდინირებული სესხის ცვლილება უმნიშვნელოა. შესაბამისად, ცვლილების ეფექტი აღირიცხა, 848 ლარი როგორც მოდიფიკაციის მოგება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

2018 წლის 22 მაისს ბანკმა დამფუძნებელი კომპანიისგან აიღო ახალი სუბორდინირებული სესხი 1,600 აშშ დოლარის ოდენობითა და საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. სესხის გაცემის დღეს ბანკმა იანგარიშა კონვერტირების უფლების ეფექტი და იგი შესაბამისად აღრიცხა გადახდილ კაპიტალში, 444 ლარი გადასახადის გამოკლებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბანკის სუბორდინირებული სესხების ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომელიც გამოწვეულია ფინანსური საქმიანობით. ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებები ის ვალდებულებებია, რომელთა ფულადი ნაკადები ბანკის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში კლასიფიცირდა ან მომავალში კლასიფიცირდება როგორც ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან.

	იანვარი 1, 2018	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობი დან	დაფარვა	პროცენტის დარიცხვა 2018 წელს	2018 წელს გადახდილი პროცენტი	გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი 2018 წელს	დამატებით გადახდილი კაპიტალის აღიარება	დეკემბერი 31, 2018
სუბორდინირებული სესხი	**208,368**	4,303	(29,987)	11,162	(9,799)	7,070	(522)	**190,595**

2017 წლის 11 იანვარს ჯგუფმა ყველა გამსესხებელთან შეათანხმა სასესხო გარიგებების საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთების შეცვლის საკითხი. ხელშეკრულებებში შესული შესწორებების თანახმად, საპროცენტო განაკვეთები 6%-დან 4.5%-მდე შემცირდა ზემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულ ყველა სასესხო გარიგებაზე.

2017 წლის 21 ივნისს ჯგუფმა „ინტერ-კონსალტინგ პლუსთან“, „ჯორჯიან ჰოლდინგთან“ და „ქართუ ჯგუფთან“ შეათანხმა სასესხო გარიგებების პირობებში დამატებითი ცვლილებების შეტანის საკითხი. ხელშეკრულებებში შესული შესწორებების თანახმად, არაკონვერტირებად სუბორდინირებულ სესხებში შევიდა კონვერტირების უფლება. შესაბამისად, ხელშეკრულებაში შევიდა ოფცია, რომელიც ჯგუფს საშუალებას აძლევს, ძირითადი თანხა და დარჩენილი დარიცხული პროცენტი სესხის საკონტრაქტო ვადის განმავლობაში დაფაროს (დაფარვის ოფცია) ბანკის საკუთარი აქციების მიწოდებით. ჯგუფის აზრით,

ანგარიშსწორების ეს ოფცია ნაკლებად მოსალოდნელია და მხოლოდ შეტანილია საზედამხედველო კაპიტალის მართვის მიზნებისათვის.

ჯგუფი თვლის, რომ არსებული სუბორდინირებული სესხების მოდიფიკაცია არსებითი ხასიათისაა და ისინი აღრიცხა, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. ჯგუფმა პირობების მოდიფიკაცია ჩათვალა არსებითად განსხვავებულად, რადგან ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი სუბორდინირებული სესხების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან.

2017 წელს ჯგუფმა არსებული სუბორდინირებული სესხების დამატებით გადახდილი კაპიტალის ნაწილი, 9,424 ათასი ლარის ოდენობით, დაფარვის დღეს გადაიტანა განაწილებულ მოგებაში და დაფარული სუბორდინირებული სესხის რეალური ღირებულება განსაზღვრა თავდაპირველი აღიარების დღეს.

ჯგუფმა ჩათვალა, რომ სუბორდინირებული სესხები მიღებული იყო დაკავშირებული მხარეებიდან და შეაფასა ბაზარზე არსებული მსგავსი ინსტრუმენტების საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საქართველოში ნასესხები სახსრების მსგავსი პირობების სესხის განაკვეთის ანალიზის შედეგად, ჯგუფმა ჩათვალა, რომ პირობების ცვლილების დღეს, საბაზრო განაკვეთი იყო 5.5%. ჯგუფმა დაფარვის შემდეგ, სუბორდინირებული სესხის რეალური ღირებულება განსაზღვრა თავდაპირველი აღიარების დღეს და დაფარვით მიღებული მოგება, 16,230 ათასი ლარის ოდენობით, და სხვაობა თავდაპირველ ამორტიზებულ ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის ასახა საკუთარ კაპიტალში როგორც დამატებით გადახდილი კაპიტალი.

	იანვარი 1, 2017	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის დარიცხვა 2017 წელს	2017 წელს გადახდილი პროცენტი	დაფარვით მიღებული მოგება 2017 წელს	გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება 2017 წელს	დეკემბერი 31, 2017
სუბორდინირებუ ლი სესხი	**227,179**	-	11,866	(9,897)	(16,229)	(4,550)	**208,368**

თანდართულ ცხრილში შეჯამებულია ვალდებულების და კაპიტალი კომპონენტები ხელშეკრულების პირობების მოდიფიკაციამდე და მოდიფიკაციის შემდეგ:

	ვალდებულების კომპონენტი	კაპიტალის კომპონენტი
იანვარი 1, 2018	**208,368**	**13,795**
სუბორდინირებული სესხის საპროცენტო ხარჯი	12,010	-
დარიცხული პროცენტის გადახდა	(9,799)	-
ახალი სუბორდინირებული სესხის აღიარება	4,303	
კაპიტალში შენატანი საწყისი აღიარებისას	(522)	522
კაპიტალში შენატანზე დარიცხული გადასახადი	-	(78)
შემოსავალი პირობის ცვლილებიდან	(848)	-
გადახდილი სესხების კაპიტალის კომპონენტის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე	-	(1,850)
დამატებით კაპიტალში შენატანზე დარიცხული მოგების გადასახადი	-	278
ზარალი საკურსო სხვაობიდან	7,070	-
დეკემბერი 31, 2018	**190,595**	**12,667**

20. საწესდებო კაპიტალი

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 114,430 ჩვეულებრივი აქციისგან, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი. 2018 წლის 20 აგვისტოს, ბანკმა გასცა დივიდენდი წინა წლის გაუნაწილებელი მოგებიდან 20,000 ლარის ოდენობით.

21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2018	2017
ეფექტური საპროცენტო განაკვეთით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი:		
კლიენტებზე გაცემული სესხები	72,007	79,844
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	6,172	6,171
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	1,818	1,380
	79,997	**87,395**
სხვა საპროცენტო შემოსავალი		
შემოსავალი ჯარიმებიდან	11,689	12,125
სულ საპროცენტო შემოსავალი:	**91,686**	**99,520**
ეფექტური საპროცენტო განაკვეთით გამოთვლილი საპროცენტო ხარჯი:		
კლიენტების დეპოზიტები	(18,254)	(17,897)
სუბორდინირებული სესხი	(11,162)	(11,866)
ბანკების დეპოზიტები	(663)	(1,084)
სხვა ნასესხები სახსრები	(612)	(682)
სულ საპროცენტო ხარჯი	**(30,691)**	**(31,529)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**60,995**	**67,991**

22. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე და სხვა რეზერვები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოძრაობა საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვში იყო:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებში	მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტები ს მიმართ	კლიენტებზე გაცემული სესხები	ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	სულ
1 იანვარი, 2017	**-**	-	-	**82,667**	**-**	**82,667**
გაუფასურების დანაკარგების აღდგენა	-	-	-	(6,522)	-	(6,522)
ჩამოწერა	-	-	-	(3,962)	-	(3,962)
ჩამოწერილის აღდგენა	-	-	-	2,654	-	2,654
31 დეკემბერი, 2017	**-**	**-**	**-**	**74,837**	**-**	**74,837**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენებისას	42	32	21	15,273	27	15,395
1 იანვარი, 2018 (გადაფასებული)	**42**	**32**	**21**	**90,110**	**27**	**90,232**
გაუფასურების დანაკარგები / (გაუფასურების დანაკარგების აღდგენა)	4	4	(9)	3,040	(13)	**3,026**
საპროცენტო შემოსავლის კორექტირება	-	-	-	2,173	-	**2,173**
ჩამოწერა	-	-	-	(2,660)	-	**(2,660)**
ჩამოწერილის აღდგენა	-	-	-	178	-	**178**
31 დეკემბერი, 2018	**46**	**36**	**12**	**92,841**	**14**	**92,949**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოძრაობა არასაპროცენტო სარგებლის მქონე აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვში იყო:

	სხვა ფინანსური აქტივები
31 დეკემბერი, 2017	**-**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენებისას	466
1 იანვარი, 2018 (გადაფასებული)	**466**
გაუფასურების დანაკარგის აღდგენა	(47)
31 დეკემბერი, 2018	**419**

სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვებსა და სხვა რეზერვების მოძრაობა იყო:

	დასაკუთრებული აქტივები
1 იანვარი, 2017	**736**
გაუფასურების დანაკარგის აღდგენა	(736)
31 დეკემბერი, 2017	**-**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენებისას	-
1 იანვარი, 2018 (გადაფასებული)	**-**
გაუფასურების დანაკარგები	2,128
31 დეკემბერი, 2018	**2,128**

	გარანტიები და პირობითი ვალდებულებები
1 იანვარი, 2017	**1,530**
გაუფასურების დანაკარგები	878
31 დეკემბერი, 2017	**2,408**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენებისას	(441)
1 იანვარი, 2018 (გადაფასებული)	**1,967**
გაუფასურების დანაკარგის აღდგენა	(298)
31 დეკემბერი, 2018	**1,669**

23. წმინდა მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე

წმინდა მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე შეადგენს:

	2018	2017
წმინდა მოგება მოგება-ზარალში თავდაპირველად რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებზე შეადგენს:		
მოგება სავაჭრო ოპერაციებზე, წმინდა	-	650
მოგება ჩაშენებულ წარმოებულ ინსტრუმენტებზე	-	2,067
სულ წმინდა მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებზე	-	**2,717**

24. წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე

წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე მოიცავს:

	2018	2017
დილინგი, წმინდა	6,360	6,580
საკურსო სხვაობა, წმინდა	(10,319)	(3,432)
სულ წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	**(3,959)**	**3,148**

25. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები მოიცავს:

	2018	2017
საკომისიო შემოსავლები:		
ოპერაციები პლასტიკური ბარათებით	2,847	3,020
დოკუმენტური ოპერაციები	1,761	1,964
ანგარიშსწორება	1,295	1,130
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	440	381
აკრედიტივები	344	15
სხვა	116	42
სულ საკომისიო შემოსავლები	**6,803**	**6,552**
საკომისიო ხარჯები:		
პლასტიკური ბარათებით მომსახურება	(3,715)	(4,161)
ანგარიშსწორება	(1,737)	(706)
დოკუმენტური ოპერაციები	(161)	(76)
აკრედიტივები	(14)	(44)
სხვა	(735)	(101)
სულ საკომისიო ხარჯები	**(6,362)**	**(5,088)**

26. სხვა შემოსავალი, წმინდა

სხვა შემოსავალი/(ხარჯები) მოიცავს:

	2018	2017
წმინდა გამოწერილი დაზღვევის პრემია	9,712	7,850
შემოსავალი დასაკუთრებული აქტივებისა და უძრავი ქონების რეალიზაციიდან	5,700	680
აღიარებული, მაგრამ გადაუხდელი მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	742	1,643
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	1,122	999
მიღებული ჯარიმები და საურავები	9	21
დაფარული მოთხოვნები, გადაზღვევის გამოკლებით	(6,011)	(3,997)
გადამზღვევის წილი დაფარულ მოთხოვნებში	(2,804)	(2,946)
არაღიარებული მაგრამ დაფარული მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	(600)	(695)
სხვა	215	567
სულ სხვა შემოსავალი, წმინდა	**8,085**	**4,122**

27. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	2018	2017
ხელფასები და პრემიები	11,940	10,622
კომუნიკაციის ხარჯები	2,727	2,248
ცვეთა და ამორტიზაცია	2,640	2,818
ქველმოქმედება და სპონსორობა	2,502	6,052
საოპერაციო იჯარა	2,303	2,279
დაცვის ხარჯები	652	618
წარმომადგენლობითი ხარჯები	615	246
კომუნალური ხარჯები	477	431
პროფესიული მომსახურება	300	359
საფოსტო ხარჯები	221	199
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	197	198
მივლინების ხარჯები	115	85
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	108	95
რეკლამის ხარჯები	67	132
ტრენინგის ხარჯები	51	56
სხვა ხარჯები	3,320	2,718
სულ საოპერაციო ხარჯები	**28,235**	**29,156**

28. მოგების გადასახადი

ბანკი მიმდინარე მოგების გადასახადის ოდენობასა და აქტივებისა და ვალდებულებების სახით წარმოდგენილ საგადასახადო ბაზისს ანგარიშობს და აღრიცხავს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც განსხვავდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

იმის გამო, რომ საგადასახადო მიზნებისათვის გარკვეული ხარჯები არ ექვემდებარება გამოქვითვას, ხოლო გარკვეული შემოსავალი განიხილება როგორც დაუბეგრავი, ბანკს შეიძლება გაუჩნდეს გარკვეული მუდმივი საგადასახადო სხვაობები.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებთან, დროსა და, ასევე, გარკვეული სახის აქტივების აღრიცხვიანობის სხვაობასთან საბუღალტრო მონაცემებზე დაყრდნობით.

მონაცემების შეჯამებისას გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-იან კორპორატიულ მოგების გადასახადის განაკვეთს, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე კორპორატიული საწარმოები იხდიან დასაბეგრ მოგებაზე.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები შეადგენს:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
სხვა რეზერვი	768	(133)
სხვა აქტივების რეზერვი	57	6
სხვა ვალდებულებები	28	14
ფული და ფულის ექვივალენტები	10	-
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	5	-
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	2	-
ჩაშენებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	464
კლიენტებზე გაცემული სესხები	(8,340)	(6,165)
ძირითადი საშუალებები	(569)	(490)
სუბორდინირებული სესხი	(509)	(87)
არამატერიალური აქტივები	(88)	29
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	(1)	-
გადავადების მოგების გადასახადის წმინდა ვალდებულება	**(8,637)**	**(6,362)**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯამება შემდეგნაირად აიხსნება:

	2018	2017
მოგება მოგების გადასახადამდე	32,518	56,666
გადასახადი კანონით განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთით (15%)	4,878	8,500
საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების ეფექტი	1,822	(1,193)
მუდმივი სხვაობები	(386)	(359)
მოგების გადასახადის ხარჯი	**6,314**	**6,948**
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	3,395	9,320
გადავადებული გადასახადის ხარჯი	2,919	(2,372)
მოგების გადასახადის ხარჯი	**6,314**	**6,948**

	2018	2017
1 იანვარი - გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	**(6,362)**	**(6,299)**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენებისას	**444**	**-**
1 იანვარი	**(5,918)**	**(6,299)**
კაპიტალში აღიარებული გადავადებული გადასახადი	200	(2,435)
მოგება-ზარალში აღიარებული გადავადებული მოგების გადასახადის სარგებელი	(2,920)	2,372
31 დეკემბერი - გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	**(8,637)**	**(6,362)**

29. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

ჯგუფი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ხდება ფინანსური ინსტრუმენტების გარებალანსური რისკების მონაწილე. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს, არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში.

ჯგუფი გარესაბალანსურ ვალდებულებებთან მიმართებაში იმავე საკრედიტო და მართვის პოლიტიკით ხელმძღვანელობს, რომელსაც იყენებს საბალანსო ოპერაციებში.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნდა პირობით ვალდებულებებზე დანაკარგების რეზერვის ხარჯი 1,669 და 2,408 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, პირობითი ვალდებულებები შეადგენდა:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
პირობითი ვალდებულებები და საკრედიტო ვალდებულებები		
გაცემული გარანტიები და მსგავსი ვალდებულები	53,530	64,691
აკრედიტივები და სხვა გარიგებებთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები	7,863	8,252
სასესხო და აუთვისებელი საკრედიტო ხაზების ვალდებულებები	48,811	22,310
სულ პირობითი და საკრედიტო ვალდებულებები	**110,204**	**95,253**

კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდა მტკიცდება ჯგუფის მიერ თითოეული შემთხვევის განხილვის საფუძველზე და დამოკიდებულია მსესხებელის ფინანსურ მდგომარეობაზე, სესხის მომსახურებასა და სხვა პირობებზე.

ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე – 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნდა არსებითი ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე.

ვალდებულებები საოპერაციო ლიზინგზე – საიჯარო ხელშეკრულებების გაუქმება ჩვეულებრივ შესაძლებელია ბანკის მხრიდან ფართის მფლობელისთვის შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. შეტყობინების გაგზავნის ვადა, როგორც წესი, ერთიდან სამ თვემდე მერყეობს და მას საკმაოდ დიდი ჯარიმების გამოწვევა შეუძლია. გაუქმების უფლების გარეშე გაფორმებული იჯარის მინიმალური გადასახდელები იყო:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
1 წელზე ნაკლი	1,832	2,111
1-5 წლანმდე	7,149	7,208
5 წელზე მეტი	-	1,773
სულ	**8,981**	**11,092**

ბანკს საოპერაციო ლიზინგით რამდენიმე ფართი აქვს აღებული. იჯარის ტიპური საწყისი პერიოდი სამიდან ხუთ წლამდე მერყეობს და მასში ჩადებულია შემდგომი განახლების ოფცია. საიჯარო გადასახდელები, საბაზრო ფასების შესაბამისად, ყოველ ორ-სამ წელიწადში იზრდება.

სასამართლო დავები – პერიოდულად და ბიზნესის ჩვეული მსვლელობისას ჯგუფი პრეტენზიებს იღებდა საკუთარი კლიენტებისა და კონტრაგენტებისაგან. ხელმძღვანელობის აზრით რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გათვალისწინებულა არანაირი შესაბამისი რეზერვის ხარჯი.

გადასახადები – საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ ბიზნესის საქმიანობის

თაობაზე თვითნებური დასკვნების გაკეთების საშიშროება. იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოები არ მოიწონებენ ბანკის რომელიმე კონკრეტულ ქმედებას, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კანონის თავისებურად გაგებას, ამან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით კანონი "საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასება" 2015 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა. კანონში შევიდა დამატებითი საანგარიშგებო და დოკუმენტაციის განმსაზღვრელი მოთხოვნები. ახალი კანონის მიხედვით საგადასახადო უწყებებს უფლება აქვთ, მეწარმეს დააკისრონ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები გარკვეული ტრანზაქციების ფარგლებში, რომლებიც ასევე მოიცავს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან, თუ საგადასახადო ორგანომ ჩათვალა, რომ ტრანზაქციის ფასი კომერციულ საფუძველზე არ არის განსაზღვრული. საგადასახადო ორგანოების მიერ ბანკის საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების ეჭვქვეშ დაყენების შესაძლო შედეგის სარწმუნოდ განსაზღვრა შეუძლებელია.

ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების, მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის შექმნისა და გარიგებების საბაზრო ფასის დადგენისას. ასევე, ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს კლიენტების სესხებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ან რეზერვის აღდგენაზე დროებითი განსხვავებების შეფასებისას, რაც იწვევს დასაბეგრი მოგების შემცირებულად წარმოდგენას. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ყველა საგადასახადო თანხა უკვე დარიცხულია და ამდენად ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი გათვალისწინებული არ არის.

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. 2017 და 2018 წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

30. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები ბანკსა და შვილობილ კომპანიებს შორის, რომლებიც ბანკის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ, ამოღებულ იქნა კონსოლიდაციის დროს და ანგარიშში წარმოდგენილი არ არის. გარიგებები ბანკსა და მის სხვა დაკავშირებულ მხარეებს შორის წარმოდგენილია ქვემოთ:

	დეკემბერი 31, 2018		დეკემბერი 31, 2017	
	დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებუ ლი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებუ ლი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
კლიენტებზე გაცემული სესხები	68,703	914,736	41,568	869,723
- სხვა დაკავშირებული მხარეები	67,950		41,146	
-უმაღლესი ხელმძღვანელობა	753		422	

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

	დეკემბერი 31, 2018		დეკემბერი 31, 2017	
	დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებუ ლი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებუ ლი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
გაუფასურების რეზერვის ხარჯი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე	(33)	(92,841)	(20)	(74,837)
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(30)		(18)	
- უმაღლესი ხელმძღვანელობა	(3)		(2)	
კლიენტების დეპოზიტები	(30,611)	(641,862)	(34,400)	(690,657)
- დამფუძნებელი	(337)		(1,812)	
- აქციონერები	(286)		-	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(29,953)		(32,527)	
- უმაღლესი ხელმძღვანელობა	(35)		(61)	
სუბორდინირებული სესხი	(190,595)	(190,595)	(208,368)	(208,368)
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(172,912)		(163,623)	
- აქციონერები	(17,683)		(44,745)	
სხვა ნასესხები სახსრები	-		(26,289)	(26,289)
- სხვა დაკავშირებული მხარეები	-		(26,289)	
სხვა ვალდებულებები	(176)	(1,007)	-	-
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(176)		-	
გაცემული გარანტიები და მსგავსი ვალდებულებები	(25,299)	(110,204)	(11,452)	(95,253)
- უმაღლესი ხელმძღვანელობა	-		(38)	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(25,299)		(11,414)	

დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2018		დეკემბერი 31, 2017	
	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებუ ლი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებუ ლი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება:				
- თანამშრომელთა მოკლევადიანი ბენეფიტები	1,043	11,940	645	9,726

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის მოგება-ზარალის ანგარიში მოიცავს შემდეგ თანხებს, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების შედეგად წარმოიშვა:

	2018		2017	
	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	ტრანზაქციები დაკავსი-რებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
საპროცენტო შემოსავალი	6,005	91,686	1,967	99,520
- დამფუძნებელი	710		-	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	5,201		1,954	
- უმაღლესი ხელმძღვანელობა	94		13	
საპროცენტო ხარჯი	(12,496)	(30,691)	(12,548)	(31,529)
- უმაღლესი ხელმძღვანელობა	(11)		-	
- დამფუძნებელი	(2,068)		(2,331)	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(10,417)		(10,217)	
ქველმოქმედება	(2,502)	(2,502)	(6,052)	(6,052)
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(2,502)		(6,052)	

31. ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება

ფასს-ის მიხედვით, რეალური ღირებულება არის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გადაცემისას შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის განხორციელებულ ტრანზაქციაში.

რეალური ღირებულების რეგულარული შეფასება

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები ითხოვენ ან ნებას რთავენ კომპანიებს რეგულარულად შეაფასონ რეალური ღირებულებები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში რეალური ღირებულებით ფასდება და მესამე დონეს მიეკუთვნება.

ისეთი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც რეგულარულად არ აისახება სამართლიანი ღირებულებით (და რომელთა მიმართ არსებობს რეალური ღირებულების განმარტების მოთხოვნა).

მოკლევადიანი (3 თვეზე ნაკლები) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია რეალურ ღირებულებასთან. ეს დაშვება აგრეთვე ვრცელდება მოთხოვნამდე ანაბრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე, რომელთა დაფარვის ვადა განსაზღვრული არ არის.

ფული და ფულის ექვივალენტები, სავალდებულო რეზერვი სებ-ში, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და კლიენტების დეპოზიტები

რეალური ღირებულების შეფასება ფულისა და ფულის ექვივალენტების, სებ-ში სავალდებულო რეზერვების, ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნებისა და გადასახდელების და კლიენტების დეპოზიტების შემთხვევაში ხდება მსგავსი დაფარვის ვადის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებზე საანგარიშგებო თარიღში არსებული საბაზრო განაკვეთების საფუძველზე.

კლიენტებზე გაცემული სესხები

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასება ეფუძნება მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებას მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. დისკონტის განაკვეთი განისაზღვრება ინსტრუმენტის ვალუტაზე, ვადასა და კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე დაყრდნობით.

ბანკების დეპოზიტები – ბანკების დეპოზიტები მოიცავს ბანკების მიერ წლის ბოლოს განთავსებულ დეპოზიტებს, რომელთა თავდაპირველი ვადიანობა 1 წელზე ნაკლებია და ლორო ანგარიშებს. ამდენად, ბანკის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ბანკების დეპოზიტების ღირებულება, რომლებიც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, მიახლოებულია მათ მიმდინარე რეალურ ღირებულებასთან.

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში

სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალური ღირებულება განისაზღვრება საზოგადოდ მიღებული საფასო მოდელების მიხედვით, რომლებიც მსგავს ინსტრუმენტებზე დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციებიდან მიღებული ფასების დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზს ეფუძნება. სავალო ინსტრუმენტებში ყველა ინვესტიციის საწყისი ვადიანობა 1 წელიწადზე ნაკლებია. ამდენად, მენეჯმენტის აზრით, მათი რეალური ღირებულება საბალანსო ღირებულებასთანაა მიახლოებული.

სუბორდინირებული სესხი – სუბორდინირებული სესხის რეალური ღირებულება განისაზღვრება საზოგადოდ მიღებული საფასო მოდელების მიხედვით, რომლებიც მსგავს ინსტრუმენტებზე დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციებიდან მიღებული ფასების დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზს ეფუძნება.

სხვა არა-წარმოებული ფინანსური აქტივები და არა-წარმოებული ფინანსური ვალდებულება - სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ძირითადად მოკლევადიან მოთხოვნებსა და ვალდებულებებშია წარმოდგენილი, ასე რომ მათი მიმდინარე ღირებულება მიიჩნევა, რომ რეალური ღირებულების ტოლია.

ქვემოთ მოცემულია ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანიღირებულება, რომელიც შედარებულია მათ შესაბამის საბალანსო ღირებულებასთან:

	რეალური ღირებულება იერარქია	2018 წ. 31 დეკემბერი		2017 წ. 31 დეკემბერი	
		საბალანსო	რეალური	საბალანსო	რეალური
ფული და ფულის ექვივალენტები	1-ელი დონე	124,535	124,535	224,644	224,644
სავალდებულო ბალანსი სებ-ში	მე-2 დონე	138,155	138,155	120,479	120,479
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	მე-2 დონე	12,380	12,380	18,800	18,800
კლიენტებზე გაცემული სესხები	მე-3 დონე	821,895	861,862	794,886	812,530
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	მე-2 დონე	19,295	19,295	27,978	27,978
ინვესტიციები კაპიტალში	მე-3 დონე	57	57	57	57
სხვა ფინანსური აქტივები	მე-3 დონე	4,066	4,066	4,889	4,889
ბანკების დეპოზიტები	მე-2 დონე	15,106	15,106	18,398	18,398
კლიენტების დეპოზიტები	მე-3 დონე	641,862	646,966	694,292	714,850
სხვა ფინანსური ვალდებულებები	მე-3 დონე	3,307	3,307	3,327	3,327
სუბორდინირებული სესხი	მე-3 დონე	190,595	190,595	208,368	208,368

რეგულარულად რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფასდებოდა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, თუ როგორ დგინდება მათი რეალური ღირებულება (კერძოდ, შეფასების ტექნიკა და გამოყენებული მონაცემები).

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	რეალური ღირებულების იერარქია	შეფასების ტექნიკა და მონაცემები	მნიშვნელოვანი არახილული მონაცემები	რეალური ღირებულების დამოკიდებულება არახილულ მონაცემებზე
ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტი (იხილეთ შენიშვნა 8)	-	18,253	დონე 3	დისკონტირებული ფულადი ნაკადები	ფორვარდული გაცვლითი კურსი	10%-იანი ზრდა/(კლება) ფორვარდულ გაცვლით კურსში იწვევს რეალური ღირებულების ზრდას/(კლებას) 12,780/(12,780) ლარით

32. კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს აქციონერების უკუგების მაქსიმიზაცია. ხელმძღვანელობასა და აქციონერს განზრახული აქვთ, მომავალშიც განავითარონ ჯგუფი. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ კაპიტალის ადეკვატურობის სათანადო დონისა და იმ ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, რომ მოკლევადიანი ვალდებულებები ბიზნესის ჩვეული მიმდინარეობისას რეფინანსირებას დაექვემდებარება, უწყვეტი საწარმოს პრინციპი ჯგუფის მიმართ მართებულია.

ჯგუფის კაპიტალის ადეკვატურობა მონიტორინგს ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკის მეთვალყურეობისას დადგენილ კოეფიციენტებზე დაყრდნობით.

სებ-ის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად ბანკის დამოუკიდებელი ანგარიშგების მეშვეობით, რომლებიც სებ-ის აღრიცხვის წესების შესაბამისად არის შემუშავებულია.

სებ-ის რეგულაციების მიხედვით, არსებული კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან:

ა) ფლობდნენ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ დონეს შემდეგი გრაფიკით:

1. 30,000 ათასი ლარი - 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
2. 40,000 ათასი ლარი - 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
3. 50,000 ათასი ლარი - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბ) შეინარჩუნონ ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დადგენილ მინიმუმზე ან მის ზემოთ.

2017 წლის 18 დეკემბერს სებ-მა მიიღო შესწორება „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების რეგულირებაში“ (ბრძანება 100/04). ახალი სქემით კაპიტალის მოთხოვნები იყოფა ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და მარეგულირებელი კაპიტალის პირველ პილარად და დამატებით ბუფერებად ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის პილარ 1-ად და პილარ 2-ად.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პირველი და მეორე პილარის ბუფერები ასე გამოიყურება:

1. პირველი პილარის ბუფერები მოიცავს შემდეგს:
   - კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი, რომელიც ძალაში იყო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
   - სისტემური რისკის ბუფერი ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში ამოქმედდება სისტემატურად მნიშვნელოვანი ბანკებისათვის;
   - კონტრციკლიური კაპიტალის ბუფერი - 0%

პირველი კომპონენტის ბუფერების კორექტირება ხდება სებ-ის შეხედულებისამებრ.
2. მეორე პილარის ბუფერები მოიცავს შემდეგს:

- სავალუტო რისკით გამოწვეული ბუფერი, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძალაშია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაჰეჯირებული სესხებისათვის;
- კონცენტრაციის რისკის ბუფერი, რომელიც ამოქმედდა სექტორულ და ინდივიდუალურ მსესხებლის რისკის პოციციებზე;
- წმინდა სტრესის ბუფერი, რომელიც ამოქმედდება ჯგუფის მიერ მიწოდებული სტრესზე ტესტირების შედეგების საფუძველზე;
- წმინდა ზოგადი რისკის შეფასების პროგრამის ბუფერი, რომელიც უნდა დაადგინოს სებ-მა და გამოყენებული იქნეს ბანკის სპეციფიური რისკების საფუძველზე.

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მოთხოვნები, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი კაპიტალის ადეკვატურობის სქემის ფარგლებში ასე გამოიყურება:

კაპიტალის ფარდობა რისკზე შეწონილ აქტივებთან	**პირველი პილარი**				**მეორე პილარი**	**31 დეკემბერი, 2018**
	მოთხოვნები	**პირველი პილარის ბუფერები**			**მეორე პილარის ბუფერები**	**სულ მინიმალური მოთხოვნები**
		CC	**SR**	**CCC**		
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	4.5%	2.5%	0%	0%	2.27%	9.27%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	6.0%	2.5%	n/a	n/a	3.04%	11.54%
სულ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	8.0%	2.5%	n/a	n/a	9.68%	20.18%

კაპიტალის ფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან	**პირველი პილარი**				**მეორე პილარი**	**31 დეკემბერი, 2017**
	მოთხოვნები	**პირველი პილარის ბუფერები**			**მეორე პილარის ბუფერები**	**სულ მინიმალური მოთხოვნები**
		CC	**SR**	**CCC**		
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	4.5%	2.5%	0%	0%	1.49%	8.49%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	6.0%	2.5%	n/a	n/a	2.00%	10.5%
სულ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	8.0%	2.5%	n/a	n/a	2.66%	13.16%

გარდა ამისა, განახლებული მეთოდოლოგიის საფუძველზე ამოქმედდა კონკრეტული სესხის მომსახურების კოეფიციენტი (PTI) და უზრუნველყოფის კოეფიციენტი (LTV)ქვედა ზღვრები. იმ რისკის პოზიციებზე, რომლებიც ამ ქვედა ზღვრების წინასწარ განსაზღვრულ ფარგლებში არ ხვდება, გამოყენებული იქნა უფრო მაღალი რისკის კოეფიციენტები.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სებ-ის აღრიცხვის წესებისა და 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი კაპიტალის ადეკვატურობის სქემის შესაბამისად მომზადებული ანგარიშების მიხედვით ნაჩვენები კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ძირითადი პირველადი კაპიტალი	**220,764**	**222,346**
დამატებითი პირველადი კაპიტალი	-	-
პირველადი კაპიტალი	**220,764**	**222,346**
კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხები	202,351	221,585
არაკონვერტირებადი სუბორდინირებული სესხები	-	-
სესხზე დანაკარგების ზოგადი რეზერვები (რისკზე შეწონილი აქტივების 1.25%-მდე)	9,542	9,735
სულ საზედამხედველო კაპიტალი	**432,657**	**453,666**
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	**1,381,509**	**1,384,981**
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	15.98%	16.05%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	15.98%	16.05%
სულ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	31.32%	32.76%

ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ სესხების გადახდა მოხდება ბანკის მიერ ყველა სხვა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის გამოთვლისას, კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის გაითვალისწინა ზოგადი რეზერვები, რომლებიც რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-ით შემოიფარგლა.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, ბანკმა სრულად დაიცვა კაპიტალის ყველა გარე მოთხოვნა.

33. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბანკო საქმიანობაში და არის ჯგუფის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ჯგუფის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს
- საოპერაციო რისკს

რისკის მართვის მარალეფექტური პოლიტიკის გამოყენების მიზნით, ჯგუფმა დაადგინა რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია ჯგუფი დაიცვას რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით ჯგუფი ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება მმართველი ორგანოს მიერ დაწესებულ ლიმიტებში. ეს პროცესები სრულდება საკრედიტო კომიტეტის და ჯგუფის ხელმძღვანელთა საბჭოს მიერ. საკრედიტო კომიტეტის მიერ ნებისმიერი განაცხადის გაკეთებამდე საკრედიტო პროცესებთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია (მსესხებლისათვის ლიმიტების დამტკიცება, ან ცვლილებების შეტანა სესხის ხელშეკრულებებში და სხვა) განიხილება და მტკიცდება რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ.

ერთ მსესხებელზე და მსესხებელთა ჯგუფზე გასაცემი მაქსიმალური თანხის განსაზღვრის მიზნით, ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ მტკიცდება მისაღები საკრედიტო რისკის დონე, აგრეთვე ლიმიტები საკრედიტო რისკის დონეზე მსესხებლის, ან პროდუქტის მიხედვით (მრეწველობის დარგების) და რეგიონის მიხედვით. თითოეულ მსესხებელზე გასაცემი მაქსიმალური თანხის ოდენობა ექვემდებარება მონიტორინგს ყოველი ახალი სესხის გაცემისას. საკრედიტო ლიმიტების ცვლილების ინიცირება შეუძლია საკრედიტო კომიტეტს, რაც სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან დამტკიცებას საჭიროებს. ლიმიტების მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება.

სადაც ეს მართებულია და სესხების უმეტეს შემთხვევაში ჯგუფი საჭიროებისამებრ იღებს სესხის უზრუნველყოფას, კორპორატიულ ან ინდივიდუალურ თავდებობებს სესხების გარკვეულ ნაწილს ინდივიდუალური სესხები წარმოადგენს, სადაც არ არსებობს აღნიშნული სახის გირაო. ამგვარი რისკები ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს და ყოველწლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას.

კრედიტის გაცემის ვალდებულება წარმოადგენს სესხების, გარანტიების ან აკრედიტივების სახით გასაცემი კრედიტის გამოუყენებელ ნაწილს. გარებალანსური ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკი განიმარტება, როგორც კონტრაგენტის მხრიდან საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული შესაძლო დანაკარგი. რაც შეეხება შესაძლო სასესხო ვალდებულებებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს, ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს გამოუყენებელი სესხის თანხის შესაბამისი ზარალი. მიუხედავად ამისა, ზარალის სავარაუდო თანხა ნაკლებია მთლიან გამოუყენებელ თანხაზე, ვინაიდან შესაძლო სასეხო ვალდებულება პირობითია კლიენტის მხრიდან სპეციფიური საკრედიტო სტანდარტების დაცვის შესაბამისად. ჯგუფი იყენებს იგივე საკრედიტო პოლიტიკას პირობით ვალდებულებებთან მიმართებაში, როგორსაც ბალანსში ასახულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რაც ითვალისწინებს გარკვეულ პროცედურების განხორციელებას სესხის დამტკიცების მიზნებისათვის, მათ შორის ლიმიტების გამოყენებას რისკის შესამცირებლად და მიმდინარე მონიტორინგს. ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო ვალდებულებების ვადიანობას, ვინაიდან გრძელვადიან ვალდებულებებს როგორც წესი გააჩნია უფრო დიდი საკრედიტო რისკი, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდოლოგია 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

რისკის მართვის მიზნით საკრედიტო რისკის პოზიციის დადგენა რთული პროცესია და მოდელების გამოყენებას მოითხოვს, რადგან გამოვლენა ბაზრის პირობების ცვლილებებისთან, მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და დროის სვლის პარალელურად მერყეობს. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება სხვა ვარაუდების გამოთქმასაც მოიცავს, მაგალითად, დეფოლტის დადგომის ალბათობაზე და შესაბამისი დანაკარგების კოეფიციენტებსა და კონტრაგენტებს შორის დეფოლტის კორელაციაზე. ბანკი საკრედიტო რისკს ზომავს „დეფოლტის ალბათობით“ (PD), „დეფოლტის რისკის პოზიციით“ (EAD) და „დეფოლტით გამოწვეული დანაკარგით“ (LGD). ეს მიდგომა ფასს 9-ში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გასაზომად მიღებული პრაქტიკის მსგავსია.

ფასს 9-ის შესაბამისად, ბანკში გამოიყენება გაუფასურების სამეტაპიანი მოდელი, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილებას ეფუძნება:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის საკრედიტო რისკის მატარებელი თავდაპირველი შეფასებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე და მისი საკრედიტო რისკის მონიტორინგი მუდმივად მიმდინარეობს.

- თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის (SICR) გამოვლენის შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტი გადადის მე-2 ეტაპზე, მაგრამ საკრედიტო რისკით გაუფასურებლად ჯერ არ ითვლება.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი საკრედიტო რისკით გაუფასურებულია, ის შემდეგ გადადის მე-3 ეტაპზე.
- 1-ელი ეტაპის ფინანსურ ინსტრუმენტებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი ეზომება არსებობის მანძილზე იმ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ოდენობით, რომლებიც მომდევნო 12 თვეში შესაძლო დეფოლტის მოვლენებით იქნება გამოწვეული. მე-2 და მე-3 ეტაპის ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი იზომება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო რისკის დანაკარგების საფუძველზე.
- ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო დანკარგების გაზომვის საზოგადო კონცეფციის შესაბამისად, მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს საპროგნოზო ინფორმაცია.
- საკრედიტო რისკის მატარებელი შესყიდული ან წარმოშობილი ფინანსური აქტივები ის ფინანსური აქტივებია, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას უკვე საკრედიტო რისკის მატარებელია. მათი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი ყოველთვის არსებობის მანძილზე იზომება (მე-3 ეტაპი).

ბანკი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვს აღიარებს შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც მოგება-ზარალის ანგარიშში რეალური ღირებულებით არ აისახება:

- მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ
- კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები
- ინვესტიციები სასესხო ფასიან ქაღალდებში
- სხვა მოთხოვნები
- გაცემული სასესხო გარანტიები
- გაცემული ფინანსური გარანტიის კონტრაქტები; და
- ბანკთაშორისი დეპოზიტები და საკორესპონდენტო ანგარიშები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი რეზერვის საშუალებით უნდა შეადგენდეს შემდეგ ოდენობას:

- 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი (მსდ), ანუ მსდ არსებობის მანძილზე, რომლებიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის ისეთი მოვლენიდან, რომელიც შესაძლებელია დადგეს ანგარიშგების დღიდან 12 თვის განმავლობაში (1-ელი ეტაპი); ან
- მსდ მთელი არსებობის მანძილზე, ანუ მსდ არსებობის მანძილზე, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის ყველა შესაძლო მოვლენიდან, რომელიც შესაძლებელია დადგეს ფინანსური ინსტრუმენტის მთელი არსებობის მანძილზე (მე-2 და მე-3 ეტაპები).

მთელი არსებობის მანძილზე მსდ-ის რეზერვი საჭიროა ისეთი ფინანსური ინსტრუმენტისათვის, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, მსდ შეადგენს 12 თვიანი მსდ-ის ტოლ თანხას.

აუთვისებელი სასესხო გარანტიებისა და ფინანსური გარანტიის კონტრაქტების შემთხვევაში, მსდ იზომება კრედიტის კონვერსიის, შესაბამისად, 100%-იანი და 4.01%-იანი ფაქტორის საფუძველზე.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მოთხოვნებს, ბანკთაშორის დეპოზიტებსა და საკორესპონდენტო ანგარიშებს, აგრეთვე სასესხო ინსტრუმენტებში ინვესტიციებს გაუფასურება ერიცხება 12 თვიანი მსდ-ის საფუძველზე. დეფოლტის ალბათობა და დეფოლტით გამოწვეული დანაკარგები კლიენტებისათვის მიიღება საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მოწოდებული საკრედიტო რეიტინგის ინფორმაციიდან.

სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი ფასდება ინდივიდუალურად, კლიენტის სესხზე დანაკარგის რეზერვის განაკვეთით. თუ კლიენტს ბანკში სესხი არ ჰქონია, მაშინ გამოიყენება კლიენტის საკრედიტო რეიტინგი და დეფოლტის ალბათობისა და დეფოლტით გამოწვეული დანაკარგის შესაბამისი მაჩვენებლები. გარდა ამისა, ფასდება მოთხოვნის გამოვლენილი

რისკის მოქმედების მოსალოდნელი პერიოდი. ბოლო ეტაპზე, PD, LGD და რისკის მოქმედების მოსალოდნელი პერიოდი ერთმანეთზე მრავლდება და მიიღება მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი.

კლიენტებზე გაცემული სესხები

მსესხებელთა საკრედიტო რისკდამოკიდებულებათა შესაფასებლად ბანკმა შეიმუშავა რეზერვების დადგენის ფასს 9-ის შესაბამისი მეთოდოლოგია.

ბანკი სესხების პორტფელს ყოფს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო მსესხებლების ჯგუფებად. აქედან პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან ის მსესხებლები, რომელთა რისკდამოკიდებულება ბანკის მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის 1%-ს აჭარბებს.

საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდა

თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდის აღმოსაჩენად, ბანკი მონიტორინგს ახორციელებს იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებსაც გაუფასურება ერიცხება. თუ საკრედიტო რისკი საგრძნობლად გაიზარდა, ბანკი დანაკარგის რეზერვს აფასებს მთელი არსებობის მანძილზე მსდ-ის და არა 12 თვიანი მსდ-ის საფუძველზე.

იმის შესაფასებლად, საგრძნობლად გაიზარდა თუ არა ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ბანკი მხედველობაში იღებს როგორც რაოდენობრივ, ასევე, თვისობრივ მაჩვენებლებს.

ბანკი მიიჩნევს რომ თუ მსესხებელი გახდება „უარყოფითად კლასიფიცირებული“ (როგორიცაა დაკვირვებაზე მყოფი, არასტანდარტული, საეჭვო ან ზარალის მქონე) ეროვნული ბანკის რეგულაციების მიხედვით, ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მსესხებლის კლასიფიკაცია ეროვნული ბანკის რეგულაციების მიხედვით დამოკიდებულია მსესხებლის გადახდის უნარიანობასა ან ბაზარზე სხვა ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე.

როდესაც აქტივზე ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტია, ბანკი მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი საგრძნობლად გაიზარდა და აქტივი ხვდება გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზე, ანუ დანაკარგის რეზერვი განიხილება მთელი არსებობის მანძილზე მსდ-ის მიხედვით.

მსდ-ის შეფასება ინდივიდუალურად

ინდივიდუალურად შეფასებული სესხების შემთხვევაში, მსდ ფასდება კონტრაქტით ბანკის მიერ მისაღები ფულადი ნაკადებისა და მომავალი ეკონომიკური სცენარების სიმრავლის შეწონვით მისაღები ფულადი ნაკადების სხვაობის მიმდინარე ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გარდა ამისა, მხედველობაში მიიღება გადახდები და სესხის უზრუნველყოფად ფლობილი აქტივების უზრუნველყოფის რეალიზაცია.

მსესხებელთა ჯგუფის ბიზნესიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასების მიზნით, მენეჯმენტი მხედველობაში იღებს ინფორმაციას მსესხებელთა ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის, ბიზნესისა და ფინანსური რისკების, გადაუხდელობის დონისა და საოპერაციო ფულადი ნაკადების თაობაზე. მსესხებლის თავისუფალი ფულადი ნაკადების დასადგენად ბანკი იყენებს საპროგნოზო ინფორმაციას, რაც მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ეკონომიკურ მონაცემებსა და ეკონომიკურ ინდიკატორებს. მოდელი ეყრდნობა შემდეგ მაკროეკონომიკურ ცვლადებს:

1 ნომინალური მშპ-ის ზრდის განაკვეთი - მსესხებლის შემოსავლისა და რეალიზებული საქონლის თვითღირებულების საკორექციოდ;
2 ინფლაციის განაკვეთი - მსესხებლის ირიბი დანახარჯების საკორექციოდ;
3 ლარი/აშშ დოლარი გაცვლის კურსი - მსესხებლის თავისუფალი ფულადი ნაკადების საკორექციოდ.

მაშინაც კი, როდესაც უზრუნველყოფის დასაკუთრება მოსალოდნელი არ არის, უზრუნველყოფილი სესხების მოსალოდნელ ფულად ნაკადებში ასევე შედის ის ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება

წარმოიშვას უზრუნველყოფის დასაკუთრებიდან, იმ ხარჯების გამოკლებით, რომლებიც გაიწევა უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის მიზნით.
ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას უზრუნველყოფის დასაკუთრებიდან, დამოკიდებულია უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებაზე. მათზე ვრცელდება შეფასებისა და ლიკვიდობის სამოდელო მაჩვენებლები უზრუნველყოფის თითოეული სახეობის მიხედვით. ფულადი ნაკადების გამოთვლისას გამოიყენება უზრუნველყოფის ოთხი ძირითადი სახეობა:

- უძრავი ქონება
- მოძრავი ქონება, მათ შორის ძირითადი საშუალებები
- მარაგები
- დეპოზიტები.

უზრუნველყოფის სალიკვიდაციო ღირებულება ჩვეულებრივ ფასდება ამოღების პერიოდად 2 წლისა და შეფასების განაკვეთებად უძრავი ქონებისათვის 15%-ის, მოძრავი ქონებისათვის (ძირითადი საშუალებების ჩათვლით) 30%-ის, ხოლო მარაგებისათვის 45%-ის გამოყენებით. ზოგადი მიდგომა ცალკეულ შემთხვევებში იცვლება, თუ სხვა გარემოებები მიუთითებს, რომ ამოღების პერიოდისა და შეფასების სამოდელო განაკვეთის გამოყენება არამართებულია.

როდესაც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სარისკო სესხები ინდივიდუალურად გაუფასურებულად არ ითვლება, გამოიყენება ჯგუფური შეფასების მეთოდოლოგია, სადაც მხედველობაში იიღება რეალურად გაწეული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, რომლის იდენტიფიცირება არ მომხდარა.

მსდ-ის შეფასება ჯგუფურად

მსდ-ის შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ცვლადების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- დეფოლტით გამოწვეული დანაკარგი (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი, შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით.

დეფოლტის განსაზღვრება

შეფასების დასადგენად კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება დეფოლტის განსაზღვრებას, რომელიც მსდ-ის ოდენობის შეფასებაშია ინტეგრირებული. დეფოლტის მოვლენად ბანკი მიიჩნევს შემდეგ მოვლენებს:

- ჯგუფურად შეფასებულ სესხებში მსესხებელმა ბანკის მიმართ მატერიალურ საკრედიტო ვალდებულებაზე ვადას გადააცილა 90-ზე მეტი დღით
- მსესხებელი გადავიდა პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებაში;
- საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით, მსესხებლის სესხზე დანაკარგის რეზერვირების განაკვეთის კატეგორია 30% ან მეტია;
- სხვა კრიტერიუმები, რომლებიც მიუთითებს, რომ ნაკლებ სავარაუდოა, მსესხებელმა დაფაროს ვალდებულება, მათ შორის, ცუდი რესტრუქტურიზაცია.

დეფოლტის ალბათობის მოდელი

თითოეული ჯგუფისათვის დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტის განსასაზღვრად, ბანკი იყენებს მიგრაციის მატრიცების „მარკოვის ჯაჭვის“ მეთოდოლოგიას. 12-თვიანი პერიოდის ანალიზისათვის თითოეულ ჯგუფში გაერთიანებული მსესხებლები 11 კატეგორიად ნაწილდებიან ვადაგადაცილებული დღეებისა და სებ რეზერვის მიხედვით. ანალიზი ჩატარებულია ყოველ 12-თვიან პერიოდზე 2014 წლის 1 დეკემბრიდან მოყოლებული ანგარიშგების დღემდე. მოდელში გამოყენებული საბოლოო დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს ისტორიული 12-თვიანი პერიოდის დეფოლტის ალბათობების საშუალო შეწონილ მაჩვენებელს.

ბანკმა დაადგინა, რომ საპროგნოზო ინფორმაციის ზეგავლენა ჯგუფური შეფასების მოდელში მცირეა და შედეგები მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგში არ ასახულა.
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თითოეულ წრეში საშუალო დეფოლტის ალბათობის 10%-იანი ზრდა იწვევს მთლიანი მსდ-ის 0.39%-იან ზრდას, რაც შეადგენს 359 ათას ლარს. ხოლო თითოეულ წრეში საშუალო დეფოლტის ალბათობის 10%-იანი კლება იწვევს მთლიანი მსდ-ის 3.15%-იან კლებას, რაც შეადგენს 2,928 ათას ლარს.

LGD მოდელი

გაუფასურების მოდელის კიდევ ერთი კომპონენტია LGD (დეფოლტით გამოწვეული დანაკარგები), ანუ დეფოლტის შემთხვევაში წარმოშობილი ზარალის შეფასებული ოდენობა. მის შესაფასებლად დეფოლტგანცდილი რისკგამოვლინებები სეგმენტების მიხედვით მცირდება უზრუნველყოფად გამოყენებული დეპოზიტებით, 2 წლიანი ამოღების პერიოდის უზრუნველყოფის დისკონტირებული სალიკვიდაციო ღირებულებითა და შეფასების ზღვრული განაკვეთით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეფასების ზღვრული მაჩვენებლის 10%-იანი ზრდა იწვევს მსდ-ის 5.31%-იან ზრდას, რაც შეადგენს 4,930 ათას ლარს, ხოლო შეფასების ზღვრული მაჩვენებლის 10%-იანი კლება იწვევს მსდ-ის 5.25%-იან კლებას, რაც შეადგენს 4,876 ათას ლარს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამოღების პერიოდის 10%-იანი ზრდა იწვევს მსდ-ის 6.51%-იან ზრდას, რაც შეადგენს 6,040 ათას ლარს, ხოლო ამოღების პერიოდის 10%-იანი კლება იწვევს მსდ-ის 4.42%-იან კლებას, რაც შეადგენს 4,106 ათას ლარს.

EAD მოდელი

EAD წარმოადგენს მთლიან მისაღებ თანხას დეფოლტის დროს. ბანკი მას ანგარიშობს კონტრაგენტის მიმდინარე რისკის გამოვლენისა და მიმდინარე თანხის კონტრაქტით პოტენციურად ნებადართული ცვლილებების საფუძველზე, ამორტიზაციის ჩათვლით.

საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

ბანკი მსდ-ს გამოთვლებში იყენებს საპრონგოზო ინფორმაციას. ეს ინფორმაცია მოიცავს ეკონომიკურ მონაცემებსა და ეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზს, რომელსაც მონეტარული სამსახურები აქვეყნებენ. დეფოლის ალბათობის განსაზღვრის საფუძველს ქმნის სამი ეკონომიკური სცენარი (საბაზისო, პესიმისტური, ოპტიმისტური). თითოეული მათგანი დეფოლტის განსხვავებულ ალბათობას იძლევა. ამ სცენარების შექონვა ქმნის დეფოლტის საშუალო შეწონილი ალბათობის საფუძველს, რომელიც მსდ-ის გამოთვლაში გამოიყენება. 12 თვიანი მსდ (1-ლი ეტაპის სესხები) ფასდება მხოლოდ თორმეტთვიანი დეფოლტის ალბათობით. არსებობის მანძილზე მსდ (მე-2 და მე-3 ეტაპების სესხები) ფასდება ყველა წლიური ზღვრული დეფოლტის ალბათობებით სესხის ვადის გასვლამდე.

ფასს 9-ის მიზნებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზებს სხვადასხვა სცენარით და მათ წონას გამოთვლებში. საბაზისო სცენარი ყველაზე სავარაუდო სცენარია და მისი წონა გამოთვლებში 50%-ია. პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარების წონა 25%-ია. ისტორიული მონაცემების სტატისტიკური ანალიზის გამოყენებით ბანკმა შეაფასა ურთიერთქმედება მაკროეკონომიკურ ცვლადებსა და საკრედიტო რისკსა და დეფოლტის ალბათობას შორის. სამი მაკროეკონომიკური ცვლადი (მშპ-ს ზრდა, ლარი/დოლარის გაცვლითი კურსი და უმრავი ქონების ფასები) გათვალისწინებულია ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხების მოსალოდნელ ეკონომიკურ სცენარებში. კოლექტიურად გაუფასურებული სესხების შემთხვევაში ბანკმა მხოლოდ მშპ-ს ზრდის გათვალისწინება შეძლო, სათანადოდ გამყარებული ინფორმაციის არარსებობის გამო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2018 წლის 31 დეკემბრის გამოყენეულ 2019-2023 წლების საქართველოს ეკონომიკურ სცენარებში შესული ინდიკატორები, რომლებიც დიდ ზეგავლენას ახდენს მსდ-ზე.

	2019	2020	2021	2022	2023
მშპ-ს ზრდის დონე					
საბაზისო სცენარი	5.00%	5.00%	5.00%	5.00%	5.00%
აღმავალი სცენარი	6.50%	5.50%	5.00%	5.00%	5.00%
დაღმავალი სცენარი	2.00%	3.00%	4.00%	4.00%	4.00%
ლარი/ აშშ დოლარის გაცვლითი კურსის ცვლილება (წლიდან წლამდე)					
საბაზისო სცენარი	0%	0%	0%	0%	0%
აღმავალი სცენარი	3%	2%	2%	0%	0%
დაღმავალი სცენარი	-15%	-10%	5%	0%	0%
უმრავი ქონეის ფასის ცვლილება (წლიდან წლამდე)					
საბაზისო სცენარი	2.90%	3.00%	3.00%	0.00%	0.00%
აღმავალი სცენარი	3.60%	3.30%	3.00%	0.00%	0.00%
დაღმავალი სცენარი	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%

პროგნოზირებული ურთიერთობა ეკონომიკურ ინდიკატორებსა და დეფოლტსა და დანაკარგის განაკვეთებს შორის სესხის პორტფელებში შემუშავდა ბოლო 5 წლის მონაცემების საფუძველზე.

ბანკის მიერ შემუშავებული ეკონომიკური მოდელის თანხმად, არ აღინიშნება მნიშვნელოვანი დამოკიდებულება მაკრო ეკონომიკურ ცვლადებსა და სესხების პორტფელის ხარისხს შორის.

მსდ-ს გამოთვლა

თითოეული სეგმენტის ზღვრული PD-ების და LGD-ის დადგენის შემდეგ, მსდ-ს საბოლოო კალკულაციები კონკრეტული სესხის რისკის მახასიათებლებზე დაყრდნობით კეთდება. 12 თვიანი მსდ პირველი ეტაპის სესხების ითვლება, ხოლო მეორე და მესამე ეტაპის სესხებისთვის მსდ არსებობის მანძილზე ითვლება, მოსალოდნელი ფულადი დეფიციტების დისკონტირებით ანგარიშგების თარიღისთვის.

რესტრუქტურიზებული სესხები

კლიენტებზე გაცემულ სესხებზე პირობების ცვლილება, როგორც წესი, ხდება კლიენტებთან ურთიერთობის განვითარების პროცესის ფარგლებში ან მსესხებლის მდგომარეობის გაუარესების დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოლაპარაკების შედეგად შესაძლოა გაგრძელდეს სესხის გადახდის ვადა ან შეიცვალოს გადახდის გეგმა, რომლის მიხედვითაც ბანკი შეღავათიან საპროცენტო განაკვეთს სთავაზობს იმ მსესხებლებს, რომლებიც ნამდვილად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. ამის შედეგად, აქტივი კვლავაც ვადაგადაცილებული რჩება და ინდივიდუალურად გაუფასურებულია, თუ ხელმეორე მოლაპარაკების შედეგად დადგენილი საპროცენტო განაკვეთისა და ძირითადი თანხის გადახდა ნაკლებია აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებაზე. სხვა შემთხვევაში, მოლაპარაკებების შედეგად იდება ახალი ხელშეკრულება, რომელიც ახალ სესხად განიხილება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია იმ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, კლასების მიხედვით, რომელთა პირობები შეიცვალა:

ფინანსური აქტივის კლასი	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
კლიენტებზე გაცემული სესხები	138,552	44,027

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმ ამჟამად 1-ელი ეტაპის სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება, რომელთა პირობები შეიცვალა, როდესაც ისინი მე-2/მე-3 ეტაპზებზე განიხილებოდა და ზარალის რეზერვი ფასდებოდა 12-თვიანი თანხით, ნულის ტოლია.

კლიენტებზე გაცემული სესხების მოძრაობა ეტაპებს შორის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2018			
	ეტაპი 1	**ეტაპი 2** მსდ არსებობის მანძილზე - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	**ეტაპი 3** მსდ არსებობის მანძილზე - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	**სულ**
	12 თვის მსდ			
	1	**2**	**3**	
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	**480,070**	**81,680**	**307,973**	**869,723**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენების გამო	8,359	5,756	16,599	30,714
სრული ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	488,429	87,436	324,572	900,437
ახალი წარმოშობილი სესხები (დარიცხული საპროცენტო სარგებლით)	285,827	9,279	52,373	347,479
ცვლილებები სრულ ღირებულებაში:				
- გადავიდა 1-ელ ეტაპზე	6,533	(6,533)	-	-
- გადავიდა მე-2 ეტაპზე	(98,220)	102,381	(4,161)	-
- გადავიდა მე-3 ეტაპზე	-	(58,188)	58,188	-
გადახდილი სესხები	(237,501)	(27,687)	(77,490)	(342,678)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი	-	-	(2,660)	(2,660)
ჩამოწერილი სესხების აღდგენა	-	-	178	178
ზარალი საკურსო სხვაობის შედეგად	3,303	2,283	6,394	11,980
სრული ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	**448,371**	**108,971**	**357,394**	**914,736**

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოძრაობა ეტაპებს შორის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ეტაპი 1	**ეტაპი 2** მსდ არსებობის მანძილზე - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	**ეტაპი 3** მსდ არსებობის მანძილზე - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	**სულ**
	12 თვის მსდ			
	1	**2**	**3**	
რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,444**	**2,431**	**68,962**	**74,837**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენების გამო	1,717	545	13,011	15,273
რეზერვი 2018 წლის 1 იანვარს	5,161	2,976	81,973	90,110
ახალი წარმოშობილი სეხები	3,619	150	16,970	20,739
ცვლილებები რეზერვში:				
- გადავიდა 1-ელ ეტაპზე	866	(866)	-	-
- გადავიდა მე-2 ეტაპზე	(1,195)	2,056	(861)	-
- გადავიდა მე-3 ეტაპზე	-	(1,579)	1,579	-
გადახდილი სესხები	(2,401)	(560)	(20,979)	(23,940)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი	-	-	(2,660)	(2,660)
ჩამოეწრილი სეხების აღდეგან	-	-	178	178
საკრედიტო რისკით გამოწვეული ცვლილებები	(1,137)	4,858	1,126	4,847
საპროცენტო შემოსავლის კორექტირება	-	-	2,173	2,173
სარგებელი საკურსო სხვაობის შედეგად	42	223	1,129	1,394
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერს	**4,955**	**7,258**	**80,628**	**92,841**

საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდოლოგია 2018 წლის 1 იანვრამდე

2018 წლის 1 იანვრამდე ბანკი საკრედიტო რისკს აფასებდა ბასს 39-ის მიხედვით შედგენილი მეთოდოლოგიით.

ბანკი სესხების პორტფელს ჰყოფს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ჯგუფებად. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია მსესხებლების ის ჯგუფი, რომელთა რისკგამოვლინება ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 1%-ს აჭარბებს.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხების გაუფასურების ინდივიდუალური შეფასება

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხების გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად, საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი სახსრების განსაზღვრით.

მსესხებელთა ბიზნესის ჯგუფიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების პროგნოზირების მიზნით, ხელმძღვანელობა განიხილავს მთელ ხელმისაწვდომ ინფორმაციას მსესხებელთა ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის, ბიზნესისა და ფინანსური რისკების, გადაუხდელი ანგარიშებისა და ოპერაციებიდან მისაღები ფულადი ნაკადების თაობაზე.

უზრუნველყოფილი სესხების პროგნოზირებულ მომავალ ფულად ნაკადებში ასევე გათვალისწინებულია ის ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას გირაოს რეალიზაციის შემთხვევაში, უზრუნველყოფის მოპოვებისა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით, იმის მიუხედავად, არის ეს მოსალოდნელი თუ არა.

ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს უზრუნველყოფის რეალიზაციის შედეგად, დამოკიდებულია უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებაზე, აგრეთვე უზრუნველყოფის თითოეული ტიპისათვის შეფასების მიდგომასა და ლიკვიდობის რისკის ფაქტორზე. ფულადი ნაკადების შეფასებისას გამოიყენება უზრუნველყოფის სამი ძირითადი სახეობა:

- უძრავი ქონება
- მოძრავი ქონება, მათ შორის, მატერიალური აქტივები და მარაგები;
- ფინანსური აქტივები, მათ შორის დეპოზიტები.

პროგნოზირებული ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას უზრუნველყოფის რეალიზაციის შედეგად მისი მოპოვებისა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით, დისკონტირდება სესხის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით გაყიდვის დარჩენილი მთელი სავარაუდო დროის განმავლობაში.

გაყიდვამდე დარჩენილი დრო დამოკიდებულია უზრუნველყოფის სახეობაზე და ფასდება ხელმძღვანელობის შეხედულებისამებრ დეფოლტის დღიდან უზრუნველყოფის გაყიდვამდე სავარაუდო პერიოდის შეფასებით.

იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხი არ ჩაითვალა გაუფასურებულად, გაწეული მაგრამ კონკრეტულად არაიდენდტიფიცირებული გაუფასურების დანაკარგების მოსაცავად გამოიყენება ჯგუფური შეფასების მეთოდოლოგია.

ჯგუფური შეფასების მეთოდოლოგია

ჯგუფური შეფასებისას სესხების პორტფელი იყოფა სესხების ორ - გაუფასურების გამომწვევი მოვლენებით და გაუფასურების გამომწვევი მოვლენების გარეშე - ჯგუფებად.

გაუფასურების გამომწვევი მოვლენიანი სესხების შეფასების მეთოდოლოგიით დაიშვება, რომ დეფოლტი მოხდა და გამოითვლება დანაკარგი დეფოლტის შემთხვევაში. მასში ჩანს ის დისკონტირებული ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სესხზე უზრუნველყოფის რეალიზაციის შემთხვევაში, მისი მოპოვებისა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. უზრუნველყოფის რეალიზაციისას წარმოშობილი ფულადი ნაკადების შეფასებითი მიდგომა აღწერილია ზემოთ.

სესხები გაუფასურების გამომწვევი მოვლენების გარეშე ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე.

გაუფასურების გამომწვევი მოვლენების გარეშე არსებული ჯგუფურად შეფასებული სესხებისათვის გაუფასურების დანაკარგების გამოსათვლელად, ბანკი მხედველობაში იღებს შემდეგ პარამეტრებს: დეფოლტის ალბათობა და დანაკარგი დეფოლტის შემთხვევაში.

გარე ან შიდა გარემოს ცვლილების დროს ან ისეთ შემთხვევაში, როდესაც ისტორიული მონაცემები არსებულ მდგომარეობას აღარ ასახავს, ბანკი რისკ პარამეტრებს აკორექტირებს მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების

საფუძველზე, რათა ამით მოიცვას იმ მიმდინარე გარემოებების ეფექტი, რომლებიც წინა პერიოდებში არ არსებობდა და გააუვნებელყოს იმ წარსული გარემოებების ეფექტი, რომლებიც ამჟამად აღარ მოქმედებს.

დეფოლტის განსაზღვრებაში შედის ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა:

- 180 დღით ვადაგადაცილება
- სხვა კრიტერიუმები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ ნაკლებად სავარაუდოა, მსესხებელმა დაფაროს ვალდებულებები. მათ შორისაა ცუდი ვალების რესტრუქტურიზაცია.

გაწეული მაგრამ არაიდენტიფიცირებული გაუფასურების დანაკარგების გათვალისწინების მიზნით ბანკმა, გარდამავალი მატრიცების მიდგომის გამოყენებით შეიმუშავა დეფოლტის ალბათობის მოდელი.

თითოეულ სეგმენტზე დაკვირვების პერიოდად აღებულია ბოლო 3 წელი. ამ ვადის განმავლობაში, ვადაგადაცილებულ ჯგუფებში იქმნება ყოველთვიური მიგრაციის მატრიცები, თვის ბოლოს არსებული მდგომარეობისა და თითოეული სესხის ოდენობის ანგარიშის მიხედვით. ამის შემდეგ იწყება მიგრაციის 12-თვიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა შეფასდეს დეფოლტის ალბათობის პარამეტრი.

უზრუნველყოფისა და კრედიტის სხვა გამაძლიერებლების ანალიზი

საჭირო უზრუნველყოფის ტიპი და ოდენობა დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. შემუშავებულია მეთოდოლოგია უზრუნველყოფის მისაღები ტიპებისა და შეფასების პარამეტრების შესახებ. ჩადებული უზრუნველყოფების ძირითადი ტიპები მოიცავს შემდეგს:

- კომერციული სესხების შემთხვევაში - უძრავ ქონებას, გარანტიებს, სატრანსპორტო საშუალებებს, აღჭურვილობებსა და მარაგებს.
- საცალო სესხების შემთხვევაში - საცხოვრებელი ქონების, აღჭურვილობის, სატრანსპორტო საშუალებებისა და გარანტიების იპოთეკას.

მენეჯმენტი აკვირდება უზრუნველყოფის საბაზრო ფასებს, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას და მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის შეფასების მანძილზე აკვირდება უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

თანდართულ ცხრილში წარმოდგენილია სესხების პორტფელის ანალიზი უზრუნველყოფების ტიპების მიხედვით:

უზრუნველყოფის სახეობა	31 დეკემბერი, 2018 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 მსდ რეზერვი	31 დეკემბერი, 2018 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 უზრუნველყოფის რეალური ღირებულება
უძრავი ქონება	764,348	(48,369)	715,978	1,608,899
ნაღდი ფული	11,363	(551)	10,811	22,610
აღჭურვილობა	64,107	(16,340)	47,768	267,314
მარაგები	20,323	(1,030)	19,293	102,278
სხვა უზრუნველყოფა	14,074	(1,628)	12,447	16,747
უზრუნველყოფის გარეშე	40,521	(24,923)	15,598	-
სულ	**914,736**	**(92,841)**	**821,895**	**2,017,848**

უზრუნველყოფის სახეობა	31 დეკემბერი, 2017 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 მსდ რეზერვი	31 დეკემბერი, 2017 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 უზრუნველყოფის რეალური ღირებულება
უძრავი ქონება	800,420	(61,932)	738,488	1,960,254
ნაღდი ფული	7,290	-	7,290	23,258
აღჭურვილობა	18,730	(4,231)	14,499	360,075
მარაგები	13,512	(98)	13,414	137,779
სხვა უზრუნველყოფა	9,191	(3,965)	5,226	20,533
უზრუნველყოფის გარეშე	20,580	(4,611)	15,969	-
სულ	**869,723**	**(74,837)**	**794,886**	**2,501,899**

ბანკის პოლიტიკა გულისხმობს ამგვარ სესხებზე მათი გაცემის თარიღში სესხი/ღირებულების (ს/ღ) საშუალოდ 70%-იანი კოეფიციენტის მინიჭებას უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულების დასადგენად. ეს ის უმცირესი ღირებულებაა, რომლის რეალიზებას და მსდ გამოთვლებში გამოყენებასაც ბანკი ვარაუდობს.

ს/ღ კოეფიციენტი უზრუნველყოფის დისკონტირებულ ღირებულებაზე დაყრდნობით	31 დეკემბერი, 2018 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 მსდ რეზერვი	31 დეკემბერი, 2018 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	136,471	(303)	136,168
51-70%	125,038	(314)	124,724
71-90%	141,899	(651)	141,248
91-100%	48,539	(2,057)	46,482
100%-ზე მეტი	462,789	(89,516)	373,273
სულ	**914,736**	**(92,841)**	**821,895**

ს/ღ კოეფიციენტი უზრუნველყოფის დისკონტირებულ ღირებულებაზე დაყრდნობით	31 დეკემბერი, 2017 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 მსდ რეზერვი	31 დეკემბერი, 2017 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	139,008	-	139,008
51-70%	195,008	(482)	194,526
71-90%	192,917	(4,293)	188,624
91-100%	64,053	(2,134)	61,919
100%-ზე მეტი	278,736	(67,928)	210,809
სულ	**869,723**	**(74,837)**	**794,886**

მენეჯმენტის შეფასებით, უზრუნველყოფის რეალური ღირებულება სესხის გაცემის მომენტში სულ მცირე შესაბამისი უზრუნველყოფილი სესხების საბალანსო ღირებულების ტოლია. უზრუნველყოფის ღირებულება გადაფასებულია 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სესხების პორტფელის ანალიზი უზრუნველყოფის რეალური ღირებულებით ს/ღ კოეფიციენტის მიხედვით:

ს/ღ კოეფიციენტი რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით	31 დეკემბერი, 2018 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 მსდ რეზერვი	31 დეკემბერი, 2018 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	289,016	(708)	288,308
51-70%	217,900	(2,989)	214,911
71-90%	192,042	(23,661)	168,381
91-100%	70,069	(15,871)	54,198
100%-ზე მეტი	145,709	(49,612)	96,097
სულ	**914,736**	**(92,841)**	**821,895**

ს/ღ კოეფიციენტი რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით	31 დეკემბერი, 2017 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 მსდ რეზერვი	31 დეკემბერი, 2017 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	342,675	(506)	342,169
51-70%	243,367	(4,609)	238,758
71-90%	84,601	(9,870)	74,731
91-100%	67,671	(18,176)	49,495
100%-ზე მეტი	131,409	(41,676)	89,733
სულ	**869,723**	**(74,837)**	**794,886**

საკრედიტო რისკის პოზიციის მაქსიმალური ოდენობა

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება ბოლო წლის განმავლობაში ძალზე გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო ბაზარზე არსებული პირობებით. თუმცა, ამ ზრდის მიუხედავად, ბანკის პორტფელის მომგებიანობის მაჩვენებლების გაუარესება არ შენიშნულა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საბალანსო და გარებალანსური აქტივების მაქსიმალური საკრედიტო რისკის პოზიციისადმი დაქვემდებარებას. ბალანსსი ფინანსურ აქტივებზე მაქსიმალური დაქვემდებარება უტოლდება აქტივების საბალანსო ღირებულებას გაქვითვამდე და უზრუნველყოფამდე. ჯგუფის მაქსიმალური პოზიცია საკრედიტო რისკისადმი იმ შემთხვევაში თუ უზრუნველყოფა და ფასიანი ქაღალდები გაუფასურებულია და პირობითი ვალდებულებები, ან კრედიტის გაცემის ვალდებულება არ სრულდება, წარმოდგენილია ამ ინსტრუმენტების კონტრაქტით გათვალისწინებული ღირებულებით.

31 დეკემბერი, 2018	მაქსიმალური პოზიცია	წმინდა პოზიცია
ფული და ფულის ექვივალენტები	124,581	124,535
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	138,191	138,155
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	12,392	12,380
კლიენტებზე გაცემული სესხები	914,736	821,895
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	19,309	19,295
ინვესტიციები კაპიტალში	57	57
სხვა ფინანსური აქტივები	4,485	4,066
გაცემული გარანტიები და მსგავსი პირობითი ვალდებულებები	53,530	52,246
აკრედიტივები და ტრანზაქციებთან დაკავშირებული სხვა პირობითი ვალდებულებები	7,863	7,863
ნაკისრი ვალდებულებები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	48,811	48,426

31 დეკემბერი, 2017	მაქსიმალური პოზიცია	წმინდა	პოზიცია
ფული და ფულის ექვივალენტები	224,375		224,375
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	120,479		120,479
ფინანსური აქტივები მოგება-ზარალში	18,253		18,253
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	18,800		18,800
კლიენტებზე გაცემული სესხები	869,723		794,886
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	27,978		27,978
ინვესტიციები კაპიტალში	57		57
სხვა ფინანსური აქტივები	4,889		4,889
გაცემული გარანტიები და მსგავსი პირობითი ვალდებულებები	64,691		62,590
აკრედიტივები და ტრანზაქციებთან დაკავშირებული სხვა პირობითი ვალდებულებები	8,252		8,252
ნაკისრი ვალდებულებები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	22,310		22,227

გარესაბალანსო რისკი

გარებალანსური რისკების სამართავად ჯგუფი ძირითადად იყენებს რისკის მართვის იმავე პოლიტიკას რითაც სარგებლობს საბალანსო რისკების მართვისას. რას შეეხება სესხის გაცემისა და კლიენტებისა და კონტრაგენტების ვალდებულებებს, ჯგუფი იყენებს იმავე საკრედიტო მართვის პოლიტიკას, რითაც სარგებლობს სესხებისა და ავანსების შემთხვევაში. მოთხოვნილი უზრუნველყოფა დამოკიდებული იქნება კონტრაგენტის სიძლიერესა და გარიგების სპეციფიკაზე.

გეოგრაფიული კონცენტრაცია

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აკონტროლებს ჯგუფის საქმიანობის შესაბამისობას კანონმდებლობისა და რეგულირების მოთხოვნების მიმართ და მათ გავლენას ჯგუფის საქმიანობაზე. ეს მეთოდი საშუალებას აძლევს ჯგუფს მინიმუმამდე დაიყვანოს საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს ცვლილებებთან დაკავშირებული შესაძლებელი დანაკარგები.
აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

	საქართველო	სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები	ეთგო-ს ქვეყნები	დეკემბერი 31, 2018 სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	115,539	3,200	5,796	124,535
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	138,155	-	-	138,155
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	6,212	-	6,168	12,380
კლიენტებზე გაცემული სესხები	817,917	3,083	895	821,895
ინვესტიციები კაპიტალში	57	-	-	57
ნაკისრი სესხები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	19,295	-	-	19,295
სხვა ფინანსური აქტივები	4,066	-	-	4,066
სულ ფინანსური აქტივები	**1,101,241**	**6,283**	**12,859**	**1,120,383**
ფინანსური ვალდებულებები				
ბანკების დეპოზიტები	15,095	11	-	15,106
კლიენტების დეპოზიტები	619,013	19,641	3,208	641,862
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,307	-	-	3,307
სუბორდინირებული სესხი	190,595	-	-	190,595
სულ ფინანსური ვალდებულებები	**828,010**	**19,652**	**3,208**	**850,870**
წმინდა პოზიცია	**273,231**	**(13,369)**	**9,651**	

	საქართველო	სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები	ეთგო-ს ქვეყნები	დეკემბერი 31, 2017 სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	212,482	3,914	8,248	224,644
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	120,479	-	-	120,479
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	18,253	-	-	18,253
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	6,507	-	12,293	18,800
კლიენტებზე გაცემული სესხები	776,046	17,714	1,126	794,886
გასაყიდად განკუთვნილი ინვესტიციები	57	-	-	57
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	27,978	-	-	27,978
სხვა ფინანსური აქტივები	4,889	-	-	4,889
სულ ფინანსური აქტივები	**1,166,691**	**21,628**	**21,667**	**1,209,986**
ფინანსური ვალდებულებები				
ბანკების დეპოზიტები	18,398	-	-	18,398
კლიენტების დეპოზიტები	655,741	21,026	13,890	690,657
სხვა ნასესხები სახსრები	-	-	26,289	26,289
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,327	-	-	3,327
სუბორდინირებული სესხი	208,368	-	-	208,368
სულ ფინანსური ვალდებულებები	**885,834**	**21,026**	**40,179**	**947,039**
წმინდა პოზიცია	**280,857**	**602**	**(18,512)**	

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასის მიხედვით

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება მიმდინარე საკრედიტო რეიტინგის მიხედვით, რომელიც გამოსცა საერთაშორისო სააგენტო "Fitch"-მა. უმაღლესი შეფასება არის AAA. საინვესტიციო ფინანსურ აქტივებს გააჩნიათ შეფასებაAAA-დან BBB-მდე. ფინანსური აქტივები, რომელთა შეფასება BBB-ზე ნაკლებია, კლასიფიცირდება როგორც სპეკულაციური რეიტინგის მქონე.

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგს:

	AAA	AA	A	BBB	< BBB	შეუფასებელი	სულ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	1	62,090	55,403	7,041	124,535
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	-	-	-	-	138,155	-	138,155
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	-	-	6,168	-	556	5,656	12,380
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	-	-	25,794	796,101	821,895
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	-	-	-	-	-	57	57
ინვესტიციები კაპიტალში	-	-	-	-	19,295	-	19,295
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	4,066	4,066

	AAA	AA	A	BBB	< BBB	შეუფასებელი	სულ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	7,658	124,623	79,359	13,004	224,644
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	-	-	-	-	120,479	-	120,479
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	18,253	18,253
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	-	-	11,904	389	-	6,507	18,800
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	-	-	-	794,886	794,886
ინვესტიციები კაპიტალში	-	-	-	-	-	57	57
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	-	-	-	-	27,978	-	27,978
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	4,889	4,889

კლიენტებზე გაცემული სესხებისგან განსხვავებული ფინანსური აქტივები რანჟირდება იმ მიმდინარე საკრედიტო რეიტინგის მიხედვით, რომელიც მათ მიენიჭათ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს (ფითჩი, სთანდარდ & ფურზი და მუდისი) მხრიდან.

ჯგუფი ახორციელებს მრავალ გარიგებას ისეთ კონტრაგენტებთან, რომელთაც საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები რეიტინგს არ ანიჭებს. ასეთი კონტრაგენტების რეიტინგის შესაფასებლად ჯგუფს შემუშებული აქვს შეფასების შიდა მოდელები. მსესხებლები ფასდებიან ფინანსური სიძლიერის, სახსრების მიზნობრიობისა და უზრუნველყოფის მიხედვით, რომლებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა რისკზე სეიწონებიან. სესხის სტაბილურობასა და კლიენტის რეიტინგს ბანკი ამ სამი ინდიკათორის მიხედვით ანგარიშობს.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი ეხება დეპოზიტების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას.

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი აკონტროლებს ზემოთ აღნიშნულ რისკებს ვადიანობის ანალიზის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას შემდგომი ფინანსური პერიოდისათვის. მიმდინარე ლიკვიდობის კონტროლი ხორციელდება სახაზინო დეპარტამენტის მიერ, რომლის ფუნქციაც არის ფულად ბაზრებზე გარიგებების დადება, მიმდინარე ლიკვიდობის შენარჩუნება და ფულადი ნაკადების ოპტიმიზაცია.

ლიკვიდობის რისკის სამართავად, ჯგუფი ახორციელებს კლიენტების და ჯგუფის ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დირექტორთა საბჭო აწესებს ლიმიტებს ხელმისაწვდომი სახსრების მინიმალურ პროპორციაზე გასანაღდებელი დეპოზიტების უზრუნველსაყოფად და ბანკთაშორისი და სხვა სასესხო წყაროს მინიმალურ დონეზე, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს განარდება მოთხოვნის მოულოდნელი წარმოქმნისას.

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზი:

(ა) ფინანსური ვალდებულებების დაფარვის პირობა, რომელიც იანგარიშება ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის ადრეული თარიღით, როდესაც ჯგუფი ვალდებული იქნება დაფაროს ვალდებულება; და

(ბ) ფინანსური ვალდებულებების ვადიანობა, რომელიც დაანგარიშებულია არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისას ფინანსურ ვალდებულებებზე ადრეული თარიღით, როდესაც ჯგუფმა უნდა გამოისყიდოს ვალდებულება, და

(გ) ფინანსური აქტივების დაფარვის პირობა, რომელიც იანგარიშება ფინანსურ აქტივებზე (პროცენტის ჩათვლით) არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის და რომელიც მიღებული იქნება აქტივებზე დაფარვის საკონტრაქტო პირობაზე დაყრდნობით, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ჯგუფი ვარაუდობს, რომ ფულადი სახსრების შემოდინება სხვა დროსაა მოსალოდნელი.

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფების მიხედვით ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკები. ქვემოთ მოცემული მონაცემები ეფუძნება ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2018 წლის დეკემბერი 31, სულ
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ექვივალენტები	96,497	-	-	-	-	96,497
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	138,155	-	-	-	-	138,155
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	-	5,656	556	-	3,843	10,055
კლიენტებზე გაცემული სესხები	128,815	37,117	187,126	349,450	119,387	821,895
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	3,470	7,075	8,750	-		19,295
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივები	**366,937**	**49,848**	**196,432**	**349,450**	**123,230**	**1,085,897**
ფული და ფულის ექვივალენტები	28,038	-	-	-	-	28,038
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	-	-	2,325	-	-	2,325
ინვესტიციები კაპიტალში	57	-	-	-	-	57
სხვა ფინანსური აქტივები	3,083	624	3	356	-	4,066
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური აქტივები	**31,178**	**624**	**2,328**	**356**	**-**	**34,486**
სულ ფინანსური აქტივები	**398,115**	**50,472**	**198,760**	**349,806**	**123,230**	**1,120,383**
ფინანსური ვალდებულებები						
კლიენტების დეპოზიტები	98,733	12,673	232,384	26,127	22	369,939
ბანკების დეპოზიტები	-	360	14,721			15,081
სუბორდინირებული სესხი	-	107	-	-	190,488	190,595
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები	**98,733**	**13,140**	**247,105**	**26,127**	**190,510**	**575,615**
ბანკების დეპოზიტები	25	-	-	-	-	25
კლიენტების დეპოზიტები	271,923	-	-	-	-	271,923
სხვა ფინანსური ვალდებულებები	655	-	2,652	-	-	3,307
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური ვალდებულებები	**272,603**	**-**	**2,652**	**-**	**-**	**275,255**
სულ ფინანსური ვალდებულებები	371,336	13,140	249,757	26,127	190,510	850,870
საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის დეფიციტი	**268,204**	**36,708**	**(50,673)**	**323,323**	**(67,280)**	
საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ჯამური დეფიციტი	**268,204**	**304,912**	**254,239**	**577,562**	**510,282**	
ლიკვიდობის დეფიციტი	26,779	37,332	(50,997)	323,679	(67,280)	
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	**26,779**	**64,111**	**13,114**	**336,793**	**269,513**	

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2017 წლის დეკემბერი 31, სულ
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ექვივალენტები	45,000	-	-	-	-	45,000
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	120,479	-	-	-	-	120,479
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	-	6,000	507	-	-	6,507
კლიენტებზე გაცემული სესხები	119,685	43,273	149,435	286,992	195,501	794,886
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	4,491	9,283	14,204	-	-	27,978
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივები	**289,655**	**58,556**	**164,146**	**286,992**	**195,501**	**994,850**
ფული და ფულის ექვივალენტები	179,644	-	-	-	-	179,644
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	6,109	264	1,379	6,945	3,556	18,253
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	-	-	8,245	-	4,048	12,293
ინვესტიციები კაპიტალში	57	-	-	-	-	57
სხვა ფინანსური აქტივები	4,889	-	-	-	-	4,889
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური აქტივები	**190,699**	**264**	**9,624**	**6,945**	**7,604**	**215,136**
სულ ფინანსური აქტივები	**480,354**	**58,820**	**173,770**	**293,937**	**203,105**	**1,209,986**
ფინანსური ვალდებულებები						
კლიენტების დეპოზიტები	147,125	9,087	167,635	67,864	4,687	396,398
ბანკების დეპოზიტები	-	-	14,602	-	-	14,602
სუბორდინირებული სესხი	-	95	-	-	208,273	208,368
სხვა ნასესხები სახსრები	-	-	-	26,289	-	26,289
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები	**147,125**	**9,182**	**182,237**	**94,153**	**212,960**	**645,657**
კლიენტების დეპოზიტები	294,259	-	-	-	-	294,259
ბანკების დეპოზიტები	3,796	-	-	-	-	3,796
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,327	-	-	-	-	3,327
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური ვალდებულებები	**301,382**	**-**	**-**	**-**	**-**	**301,382**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**448,507**	**9,182**	**182,237**	**94,153**	**212,960**	**947,039**
საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის დეფიციტი	142,530	49,374	(18,091)	192,839	(17,459)	
საპროცენტო განაკვეთის ჯამური დეფიციტი	**142,530**	**191,904**	**173,813**	**366,652**	**349,193**	
ლიკვიდობის დეფიციტი	31,847	49,638	(8,467)	199,784	(9,855)	
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	**31,847**	**81,485**	**73,018**	**272,802**	**262,947**	

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკების ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ქვემოთ მოცემული მონაცემები ეფუძნება ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას. ამ ცხრილებსი წარმოდგენილი თანხები არ შეესაბამება ანგარიშში წარმოდგენილ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც მიუთითებს კონტრაქტით გათვალისწინებულ დარჩენილ გადახდებზე (საპროცენტო განაკვეთის ჩათვლით), რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	დეკემბერი 31, 2018 სულ
ფინანსური აქტივები							
ფული და ფულის ექვივალენტები	4.17%	96,497	-	-	-	-	96,497
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	0.86%	138,155	-	-	-	-	138,155
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	5.25%	-	6,044	556	-	4,108	10,708
კლიენტებზე გაცემული სესხები	10.72%	135,894	46,851	234,294	479,994	121,670	1,018,703
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	7.21%	3,473	7,148	9,063	-	-	19,684
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივები		**374,019**	**60,043**	**243,913**	**479,994**	**125,778**	**1,283,747**
ფული და ფულის ექვივალენტები		28,038	-	-	-	-	28,038
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები		-	-	-	-	-	-
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ		-	-	2,325	-	-	2,325
ინვესტიციები კაპიტალში		57	-	-	-	-	57
სხვა ფინანსური აქტივები		3,083	624	3	356	-	4,066
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური აქტივები		**31,178**	**624**	**2,328**	**356**	**-**	**34,486**
სულ ფინანსური აქტივები		**405,197**	**60,667**	**246,241**	**480,350**	**125,778**	**1,318,233**
ფინანსური ვალდებულებები							
კლიენტების დეპოზიტები	4.95%	101,342	12,862	239,754	27,849	892	382,699
ბანკების დეპოზიტები	4.80%	-	636	14,798	-	-	15,434
სუბორდინირებული სესხი	5.50%	-	2,245	6,861	36,448	232,860	278,414
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები		**101,342**	**15,743**	**261,413**	**64,297**	**233,752**	**676,547**
ბანკების დეპოზიტები		25	-	-	-	-	25
კლიენტების დეპოზიტები		271,923	-	-	-	-	271,923
სხვა ფინანსური ვალდებულებები		655	-	2,652	-	-	3,307
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური ვალდებულებები		**272,603**	**-**	**2,652**	**-**	**-**	**275,255**
სულ ფინანსური ვალდებულებები		**373,945**	**15,743**	**264,065**	**64,297**	**233,752**	**951,802**
გაცემული გარანტიები		1,710	9,703	24,916	17,116	85	**53,530**
აკრედიტივები და სხვა ტრანზაქციები		2,765	784	4,314	-	-	**7,863**
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები		10,285	946	13,131	15,311	9,138	**48,811**
სულ ფინანსური და პირობითი ვალდებულებები		**388,705**	**27,176**	**306,426**	**96,724**	**242,975**	**1,062,006**

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენ-ტო განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	დეკემბერი 31, 2017 სულ
ფინანსური აქტივები							
ფული და ფულის ექვივალენტები	7.25%	45,068	-	-	-	-	45,068
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	1.25%	120,479	-	-	-	-	120,479
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	8.00%	-	6,068	-	-	-	6,068
კლიენტებზე გაცემული სესხები	10.00%	125,653	53,755	194,227	391,094	234,328	999,057
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	7.28%	4,500	9,380	14,759	-	-	28,639
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივები		**295,700**	**69,203**	**208,986**	**391,094**	**234,328**	**1,199,311**
ფული და ფულის ექვივალენტები		179,643	-	-	-	-	179,643
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები		6,109	264	1,379	6,945	3,556	18,253
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ		-	-	8,245	-	4,048	12,293
ინვესტიციები კაპიტალში		57	-	-	-	-	57
სხვა ფინანსური აქტივები		1,295	777	2,133	380	304	4,889
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური აქტივები		**187,104**	**1,041**	**11,757**	**7,325**	**7,908**	**215,135**
სულ ფინანსური აქტივები		**482,804**	**70,244**	**220,743**	**398,419**	**242,236**	**1,414,446**
ფინანსური ვალდებულებები							
კლიენტების დეპოზიტები	3.25%	147,896	9,497	175,880	99,845	5,044	438,162
ბანკების დეპოზიტები	4.5%	-	-	14,901	-	-	14,901
სუბორდინირებული სესხი	5.5%	-	2,452	9,132	39,805	250,057	301,446
სხვა ნასესხები სახსრები	5.5%	-	-	-	33,054	-	33,054
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები		**147,896**	**11,949**	**199,913**	**172,704**	**255,101**	**787,563**
ბანკების დეპოზიტები		3,796	-	-	-	-	3,796
კლიენტების დეპოზიტები		294,259	-	-	-	-	294,259
სხვა ფინანსური ვალდებულებები		931	2,396	-	-	-	3,327
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური ვალდებულებები		**298,986**	**2,396**	**-**	**-**	**-**	**301,382**
სულ ფინანსური ვალდებულებები		**446,882**	**14,345**	**199,913**	**172,704**	**255,101**	**1,088,945**
გაცემული გარანტიები		2,284	10,004	25,057	27,246	100	64,691
აკრედიტივები		7	-	8,245	-	-	8,252
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები		9,271	628	4,938	6,264	1,209	22,310
სულ ფინანსური და პირობითი ვალდებულებები		**458,444**	**24,977**	**238,153**	**206,214**	**256,410**	**1,184,198**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ ბანკის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების ან ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდადებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება ჯგუფი. ჯგუფის მიერ რისკების გამოთვლის მეთოდებსა და რისკების მართვაში ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

ჯგუფი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკებს, ვინაიდან ის სესხებს ირებს როგორც ფიქსირებული, ასევე მცოცავი განაკვეთებით. ჯგუფი ამ რისკებს მართავს ფიქსირებული და მცოცავი განაკვეთის მქონე სესხების დაბალანსების საშუალებით.

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აგრეთვე მართავს საპროცენტო განაკვეთისა და საბაზრო რისკებს ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის პოზიციის ადეკვატურობით, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის პოზიტიურ საპროცენტო მარჟას. ჯგუფის ხელმძღვანელობა აწარმოებს ჯგუფის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას ჯგუფის მომგებიანობაზე.

ჯგუფის სასესხო კონტრაქტების და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უმეტესობა, რომლებიც საპროცენტო სარგებლის მატარებელია, ან ცვლადია ან მოიცავს პირობას, რომელიც საპროცენტო განაკვეთის გამსესხებლის სეხედულებისამებრ შეცვლისუ საშუალებას იძლევა. ჯგუფი ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის მარჟის მონიტორინგს და შესაბამისად, მიაჩნია, რომ არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთისა და ფულადი სახსრების მოძრაობის მნიშვნელოვან რისკს.

მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ

საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკებს ჯგუფი მართავს პოთენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით, რომელიც შესაძლებელია წარმოისვას ბაზრის კონიუქთურის ნეგატიური ცვლილებების შედეგად. ჯგუფის ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს, აფასებს ჯგუფის მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების ცვლილების მიმართ და მის გავლენას ჯგუფის მომგებიანობაზე.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის რისკის მგრძნობიარობის ანალიზს, რომელიც განისაზღვრა ,,რისკის ცვალებადობის შესაძლო მისაღებ ცვლილებებზე" დაყრდნობით. ამ ცვლილებების დონე განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ და გათვალისწინებულია რისკების ანგარიშებით, რომლებსაც ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას წარუდგენენ.

საპროცენტო განაკვეთის 2 ბაზისური პუნქთით ცვლილების გავლენა მოგებაზე გადასახადის გადახდამდე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე დაყრდნობით 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

	დეკემბერი 31, 2018		დეკემბერი 31, 2017	
	საპროცენტო განაკვეთი +5%	საპროცენტო განაკვეთი -5%	საპროცენტო განაკვეთი +5%	საპროცენტო განაკვეთი -5%
წმინდა ზეგავლენა დასაბეგრ მოგებაზე	25,514	(25,514)	17,571	(17,571)
წმინდა ზეგავლენა კაპიტალზე	21,687	(21,687)	14,826	(14,826)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმართება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ჯგუფი ექვემდებარება ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკათორების დადგენილი საფუძვლების რია სავალუტო პოზიციის მართვით, რაც ჯგუფს აზლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით სახაზინო განყოფილება ახორციელებს ჯგუფის რია სავალუტო პოზიციის ყოველდღიურ მონიტორინგს.

ჯგუფის რია სავალუტო პოზიცია იმ ძირითად უცხოურ ვალუტაში , რომელშიც ბანკი აქტივებსა და ვალდებულებებს ფლობს, მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.070 ლარი	სხვა ვალუტა	დეკემბერი 31, 2018 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	53,381	62,490	4,775	3,889	**124,535**
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	-	126,294	11,861	-	**138,155**
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	6,212	3,844	2,324	-	**12,380**
კლიენტებზე გაცემული სესხები	253,467	544,525	23,903	-	**821,895**
ინვესტიციები კაპიტალში	57	-	-	-	**57**
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	19,295	-	-	-	**19,295**
სხვა ფინანსური აქტივები	1,799	1,859	407	1	**4,066**
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	**334,211**	**739,012**	**43,270**	**3,890**	**1,120,383**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ბანკების დეპოზიტები	2	15,101	3	-	**15,106**
კლიენტების დეპოზიტები	101,182	493,633	46,920	127	**641,862**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	92	2,390	825	-	**3,307**
სუბორდინირებული სესხი	-	190,595	-	-	**190,595**
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**101,276**	**701,719**	**47,748**	**127**	**850,870**
ღია საბალანსო პოზიცია	**232,935**	**37,293**	**(4,478)**	**3,763**	

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.1044 ლარი	სხვა ვალუტა	დეკემბერი 31, 2017 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	69,593	143,398	10,751	902	**224,644**
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	-	109,873	10,606	-	**120,479**
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	18,253	-	-	-	**18,253**
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	6,507	4,048	8,245	-	**18,800**
კლიენტებზე გაცემული სესხები	230,496	543,869	20,521	-	**794,886**
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	57	-	-	-	**57**
დაფარვამდე ფლობილი ინვესტიციები	27,978	-	-	-	**27,978**
სხვა ფინანსური აქტივები	4,295	437	157	-	**4,889**
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	**357,179**	**801,625**	**50,280**	**902**	**1,209,986**

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.1044 ლარი	სხვა ვალუტა	დეკემბერი 31, 2017 სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ბანკების დეპოზიტები	1,413	16,982	3	-	**18,398**
კლიენტების დეპოზიტები	131,942	504,034	54,328	353	**690,657**
სხვა ნასესხები სახსრები	-	26,289	-	-	**26,289**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,396	931	-	-	**3,327**
სუბორდინირებული სესხი	-	208,368	-	-	**208,368**
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**135,751**	**756,604**	**54,331**	**353**	**947,039**
ღია საბალანსო პოზიცია	**221,428**	**45,021**	**(4,051)**	**549**	

მგრძნობიარობა სავალუტო რისკის მიმართ

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობიარობას 30%-იან ზრდასა და შემცირებაზე აშშ დოლარის ლართან მიმართებაში. 30% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის უცხოური ვალუტის რისკზე ანგარიშის წაღდგენისას და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შეფასებას. მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ არსებული უცხოური ვალუტით დენომინირებულ ფულად ერთეულებს და აკორექტირებს მათ გაცვლით კურსს პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის განაკვეთის 30%-იანი ცვლილებით.

გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულებაზე დაყრდნობით, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

	2018 31 დეკემბერი		2017 31 დეკემბერი	
	ლარი/აშშ დოლარი +30%	ლარი/აშშ დოლარი -30%	ლარი/აშშ დოლარი +30%	ლარი/აშშ დოლარი -30%
ზეგავლენა მოგება/ზარალზე გადასახადამდე	11,188	(11,188)	13,506	(13,506)
ზეგავლენა კაპიტალზე	9,510	(9,510)	11,480	(11,480)

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილი ახდენს ძირითად დაშვებებში ცვლილებების შედეგების დემონსტრირებას, ხოლო სხვა დაშვებები რჩება უცვლელი. რეალობაში არსებობს კორელაცია დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მგრძნობიარობა არ არის წრფივი და უფრო დიდი ან პატარა გავლენა არ უნდა იქნას ინტერპოლირებული, ან ექსტრაპოლირებული ამ შედეგებიდან გამომდინარე.

მგრნობიარობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები საკმაოდ აქტიურად იმართება. ამასთან, ჯგუფის ფინანსური პოზიცია შეიძლება იცვლებოდეს იმ დროისათვის, როდესაც ფაქტობრივი საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას. ვინაიდან საინვესტიციო ბაზარს ახასიათებს სხვადასხვა ცვლილებების დონე, მართვის ქმედებებმა შესაძლოა მოიცვას ინვესტიციების გაყიდვა, საინვესტიციო პორტფელის გადანაწილების ცვლილებები და სხვა დაცვითი ღონისძიებების განხორციელება. ამის შედეგად დაშვებებში ცვლილებების ფაქტობრივ გავლენას შეიძლება არ ქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხება. ასეთ გარემოებებსი აქტივებისა და ვალდებულებების განსხვავებულმა შეფასებამ შეიძლება მიგვიყვანოს აქციონერების კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა შეზრუდვები მგრძნობიარობის ანალიზში მოიცავს სავარაუდო საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის მსგავსად იმოქმედებს.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია კონკრეტული ფასიანი ქაღალდისთვის, ან მისი გამომსვებისთვის სპეციფიური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებულ ყველა ფასიანი ქაღალდზე მოქმედი ფაქტორებით. ჯგუფზე გავლენას ახდენს მისი პროდუქტების საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

ჯგუფი საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტების, მარჟებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ. გაუნაღდებელ სასესხო ვალდებულებებთან მიმართებაში ჯგუფი პოტენციურად ექვემდებარება ამგვარი ვალდებულებების მთლიანი ოდენობის დანაკარგს. თუმცა, დანაკარგის სავარაუდო ოდენობა ნაკლებია, ვინაიდან პირობითი ვალდებულებების უმეტესობა დამოკიდებულია საკრედიტო ხელშეკრულებების გარკვეულ პირობებზე.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს რომელიც წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არ არსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები და ფინანსური ზარალი. ჯგუფი ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

34. შემდგომი მოვლენები

2019 წლის 29 იანვარს და 2019 წლის 16 აპრილს ბანკმა გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 20,000 ლარის და 25,000 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ჯგუფი ბანკი ქართუ

სარჩევი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:	
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიში	5
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში	6
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში	7-8
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:	
1. ორგანიზაცია	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა	12
4. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	20
5. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები	41
6. ფული და ფულის ექვივალენტები	44
7. სავალდებულო მინიმალური რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში	44
8. მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	45
9. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	45
10. კლიენტებზე გაცემული სესხები	46
11. ინვესტიციები კაპიტალში	49
12. ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	49
13. ძირითადი საშუალებები	50
14. სხვა აქტივები	51
15. ბანკების დეპოზიტები	52
16. კლიენტების დეპოზიტები	53
17. სხვა ნასესხები სახსრები	53
18. სხვა ვალდებულებები	54
19. სუბორდინირებული სესხები	54
20. საწესდებო კაპიტალი	57
21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	57
22. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე და სხვა რეზერვები	57
23. წმინდა მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე	58
24. წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	59
25. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები	59
26. სხვა შემოსავალი, წმინდა	59
27. საოპერაციო ხარჯები	60
28. მოგების გადასახადი	60
29. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	62
30. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	63
31. ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება	65
32. კაპიტალის რისკის მართვა	67
33. რისკის მართვის პოლიტიკა	69
34. შემდგომი მოვლენები	91

ჯგუფი ბანკი ქართუ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც რეალურად ასახავს სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს („ბანკი") და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი") ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების კონსოლიდირებულ შედეგებს, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობასა და კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 13 მაისს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნატო ხაინდრავა

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
გივი ლებანიძე

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება ბანკის ქართუს („ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კონსოლიდირებული მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლების, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს აუდიტის მოსაზრებას.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ წინამდებარე რეპორტში არ გადმოვცემთ არანაირ რწმუნებულებას მასზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უხუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის უნარი, განაგრძოს უწყვეტი საწარმოს პრინციპით საქმიანობა. აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ბანკის ან მისი შვილობილების ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება ბანკის ქართუს („ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კონსოლიდირებული მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლების, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (ბბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ბბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს აუდიტის მოსაზრებას.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ წინამდებარე რეპორტში არ გადმოვცემთ არანაირ რწმუნებულებას მასზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მომზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის უნარი, განაგრძოს უწყვეტი საწარმოს პრინციპით საქმიანობა. აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ბანკის ან მისი შვილობილების ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი მოსაზრების გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიცირებას ვუკეთებთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარ განზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების შესაფერისობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, უწყვეტად გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში, შესაბამისი ტრანზაქციებსა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ჯონ რობინსონი
შპს დელოიტი და ტუშის სახელით

თბილისი, საქართველო
2019 წლის 13 მაისი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
აქტივები:			
ფული და ფულის ექვივალენტები	6	124,535	224,644
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	7	138,155	120,479
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	8	-	18,253
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	9	12,380	18,800
კლიენტებზე გაცემული სესხები	10	821,895	794,886
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში*	12	19,295	27,978
ინვესტიციები კაპიტალში*	11	57	57
ძირითადი საშუალებები	13	12,583	14,062
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		7,225	1,537
სხვა აქტივები	14	77,369	81,445
სულ აქტივები		**1,213,494**	**1,302,141**
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები:			
ბანკების დეპოზიტები	15	15,106	18,398
კლიენტების დეპოზიტები	16	641,862	690,657
სხვა ნასესხები სახსრები	17	-	26,289
სხვა რეზერვები	22	3,797	2,408
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები	28	8,637	6,362
სხვა ვალდებულებები	18	7,380	7,953
სუბორდინირებული სესხები	19	190,595	208,368
სულ ვალდებულებები		**867,377**	**960,435**
კაპიტალი:			
დამფუძნებელ აქციონერებზე განაწილებული კაპიტალი:			
სააქციო კაპიტალი	20	114,430	114,430
დამატებით შეტანილი კაპიტალი	19	12,667	13,795
გაუნაწილებელი მოგება		218,946	213,496
სულ დამფუძნებელ აქციონერებზე განაწილებული კაპიტალი		346,043	341,721
არაკონტროლირებადი წილი		74	(15)
სულ კაპიტალი		**346,117**	**341,706**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**1,213,494**	**1,302,141**

* ჯგუფმა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ასახვის ფორმა შეიცვალა 2018 წლის 1 იანვარს ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკის გატარების შედეგად. დამატებითი ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკის მიღების თაობაზე იხილეთ შენიშვნაში #4

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნატო ხაინდრავა

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
გივი ლებანიძე

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

9-91 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	21	91,686	99,520
საპროცენტო ხარჯი	21	(30,691)	(31,529)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვებამდე/(რეზერვის აღდგენამდე)		60,995	67,991
საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების (რეზერვი)/რეზერვის აღდგენა	22	(3,026)	6,522
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**57,969**	**74,513**
საკომისიო შემოსავალი	25	6,803	6,552
საკომისიო ხარჯი	25	(6,362)	(5,088)
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	24	(3,959)	3,148
სხვა ოპერაციების რეზერვი	22	(1,830)	(142)
საპროცენტო შემოსავლის არმქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის აღდგენა	22	47	-
წმინდა მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე	23	-	2,717
სხვა შემოსავალი, წმინდა	26	8,085	4,122
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		**2,784**	**11,309**
საოპერაციო შემოსავალი		60,753	85,822
საოპერაციო ხარჯები	27	(28,235)	(29,156)
მოგება მოგების გადასახადამდე		**32,518**	**56,666**
მოგების გადასახადის ხარჯი	28	(6,314)	(6,948)
წლის წმინდა მოგება		**26,204**	**49,718**
სხვა სრული შემოსავლები		-	-
სულ სრული შემოსავლები		**26,204**	**49,718**
განეკუთვნება:			
დამფუძნებლის აქციონერები		26,200	49,676
არაკონტროლირებადი წილი		4	42
		26,204	**49,718**

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნატო ხაინდრავა

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
გივი ლებანიძე

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

9-91 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ ბანკის აქციონერებზე განაწილებული კაპიტალი	უმცირესობის წილი	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2017		**114,430**	**9,424**	**154,422**	**278,276**	**(83)**	**278,193**
წლის წმინდა მოგება		-	-	49,676	49,676	42	49,718
არაკონტროლირებადი წილის შემცირება ს.ს. "დაზღვევის კომპანია ქართუს" წილის შესყიდვის გამო		-	-	(26)	(26)	26	-
გადატანილი გაუნაწილებელ მოგებაში		-	(9,424)	9,424	-	-	-
დამატებით შეტანილი კაპიტალი		-	16,230	-	16,230	-	16,230
მოგების გადასახადი დამატებით შეტანილ კაპიტალზე		-	(2,435)	-	(2,435)	-	(2,435)
დეკემბერი 31, 2017		**114,430**	**13,795**	**213,496**	**341,721**	**(15)**	**341,706**
ფასს 9-ის პირველი გამოყენებით გამოწვეული კორექტირება, გადასახადის გარეშე		**-**	**-**	**(2,515)**	**(2,515)**	**-**	**(2,515)**
იანვარი 1, 2018 (გადაფასებული)		**114,430**	**13,795**	**210,981**	**339,206**	**(15)**	**339,191**
წლის წმინდა მოგება		-	-	26,200	26,200	4	26,204
არაკონტროლირებადი წილის შემცირება ს.ს. „დაზღვევის კომპანია ქართუს" წილის შესყიდვის გამო		-	-	(85)	(85)	85	-
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები		-	-	(20,000)	(20,000)	-	(20,000)
გადატანილი გაუნაწილებელ მოგებაში	19	-	(1,572)	1,572	-	-	-
დამატებით შეტანილი კაპიტალი	19	-	522	-	522	-	522
მოგების გადასახადი დამატებით შეტანილ კაპიტალზე	19	-	(78)	278	200	-	200
31 დეკემბერი, 2018		**114,430**	**12,667**	**218,946**	**346,043**	**74**	**346,117**

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნატო ხაინდრავა

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
გივი ლებანიძე

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

9-91 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება მოგების გადასახადამდე:		32,518	56,666
კორექტირებები:			
გაუფასურების დანაკარგების რეზერვის შექმნა/(რეზერვის აღდგენა)საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე	22	3,026	(6,522)
სხვა ოპერაციების რეზერვის შექმნა	22	1,830	142
საპროცენტო შემოსავლის არ მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების აღდგენა	22	(47)	-
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	24	10,319	3,432
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	27	2,640	2,818
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება		(15,364)	(9,463)
პირობის ცვლილების ეფექტი სუბორდინირებულ სესხზე	19	(848)	-
დასაკუთრებული აქტივებისა და ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება	26	(5,700)	(667)
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების წმინდა ცვლილება		-	9,622
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**28,374**	**56,028**
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში			
(ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:			
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში		(11,229)	12,595
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		6,832	(13,761)
კლიენტებზე გაცემული სესხები		19,108	13,432
სხვა აქტივები		(6,621)	5,851
ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:			
ბანკების დეპოზიტები		(4,346)	205
კლიენტების დეპოზიტები		(78,488)	(21,297)
სხვა ვალდებულებები		(723)	(6,120)
საოპერაციო საქმიანობიდან გაცემული/(მიღებული) ნაღდი ფული		**(47,093)**	**46,933**
გადახდილი მოგების გადასახადი		(9,060)	(10,479)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება/(შემოდინება) საოპერაციო საქმიანობიდან		**(56,153)**	**36,454**

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(219)	(5,405)
შემოსავალი ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან		-	47
შემოსავალი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან		-	2,108
დასაკუთრებული ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		15,142	-
სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციების შესყიდვა		27,692	19,008
შემოსავალი სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალიზაციიდან		(19,023)	(27,281)
წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება/(გადინება)საინვესტიციო საქმიანობიდან		**23,592**	**(11,523)**
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან:			
სხვა ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი		-	89,341
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა		(24,953)	(190,542)
არაკონტროლირებადი წილიდან შვილობილი კომპანიის წილის შესყიდვა		(85)	(450)
გადახდილი დივიდენდები		(20,000)	-
შემოსავალი სუბორდინირებული სესხიდან		4,303	-
სუბორდინირებული სესხის დაფარვა		(29,987)	-
ფულადი სახსრების წმინდა გადინებაფინანსური საქმიანობიდან		**(70,722)**	**(101,651)**
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილ ნაღდ ფულზე		3,174	2,748
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(103,283)	(76,720)
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში		**224,644**	**298,616**
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს		**124,535**	**224,644**

ჯგუფის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შეადგინა 25,531 ათასი და 70,395 ათასი ლარი, შესაბამისად.

ჯგუფის მიერ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შეადგინა 33,373 ათასი და 95,006 ათასი ლარი, შესაბამისად.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნატო ხაინდრავა

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი
გივი ლებანიძე

2019 წლის 13 მაისი
თბილისი, საქართველო

9-91 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ორგანიზაცია

სააქციო საზოგადოება "ბანკი ქართუ" (შემდგომში "ბანკი") რეგისტრირებულია საქართველოში 1996 წლიდან. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი ("სებ"). ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს #229 გენერალური ლიცენზიის საფუძველზე. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საქმიანობა, სესხებისა და გარანტიების გაცემა, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით, აგრეთვე, დეპოზიტების მოზიდვა.

ბანკის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 39ა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს გააჩნდა ხუთი სერვის-ცენტრი თბილისში, აგრეთვე, განყოფილება შეკვეთილში და სერვის-ცენტრები გორში, თელავში, ქუთაისსა და ბათუმში.

ბანკი წარმოადგენს ჯგუფის (შემდგომში "ჯგუფი") დამფუძნებელ კომპანიას, რომელიც შედგება ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებული შემდეგი სუბიექტებისგან:

		ბანკის მფლობელობის საპროცენტო წილი (%)		
სახელწოდება	**საქმიანობის ქვეყანა**	**2018**	**2017**	**საქმიანობის ტიპი**
შპს "ქართუ ბროკერი"	საქართველო	100.00%	100.00%	საბროკერო
სს "დაზღვევის კომპანია ქართუ"	საქართველო	91.39%	88.77%	დაზღვევა
საინვესტიციო კომპანია შპს „ქართუ ინვესტი"	საქართველო	100.00%	100.00%	უმოქმედო
შპს „გეოპლასტი"	საქართველო	100.00%	100.00%	უმოქმედო

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ქართუ ჯგუფი" (საქართველო) ფლობდა ბანკის აქციების 100%-ს.

ძირითადი აქციონერი, რომელიც აკონტროლებს ჯგუფის ოპერაციებს, არის უტა ივანიშვილი, ბიძინა ივანიშვილის შვილი.

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2019 წლის 13 მაისს.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ ჯგუფი წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისთვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის, იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება, ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას ჯგუფი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, კონდოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები რეგისტრირებულნი არიან საქართველოში და აწარმოებენ საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია შენიშვნაში #33.

ფუნქციონალური ვალუტა. ჯგუფის ყველა კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ღირებულებები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ჯგუფი მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში არ ქვითავს შემოსავლებსა და ხარჯებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაქვითვა მოითხოვება რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, ან ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ჯგუფის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პირველი კომპლექტი, რომელშიც გამოყენებულია ფასს 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები" და ფასს 15 - „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან". ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში აღწერილია შენიშვნაში #4.

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბანკისა და მის მიერ კონტროლირებადი საწარმოების, ასევე მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი ხორციელდება, როდესაც

- ბანკს გააჩნია ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე;

- ბანკს ეძლევა ან აქვს უფლება, მოითხოვოს ინვესტირების ობიექტთან საქმიანი ურთიერთობის შედეგად მიღებული ამონაგები; და
- ბანკს შეუძლია მის ხელთ არსებული ძალაუფლება გამოიყენოს ამონაგებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.

ბანკი შეაფასებს, აქვს თუ არა ინვესტირების ამა თუ იმ ობიექტზე კონტროლი, თუ გარემოებები მიუთითებს, რომ კონტროლის ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან მეტ ელემენტში მოხდა ცვლილება.

თუ ინვესტირების ობიექტში ბანკს გააჩნია ხმის უფლების უმრავლესობაზე ნაკლები, მას ინვესტირების ობიექტში ძალაუფლება ექნება იმ შემთხვევაში, თუ მის ხელთ არსებული ხმის უფლებები საკმარისია მისთვის ობიექტის სათანადო საქმიანობის ცალმხრივად გაძღოლის პრაქტიკული შესაძლებლობის მისანიჭებლად. იმის შესაფასებლად, საკმარისია თუ არა მის ხელთ არსებული ხმის უფლებები ძალაუფლების მისანიჭებლად, ბანკი ითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტსა და გარემოებას, მათ შორის:

- ბანკის მიერ ფლობილი ხმის უფლებების მოცულობას ხმის დანარჩენი უფლებების წილთან და განაწილებასთან შედარებით;
- ბანკის, სხვა ხმის უფლებათა მქონე თუ სხვა მხარეთა მიერ ფლობილ პოტენციურ ხმის უფლებებს;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოშობილ უფლებებს; და
- ყველა დამატებით ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ ბანკს აქვს ან არ აქვს შესაძლებლობა, გადაწყვეტილების მიღების საჭიროების შემთხვევაში, წარმართოს შესაბამისი საქმიანობა, მათ შორის აქციონერთა წინაშე კრებებზე ხმათა განაწილების სქემები.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდირება იწყება, როდესაც ბანკი იძენს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და სრულდება, როდესაც ბანკი ამ კონტროლს კარგავს. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში შედის ბანკის მიერ კონტროლის მიღების დღიდან ბანკის მიერ კონტროლის დაკარგვის დღემდე.

საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები კორექტირდება ჯგუფის მიერ გამოყენებულ ბუღალტრულ პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ჯგუფის ყველა შიდა ვალდებულება, ასევე კაპიტალი, ტრანზაქციებთან დაკავშირებული შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრების მოძრაობა კონსოლიდაციის დროს სრულად ბათილდება.

არაკონტროლირებადი წილი. არასაკონტროლირებადი წილი წარმოადგენს შვილობილი კომპანიების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, ასევე წმინდა აქტივების წილს, რომელიც არ არის პირდაპირ ან არაპირდაპირ ჯგუფის მფლობელობაში.

მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშსა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში არაკონტროლირებადი წილი წარმოდგენილია ცალკე, ხოლო ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში იგი შედის კაპიტალში დამფუძნებელი აქციონერი კომპანიის კაპიტალისაგან დამოუკიდებლად.

არსებულ შვილობილ კომპანიებში ჯგუფის მიერ ფლობილი წილების ცვლილება. ჯგუფის მიერ შვილობილ კომპანიებში ფლობილი წილების ისეთი ცვლილება, რომელიც არ იწვევს ამ კომპანიაზე ჯგუფის კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება, როგორც წილობრივი ტრანზაქცია. ჯგუფის მიერ ფლობილი წილებისა და არაკონტროლირებადი წილის საბალანსო ღირებულება ისე კორექტირდება, რომ მათში აისახოს შვილობილ კომპანიაში ფარდობითი წილის ცვლილება. სხვაობა არაკონტროლირებადი წილის კორექტირებულ ოდენობასა და გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების რეალურ ღირებულებას შორის პირდაპირ აღიარდება კაპიტალში და მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელებს.

3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა

ფინანსურ ანგარიშებში ნაჩვენებ თანხებზე მოქმედ ფასს-ებში შეტანილი შესწორებები

ბანკმა ფასს 9 და ფასს 15-ის გამოყენება დაიწყო 2018 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 9 ***"ფინანსური ინსტრუმენტები".***

ბანკმა მიიღო ბასს-ის მიერ 2014 წლის ივლისში გამოცემული ფასს 9, რომლის თავდაპირველი გამოყენების თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ახალი სტანდარტის გამოყენებამ გამოიწვია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების ცვლილებები და ფინანსურ ანგარიშგებაში მანამდე აღიარებული თანხების კორექტირების აუცილებლობა.

ფასს 9-ის გარდამავალი დებულებების შესაბამისად, ბანკმა გადაწყვიტა, არ გადაეფასებინა შესადარისი რიცხვები. ფასს 9-ზე გადასვლის დღისათვის დაფიქსირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება აისახა მიმდინარე პერიოდის საწყის გაუნაწილებელ მოგებასა და სხვა რეზერვებში. ამდენად, განმარტების მიზნებისათვის, ფასს 7-ით გათვალისწინებული განმარტებების შესაბამისი შესწორება გამოყენებული იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდზე, გარდა ქვემოთ აღწერილი შემთხვევებისა.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-ზე გადასვლის გამო ბანკმა ცვლილებები შეიტანა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშისა და განმარტებების საპრეზენტაციო ფორმაში. ეს ცვლილებები შეეხო მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებს, რომლებიც ფასს 9-ის თანახმად აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით კლიენტზე გაცემულ სესხებთან ერთად განსხვავებით 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისგან, როდესაც მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები წარმოდგენილი იყო ცალკე;

ფასს 9-ის მიღებამ გამოიწვია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების, კლასიფიკაციისა და შეფასების, აგრეთვე, ფინანსური აქტივების გაუფასურების პოლიტიკების ცვლილება. ფასს 9-ის ამოქმედების შედეგად, მნიშვნელოვანი ცვლილება შედის ფინანსური ინსტრუმენტების მარეგულირებელ სხვა სტანდარტებში, მაგალითად, ფასს 7: „ფინანსური ისნსტრუმენტები: განმარტება".

ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების ეფექტი ძირითადად ვრცელდება შემდეგზე:

- გაუფასურების ახალი მოდელის გამო, ფინანსურ აქტივებზე აღიარებული გაუფასურების დანაკარგების ზრდა/კლება
- ფასს 9-თან დაკავშირებული დამატებითი განმარტებები.

დამატებითი ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკების თაობაზე იხილეთ შენიშვნაში #4.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის ნაშთების შედარება ბასს 39-სა ფასს 9-ს შორის

ბანკში ჩატარდა ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელებისა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების დეტალური ანალიზი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ერთმანეთს არის შედარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები ბასს 39-ის მიხედვით შეფასების წინანდელი კატეგორიისა და 2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ზე გადასვლისას მიღებული შეფასების ახალი კატეგორიის მიხედვით:

	თავდაპირველი კლასიფიკაცია ბასს 39-ის მიხედვით	ახალი კლასიფიკაცია ფასს 9-ის მიხედვით	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით	ახალი საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით
ფული და ფულის ექვივალენტები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	224,644	224,602
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	120,479	120,447
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები [1]	მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	N/A	18,253	-
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	18,800	18,779
კლიენტებზე გაცემული სესხები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	794,886	810,327
ინვესტიციები კაპიტალში	სავაჭროდ განკუთვნილი	რეალური ღირებულება	57	57
		სხვა სრულ შემოსავალში - საკუთარი კაპიტალი		
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	დაფარვის ვადამდე ფლობილი	ამორტიზებული ღირებულება	27,978	27,951
სხვა ფინანსური აქტივები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	4,889	4,423
სულ ფინანსური აქტივები			**1,209,986**	**1,206,586**
ბანკების დეპოზიტები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	18,398	18,398
კლიენტების დეპოზიტები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	690,657	690,657
სხვა ნასესხები სახსრები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	26,289	26,289
სხვა ფინანსური ვალდებულებები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	3,327	3,327
სუბორდინირებული სესხი	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	208,368	208,368
სულ ფინანსური ვალდებულებები			**947,039**	**947,039**
წმინდა ფინანსური აქტივები			**262,947**	**259,547**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბანკის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეფასების თავდაპირველი კატეგორიები ბასს 39-ის მიხედვით და შეფასების ახალი კატეგორიები ფასს 9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	რეკლასიფიკაცია	გადაფასება	საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
ფინანსური აქტივები სესხებიდან და მოთხოვნებიდან	**1,163,696**	**(1,163,696)**	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	224,644	-	(42)	224,602
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	120,479	-	(32)	120,447
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18,800	-	(21)	18,779
კლიენტებზე გაცემული სესხები	794,886	-	(10,141)	784,745
სხვა ფინანსური აქტივები	4,889	-	(466)	4,423
ამორტიზებულ ღირებულებაში	**-**	**(1,163,696)**	**(10,702)**	**1,152,996**
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებიდან	18,253	**(18,253)**	**-**	**-**
კლიენტებზე გაცემული სესხები [1]		18,253	7,329	25,582
ამორტიზებულ ღირებულებაში		**18,253**	**7,329**	**25,582**
გასაყიდად განკუთვნილიდან	**57**	**(57)**	**-**	**-**
ინვესტიციები კაპიტალში	-	57	-	57
რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში- საკუთარ კაპიტალში	-	**57**	-	**57**
დაფარვის ვადამდე ფლობილიდან	**27,978**	**(27,978)**	-	-
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	-	27,978	(27)	27,951
ამორტიზებულ ღირებულებაში	**-**	**27,978**	**(27)**	**27,951**
ფინანსური ვალდებულებები ბასს 39 საბალანსო ღირებულებიდან	**947,039**	**(947,039)**	-	-
ბანკების დეპოზიტები	18,398	-	-	18,398
კლიენტების დეპოზიტები	690,657	-	-	690,657
სხვა ნასესხები სახსრები	26,289	-	-	26,289
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,327	-	-	3,327
სუბორდინირებული სესხი	208,368	-	-	208,368
ფასს 9 ამორტიზებულ ღირებულებაში	-	**(947,039)**	-	**947,039**

[1] კლიენტებთან გაფორმებული და ლარში დენომინირებული გარკვეული ხელშეკრულებები მოიცავს უცხოური ვალუტის პირობებს, რომლებითაც ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. ბასს 39-ის მიხედვით, ითვლებოდა, რომ ასეთი პირობა არ განსაზღვრავდა წარმოებული ინსტრუმენტის თავდაპირველ ხელშეკრულებასთან მჭიდრო კავშირს , შესაბამისად, აღირიცხებოდა ინდივიდუალურად, მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით.

ფასს 9 კრძალავს ჰიბრიდული ხელშეკრულებიდან ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტის გამოცალკევებას, როდესაც თავდაპირველი ხელშეკრულება მის მიერ რეგულირებადი ფინანსური აქტივია. ამდენად, მთელი ჰიბრიდული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება შეფასების სამი კატეგორიიდან ერთ-ერთით.

ბანკის მენეჯმენტმა გაანალიზა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადებისა და ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მათი რაოდენობრივი ცვლილები. ძირისა და დარჩენილ ძირზე ულევერიჯო გაცვლითი კურსით დარიცხული პროცენტის გადახდების დაკავშირება ფულის დროში ღირებულებას მიმდინარე დონეზე აფიქსირებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინსტრუმენტზე მოქმედ საპროცენტო განაკვეთში აისახება „რეალური“ პროცენტი და ფულადი ნაკადების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები საბაზისო სასესხო გარიგების

შესაბამისია. ამდენად, აღნიშნული ხელშეკრულებები გადის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ტესტს და ფასს 9-ის მიხედვით, ჰიბრიდული ხელშეკრულება ამორტიზებული ღირებულებით ფასდება.

შემდეგ ცხრილში ერთმანეთთან შედარებულია, ერთი მხრივ, წინა პერიოდის საბოლოო გაუფასურების დანაკარგების რეზერვი, რომელიც შეფასებულია ბასს 39-ის გაწეული ზარალის მოდელით და, მეორე მხრივ, გაუფასურების დანაკარგების ახალი რეზერვი, რომელიც შეფასებულია 2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ის მოსალოდნელი ზარალის მოდელით:

	გაუფასურების ზარალის რეზერვი ბასს **39**-ით/რეზერვი ბასს **37**-ით	რეკლასიფიკაცია	გადაფასება	მსდ-ის რეზერვი ფასს **9**-ით
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	42	42
სავალდებულო მინიმალური რეზერვი ი სებ-ში	-	-	32	32
კლიენტებზე გაცემული სესხები	74,837	-	15,273	90,110
დაფარვამდე ფლობილი ინვესტიციები (ბასს 39)	-	-	-	-
სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური აქტივები (ბასს 39)	-	-	-	-
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	-	21	21
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	-	-	27	27
ინვესტიციები კაპიტალში	-	-	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	466	466
სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის კონტრაქტები	2,408	-	(441)	1,967
სულ	**77,245**	**-**	**15,420**	**92,665**

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი, გადასახადის გარეშე, გაუფასურების დანაკარგების ანარიცხებსა და გაუნაწილებელ მოგებაზე. ეფექტი დაკავშირებულია გაუნაწილებელ მოგებასთან. საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტებზე ეფექტი არ ფიქსირდება.

გაუნაწილებელი მოგება	
საბოლოო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით (2017 წლის 31 დეკემბერი)	**213,496**
კლიენტებზე გაცემულ სესხებში ჩაშენებული წარმოებულის გადაფასება ამორტიზებული ღირებულებით, რომელიც ადრე განცალკევებით იყო აღიარებული	7,329
გაცემული სესხების გადაფასება ფასს 9-ის მიხედვით	5,132
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის აღიარება ფასს 9-ის მიხედვით	(15,861)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის აღიარება ფასს 9-ის მიხედვით გარანტიებისა და აუთვისებელი საკრედიტო ხაზებისთვის	441
გადავადებული მოგების გადასახადის სარგებელი	444
გადაფასებული საწყისი ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით (2018 წლის 1 იანვარი)	**210,981**

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის „ბასს 18 – შემოსავლები“, „ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები“ და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მიდგომას შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;

- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, პირი შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის საკონტრაქტო ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი" კლიენტს გადაეცემა. ფასს 15-ს დაემატა უფრო კონსტრუქციული ხასიათის ინსტრუქციები სპეციფიური სცენარების დამუშავების მიზნით. ასევე, შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

2016 წლის აპრილში სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა „ფასს 15-ის განმარტება", რომელიც დაკავშირებულია საკონტრაქტო ვალდებულებათა შესრულების დადგენის, პრინციპალისა და აგენტის ანაზღაურების განსაზღვრის, აგრეთვე, ლიცენზირების გამოყენების პროცედურებთან.

ფასს 15-ის შესწორების გამოყენებას კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის მოცულობაზე ან მიღების დროზე და ბანკის მიერ აღიარებულ შესაბამის აქტივებსა და ვალდებულებებზე არ უმოქმედია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

ბანკი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ, მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 16 - იჯარა;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები;
- შესწორება ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი;
- შესწორება ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება
- შესწორება ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
- ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება;

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების მიღება არსებით ზეგავლენას იქონიებს მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაზე, გარდა ქვემოთ აღწერილი ფასს 16-ისა.

შესწორება ფასს 16 - იჯარა

ბანკი ვალდებულია, ფასს 16 „იჯარები" 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენოს. ბანკმა შეაფასა ის სავარაუდო ეფექტი, რასაც ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე იქონიებს. ქვემოთ აღწერილია აღნიშნული შეფასების შედეგები. 2019 წლის 1 იანვარს სტანდარტის ამოქმედების რეალური ეფექტი შეიძლება შეიცვალოს, რადგან:

- ბანკს არ დაუსრულებია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების კონტროლის ტესტირება და შეფასება; და
- თავდაპირველი გამოყენების თარიღის მომცველი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკები შეიცვლება.

ფასს 16-ში მოცემულია მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს საიჯარო გარიგებებისა და იჯარის ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურების დადგენას მეიჯარეებისა და მოიჯარეებისთვის. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 16 ჩაანაცვლებს იჯარის დამუშავების არსებულ ინსტრუქციებს, მათ შორის "ბასს 17 - იჯარა" და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16 იჯარისა და მომსახურების კონტრაქტებს ერთმანეთისგან განასხვავებს იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა იდენტიფიცირებულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო (არა-საბალანსო) იჯარისა და ფინანსური (საბალანსო) იჯარის განსხვავება მოიჯარის შემთხვევაში უქმდება და ჩანაცვლებულია მოდელით, რომლის მიხედვით, მოიჯარემ უნდა აღიაროს გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება ყველა იჯარაში გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების აქტივებისა.

გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივი თავდაპირველად აისახება სრული ღირებულებით, შემდეგში კი ღირებულებისა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების დანაკარგების სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების გადაფასების ყოველი შემთხვევისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. შემდგომში საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების, აგრეთვე სხვა ფაქტორებს შორის, იჯარის მოდიფიკაციების ეფექტის გათვალისწინებით. გარდა ამისა, იცვლება ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია, რადგან საოპერაციო იჯარის გადახდები, ბასს 17-ის მიხედვით, წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ფულადი ნაკადები; ხოლო ფასს 16-ის მოდელის მიხედვით, საიჯარო გადახდები დაიყოფა ძირითად თანხად და პროცენტად, რომლებიც, შესაბამისად, წარმოდგენილი იქნება ფულად ნაკადებად ფინანსური და საოპერაციო საქმიანობიდან.

მოიჯარის აღრიცხვისგან განსხვავებით, მეიჯარის მხარის ბუღალტრული აღრიცხვა ფასს 16-ში არსებითად ბასს 17-დან არის გადმოტანილი და მის მიხედვით, მეიჯარე კვლავაც ვალდებულია, იჯარა საოპერაციოა ან ფინანსურ იჯარად განასხვავოს.

ბანკმა დაასრულა ფინანსურ ანგარიშგებაზე პოტენციური ზეგავლენის საწყისი შეფასება, მაგრამ დეტალური შეფასება ჯერ არ დასრულებულა. თავდაპირველი გამოყენების პერიოდში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფასს 16-ის რეალური ზეგავლენა დამოკიდებული იქნება მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, ბანკის საიჯარო პორტფელის განვითარებაზე, ბანკის გადაწყვეტილებაზე, გამოიყენებს თუ არა იჯარის განახლების არჩევანს, და იმაზე, თუ რა მასშტაბით გადაწყვეტს იგი პრაქტიკული საშუალებებისა და არასავალდებულო აღიარების უფლების გამოყენებას.

წინასწარი ანალიზი მიუთითებს, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს 8,981 ლარის ოდენობის საოპერაციო იჯარის გადახდის სავალდებულო ხარჯი.

ფასს 16-ის შესაბამისად, გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი გაუფასურებაზე შემოწმდება ბასს 36 - აქტივების გაუფასურების მიხედვით. ეს ჩაანაცვლებს აქამდე არსებულ მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებდა დამამძიმებელი კონტრაქტების რეზერვის აღიარებას.

მოკლევადიანი (12 თვე ან ნაკლები) და დაბალღირებულებიანი აქტივების (მაგალითად, პერსონალური კომპიუტერები და საოფისე ავეჯი) იჯარების შემთხვევაში, ბანკმა გადაწყვიტა, იჯარის ხარჯი წრფივ საფუძველზე ასახოს, რაც ფასს 16-ით არის ნებადართული.

აქამდე ბანკი საოპერაციო იჯარის ხარჯს წრფივად აღიარებდა იჯარის ვადის განმავლობაში, ხოლო აქტივებსა და ვალდებულებებს - მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის დროში სხვაობა რეალურ გადახდებსა და ხარჯის აღიარებას შორის.

ბანკი ფასს 16-ის თავდაპირველ გამოყენებას გეგმავს 2019 წლის 1 იანვარს, მოდიფიცირებული რეტროსპექციული მიდგომით. ამდენად, ფასს 16-ის გამოყენების კუმულატიური ეფექტი აღიარდება როგორც 2019 წლის 1 იანვარს გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება, შესადარისი ინფორმაციის გადაფასების გარეშე.

ბანკი გეგმავს, უარი თქვას ახალ ფასს-ზე გადასვლისას იჯარის განსაზღვრების გამოყენებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ფასს 16-ს გამოიყენებს 2019 წლის 1 იანვრამდე გაფორმებულ და ბასს 17 და ფაისკ 4-ით იჯარად იდენტიფიცირებულ კონტრაქტებზე. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკს არ შეუფასებია ფასს 16-ის ეფექტი.

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები

ახალი სტანდარტით დგინდება სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, გაზომვის, წარდგენისა და განმარტების პრინციპები. ის ფასს 4-ს - "სადაზღვევო კონტრაქტებს" ჩაანაცვლებს.

სტანდარტი იძლევა "ზოგად მოდელს", რომელიც მოდიფიცირდება ისეთი სადაზღვევო კონტრაქტებისათვის, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას ითვალისწინებს, რაც "ცვლადი ანაზღაურების მიდგომად" განისაზღვრება. "ზოგადი მოდელი" მარტივდება "პრემიუმის განაწილების მიდგომის" გამოყენებით დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებათა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

"ზოგად მოდელში" გამოყენებულია მიმდინარე დაშვებები სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასთან, დროსა და არასარწმუნოებასთან დაკავშირებით. მოდელი მკაფიოდ ზომავს ამ არასარწმუნოების ღირებულებას; მოდელი ეფუძნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებსა და პოლისის მფლობელის ოფციონებისა და გარანტიების ზეგავლენას.

სტანდარტის გამოყენება სავარაუდოდ მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს პროცესებსა და სისტემაში და აუცილებელს გახდის ბიზნესის მრავალ ფუნქციას, მათ შორის, ფინანსებს, აქტუარულსა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს შორის მეტი კოორდინაციის არსებობას.

ახალი სტანდარტი ძალაში შევა 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენების უფლება დაშვებულია. კომპანიამ ფასს 17 რეტროსპექტიულად უნდა გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია. ასეთ დროს გამოყენებული იქნება რეალური ღირებულების ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა.

ახალ სტანდარტზე გადასვლის მოთხოვნების მიზნებისათვის, თავდაპირველი გამოყენების თარიღად ითვლება რეალური გამოყენების თარიღი, თუ ის წლიური საანგარიშგებო პერიოდი, რომელშიც კომპანია პირველად გამოიყენებს სტანდარტს და გადასვლის თარიღი არის თავდაპირველი გამოყენების თარიღის უშუალოდ წინმსწრები პერიოდის დასაწყისი.

ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ სტანდარტის ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან სადაზღვევო კომპანია ბანკის უმნიშვნელო წილს შეადგენს.

შესწორებები ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები

შესწორებები განმარტავს, რომ ფასს 9, მისი გაუფასურების მოთხოვნების ჩათვლით, ეხება მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებულ გრძელვადიან წილებს.გარდა ამისა, ფასს 9-ის გრძელვადიან წილებზე გამოყენების დროს, პირი მხედველობაში არ იღებს ბასს 28-ით მოთხოვნილ, საბალანსო ღირებულების კორექტირებას (ანუ გრძელვადიანი წილების საბალანსო ღირებულების იმ კორექტირებას, რომელიც წარმოიშვა ბასს 28-ის შესაბამისად ინვესტირების ობიექტის ზარალის განაწილების ან გაუფასურების შეფასების შედეგად).

შესწორება ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებები იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა შესწორებათა თავდაპირველი გამოყენება ფასს 9-ის პირველ გამოყენებას.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებების გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს სტანდარტების წლიური რედაქტირების 2015-2017 წლების ციკლი

წლიური რედაქტირების ციკლი მოიცავს შესწორებებს ოთხ სტანდარტში.

ბასს 12 - მოგების გადასახადი
შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდებზე მოგების გადასახადის მოქმედების შედეგი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში იმის მიხედვით უნდა აღიაროს, თუ თავდაპირველად სად მოხდა გასანაწილებელი მოგების მომტანი ტრანზაქციების აღიარება. აღნიშნული ვრცელდება ყველა შემთხვევაზე, იმის მიუხედავად, მოქმედებს თუ არა განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებაზე გადასახადის სხვადასხვა განაკვეთი.

ბასს 23 - სესხის აღების ხარჯები
შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ფასს 3 - ბიზნეს-კომბინაციები
ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან უნდა გამოიყენოს ეტაპობრივად მიღწეული ბიზნეს-კომბინაციის მოთხოვნები, მათ შორის, რეალური ღირებულებით ხელახლა შეაფასოს ერთობლივ საწარმოში მანამდე ფლობილი წილები. ეს უკანასკნელი უნდა მოიცავდეს ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებულ აუღიარებელ აქტივებს, ვალდებულებებსა და გუდვილს.

ფასს 11 - ერთობლივი საქმიანობა
ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანია მონაწილეობს, მაგრამ არ ფლობს ერთობლივ კონტროლს ისეთ ერთობლივ საქმიანობაზე, რომელიც არის ბიზნესი და ამ კომპანიამ მოიპოვა ერთობლივი კონტროლი ამგვარ ერთობლივ საქმიანობაზე, კომპანია არ არის ვალდებული, ხელახლა შეაფასოს ერთობლივ საქმიანობაში მანამდე ფლობილი წილი.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნაადრევი გამოყენება ნებადართულია.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება მომავალში არსებით არსებითზეგავლენას იქონიებს ბანკის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორება ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება

შესწორება განმარტავს, რომ წარსულში გაწეული მომსახურების ღირებულება (ან ანგარიშსწორებით მიღებული მოგება ან ზარალი) გამოიანგარიშება დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) შეფასებით, განახლებული დაშვებების გამოყენებითა და შეთავაზებული ანაზღაურებისა და ანაზღაურების პროგრამის აქტივების შედარებით პროგრამის ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ (ან შეკვეცისა თუ გადახდის შემთხვევაში), მაგრამ აქტივის ზღვრული ოდენობის გაუთვალისწინებლად (ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოიშვას, როდესაც განსაზღვრული ანაზღაურების პროგრამა პროფიციტურია). ბასს 19 მკაფიოდ ადგენს, რომ ზღვრული ოდენობის ეფექტი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროგრამის შესწორების (ან შეკვეცის თუ გადახდის) შედეგად, განისაზღვრება მეორე ეტაპზე და ჩვეულებრივად აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ასევე შეიცვალა პარაგრაფები, რომლებიც უკავშირდება მიმდინარე მომსახურების ღირებულებისა და წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) წმინდა პროცენტის შეფასებას. კომპანიებს ახლა ევალებათ მიმდინარე მომსახურების ღირებულებისა და წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) წმინდა პროცენტის შეფასება მთელი დარჩენილი საანგარიშო პერიოდისათვის პროგრამის ცვლილების შემდეგ გადაფასებით მიღებული ახალი დაშვებების გათვალისწინებით. წმინდა პროცენტის შემთხვევაში, შესწორება მკაფიოდ ამბობს, რომ პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში წმინდა პროცენტი გამოითვლება ბასს 19.99-ით გადაფასებული წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) გამრავლებით გადაფასებაში გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთზე (და ასევე წმინდა დადგენილ ვალდებულებაზე (აქტივზე) შენატანებისა და ბენეფიტის გადახდების ეფექტის გათვალისწინებით).

შესწორებები გამოიყენება პროსპექტიულად და ვრცელდება მხოლოდ იმ შესწორებულ, შეკვეცილ ან გადახდილ პროგრამებზე, რომლებიც განხორციელდა ბასს 19-ის პირველი გამოყენების წლიური პერიოდის დაწყების შემდეგ.

ბასს 19-ის შესწორებები ვრცელდება 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, თუმცა, კომპანიის შეხედულებისამებრ, მათი გამოყენება შეიძლება ნაადრევადაც.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ სტანდარტის გამოყენება მომავალში ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორებები)

ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები ეხება ისეთ ვითარებას, როდესაც ინვესტორსა და მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოს შორის ხდება აქტივების ყიდვა-გაყიდვა ან გადაცემა. კერძოდ, შესწორება ამბობს,

რომ ისეთი შვილობილი კომპანიის კონტროლის დაკარგვიდან წარმოშობილი მოგება ან ზარალი, რომელიც არ შეიცავს ბიზნესს ასოცირებულმეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოსთან, რომელიც აღირიცხება კაპიტალის მეთოდით, აღირიცხება დამფუძნებელი კომპანიის მოგება-ზარალში მხოლოდ ამ ასოცირებულმეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოში სხვა ინვესტორების წილების ფარგლებში. მსგავსად, ყოფილ შვილობილ საწარმოში (რომელიც გახდა ასოცირებულიმეკავშირე პირი ან ერთობლივი საწარმო და ახლა წრფივი მეთოდით აღირიცხება) შენარჩუნებული ინვესტიციების რეალურ ღირებულებამდე გადაფასებით მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება თავდაპირველი დამფუძნებელი კომპანიის მოგება-ზარალში მხოლოდ ამ მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოში სხვა არადაკავშირებული ინვესტორების წილების ფარგლებში.

შესწორების ძალაში შესვლის თარიღი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან არსებით ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23 - *მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება*

ფასიკ 23 განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია, როდესაც არსებობს მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, რომ მან:

- დაადგინოს, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად ფასდება თუ ჯგუფურად; და
- შეაფასოს, რამდენად სავარაუდოა, საგადასახადო ორგანო დაეთანხმოს კომპანიის მიერ მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან შემოთავაზებული არასარწმუნო საგადასახადო დამუშავების ფორმას:
  - თანხმობის შემთხვევაში, კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია დაადგინოს მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან ნავარაუდევი ბუღალტრული დამუშავების შესაბამისად.
  - უარის შემთხვევაში, კომპანიამ არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს ბუღალტრული საგადასახადო პოზიციის დადგენაში.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ მთლიანად რეტროსპექტიულად ან ნაწილობრივ რეტროსპექტიული მიდგომით შედარებითი მონაცემების გადაფასების გარეშე.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ სტანდარტის გამოყენება ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკის პრინციპები:

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშში აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება შემდეგ ერთეულებს:

- შესყიდული ან წარმოქმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. მათ შემთხვევაში ბანკი კრედიტზე შესწორებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს იყენებს ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას დაფიქსირებულ ამორტიზებულ ღირებულებაზე.

- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის/იყო შესყიდული ან წარმოქმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები, მაგრამ შემდგომ გაუარესდა/გაუფასურდა. ასეთ ფინანსურ აქტივების ბანკი შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დათვლილი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხავს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების ზუსტ დისკონტირებას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას ბანკი მხედველობაში იღებს მოსალოდნელ ფულად სახსრებს, ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობის გათვალისწინებით, გარდა სესხის დანაკარგებისა. გამოთვლაში შედის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, ასევე ტრანზაქციის ხარჯებსა და სხვა პრემიუმებსა თუ დისკონტებს.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება - 2018 წლის 1 იანვრამდე

ფინანსური აქტივიდან საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ჯგუფში მოხდება ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებული ღირებულების გამოთვლას, რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგებების ხარჯების, სხვა ფასნამათებისა და დისკონტების განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

საკომისიო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტის საკომისიო გადასახადი ექვემდებარება გადავადებას მასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღირიცხება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

თუ სავარაუდოა, რომ ნაკისრი ვალდებულების შედეგად შეიძლებაწარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, ნაკისრი ვალდებულების საკომისიო გადავადდება დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღიარდება როგორც კორექტირება სესხის ეფექტურ განაკვეთზე. სადაც არ არის მოსალოდნელი, რომ ნაკისრმა ვალდებულებამ შეიძლება წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, ნაკისრი ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალში ნაკისრი ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულების ვადა იწურება შედეგად სასესხო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, ნაკისრი ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვადის ამოწურვის დღეს. სესხის მომსახურების საკომისიო შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევისას.

ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აისახება ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

თუ ტრანზაქციის ფასი თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულებისგან განსხვავდება, ბანკი სხვაობას აღრიცხავს შემდეგი წესით:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისათვის ან ეფუძნება შეფასების ისეთ მეთოდს, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ იმ ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, რომელთა დაკვირვებაც შესაძლებელია. ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას (ანუ პირველი დღის მოგება ან ზარალი).
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით (ანუ პირველი დღის მოგება ან ზარალი გადავადდება აქტივის ან ვალდებულების საწყის საბალანსო ღირებულებაში შეყვანით).

პირველადი აღიარების შემდეგ გადავადებული მოგება ან ზარალი აისახება როგორც მოგება ან ზარალი რაციონალური საფუძვლით მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც იგი წარმოიშობა იმ ფაქტორის (მათ შორის, დროის) ცვლილებიდან, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული; რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში; ან მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივები.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ აქტივებს:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და მის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

კაპიტალში ინვესტიციის საწყისი აღიარებისას, რომელიც არ არის განკუთვნილი ვაჭრობისათვის, ბანკს შეუძლია განახორციელოს რეალური ღირებულების ცვლილება სხვა სრულ შემოსავალში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება ყოველი ინვესტიციისათვის ცალკე. ბანკმა გადაწყვიტა, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს "გაერთიანებულ ბილინგ-ცენტრში" ფლობილი ინვესტიციის რეალური ღირებულების შემდგომი ცვლილება.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

საწყისი აღიარებისას ბანკს შეუძლია აირჩიოს იმ ფინანსური აქტივების შეფასება რეალური ღირებულებით მოგება ზარალში, რომელებიც ექვემდებარება ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში ასახვას იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ასახვით ბათილდება ან მნიშვნელოვნად მცირდება მოსალოდნელი შეუსაბამობა აღიარებასა თუ შეფასებაში.

ბანკის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად:

ფინანსური აქტივები	ბიზნეს-მოდელი	მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	საზომი კატეგორია
ფული და ფულის ექვივალენტები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
ინვესტიციები კაპიტალში	სხვა ბიზნეს-მოდელი	ფულადი ნაკადები არ წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას	სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით ასახული
კლიენტებზე გაცემული სესხები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
სხვა დებიტორული დავალიანება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება

ბიზნეს-მოდელის შეფასება

ბანკი აფასებს ბიზნეს-მოდელის მიზანს, რომლის მიხედვითაც ფლობს ფინანსურ აქტივებს, ვინაიდან ეს არის საუკეთესო გზა, რომლითაც ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის წარდგენა მენეჯმენტისთვის. ინფორმაცია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- დადგენილ პოლიტიკებსა და მიზნებს პორტფელისთვის და ამ პოლიტიკების პრაქტიკაში განხორციელებას. ეს განსაზღვრავს, მიმართულია თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია

სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის მიღებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პორტფელის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის დამთხვევაზე დაკავშირებული ვალდებულების ხანგრძლივობასთან თუ ფულადი სახსრების გადინებასა და აქტივების გაყიდვის გზით ფულადი ნაკადების მიღებაზე აქტივების გაყიდვის გზით;

- როგორ არის შეფასებული და წარდგენილი ბანკის ხელმძღვანელობისთვის პორტფელის მაჩვენებლები;
- რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნეს-მოდელზე (და ამ ბიზნეს-მოდელით ფლობილ ფინანსურ აქტივებზე) და როგორ იმართება ეს რისკები;
- როგორ ხდება მენეჯმენტის ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა მათი ანაზღაურება ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- ფინანსური აქტივების გაყიდვების სიხშირეს, მოცულობას და ვადებს წინა პერიოდებში, ამგვარი გაყიდვების და მომავალი გაყიდვების მოლოდინებს.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლებიც ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არ არის განკუთვნილი.

<u>შეფასება, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდას</u>

ამ შეფასების მიზნებისთვის, 'ძირი თანხა' განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. 'პროცენტი' განისაზღვრება, როგორც ფულის დროში ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის კომპენსაცია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, აგრეთვე, კომპენსაცია სხვა ძირითადი დაკრედიტების რისკებისა და დანახარებისთვის მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარები და მოგების მარჟისთვის.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ბანკი აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომლებიც არ შეესაბამება ამ პირობებს. ამ შეფასების გაკეთებისას კომპანია განიხილავს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- პირობებს, რომლებსაც შეუძლია შეცვალოს სახელშეკრულებო კუპონური განაკვეთი, ცვლადი განაკვეთის ჩათვლით;
- წინასწარ გადახდისა და გადავადების ფუნქციებს; და
- პირობებს, რომლებიც ზღუდავს ბანკის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ხელზე არსებული ნაღდი ფულისგან, საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული შეუზღუდავი ნაშთებისგან და მაღალლიკვიდური ფინანსური აქტივებისგან სამ თვემდე ან ნაკლები დაფარვის ვადით, რომლებზეც მოქმედებს რეალური ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი და რომელთაც ბანკი იყენებს მოკლევადიანი ვალდებულებების სამართავად.

სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში

სებ-ში განთავსებული სავალდებულო მინიმალური რეზერვი აისახება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტს, რომლის გამოყენება ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად დაუშვებელია. ამდენად, ეს ნაშთი არ განიხილება ფულისა და ფულის ექვივალენტების ნაწილად ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის მიზნებისათვის.

მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება მაშინ, როდესაც ბანკი ავანსის სახით, სამ თვეზე მეტი თავდაპირველი ვადით გასცემს ფულს კონტრაგენტ ბანკებზე. ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების დამატებით, ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში მოიცავს ინვესტიციებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებულ სადეპოზიტო სერტიფიკატებში და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ სახაზინო ვალდებულებებში. ეს ინვესტიციები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების დამატებით, ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიციები კაპიტალში

ბანკმა არჩია, არასავაჭროდ განკუთვნილი კაპიტალში ინვესტიციის რეალური ღირებულება წარმოადგინოს სხვა სრულ შემოსავალში. გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალურად თითო ინსტრუმენტისათვის თავდაპირველი აღიარებისას და შეუქცევად ხასიათს ატარებს.

კაპიტალის ინსტრუმენტებით მიღებული მოგება და ზარალი მოგება-ზარალის ანგარიშში არასოდეს რეკლასიფიცირდება და გაუფასურება ამავე ანგარიშში არ აისახება.

დივიდენდები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში, თუ ეს დივიდენდები მკაფიოდ არ წარმოადგენს ინვესტიციის ღირებულების ნაწილს, რა შემთხვევაშიც მათი აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ჯამური მოგება და ზარალი ინვესტიციის რეალიზაციისას გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა ბანკის მიერ ბიზნეს-მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც ბანკი ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირების შემდგომი საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან. მიმდინარე და გასულ საანგარიშო პერიოდში ბიზნეს-მოდელი, რომლის პირობებშიც ბანკი ფლობს ფინანსურ სახსრებს, არ შეცვლილა და ამდენად, რეკლასიფიცირებაც არ მომხდარა. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობაში გათვალისწინებულია სააღრიცხვო პოლიტიკით ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ (იხილეთ ქვემოთ).

გაუფასურება

ბანკი აღიარებს რეზერვებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგისთვის იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.
გარდა შეძენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი უნდა შეფასდეს თანხით, რომელიც ტოლია:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგისა, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგისა, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში (მოიხსენიება როგორც 1-ელი ეტაპი); ან

- მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი არსებობის მანძილზე, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში ამ ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების ვადაში (მოიხსენიება, როგორც მე-2 და მე-3 ეტაპი).

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი საჭიროა შეიქმნას იმ ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანასური ინსტრუმენტის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი იზომება თანხით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგისა.

სხვა დებიტორული დავალიანებების რეზერვი იანგარიშება თანხით, რომელიც ტოლია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგისა არსებობის მანძილზე.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი წარმოადგენს საკრედიტო დანაკარგების მიმდინარე ღირებულების ალბათურ-შეწონილ შეფასებას. იგი იზომება, როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ღირებულებისა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სხვაობის მიმდინარე ღირებულება, რომელიც გამოითვლება სხვადასხვა სამომავლო ეკონომიკური სცენარის დისკონტირებული აქტივების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის განსაზღვრის შესახებ მოცემულია 33-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ინსტრუმენტების დაჯგუფება მათი კოლექტიურად შეფასების შემთხვევაში.

<u>საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები</u>

ფინანსური აქტივი ითვლება „საკრედიტო რისკით გაუფასურებულად“, როდესაც მოხდა ერთი ან რამდენიმე მოვლენა, რომელთაც აქვს მნიშვნელოვანი გავლენა მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები მიეკუთვნება მე-3 ეტაპის აქტივებს. საკრედიტო გაუფასურება მტკიცდება შემდეგი მოვლენების დაკვირვებადი მონაცემებით:

- მსესხებლის ან კრედიტორის სერიოზული ფინანსური პრობლემები;
- კონტრაქტის დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი ან ვადაგადაცილებული ვალდებულება;
- სესხის გამცემი მსესხებლის ფინანსური პრობლემების გამო მიდის გარკვეულ დათმობაზე, რის შესაძლებლობასაც კრედიტორი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო; ან
- ფინანსური აქტივის შეძენა დიდი ფასდაკლებით, რაც წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგის მაჩვენებელია.

ზოგჯერ არ არის შესაძლებელი ცალკეული ზარალის გამომწვევი მოვლენის აღმოჩენა და ფინანსური აქტივის საკრედიტო გაუფასურება შეიძლება რამდენიმე მოვლენის კომბინირებული მოქმედებით იყოს გამოწვეული. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ბანკი აფასებს, არის თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული ის სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს და გაზომილია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში.

სესხი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მსესხებელს ეძლევა შეღავათი მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, თუკი არ არსებობს დამადასტურებელი ფაქტი, რომ დათმობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაღდი ფულის არმიღების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება და არ არსებობს გაუფასურების სხვა ნიშნები. ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც განიხილება შეღავათები, მაგრამ არ ხდება მათი გამოყენება, აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება, თუ არსებობს საკრედიტო რისკით გაუფასურების აშკარა დამადასტურებელი ფაქტი, დეფოლტის განსაზღვრების ჩათვლით.

დეფოლტის განსაზღვრება (იხ. ქვემოთ) გულისხმობს ვალის არ გადახდას, თუ ვალის გადახდა დაგვიანდა 90 ან მეტი დღით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებელი შეძენილი ან წარმოშობილი ფინანსური აქტივები

საკრედიტო რისკით გაუფასურებელ შეძენილ ან წარმოშობილ ფინანსური აქტივებზე გაუფასურების შეფასება ხდება განსხვავებულად, რადგან ასეთი აქტივები გაუფასურებული იყო თავდაპირველი აღიარების დროს. ამ აქტივებისთვის ბანკი ყველა ცვლილებას აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგში, როგორც ზარალს ყველა ცვლილებასთან ერთად, რომელიც აღიარდა მოგება-ზარალში. ასეთ აქტივებზე დადებითი ცვლილება გაუფასურების მოგებას წარმოშობს.

ვალდებულებათა შეუსრულებლობის (დეფოლტის) განმარტება

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის განმარტების მიზნით უნდა განვსაზღვროთ, თუ რა არის დეფოლტი. დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ოდენობის გასაზომად და იმის შესაფასებლად, ზარალის შეფასების რეზერვი ეფუძნება 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს თუ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს, რადგან დეფოლტი წარმოადგენს დეფოლტის ალბათობის კომპონენტს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის სიდიდეების გაზომვაზე, ისე საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენაზე.

ბანკი აღიარებს ვალდებულებების შეუსრულებლობას, ანუ დეფოლტს შემდეგ შემთხვევებში:

- ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკრედიტო ვალდებულების 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილება მსესხებლის მხრიდან; ან
- მსესხებლის სესხზე დანაკარგის რეზერვირების განაკვეთი, სებ-ის მიხედვით, 30% ან მეტია; ან
- მსესხებელი გადაყვანილია პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებაში; ან
- ნაკლებ სავარაუდოა, რომ მსესხებელმა სრულად გადაუხადოს საკრედიტო ვალდებულება კომპანიას.

დეფოლტი განმარტებულია ისე, რომ კარგად ასახოს სხვადასხვა ფინანსური აქტივების მახასიათებლები. იმის შეფასებისას, თუ რამდენად არსებობს იმის ალბათობა, რომ მსესხებელი არ შეასრულებს საკრედიტო ვალდებულებას, ბანკი ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. რაოდენობრივი მაჩვენებლები, როგორიცაა იმავე მხარესთან სხვა ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება და გადაუხდელობა, წარმოადგენს მთავარ მონაცემებს ასეთი ანალიზისთვის. ბანკი დეფოლტის შესაფასებლად იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებს, რომლებიც ან ბანკის დონეზეა შემუშავებელი, ან მოპოვებულია გარეშე წყაროებიდან.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ბანკი ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომელიც ექვემდებარება გაუფასურების მოთხოვნას იმის შესაფასებლად, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ბანკი გაზომავს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვს არსებობის მანძილზე და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის საფუძველზე.

30 დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში ან თუ სესხზე დანაკარგის რეზერვირების განაკვეთი, რომელიც სებ-ის მოთხოვნებითაა დადგენილი, 10%-მდე გაიზარდა, ბანკი თვლის, რომ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას და აქტივი გადადის გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზე, ანუ გაუფასურების დანაკარგების რეზერვი აღირიცხება როგორც მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი არსებობის მანძილზე.

ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არის მიზანშეწონილი იმის დაშვება, რომ «დაბალი» საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზრდებოდა ანგარიშგების თარიღისთვის. შედეგად, ბანკი ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომლებიც უფასურდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში.

დეტალური ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ მოცემულია 33-ე შენიშვნაში.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის: როგორც აქტივების მთლიანი ღირებულებიდან გამოქვითვა;
- ფულად-სასესხო და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისთვის: როგორც რეზერვი; და
- როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიცავს როგორც ათვისებულ, ისე აუთვისებელ კომპონენტებს, კომპანიას არ აქვს შესაძლებლობა, დაადგინოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი სესხის აუთვისებელ კომპონენტზე ათვისებული კომპონენტისგან განცალკევებულად: კომპანია წარმოადგენს ზარალის შეფასების ერთობლივ რეზერვს ორივე კომპონენტისთვის. ერთიანი თანხა ნაჩვენებია, როგორც ათვისებული კომპონენტის ერთიანი საანგარიშო ღირებულებიდან გამოქვითვა. ზარალის რეზერვის სიჭარბით შეფასება ათვისებული კომპონენტის საერთო ოდენობაზე ნაჩვენებია, როგორც რეზერვი.

ფინანსური აქტივების მოდიფიცირება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების მოდიფიცირება ხდება მაშინ, როდესაც ხდება ხელშეკრულების იმ პირობებზე ხელახალი მოლაპარაკება, რომლებიც არეგულირებს ფინანსური აქტივების ფულადი ნაკადების მოძრაობას ან ხდება ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მათი გადახდის ვადის დადგომამდე პერიოდში. მოდიფიცირების ზეგავლენა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან/და დროზე მყისიერია ან მოსალოდნელია მომავალში მოსალოდნელი.

ბანკი აწარმოებს ხელახალ მოლაპარაკებას იმ კლიენტებზე გაცემულ სესხებზე, რომელთაც შეექმნათ ფინანსური პრობლემები, რათა მაქსიმალურად გაზარდოს ამ თანხების ამოღება და მინიმუმამდე შეამციროს დეფოლტის რისკი. სესხის პირობები იცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებლის ყველა შესაძლო ძალისხმევის მიუხედავად, გადაეხადა სათანადო თანხები ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით, არსებობს დეფოლტის დიდი რისკი და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შეასრულებს ახალ პირობებს. განახლებული პირობები უმეტესწილად გულისხმობს სესხის დაფარვის ვადის გაგრძელებას, ფულადი ნაკადების (ძირი თანხისა და პროცენტის გადახდის) მოძრაობის ვადების შეცვლას, მისაღები ფულადი ნაკადების ოდენობის შემცირებას (ძირი თანხიდან და პროცენტიდან) და სხვა პირობების შეცვლას.

ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისას ბანკი აფასებს, თუ რამდენად იწვევს მოდიფიკაცია აღიარების შეწყვეტას. ბანკის პოლიტიკის თანახმად, მოდიფიკაცია იწვევს აღიარების შეწყვეტას, როდესაც მის შედეგად ხელშეკრულებაში ჩნდება არსებითად განსხვავებული პირობები. იმის დასადგენად, თუ შეცვლილი პირობები რამდენად არსებითად განსხვავდება თავდაპირველი ხელშეკრულების პირობებისგან, ბანკი მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

- ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა სახელშეკრულებო თანხების მოძრაობა, მოდიფიცირების შემდეგ აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ ძირი თანხისა და დარჩენილ ძირზე პროცენტის გადახდების კატეგორიას, ვალუტის ან ხელშეკრულების მხარის შეცვლას, საპროცენტო განაკვეთის შეცვლას, გადახდის ვადის დადგომას, კოვენანტების დაწესება/მოლაპარაკებებს; თუ აღნიშნული ფაქტორები აშკარად არ მიუთითებს არსებით ცვლილებაზე (მოდიფიკაციაზე), მაშინ:
- რაოდენობრივი შეფასება ტარდება დარჩენილი თავდაპირველი პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შედარებით განახლებული პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებასთან. ამასთან, ორივე თანხა დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ მიმდინარე ღირებულებათა სხვაობა 10%-ზე მეტია, ბანკი თვლის, რომ ახალი შეთანხმება არსებითად განსხვავდება თავდაპირველი შეთანხმებისგან, რაც იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგისთვის ხდება რეზერვის ხელმეორედ გაზომვა, რათა მოხდეს აღიარების შეწყვეტის დღეს აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულების დადგენა. სხვაობა ამგვარად განახლებულ საბალანსო

ღირებულებასა და ახალი პირობებით ახალი ფინანსური აქტივის რეალურ ღირებულებას შორის გამოიწევს სარგებლის ან ზარალის მიღებას აღიარების შეწყვეტისას. ახალ ფინანსურ აქტივს ექნება ზარალის რეზერვი, რომელიც გაზომილია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის საფუძველზე, გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ითვლება, რომ წარმოშობილი ახალი სესხი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება ახალი სესხის რეალური ღირებულების აღიარება მნიშვნელოვანი ფასდაკლებით განახლებული ნომინალური ღირებულებით, რადგან ამ შემთხვევაში არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, რომელიც არ შემცირდა მოდიფიცირების შედეგად. ბანკი მონიტორინგს უწევს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკს, რა მიზნითაც აფასებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას, როგორიცაა მაგალითად, ინფორმაცია იმის შესახებ, ხომ არ რჩება მსესხებელს ვადაგადაცილებულის სტატუსი ახალი პირობების მიხედვით;

როდესაც ხდება ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირება და ასეთი მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ბანკი აფასებს, ხომ არ გაიზარდა მნიშვნელოვნად ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან.

ისეთი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომელთა მოდიფიცირებაც მოხდა ბანკის რესტრუქტურიზაციის პოლიტიკის ფარგლებში და აღნიშნულმა მოდიფიცირებამ არ გამოიწვია აღიარების შეწყვეტა, დეფოლტის ალბათობის შეფასება ასახავს ბანკის უნარს, მიიღოს მოდიფიცირებული ფულადი ნაკადები წარსული გამოცდილების გათვალისწინებით რესტრუქტურიზაციის ანალოგიური მოქმედების განხორციელებისას და, ასევე, ქცევითი ინდიკატორების გათვალისწინებით, მათ შორის, მსესხებლის გადახდების ისტორიისა, ხელშეკრულების მოდიფიცირებული/შეცვლილი პირობების ფონზე. თუ საკრედიტო რისკი კვლავ მნიშვნელოვნად მაღალია მოსალოდნელ მნიშვნელობაზე თავდაპირველი აღიარების მომენტში, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი კვლავაც შეფასდება იმ ოდენობით, რომელიც ტოლია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგისაარსებობისმანძილზეზარალის ტოლია. გადაუხდელი სესხების რეზერვი როგორც წესი, იზომება მხოლოდ 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის საფუძველზე, როდესაც არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტი, რომ მსესხებლის გადახდის უნარი გაუმჯობესდა მოდიფიცირების შემდგომ, რაც იწვევს წარსულში საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეჩერებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოდიფიციკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ბანკი მოდიფიცირების სარგებელს/ზარალს ანგარიშობს ერთიანი საანგარიშო ღირებულების შედარებით მოდიფიკაციამდე და მას შემდეგ (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის შეღავათის გამოკლებით). შემდეგ ბანკი ზომავს მოდიფიცირებული აქტივის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს, როდესაც მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის შედეგად წარმოშობილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადებიც მონაწილეობს თავდაპირველი აქტივის მოსალოდნელი ფულადი ფულადი დეფიციტის გაანგარიშებისას.

ბანკი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ აქტივის ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებების ვადის ამოწურვის შემდეგ (მათ შორის, ვადის ამოწურვისაც, რომელიც წარმოიშვება არსებითად განსხვავებული პირობებით მოდიფიცირების შემთხვევაში), ან როდესაც ფინანსური აქტივი და აქტივის ფლობის ყველა რისკი და სარგებელი არსებითად გადაეცემა სხვა პირს. თუ ბანკი არც არსებითად გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს და კვლავ აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, ის აღიარებს, რომ მას კვლავ გააჩნია ინტერესი აქტივის მიმართ და თანახმაა ვალდებულების დაფარვაზე. თუ ბანკი არსებითად ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს, იგი კვლავაც აღიარებს ფინანსურ აქტივს.

ჩამოწერა

სესხები და ავანსები გაუფასურების ზარალის რეზერვის მეშვეობით ჩამოიწერება, როდესაც ბანკი თვლის, რომ მათი ამოღება შეუძლებელია. ჩამოწერა ხდება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი ყველა შესაძლო ზომას მიმართავს თანხის მიღების უზრუნველსაყოფად. ჩამოწერილი თანხების აღდგენა აისახება, როგორც აღდგენის პერიოდში მოგება-ზარალის ანგარიშში ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯის შემცირება.

ფინანსური აქტივები - 2018 წლის 1 იანვრამდე

ფინანსური აქტივები, სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივების გამოკლებით, მოგება-ზარალში თავდაპირველი აღიარებისას იმ შემთხვევაში შეიძლება აისახოს რეალური ღირებულებით, თუ:

- ამგვარი ასახვით ბათილდება, ან მნიშვნელოვნად მცირდება მოსალოდნელი შეუსაბამობა აღიარებასა თუ შეფასებაში;
- ფინანსური აქტივი შეადგენს ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების, ან ორივე ჯგუფის ნაწილს, რომელიც იმართება და ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე ბანკის დოკუმენტირებული რისკის მართვის ან ინვესტირების სტრატეგიის შესაბამისად, და ჯგუფების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა შიდა მოხმარებისათვის მათ საფუძველზე ხორციელდება; ან
- იგი წარმოადგენს იმ კონტრაქტის ნაწილს, რომელიც მოიცავს ერთ, ან მეთ ჩართულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს და ბასს 39 "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება" ნებას იძლევა ერთიანი კომბინირებული კონტრაქტი (აქტივი ან ვალდებულება) რეალური ღირებულებით აისახოს მოგებასა და ზარალში.

რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში გადაფასებისას წარმოქმნილი მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით. წმინდა მოგება ან ზარალი, რომელიც მოგება-ზარალში აისახება, მოიცავს ფინანსურ აქტივზე მიღებულ ყველა დივიდენდსა და საპროცენტო შემოსავალს და შედის "სხვა მოგება და ზარალისა" და "საპროცენტო შემოსავლის" ჯგუფში მოგება-ზარალის უწყისში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, მათ შორის, ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში წარმოადგენს არადერივატიულ ფინანსურ აქტივებს განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებით. ბანკს აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინახოს აღნიშნული ფასიანი ქაღალდები დაფარვის ვადის დადგომამდე. ამგვარი ფასიანი ქაღალდების ასახვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდზე დაფუძნებული ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების დანაკარგების რეზერვის გამოკლებით.

იმ შემთხვევაში თუ ბანკი იძულებული იქნება დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები (გამონაკლისი სპეციფიური გარემოებების გარდა) დაფარვის ვადამდე გაყიდოს, ან მოახდინოს მათი რეკლასიფიკაცია, ამას მთელ კატეგორიაზე ექნება გავლენა და საჭირო გახდება მათი რეკლასიფიკაცია გასაყიდად არსებულად. უფრო მეტიც, შემდეგი ორი წლის განმავლობაში ბანკს ეკრძალება ნებისმიერი ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების სახით.

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები, მათ შორის, ინვესტიციები კაპიტალში, წარმოადგენს არადერივატიულ აქტივებს, რომლებიც ან გასაყიდად არის გამიზნული, ან არ კლასიფიცირდება როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები, (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან (გ) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები.

ბანკის მიერ ფლობილი, აქტიურ ბაზარზე კოტირებული აქციები კლასიფიცირდება გასაყიდად არსებულ ინვესტიციებად და აისახება რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული მოგება და ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავლებში და გროვდება ინვესტიციების გადაფასების რეზერვში. აღნიშნული არ ეხება არადროებითი გაუფასურების დანაკარგებს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილ საპროცენტო სარგებელს, დივიდენდურ შემოსავალსა და მონეთარულ აქტივებზე ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებულ მოგებასა და ზარალს, რომელიც მოგება-ზარალში აისახება. ინვესტიციის გაყიდვის ან გაუფასურების შემთხვევაში, მანამდე ინვესტიციების გადაფასების რეზერვში დაგროვილი მთლიანი მოგება ან ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში არსებული, გასაყიდად განკუთვნილი ფულადი აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრება იმავე ვალუტით და ითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული გაცვლითი კურსით. მოგება-ზარალში ასახული უცხოური ვალუტიდან მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება ფულადი აქტივის ამორტიზებული ღირებულების საფუძველზე. უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული სხვა მოგება და ზარალი აისახება სხვა სრულ შემოსავლებში.

გასაყიდად არსებული ინვესტიციები კაპიტალში, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე და რომელთა რეალური ღირებულების განსაზღვრა ვერ ხერხდება, ფასდება თვითღირებულებით თითოეული

ანგარიშგების პერიოდის დასასრულისათვის დადგენილი გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯის გამოკლებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და სხვა მოთხოვნები (მათ შორის, ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნები, კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა ფინანსური აქტივები) განსაზღვრული ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე, კლასიფიცირდება როგორც ,,სესხები და მოთხოვნები". სესხები და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომელიც არ არის არსებითი.

ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტები - 2018 წლის 1 იანვრამდე

ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტი არის ფინანსური ინსტრუმენტების ნაწილი , რომელიც აგრეთვე მოიცავს არაწარმოებულ ძირითად კონტრაქტს. ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტი მოითხოვს, რომ საკონტრაქტო ფულადი ნაკადების გარკვეული ნაწილი შეიცვალოს ცვლადის ცვლილების შესაბამისად, მაგალითად:

- მისი ღირებულება იცვლება გარკვეულ საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური ინსტრუმენტის ფასის, სასაქონლო ფასის, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის, ფასების ან ტარიფების ინდექსის, საკრედიტო რეიტინგის ან საკრედიტო ინდექსის თუ სხვა არაფინანსური ცვლადის ცვლილების შესაბამისად, თუ ეს ცვლადი არ არის მხოლოდ კონტრაქტის რომელიმე მხარის მახასიათებელი;
- ის არ საჭიროებს წინასწარ წმინდა ინვესტიციას ან მოთხოვილი წმინდა ინვესტიციის თანხა არის უფრო ნაკლები, ვიდრე ეს იქნებოდა სხვა ისეთი ტიპის კონტრაქტისათვის, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური რეაქცია საბაზრო ფაქტორების ცვლილებებთან მიმართებაში; და
- მისი გასტუმრება ხდება მომავალ თარიღში;

არაწარმოებულ ძირითად კონტრაქტებში ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტები დამოუკიდებელ წარმოებულ ინსტრუმენტებად განიხილება, თუ ისინი აკმაყოფილებს ამგვარის განსაზღვრებას, რისკები და მახასიათებლები არ არის მჭიდროდ დაკავშირებული ძირითად კონტრაქტებთან, ხოლო ეს უკანასკნელი არ აღირიცხება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებულ ფინანსურ აქტივებად.

ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტები - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ფასს 9 კრძალავს ჰიბრიდული ხელშეკრულებიდან ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტის გამოცალკევებას, როდესაც თავდაპირველი ხელშეკრულება მის მიერ რეგულირებადი ფინანსური აქტივია. ამდენად, მთელი ჰიბრიდული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება შეფასების სამი კატეგორიიდან ერთ-ერთით. ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტის რეკლასიფიკაციასა და გადაფასებთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 3.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

გასაყიდად არსებულ ინვესტიციებად კლასიფიცირებულ კაპიტალში არაკოტირებულ ინვესტიციების გაუფასურების ობიექტურ მაჩვენებლად ითვლება ფასიანი ქაღალდის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი, ან ხანგრძლივი შემცირება თვითღირებულებასთან შედარებით.

ყველა სხვა ფინანსური აქტივის შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამომშვების, ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან

- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადახდისუუნარობას, ან თავის არიდებას; ან
- პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადაუხდელობას; ან
- მსესხებლის გაკოტრებას, ან ფინანსურ რეორგანიზაციას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად როგორიცაა სესხები და მოთხოვნები, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არ არის გაუფასურებული, დამატებით ფასდება ჯგუფური გაუფასურების თვალსაზრისით. სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური საფუძველი მოიცავს ბანკის წარსულ გამოცდილებას გადახდებთან მიმართებაში, პორტფელში ვადაგადაცილებული გადახდების რაოდენობის ზრდასა და ეროვნული, ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების თვალსაჩინო ცვლილებებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მოთხოვნების ამოუღებლობასთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით, გარდა სესხებისა და მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის, ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოწურულია იგი ჩამოიწერება სარეზერვო ანგარიშის გამოყენებით. ჩამოწერილი ღირებულების შემდგომი აღდგენა კრედიტად ირიცხება დანაკარგების ანგარიშზე. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგება-ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დანაკარგების თანხის შემცირება აღიარების მომდევნო პერიოდში ობიექტურად შეიძლება დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ მოვლენებს, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების დანაკარგები კორექტირდება მოგება-ზარალში იმ ოდენობით, რომ ინვესტიციების საბალანსო ღირებულებამ გაუფასურების რეზერვის კორექტირების თარიღისათვის არ გადააჭარბოს იმ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც იქნებოდა გაუფასურების არაღიარების შემთხვევაში.

სესხები შეცვლილი პირობებით

სადაც შესაძლებელია, ბანკი ცდილობს უზრუნველყოფის დასაკუთრების მაგივრად მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია. ეს შეიძლება მოიცავდეს გადახდის გრაფიკის გაზრდასა და ახალი სესხის პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება იანგარიშება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, როგორც გამოითვლებოდა პირობების მოდიფიკაციამდე და სესხი აღარ ითვლება გადავადებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს სესხებს რომელთა პირობები შეიცვალა, რათა უზრუნველყოს ყველა კრიტერიუმთან შესაბამისობა და მომავალში გადახდების დაწყება. სესხები კვლავ ექვემდებარება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით, რაც გამოითვლება სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით.

ჩამოწერა

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელობამ ამოწურა კლიენტის მიმართ მოთხოვნების ამოღების ყველა შესაძლებლობა. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანსური აქტივების გაუფასურების გაქვითვით და კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში აღდგენის პერიოდში აისახება.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ბანკის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ ჯგუფი სხვა საწარმოში გადასცემს ფინანსური აქტივებს და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს. თუ ბანკი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ჯგუფი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივის და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური აქტივის მთლიანობაში აღიარების შეწყვეტისას, აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თუ მისაღები ანაზღაურებებისა და სხვა სრულ მოგება-ზარალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მოგების ან ზარალის ჯამს შორის სხვაობა ექვემდებარება აღიარებას მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც ჯგუფი ინარჩუნებს უფლებას გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი, ან როდესაც ინარჩუნებს გარკვეულ მონაწილეობას აქტივში, გარდა ისეთი მონაწილეობისა, რომლის შედეგად ჯგუფი ძირითადად ინარჩუნებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და შემოსავალს და შესაბამის კონტროლს), ჯგუფი ანაწილებს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტამდე არსებულ საბალანსო ღირებულებას გადაცემისას არსებული შენარჩუნებული წილისა და იმ ნაწილის რეალურ ღირებულებებს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა. აქტივის იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც შეწყდა, გადანაწილებულ საბალანსო ღირებულებასა და ამ ნაწილისთვის მიღებულ მთლიან ანაზღაურებას შორის სხვაობა, სხვა სრული მოგება-ზარალის ანგარიშში ასახული ნებისმიერი დაგროვილი მოგებისა თუ ზარალის გათვალისწინებით, უნდა აღიარდეს მოგება-ზარალში. დაგროვილი მოგება ან ზარალი რომელიც აღიარებულია სხვა სრული მოგება ზარალის ანგარიშში უნდა გადანაწილდეს აქტივის შენარჩუნებულ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა, მათი რეალური ღირებულებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები და გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიკაცია სესხის ან კაპიტალის სახით

ჯგუფის წევრის მიერ გამოშვებული სესხი და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების არსის, ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებიდან გამომდინარე.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ჯგუფის აქტივებსი ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

კომბინირებული ინსტრუმენტები

ჯგუფის მიერ გამოშვებულ კომბინირებულ ინსტრუმენტებში შემავალი ნაწილები ცალკე კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულებები და კაპიტალი კონტრაქტის პირობების შესაბამისად. გამოშვების დღეს ვალდებულებების კომპონენტის რეალური ღირებულება განისაზღვრება მსგავსი არაკონვერტირებადი ინსტრუმენტებისათვის ბაზარზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთით. ეს თანხა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საშუალებით ამორტიზებული ღირებულებით აისახება როგორც ვალდებულება სანამ დაიფარება კონვერტაციისას, ან გადაიხდება ინსტრუმენტის დაფარვის თარიღისათვის. დაფარვის შემდეგ ან ინსტრუმენტის დაფარვის ვადის დადგომის დღეს წილობრივი კომპონენტი გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება არის კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს სხვა პირისათვის ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემას ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების გაცვლას ისეთი პირობებით, რომლებიც პოტენციურად არასასურველია ბანკისათვის, ან ისეთი კონტრაქტი, რომელზე ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს ბანკის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით და რომელიც არის არაწარმოებული კონტრაქტი, რომლის მიხედვით ბანკი ვალდებულია ან შეიძლება ვალდებული გახდეს, პირს მიაწოდოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ცვლადი რაოდენობა ან წარმოებული კონტრაქტი საკუთარ კაპიტალზე, რომელზე ანგარიშსწორება მოხდება ან შეიძლება მოხდეს ბანკის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობის სანაცვლოდ ფულის (ან სხვა ფინანსური აქტივის) ფიქსირებული ოდენობის გადახდის გარდა სხვა გზით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი კონტრაგენტ ბანკებთან ვალუტების გასაცვლელად აფორმებს ურთიერთგაქვითვის დეპოზიტებს. მართალია, ამგვარი დეპოზიტები სამართლებრივად დამოუკიდებელი ანგარიშებია, ისინი ჯგუფდება და აღირიცხება, როგორც ერთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი (სავალუტო სვოპი) წმინდა ღირებულების საფუძველზე, თუ (ა) დეპოზიტები ერთდროულად და ერთმანეთის გათვალისწინებით გაიხსნა, (ბ) მათი კონტრაგენტი ერთი და იგივეა, (გ) მათთან დაკავშირებული რისკი ერთი და იგივეა და (დ) არ არსებობს ტრანზაქციების ცალცალკე სტრუქტურირების საფუძველი, თუ ეს ტრანზაქციები შეიძლება ერთ ტრანზაქციადაც განხორციელდეს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით გარიგების დადების დღისათვის და შესაბამისად გადაფასება ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის არსებული რეალური ღირებულებით.

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღირიცხება აქტივად, თუ მისი რეალური ღირებულება დადებითია და, აღირიცხება ვალდებულებად, თუ მისი რეალური ღირებულება უარყოფითია. ინსტრუმენტის ბუნებიდან გამომდინარე, მისი რეალური ღირებულების ცვლილება მოგება-ზარალში შედის, როგორც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მოგება/(ზარალი) ან უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული მოგება/(ზარალი).

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, ბანკებისა და კლიენტების დეპოზიტების, ნასესხები სახსრების, სუბორდინირებული სესხებისა და სხვა ვალდებულებების ჩათვლით, თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები, შესაბამისად, ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით საპროცენტო ხარჯის აღიარების პარალელურად ეფექტური მოგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას და რომლის საშუალებით საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (სადაც მართებულია), ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ბანკი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს, როდესაც მისი პირობები იცვლება და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება წინანდელისგან. ასეთ დროს ხდება შეცვლილი პირობების საფუძველზე ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება მისი რეალური ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილ

ანაზღაურებაში უნდა შევიდეს, თუ ასეთი არსებობს, გადაცემული არაფინანსური აქტივები და ნაკისრი ვალდებულება, მათ შორის, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულება.

თუ ფინანსური ვალდებულების ცვლილება არ აღირიცხა როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ გაწეული ხარჯები და გადახდილი საკომისიოები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში ამორტიზდება ინსტრუმენტის ხელახლა გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ცვლადგანაკვეთიანი ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში, მოდიფიცირებით გამოწვეული მოგების ან ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება ისე, რათა მასში აისახოს მოდიფიცირების მომენტში არსებული საბაზრო პირობები. გაწეული ხარჯები და გადახდილი საკომისიოები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში ამორტიზდება ინსტრუმენტის ხელახლა გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ბანკი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს, როდესაც მისი პირობები იცვლება და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება წინანდელისგან. ასეთ დროს ხდება შეცვლილი პირობების საფუძველზე ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება მისი რეალური ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გადახდილ ანაზღაურებაში უნდა შევიდეს, თუ ასეთი არსებობს, გადაცემული არაფინანსური აქტივები და ნაკისრი ვალდებულება, მათ შორის, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულება. თუ ფინანსური ვალდებულების ცვლილება არ აღირიცხა როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ გაწეული ხარჯები და გადახდილი საკომისიოები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში ამორტიზდება ინსტრუმენტის ხელახლა გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, კლიენტების დეპოზიტები და სუბორდინირებული სესხები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს გადასახდელებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, კლიენტების დეპოზიტებსა და იმ სუბორდინირებულ სესხებს, რაც წარმოადგენს ბანკის აღებული სესხებით დაფინანსების წყაროებს. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, პირდაპირი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ფინანსური ვალდებულებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური უკუგების საფუძველზე.

სააქციო ინსტრუმენტები

სააქციო ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ბანკის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ბანკის მიერ გამოშვებული სააქციო ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ სახსრებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

გაცემული გარანტიები და სესხის გაცემის ვალდებულებები- 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ფინანსური გარანტიის კონტრაქტი არის კონტრაქტი, რომლის მიხედვით ბანკი ვალდებულია, განახორციელოს წინასწარ დადგენილი გადახდები მისი მფლობელისათვის გაწეული ზარალის ანაზღაურების მიზნით, თუ დადგენილი მოვალე არ ფარავს გადახდის ვალდებულებას ვადის დადგომის შემთხვევაში სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად. სესხის გაცემის ვალდებულება არის კრედიტის გაცემის დამოწმებული გარანტია წინასწარ განსაზღვრული პირობებით.

ფინანსური გარანტიები და საბაზროზე ნაკლები განაკვეთით სესხის გაცემის ვალდებულებები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით. შემდგომ ისინი იზომება ფასს 9-ის მიხედვით

განსაზღვრული დანაკარგის ანარიცხებსა და თავდაპირველად აღიარებული თანხის (შესაბამის შემთხვევაში, ფასს 15-ის პრინციპებით აღიარებული ჯამური შემოსავლის გამოკლებით) სხვაობას შორის უმეტესით.

ბანკს მოგება-ზარალის ანგარიშში რეალური ღირებულებით ასახული სასხის გაცემის ვალდებულებები გაცემული არ აქვს.

სხვა ფულად-სასესხო გარანტიების შემთხვევაში, ბანკი დანაკარგის ანარიცხებს აღიარებს ფასს 9-ის შესაბამისად.

გაცემული გარანტიები და სესხის გაცემის ვალდებულებები- 2018 წლის 1 იანვრამდე

ბანკის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით, ხოლო თუ ისინი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებულად არ ითვლება, შემდგომში იზომება შემდეგიდან უმეტესით:

- კონტრაქტით ნაკისრი სესხის გაცემის ვალდებულობის მოცულობა ბასს 37 - რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების მიხედვით; და
- თავდაპირველად აღიარებული თანხა (შესაბამის შემთხვევაში, შემოსავლის აღიარების პოლიტიკის თანახმად აღიარებული ჯამური ამორტიზაციის გამოკლებით).

იჯარა

იჯარა ფინანსურად ითვლება მაშინ, როდესაც იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა სახის იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

ბანკი როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში. საოპერაციო იჯარის გაფორმებისას გაწეული საწყისი პირდაპირი დანახარჯები ემატება იჯარით გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებას და აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში.

ბანკი როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იჯარით არებული აქტივიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სქემას სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს. საოპერაციო იჯარიდან წარმოქმნილი პირობითი გადასახდელები ხარჯად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად შეღავათების მიღების შემთხვევაში, ამგვარი შეღავათები აღიარდება ვალდებულებად. შეღავათების მთლიანი სარგებელი წრფივად აღიარდება, როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს იჯარით მიღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების ვადას.

დასაკუთრებული ქონება

გარკვეულ გარემოებებში აქტივების დასაკუთრება ხდება კრედიტის გადაუხდელობის შემთხვევაში. ჯგუფი დასაკუთრებულ ქონებას განიხილავს, როგორც დეფოლტის მდგომარეობაში მყოფი სესხის თანხების ანგარიშსწორების ფორმას და თვლის, რომ იგი არის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას შესყიდული და გასაყიდად განკუთვნილი აქტივი. დასაკუთრებული ქონების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი – საბალანსო ღირებულებისა და რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უმცირესი ღირებულებით.

უზრუნველყოფა

ბანკი უზრუნველყოფას ითხოვს კლიენტების ვალდებულებებზე, საჭიროების მიხედვით. ჩვეულებრივ, უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების გირავნობას და ბანკს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებული, ასევე მომავალი ვალდებულებებისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის აღიარება ხორციელდება აქტივების ღირებულების ან გადაფასების ხარჯების ჩამოწერის მიზნით (გარდა უპირობოდ ფლობილი მიწებისა და დაუმთავრებელი მშენებლობისა) მათი სასარგებლო მოხმარების პერიოდის ნარჩენი ღირებულების გამოკლებით წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის, ნარჩენი ღირებულებისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დაშვებებში ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობები და სხვა უძრავი ქონება	2%-3%
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	10%-20%
საოფისე და კომპიუტერული მოწყობილობა	10%-33%
სხვა	5%-20%
არამატერიალური აქტივები	10%

მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

იჯარით არებული ძირითადი საშუალებების გაუმჯობესებაზე ცვეთა ითვლება მათთან დაკავშირებული იჯარით არებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის მიხედვით. რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

ძირითადი საშუალებების ერთეული ჩამოიწერება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში თუ მათი გამოყენების შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ძირითადი საშუალებების ერთეულების ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში აქტივის რეალიზაციისას.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი ექსპლუატაციის ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დაშვებებში ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა

ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გუდვილის გარდა

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი განიხილავს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება გაუფასურების მასშტაბების განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, ჯგუფი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პათარა ჯგუფებზე, რომელთა მართებული განაწილების საფუძველი არსებობს.

განუსაზღვრელი სასარგებლო მოხმარების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები და მოსახმარებლად ხელმიუწვდომელი არამატერიალური აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება წლიურად და ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მათი გაუფასურების რაიმე ნიშანი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის უმეტესი, ერთი მხრივ, რეალურ ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და, მეორე მხრივ, გამოყენებად ღირებულებას შორის. გამოყენებადი ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირდება არსებული საპროცენტო განაკვეთით გადასახადების გამოკლებით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და აქტივისათვის დამახასიათებელ იმ რისკებს, რომელთა საფუძველზე სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირება არ მომხდარა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გამოყენებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგები აისახება, როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

გაუფასურების გაუქმების შემთხვევაში აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება გაუქმებული თანხით ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს ნარჩენ ღირებულებას, რომლის აღიარებას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების დანაკარგების აღიარება არ განხორციელდებოდა. გაუფასურების დანაკარგების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ აისახება გადაფასებული ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგების აღდგენა განიხილება როგორც გადაფასების ზრდა.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა საანგარიშგებო პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი წარმოიქმნება წინასწარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა სხვაობაზე შესაბამის დასაბეგრ ბაზასთან, რომელიც გამოიყენება დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისათვის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომელსაც გამოაკლდება გამოსაქვითი დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია გუდვილის, ან აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში (საწარმოთა გაერთიანების გარდა), რომელიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე ბუღალტრულ მოგებაზე.

სხვა აქტივებთან დაკავშირებული გამოსაქვითი დროებითი სხვაობებიდან წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება, თუ საგადასახადო მოგება დროებითი სხვაობის მოგების უთილიზაციისათვის სავარაუდოდ საკმარისი იქნება და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობის რეზერვის წარმოქმნა ივარაუდება.

გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა აქტივის ან აქტივების ნაწილის აღსადგენად.

გადავადებული გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე (საგადასახადო კანონმდებლობა), რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მოყვება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების აღდგენას, ან დაფარვას.

წლის მიმდინარე და გადავადებული გადასახადები

მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აისახება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის აისახება სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან პირდაპირ კაპიტალში. ასეთ შემთხვევაში მიმდინარე და გადავადებული გადასახადები ასევე აისახება შესაბამისად სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან პირდაპირ კაპიტალში.

2018 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი კომპანიების მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ასევე, ცნობილია, როგორც კომპანიების დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვით დაბეგვრა ხდება არა დასაბეგრი მოგების მიღების, არამედ მისი განაწილების მომენტში.

კომპანიების მოგების დაბეგვრის ახალი სისტემა მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას არ გულისხმობს. მასში დაბეგვრა უბრალოდ გადატანილია მოგების მიღების მომენტიდან მათ განაწილებამდე; ანუ დაბეგვრის ობიექტი განაწილებული მოგებაა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის განსაზღვრებით, განაწილებული მოგება არის აქციებზე დივიდენდის სახით განაწილებული მგოგება. თუმცა, მოგების განაწილებად ითვლება ზოგიერთი სხვა ტრანზაქციაც, მაგალითად, საერთაშორისო ტრანზაქცია დაკავშირებულ პირებს შორის ან/და გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან საგადასახადო მიზნებისათვის. გარდა ამისა, გადასახადის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებსა თუ სხვა გადახდებს, თუ ისინი არაა დაკავშირებული პირის ეკონომიკურ საქმიანობასთან, საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას და ზედმეტად დიდ წარმომადგენლობით ხარჯებს.

თუ 2008-2016 წლებში გაუნაწილებელი მოგება 2019 წელს ან შემდგომ წლებში განაწილდა, შესაძლებელია მათზე გადახდილი მიმდინარე გადასახადის დაბრუნება.

დივიდენდების გადახდისგან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მათი გადახდის თარიღის თუ პერიოდის მიუხედავად.

კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ყველა პირის შემთხვევაში, ფინანსური ინსტიტუტების გარდა (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), ვრცელდება 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებულ საგადასახადო პერიოდებზე. ფინანსური ინსტიტუტების შემთხვევაში, კანონი თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2019 წლის 1 იანვარს. 2018 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა კანონის ძალაში შესვლის ვადა 2023 წლის 1 იანვრამდე გადაწია.

საოპერაციო გადასახადები

საქართველოს ასევე გააჩნია სხვა გადასახადები, რომლებიც განისაზღვრება ჯგუფის საქმიანობიდან გამომდინარე. ეს გადასახადები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში აისახება როგორც საოპერაციო ხარჯების ნაწილი.

რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

რეზერვად აღიარებული თანხა წარმოადგენს ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად ფინანსური მდგომარეობის საანგარიშგებო პერიოდისათვი ვალდებულების გარშემო რისკებისა და უზუსტობების არსებობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ფულადი სახსრების მოძრაობიდან მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ყველა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საჭიროებს რეზერვის ფორმირებას, დაიფარება მესამე მხარის მიერ, მოთხოვნები აისახება აქტივებში, თუკი გადახდა ნამდვილად სარწმუნოა და მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ იწერება ფინანსურ ანგარიშგების შენიშვნებში, სანამ არ გაჩნდება სახსრების გადინების შესაძლებლობა. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშგების შენიშვნებში იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა ნავარაუდევი.

უცხოური ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის ფუნქციონირებადი ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ექვემდებარება გადაფასებას ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები გადაფასებას ექვემდებარება მათი რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში ფასდება ისტორიული ღირებულების გათვლისწინებით და არ ექვემდებარება გადაფასებას.
ჯგუფმა წინასწარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა შემდეგი გაცვლითი კურსები:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044

5. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები

ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც აღწერილია მე-4 შენიშვნაში, ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას გაკეთებული კრიტიკული დაშვებები

ქვემოთ წარმოდგენილია კრიტიკული დაშვებები (იხილეთ ქვემოთ), იმ გათვლების გარდა, რომლებიც ხელმძღვანელობამ გააკეთა ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენების პროცესში და რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ბიზნეს-მოდელის შეფასება, რომლის ფარგლებშიც ხდება აქტივების ფლობა და იმის შეფასება, ეხება თუ არა ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობები მხოლოდ ძირი თანხისა და გადაუხდელ ძირ თანხაზე პროცენტის გადახდას.

ფასს 9-ის მიხედვით, ისეთ კონტრაქტში ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტები, სადაც თავდაპირველი კონტრაქტი არის სტანდარტის მიერ რეგულირებადი ფინანსური აქტივი, არასდეს განიხილება კონტრაქტისგან დამოუკიდებლად. კლასიფიკაციისას ფასდება მთლიანი ჰიბრიდული ინსტრუმენტი. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვლადობისა და საბაზისო სესხის გარიგებასთან დაკავშირებულ რისკებთან მოცემული რისკის შესაბამისობა ფასდება კრიტიკულად. როგორც ეს შენიშვნაში #3 უკვე აღიწერა, ბანკის აზრით, სესხის კონტრაქტში ჩაშენებული უცხოური ვალუტის პირობა არის საბაზისო სასესხო გარიგებების შესაბამისი რისკი.

დეტალური ინფორმაცია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში - 2018 წლის 1 იანვრამდე

დირექტორებმა განიხილეს ბანკის დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები კაპიტალის შენარჩუნებისა და ლიკვიდობის მოთხოვნების ჭრილში და დაადასტურეს, რომ ბანკს გააჩნია განზრახვა და უნარი, ფლობდეს მათ დაფარვის ვადამდე. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენს 27,978 და 19,295 ათას ლარს შესაბამისად. ამ აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში.

შეფასებების არასარწმუნოობის მთავარი წყაროები

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასების არასარწმუნოობის მომავალ და სხვა ძირითად წყაროებთან დაკავშირებული შემდეგი უმთავრესი დაშვებები, რომელთაც გამოიწვიეს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ზარალის რეზერვები - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ზარალის შეფასების რეზერვებზე:

- **საპროგნოზო სცენარების დადგენა:** მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაზომვისას ბანკი იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება მოსაზრებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

  დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 33-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის საანგარიშო საპროგნოზო სცენარებისადმი სენსიტიურობის ანალიზიც.

- **მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში:** როგორც შენიშვნაში #3 არის ახსნილი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი იანგარიშება, როგორც 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი პირველი ეტაპის აქტივებისათვის, ან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი მეორე ან მესამე ეტაპის აქტივებისათვის. აქტივი მეორე ეტაპზე გადადის, თუ საწყისი აღიარების შემდეგ მისი საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ფასს 9 არ განსაზღვრავს, თუ კერძოდ რა წარმოადგენს საკრედიტო რისკის ზრდას. ამის შესაფასებლად ბანკი მხედველობაში იღებს გონივრულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებს და დამხმარე საპროგნოზო ინფორმაციას.

  დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 33-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის საანგარიშო საპროგნოზო სცენარებისადმი სენსიტიურობის ანალიზიც.

- **დეფოლტის ალბათობა:** დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.

  დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 33-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის დეფოლტის ალბათობაზე სენსიტიურობის ანალიზიც.

- **დანაკარგი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში:** დანაკარგი დეფოლტის შემთხვევაში არის შესაძლო დანაკარგის სიდიდე, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებიდან და „გირაოსა და კრედიტიდან მისაღები ფულადი ნაკადების გათვალისწინებით.

  დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 33-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის დეფოლტის შემთხვევაში ზარალზე სენსიტიურობის ანალიზიც.

სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება - 2018 წლის 1 იანვრამდე

სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება. ბანკი რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებსა და მოთხოვნებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ჯგუფი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ჯგუფი სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს შეუსაბამობის მთავარ წყაროდ, რადგან (ა) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე და (ბ) ჯგუფის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ჯგუფის მხრიდან რეზერვების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მომავალი პერიოდების წინასწარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ეყრდნობა პროფესიულ განსჯას ნებისმიერი გაუფასურების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ჯგუფი ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებაზე და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს უარყოფით ცვლილებებზე ჯგუფში შემავალი მსესხებლის გადახდისუნარიანობის და ადგილობრივი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება ჯგუფში შემავალი აქტივების ამოღების შესაძლებლობის არარსებობას. ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს იმ აქტივების ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით, რომელთა საკრედიტო რისკების მახასიათებლები და გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მსგავსია სესხების მოცემული ჯგუფისათვის. ჯგუფი ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას იყენებს და აკორექტირებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ

მონაცემებს იმ მიმდინარე გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი წინასწარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ჯგუფისათვის ამ ეტაპზე რთულია იმის პროგნოზი თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვლილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემულმა სესხებმა მთლიანად შეადგინა 869,723 ლარი, ხოლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვმა შეადგინა 74,837 ლარი.

ძირითადი საშუალებებისა და აღჭურვილობის სასარგებლო მომსახურების ვადა. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბანკი ახდენს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვას. 2018 წლის განმავლობაში ბანკის მენეჯმენტს არ შეუცვლია აღნიშნული ვადები.

დასაკუთრებული აქტივების შეფასება. დასაკუთრებული აქტივები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, შემდგომში კი საბალანსო ღირებულებასა და რეალური ღირებულებისა და რეალიზაციის ხარჯების სხვაობას შორის უმცირესი თანხით.

შეფასება ჩაატარა შემფასებელთა დამოუკიდებელმა ფირმამ, რომელსაც გააჩნია აღიარებული და დასმული ამოცანის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და, აგრეთვე, ბოლოდროინდელი გამოცდილება მსგავსი ადგილმდებარეობისა და კატეგორიის აქტივების შეფასებაში. შედარების პროცესში მათ გამოიყენეს სამი შედარებითი ანალოგია (რეგისტრირებული გაყიდვა ან/და გაყიდვის წინადადება), რომელთა ფასები კორექტირდა შესაფასებელ აქტივებსა და ანალოგებს შორის არსებული სხვაობების საფუძველზე. აქტივების უმეტესობა შეფასდა საბაზრო მიდგომით/მეთოდით, რაც ბაზრის მდგომარეობით, კერძოდ კი შეფასების დღისათვის რეგისტრირებული გაყიდვებისა და გაყიდვის წინადადებების საკმარისი რაოდენობის რაოდენობით, იყო განპირობებული.

გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების აღრიცხვა

2018 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან და ეხება კომერციულ ბანკებს, საკრედიტო კავშირებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ლომბარდებს. ახალი კოდექსით შეიცვალა ბანკის მოგების გადასახადის აღიარებისა და გაზომვის პრინციპები და ბანკის გადავადებული მოგების გადასახადის აქტივების/ვალდებულებების ასახვის წესი. კომერციული ბანკები არ არიან ვალდებულნი, მოგების გადასახადი გადაიხადონ დასაბეგრ მოგებაზე (თუ, ეს მოგება მიღებულია 2018 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე), სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდების ან მოგების განაწილების სხვა ფორმით.

როდესაც ეს კანონი საბანკო სექტორისათვის 2023 წლის 1 იანვარს ძალაში შევა, მას უფრო პირდაპირი ზეგავლენა ექნება გადავადებული გადასახადის გამოთვლაზე.

ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ან საანგარიშო დღეს გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების ნაშთები სრულად იქნება მოხმარებული ან კიდევ მისი ეფექტი უმნიშვნელო იქნება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების საბალანსო ღირებულებამ შეადგინა, შესაბამისად, 6,963 ათასი და 6,362 ათასი ლარი.

უცხოური ვალუტის ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტის შეფასება - 2018 წლის 1 იანვრამდე

კლიენტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებულ კონტრაქტებში ჩაშენებული უცხოური ვალუტის წარმოებული პირობები თავდაპირველ კონტრაქტთან მჭიდროდ არ არის დაკავშირებული და განცალკევებულ ფინანსურ ინსტრუმენტად აღირიცხება. ამგვარი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნეს-საქმიანობის პროცესში ჯგუფი ტრანზაქციებს ახორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ისა და ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, იმის გარკვევა, ტრანზაქცია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ფასდება თუ არა, შეფასებით ხდება, რომელიც დაუკავშირებელ მხარეებთან მიმდინარე მსგავსი ტრანზაქციების ფასებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთების ანალიზს ეფუძნება. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების შესახებ განმარტებულია შენიშვნაში #30.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ნაღდი ფული	18,226	16,478
ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში	2,130	63,150
ნაშთები ბანკებთან 90 დღემდე თავდაპირველი ვადიანობით	104,225	145,016
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	(46)	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**124,535**	**224,644**

ფული და ფულის ექვივალენტები არის ვადაგადაუცილებელი ფინანსური აქტივები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი დადგინდა კონტრაგენტებისათვის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული რეიტინგების საფუძველზე.

7. სავალდებულო მინიმალური რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო მინიმალური რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოადგენს სებ-ში განთავსებულ თანხას. რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტები ვალდებულნი არიან, სებ-ში განთავსებული ჰქონდეთ საპროცენტო შემოსავლის მომტანი სავალდებულო რეზერვი, რომლის ოდენობა დამოკიდებულია ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოზიდულ თანხებზე. სებ-ში განთავსებული სავალდებულო მინიმალური რეზერვი პროცენტიანი ფინანსური აქტივია.

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	138,191	120,479
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(36)	-
სულ სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	**138,155**	**120,479**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში არის ვადაგადაუცილებელი ფინანსური აქტივი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი დადგინდა კონტრაგენტებისათვის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული რეიტინგების საფუძველზე. სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მიხედვით, საქართველოს, როგორც ქვეყნის, საკრედიტო რეიტინგია BB - პოზიტიური პერსპექტივით.

8. მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები შეადგენს:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
უცხოურ ვალუტაში ჩაშენებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი	-	18,253
სულ მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	**-**	**18,253**

როგორც შენიშვნაში #3 უკვე აღინიშნა, ფასს 9-ის მიხედვით, თავდაპირველ კონტრაქტში ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტი კონტრაქტისგან არ ცალკევდება და ხდება მთლიანი ჰიბრიდული ინსტრუმენტის კლასიფიკაციის გადაფასება.

კლიენტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით გაფორმებულ გარკვეულ კონტრაქტებში ჩაშენებული უცხოური ვალუტის წარმოებული ინსტრუმენტები არ იწვევს „მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდების“ ტესტის დარღვევას და ამდენად მთელი ჰიბრიდული ინსტრუმენტი აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

9. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავდა ბანკის მიერ განთავსებულ საგარანტიო დეპოზიტებს საბარათე ოპერაციებისთვის, შესაბამისად, 3,845 ლარისა და 4,048 ლარების ოდენობით.

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	12,392	18,800
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	(12)	-
წმინდა მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	**12,380**	**18,800**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ წარმოადგენს ვადაგადაუცილებელ ფინანსურ აქტივებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი დადგინდა კონტრაგენტებისათვის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული რეიტინგების საფუძველზე.

10. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
კლიენტებზე გაცემული სესხები	842,807	819,530
დარიცხული პროცენტი	71,929	50,193
	914,736	**869,723**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის (მსდ) / გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯი	(92,841)	(74,837)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**821,895**	**794,886**

კლიენტებზე გაცემული ყველა სესხი აისახება ამორტიზებული ღირებულებით. კლიენტებზე გაცემული სესხები სახეობებად კლასიფიცირდება რამდენიმე ფაქტორის კომბინაციის საფუძველზე (ძირითადად, მსესხებლის შემოსავლის წყარო და სესხის დანიშნულება). ინდივიდუალური ბიზნესის მფლობელების მიერ სამომხმარებლო მიზნით აღებული სესხები შესაბამის კატეგორიებში წარმოდგენილია მსესხებლის ბიზნეს-საქმიანობის მიხედვით.

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	715,979	738,488
ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხები	10,811	7,290
მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფილი სესხები	47,768	14,499
მარაგებით უზრუნველყოფილი სესხები	19,293	13,414
სხვა უზრუნველყოფა	12,447	5,226
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	15,597	15,969
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**821,895**	**794,886**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის ჯგუფმა მიიღო ფინანსური და არაფინანსური აქტივები უზრუნველყოფის დასაკუთრების შედეგად. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სხვა აქტივების ჯგუფმა შესაბამისად მოიცვა ამგვარი აქტივები 63,613 და 66,977 ლარის ოდენობით, (შენიშვნა 14).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხების დარგობრივი ანალიზი.

	სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	მსდ რეზერვი	წმინდა კლიენტებზე გაცემული სესხები	მსდ რეზერვის ფარდობა კლიენტებზე გაცემულ მთლიან სესხებთან
ანალიზი სექტორის მიხედვით:				
ფიზიკური პირები	47,324	(3,507)	43,817	7.41%
ვაჭრობა და მომსახურება	337,815	(37,179)	300,636	11.01%
მშენებლობა	197,366	(27,010)	170,356	13.69%
მრეწველობა	242,285	(19,219)	223,066	7.93%
სოფლის მეურნეობა	50,822	(4,783)	46,039	9.41%
ენერგეტიკა	2,735	(1)	2,734	0.04%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	27,064	(1,053)	26,011	3.89%
სხვა	9,325	(89)	9,236	0.95%
სულ	**914,736**	**(92,841)**	**821,895**	**10.15%**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხების დარგობრივი ანალიზი.

	სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	გაუფასურების დანაკარგის რეზერვი	წმინდა კლიენტებზე გაცემული სესხები	გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ფარდობა კლიენტებზე გაცემულ მთლიან სესხებთან
ანალიზი სექტორის მიხედვით:				
ფიზიკური პირები	46,862	(4,359)	42,503	9.30%
ვაჭრობა და მომსახურება	335,329	(25,066)	310,263	7.48%
მშენებლობა	182,885	(28,326)	154,559	15.49%
მმრეწველობა	235,481	(14,932)	220,549	6.34%
სოფლის მეურნეობა	48,118	(2,065)	46,053	4.29%
ენერგეტიკა	3,182	-	3,182	0.00%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	3,956	-	3,956	0.00%
სხვა	13,910	(89)	13,821	0.64%
სულ	**869,723**	**(74,837)**	**794,886**	**8.60%**

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები მოიცავს შემდეგ პროდუქტებს:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
სამომხმარებლო სესხები	23,025	22,613
იპოთეკური სესხები	21,301	20,687
სხვა	2,998	3,562
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის / გაუფასურების ზარალის რეზერვი	(3,507)	(4,359)
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	**43,817**	**42,503**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული მიმდინარე სესხების საკრედიტო ხარისხი შემდეგნაირად გამოიყურება:

2018 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	მსდ რეზერვი	წმინდა კლიენტებზე გაცემული სესხები	მსდ რეზერვის ფარდობა მთლიან კლიენტებზე გაცემულ სესხებთან
ჯგუფურად გაუფასურებული				
ვადაგადაუცილებელი	601,879	(20,903)	580,976	3.47%
ვადაგადაცილებული:			-	
30 დღემდე	1,574	(9)	1,565	0.57%
31-60 დღე	166	(52)	114	31.33%
61-90 დღე	2,513	(525)	1,988	20.89%
91-180 დღე	20,594	(183)	20,411	0.89%
180 დღეზე მეტი	62,802	(8,556)	54,246	13.62%
სულ ჯგუფურად გაუფასურებული სესხები	**689,528**	**(30,228)**	**659,300**	**4.38%**
ინდივიდუალურად გაუფასურებული				
ვადაგადაუცილებელი	73,871	(28,955)	44,916	39.21%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	1,091	(197)	894	18.06%
31-60 დღე	37	(5)	32	13.51%
61-90 დღე	49,780	(6,675)	43,105	13.41%
91-180 დღე	13,441	(1,679)	11,762	12.49%
180 დღეზე მეტი	86,988	(25,102)	61,886	28.86%
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები	**225,208**	**(62,613)**	**162,595**	**27.80%**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**914,736**	**(92,841)**	**821,895**	**10.15%**

2017 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	გაუფასურების რეზერვი	წმინდა სესხები	გაუფასურების რეზერვის ფარდობა მთლიან სესხებთან
ჯგუფურად გაუფასურებული				
ვადაგადაუცილებელი	635,882	(5,829)	630,053	0.92%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	815	-	815	0.00%
31-60 დღე	129	-	129	0.00%
61-90 დღე	3,767	-	3,767	0.00%
91-180 დღე	1,909	(25)	1,884	1.31%
180 დღეზე მეტი	87,424	(23,215)	64,209	26.55%
სულ ჯგუფურად გაუფასურებული სესხები	**729,926**	**(29,069)**	**700,857**	**3.98%**
ინდივიდუალურად გაუფასურებული				
ვადაგადაუცილებელი	132,400	(43,604)	88,796	32.93%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	-	-	-	0.00%
31-60 დღე	-	-	-	0.00%
61-90 დღე	14	(3)	11	21.43%
91-180 დღე	113	(23)	90	20.35%
180 დღეზე მეტი	7,270	(2,138)	5,132	29.41%
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები	**139,797**	**(45,768)**	**94,029**	**32.74%**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**869,723**	**(74,837)**	**794,886**	**8.60%**

კლიენტებზე გაცემული სესხების განაწილება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ეტაპების მიხედვით, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, შემდეგია:

	31დეკემბერი, 2018			1 იანვარი, 2018		
	მთლიანი სესხები	მსდ რეზერვი	წმინდა სესხები	მთლიანი სესხები	მსდ რეზერვი	წმინდა სესხები
1-ელი ეტაპი- 12 თვიანი მსდ	**448,371**	**(4,955)**	**443,416**	**488,429**	**(5,161)**	**483,268**
ინდივიდუალურად გაუფასურებული	9,249	(754)	**8,495**	8,559	-	**8,559**
ჯგუფურად გაუფასურებული	439,122	(4,201)	**434,921**	479,870	**(5,161)**	**474,709**
მე-2 ეტაპი - მსდარსებობის მანძილზე – საკრედიტო რისკის არმქონე:	**108,971**	**(7,258)**	**101,713**	**87,436**	**(2,976)**	**84,460**
ინდივიდუალურად გაუფასურებული	49,807	(6,677)	**43,130**	-	-	-
ჯგუფურად გაუფასურებული	59,164	(581)	**58,583**	87,436	(2976)	84,460
მე-3 ეტაპი - მსდ არსებობის მანძილზე – საკრედიტო რისკიანი:	**357,394**	**(80,628)**	**276,766**	**324,572**	**(81,973)**	**242,599**
ინდივიდუალურად გაუფასურებული	166,152	(55,182)	**110,970**	128,713	(52,400)	76,313
ჯგუფურად გაუფასურებული	191,242	(25,446)	**165,796**	195,859	(29,573)	166,286
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**914,736**	**(92,841)**	**821,895**	**900,437**	**(90,110)**	**810,327**

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემულ სესხებში შესულია სავალუტო რისკის პრემიუმი 25,581 ლარის ოდენობით, რაც მანამდე კლასიფიცირებული იყო როგორც ფინანსური აქტივები მოგება-ზარალში და განიმარტებოდა ცალკე ფინანსურ ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით 18,253 ლარის ოდენობით.

11. ინვესტიციები კაპიტალში

ინვესტიციები კაპიტალში მოიცავს:

	ფლობილი წილი, %	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ს.ს. „გაერთიანებული კლირინგ-ცენტრი“	6.25%	54	54
სს „GSCD“	0.27%	3	3
სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“	1.34%	-	-
სულ ინვესტიციები კაპიტალში		**57**	**57**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ შეაფასა კაპიტალში ინვესტიციების რეალური ღირებულება და დაასკვნა, რომ რეალური ღირებულება მიახლოებულია მათ თვითღირებულებასთან.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიციები კაპიტალში ასახული იყო თვითღირებულებით.

12. ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში

	31 დეკემბერი, 2018		31 დეკემბერი, 2017	
	წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	თანხა	წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	თანხა
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	7.10% - 7.45%	13,724	7.10% - 7.85%	21,032
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სადეპოზიტო სერთიფიკატები	7.10% - 7.15%	5,585	7.05% - 7.30%	6,946
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი		(14)		
სულ ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში		**19,295**		**27,978**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში წარმოადგენს ვადაგადაუცილებელ ფინანსურ აქტივებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი დადგინდა კონტრაგენტებისათვის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული რეიტინგების საფუძველზე.

13. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოიცავს:

	შენობები და სხვა უძრავი ქონება	ავეჯი და საოფისე მოწყობილობები	კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება						
იანვარი 1, 2017	**9,493**	**6,597**	**7,183**	**2,267**	**415**	**25,955**
შესყიდვა	611	194	240	-	309	1,354
გადატანა	256	81	67	107	(511)	-
რეალიზაცია	-	(3)	(319)	(154)	(11)	(487)
დეკემბერი 31, 2017	**10,360**	**6,869**	**7,171**	**2,220**	**202**	**26,822**
შესყიდვა	-	41	-	-	34	75
გადატანა	-	-	194	-	(194)	-
რეალიზაცია	-	(134)	-	-	-	(134)
დეკემბერი 31, 2018	**10,360**	**6,776**	**7,365**	**2,220**	**42**	**26,763**
დაგროვილი ცვეთა						
იანვარი 1, 2017	**1,656**	**4,646**	**3,570**	**1,528**	**-**	**11,400**
ცვეთის დარიცხვა	244	459	993	104	-	1,800
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	(2)	(294)	(144)	-	(440)
დეკემბერი 31, 2017	**1,900**	**5,103**	**4,269**	**1,488**	**-**	**12,760**
ცვეთის დარიცხვა	249	403	815	87	-	1,554
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	(134)	-	-	-	(134)
დეკემბერი 31, 2018	**2,149**	**5,372**	**5,084**	**1,576**	**-**	**14,180**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
დეკემბერი 31, 2018	**8,211**	**1,404**	**2,281**	**645**	**42**	**12,583**
დეკემბერი 31, 2017	**8,460**	**1,766**	**2,902**	**732**	**202**	**14,062**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ცვეთას სრულად დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებები შეადგენდა 7,219 და 5,771 ლარს, შესაბამისად.

14. სხვა აქტივები

სხვა აქტივები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
სხვა ფინანსური აქტივები:		
მოთხოვნები	1,463	905
მოთხოვნები სადაზღვევო პრემიიდან	2,863	3,825
მოთხოვნები გადახდილ გარანტიებზე	159	159
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(419)	-
სულ სხვა ფინანსური აქტივები	**4,066**	**4,889**
სხვა არაფინანსური აქტივები:		
გირაოში დარჩენილი ქონება	63,613	66,977
არამატერიალური აქტივები	5,222	6,164
მოთხოვნები გადაზღვევიდან	2,108	1,735
საგადასახადო ანგარიშსწორება, მოგების გადასახადის გარდა	1,321	728
გადახდილი ავანსები	111	688
სხვა მარაგები	786	106
სხვა	142	158
სულ სხვა არაფინანსური აქტივები	**73,303**	**76,556**
სულ სხვა აქტივები	**77,369**	**81,445**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გირაოში დარჩენილი აქტივები მოიცავს მიწასა და შენობებს შესაბამისად, 58,614 და 60,906 ლარის ოდენობით, რომლებიც შემდეგ ფასდება ღირებულებებს შორის უმცირესით: საბალანსო ღირებულება და რეალური ღირებულება გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივები მოიცავს:

თვითღირებულება	არამატერიალური აქტივები
იანვარი 1, 2017	**6,683**
შესყიდვა	4,051
რეალიზაცია	(1,134)
დეკემბერი 31, 2017	**9,600**
შესყიდვა	144
რეალიზაცია	(330)
დეკემბერი 31, 2018	**9,414**
დაგროვილი ამორტიზაცია	
იანვარი 1, 2017	**2,933**
წლიური ამორტიზაციისდარიცხვა	1,018
შემცირება რეალიზაციის შედეგად	(515)
დეკემბერი 31, 2017	**3,436**
წლიური ამორტიზაციისდარიცხვა	1,086
შემცირება რეალიზაციის შედეგად	(330)
დეკემბერი 31, 2018	**4,192**
წმინდა საბალანსო ღირებულება	
დეკემბერი 31, 2018	**5,222**
დეკემბერი 31, 2017	**6,164**

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

15. ბანკების დეპოზიტები

ბანკების დეპოზიტები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
სხვა ბანკების საკორესპოდენტო ანგარიშები	25	3,796
ბანკების მოკლევადიანი დეპოზიტები	15,081	14,602
სულ ბანკების დეპოზიტები	**15,106**	**18,398**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკების მიმართ ვალდებულებებში შესული დარიცხული პროცენტი, შესაბამისად, შეადგენდა 360 და 345 ლარს.

16. კლიენტების დეპოზიტები

კლიენტების დეპოზიტები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ვადიანი დეპოზიტები	301,051	259,892
მოთხოვნამდე ანგარიშები	340,811	430,765
სულ კლიენტების დეპოზიტები	**641,862**	**690,657**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტების დეპოზიტები მოიცავს დარიცხულ პროცენტს 9,250 და 4,117 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტების დეპოზიტებმა შეადგინა 2,433 და 5,648 ლარი, შესაბამისად, რაც წარმოადგენდა ჯგუფის მიერ გამოშვებული გარანტიების უზრუნველყოფას.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტების დეპოზიტები ათი და თექვსმეტი კლიენტის მიმართ შეადგენდა 317,057 და 304,351 ლარს (კლიენტების ანგარიშების 49% და 44%) შესაბამისად, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან კონცენტრაციას.

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ანალიზი დარგების /კლიენტების ტიპების მიხედვით:		
ფიზიკური პირები	185,632	197,929
ვაჭრობა და მომსახურება	286,329	273,578
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	71,384	55,608
ენერგეტიკა	33,874	31,644
მშენებლობა	5,776	24,545
მრეწველობა	4,396	20,116
სოფლის მეურნეობა	2,400	2,460
სხვა	52,071	84,777
სულ კლიენტების დეპოზიტები	**641,862**	**690,657**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტები მოიცავს, შესაბამისად, 184,390 და 170,275 ათასი ლარის ოდენობის ნაშთებს, რომელთა უმეტესი ნაწილიც, 183,991 და 169,005 ლარის ოდენობით საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დააყადაღა 2015 წლის 11 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

17. სხვა ნასესხები სახსრები

	ვალუტა	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი %	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
GCF LP	აშშ დოლარი	28/09/2022	5.50%	-	26,289
სულ სხვა ნასესხები სახსრები					**26,289**

2018 წელს ბანკმა სრულად დაფარა აღებული სესხები მათი დაფარვის ვადამდე; ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ცვლილება ბანკის სხვა ნასესხებ სახსრებში, რომლებიც გამოწვეულია ფინანსური საქმიანობით. ნაჩვენებია როგორც ფულადი, აგრეთვე, არაფულადი ცვლილებები. ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებები ის ვალდებულებებია, რომელთა ფულადი ნაკადები კლასიფიცირდა ან მომავალში

კლასიფიცირდება ბანკის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში, როგორც ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან.

	1 იანვარი, 2018	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	2018 წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	2018 წლის გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით მიღებული მოგება 2018 წლის განმავლობაში	31 დეკემბერი, 2018
სხვა აღებული სესხები	26,289	(24,953)	612	(985)	(963)	-

	1 იანვარი, 2017	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	2017 წელს დარიცხული პროცენტი	2017 წელს გადახდილი პროცენტი	საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი 2017 წელს	31 დეკემბერი, 2017
სხვა აღებული სესხები	124,400	(101,201)	682	(315)	2,723	26,289

18. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	2018 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი
სხვა ფინანსური ვალდებულებები		
გადასახდელები	769	931
გადასახდელები გადაზღვევის ვალდებულებებზე	2,538	2,396
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები	**3,307**	**3,327**
სხვა არაფინანსური ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი პრემია	3,006	3,119
სადაზღვევო რეზერვის ანარიცხები	710	796
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	14	-
სხვა	343	711
სულ სხვა არასაფინანსო ვალდებულებები:	**4,073**	**4,626**
სულ სხვა ვალდებულებები	**7,380**	**7,953**

19. სუბორდინირებული სესხები

სუბორდინირებული სესხები მოიცავს:

	ვალუტა	დაფარვის ვადა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი %	31 დეკემბერი, 2018
ფინ სერვისი XXI	USD	31-მარ-26	4.5%	76,030
ფინ სერვისი XXI	USD	31-მარ-26	4.5%	25,354
ფინ სერვისი XXI	USD	31-მაი-28	4.5%	25,068
„ქართუ ჯგუფი“	USD	31-ოქტ-26	4.5%	17,683
„ინტერ-კონსალტინგ პლუსი“	USD	22-მაი-43	4.5%	3,783
„ინტერ-კონსალტინგ პლუსი“	USD	17-ოქტ-29	4.5%	17,799
„ჯორჯიან ჰოლდინგი“	USD	21-ივნ-29	4.5%	24,878
სულ კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხები				**190,595**

	ვალუტა	დაფარვის ვადა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი %	31 დეკემბერი, 2017
ფინ სერვისი XXI	USD	31-მარ-26	4.5%	73,180
ფინ სერვისი XXI	USD	15-თებ-23	4.5%	24,945
ფინ სერვისი XXI	USD	31-მარ-26	4.5%	24,403
„ქართუ ჯგუფი“	USD	01-ივნ-25	4.5%	27,594
„ქართუ ჯგუფი“	USD	31-ოქტ-26	4.5%	17,151
„ინტერ-კონსალტინგ პლუსი“	USD	17-ოქტ-29	4.5%	17,129
„ჯორჯიან ჰოლდინგი“	USD	21-ივნ-29	4.5%	23,966
სულ კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხები				**208,368**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებულ სესხებში შესულმა დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 107 და 794 ლარი შესაბამისად.

ჯგუფის გაკოტრების შემთხვევაში, აღნიშნული სესხების დაფარვა მოხდება ყველა სხვა კრედიტორის მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვის შემდეგ.

2018 წლის 31 მაისს ჯგუფმა შპს „ფინსერვის XXI“-თან შეათანხმა 10,000 აშშ დოლარის სასესხო გარიგებების ვადის შეცვლის პირობა. ხელშეკრულებებში შესული შესწორებების თანახმად, სესხის დაფარვის ვადამ 2028 წლის 31 მაისამდე გადაიწია. ბანკმა ცვლილების ეფექტი მხედველობაში მიიღო და მასზე გამოიყენა 10%-იანი ზღვრული ტესტი, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ სუბორდინირებული სესხის ცვლილება უმნიშვნელოა. შესაბამისად, ცვლილების ეფექტი აღირიცხა, 848 ლარი როგორც მოდიფიკაციის მოგება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

2018 წლის 22 მაისს ბანკმა დამფუძნებელი კომპანიისგან აიღო ახალი სუბორდინირებული სესხი 1,600 აშშ დოლარის ოდენობითა და საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. სესხის გაცემის დღეს ბანკმა იანგარიშა კონვერტირების უფლების ეფექტი და იგი შესაბამისად აღრიცხა გადახდილ კაპიტალში, 444 ლარი გადასახადის გამოკლებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბანკის სუბორდინირებული სესხების ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომელიც გამოწვეულია ფინანსური საქმიანობით. ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებები ის ვალდებულებებია, რომელთა ფულადი ნაკადები ბანკის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში კლასიფიცირდა ან მომავალში კლასიფიცირდება როგორც ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან.

	იანვარი 1, 2018	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	დაფარვა	პროცენტის დარიცხვა 2018 წელს	2018 წელს გადახდილი პროცენტი	გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი 2018 წელს	დამატებით გადახდილი კაპიტალის აღიარება	დეკემბერი 31, 2018
სუბორდინირებული სესხი	**208,368**	4,303	(29,987)	11,162	(9,799)	7,070	(522)	**190,595**

2017 წლის 11 იანვარს ჯგუფმა ყველა გამსესხებელთან შეათანხმა სასესხო გარიგებების საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთების შეცვლის საკითხი. ხელშეკრულებებში შესული შესწორებების თანახმად, საპროცენტო განაკვეთები 6%-დან 4.5%-მდე შემცირდა ზემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულ ყველა სასესხო გარიგებაზე.

2017 წლის 21 ივნისს ჯგუფმა „ინტერ-კონსალტინგ პლუსთან“, „ჯორჯიან ჰოლდინგთან“ და „ქართუ ჯგუფთან“ შეათანხმა სასესხო გარიგებების პირობებში დამატებითი ცვლილებების შეტანის საკითხი. ხელშეკრულებებში შესული შესწორებების თანახმად, არაკონვერტირებად სუბორდინირებულ სესხებში შევიდა კონვერტირების უფლება. შესაბამისად, ხელშეკრულებაში შევიდა ოფცია, რომელიც ჯგუფს საშუალებას აძლევს, ძირითადი თანხა და დარჩენილი დარიცხული პროცენტი სესხის საკონტრაქტო ვადის განმავლობაში დაფაროს (დაფარვის ოფცია) ბანკის საკუთარი აქციების მიწოდებით. ჯგუფის აზრით,

ანგარიშსწორების ეს ოფცია ნაკლებად მოსალოდნელია და მხოლოდ შეტანილია საზედამხედველო კაპიტალის მართვის მიზნებისათვის.

ჯგუფი თვლის, რომ არსებული სუბორდინირებული სესხების მოდიფიკაცია არსებითი ხასიათისაა და ისინი აღრიცხა, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. ჯგუფმა პირობების მოდიფიკაცია ჩათვალა არსებითად განსხვავებულად, რადგან ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი სუბორდინირებული სესხების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან.

2017 წელს ჯგუფმა არსებული სუბორდინირებული სესხების დამატებით გადახდილი კაპიტალის ნაწილი, 9,424 ათასი ლარის ოდენობით, დაფარვის დღეს გადაიტანა განაწილებულ მოგებაში და დაფარული სუბორდინირებული სესხის რეალური ღირებულება განსაზღვრა თავდაპირველი აღიარების დღეს.

ჯგუფმა ჩათვალა, რომ სუბორდინირებული სესხები მიღებული იყო დაკავშირებული მხარეებიდან და შეაფასა ბაზარზე არსებული მსგავსი ინსტრუმენტების საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საქართველოში ნასესხები სახსრების მსგავსი პირობების სესხის განაკვეთის ანალიზის შედეგად, ჯგუფმა ჩათვალა, რომ პირობების ცვლილების დღეს, საბაზრო განაკვეთი იყო 5.5%. ჯგუფმა დაფარვის შემდეგ, სუბორდინირებული სესხის რეალური ღირებულება განსაზღვრა თავდაპირველი აღიარების დღეს და დაფარვით მიღებული მოგება, 16,230 ათასი ლარის ოდენობით, და სხვაობა თავდაპირველ ამორტიზებულ ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის ასახა საკუთარ კაპიტალში როგორც დამატებით გადახდილი კაპიტალი.

	იანვარი 1, 2017	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის დარიცხვა 2017 წელს	2017 წელს გადახდილი პროცენტი	დაფარვით მიღებული მოგება 2017 წელს	გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება 2017 წელს	დეკემბერი 31, 2017
სუბორდინირებული სესხი	**227,179**	-	11,866	(9,897)	(16,229)	(4,550)	**208,368**

თანდართულ ცხრილში შეჯამებულია ვალდებულების და კაპიტალი კომპონენტები ხელშეკრულების პირობების მოდიფიკაციამდე და მოდიფიკაციის შემდეგ:

	ვალდებულების კომპონენტი	კაპიტალის კომპონენტი
იანვარი 1, 2018	**208,368**	**13,795**
სუბორდინირებული სესხის საპროცენტო ხარჯი	12,010	-
დარიცხული პროცენტის გადახდა	(9,799)	-
ახალი სუბორდინირებული სესხის აღიარება	4,303	
კაპიტალში შენატანი საწყისი აღიარებისას	(522)	522
კაპიტალში შენატანზე დარიცხული გადასახადი	-	(78)
შემოსავალი პირობის ცვლილებიდან	(848)	-
გადახდილი სესხების კაპიტალის კომპონენტის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე	-	(1,850)
დამატებით კაპიტალში შენატანზე დარიცხული მოგების გადასახადი	-	278
ზარალი საკურსო სხვაობიდან	7,070	-
დეკემბერი 31, 2018	**190,595**	**12,667**

20. საწესდებო კაპიტალი

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 114,430 ჩვეულებრივი აქციისგან, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი. 2018 წლის 20 აგვისტოს, ბანკმა გასცა დივიდენდი წინა წლის გაუნაწილებელი მოგებიდან 20,000 ლარის ოდენობით.

21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2018	2017
ეფექტური საპროცენტო განაკვეთით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი:		
კლიენტებზე გაცემული სესხები	72,007	79,844
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	6,172	6,171
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	1,818	1,380
სხვა საპროცენტო შემოსავალი	**79,997**	**87,395**
შემოსავალი ჯარიმებიდან	11,689	12,125
სულ საპროცენტო შემოსავალი:	**91,686**	**99,520**
ეფექტური საპროცენტო განაკვეთით გამოთვლილი საპროცენტო ხარჯი:		
კლიენტების დეპოზიტები	(18,254)	(17,897)
სუბორდინირებული სესხი	(11,162)	(11,866)
ბანკების დეპოზიტები	(663)	(1,084)
სხვა ნასესხები სახსრები	(612)	(682)
სულ საპროცენტო ხარჯი	**(30,691)**	**(31,529)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**60,995**	**67,991**

22. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე და სხვა რეზერვები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოძრაობა საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვში იყო:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებში	მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტები ს მიმართ	კლიენტებზე გაცემული სესხები	ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	სულ
1 იანვარი, 2017	-	-	-	**82,667**	-	**82,667**
გაუფასურების დანაკარგების აღდგენა	-	-	-	(6,522)	-	(6,522)
ჩამოწერა	-	-	-	(3,962)	-	(3,962)
ჩამოწერილის აღდგენა	-	-	-	2,654	-	2,654
31 დეკემბერი, 2017	-	-	-	**74,837**	-	**74,837**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენებისას	42	32	21	15,273	27	15,395
1 იანვარი, 2018 (გადაფასებული)	**42**	**32**	**21**	**90,110**	**27**	**90,232**
გაუფასურების დანაკარგები / (გაუფასურების დანაკარგების აღდგენა)	4	4	(9)	3,040	(13)	**3,026**
საპროცენტო შემოსავლის კორექტირება	-	-	-	2,173	-	**2,173**
ჩამოწერა	-	-	-	(2,660)	-	**(2,660)**
ჩამოწერილის აღდგენა	-	-	-	178	-	**178**
31 დეკემბერი, 2018	**46**	**36**	**12**	**92,841**	**14**	**92,949**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოძრაობა არასაპროცენტო სარგებლის მქონე აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვში იყო:

	სხვა ფინანსური აქტივები
31 დეკემბერი, 2017	**-**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენებისას	466
1 იანვარი, 2018 (გადაფასებული)	**466**
გაუფასურების დანაკარგის აღდგენა	(47)
31 დეკემბერი, 2018	**419**

სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვებსა და სხვა რეზერვების მოძრაობა იყო:

	დასაკუთრებული აქტივები
1 იანვარი, 2017	**736**
გაუფასურების დანაკარგის აღდგენა	(736)
31 დეკემბერი, 2017	**-**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენებისას	-
1 იანვარი, 2018 (გადაფასებული)	**-**
გაუფასურების დანაკარგები	2,128
31 დეკემბერი, 2018	**2,128**

	გარანტიები და პირობითი ვალდებულებები
1 იანვარი, 2017	**1,530**
გაუფასურების დანაკარგები	878
31 დეკემბერი, 2017	**2,408**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენებისას	(441)
1 იანვარი, 2018 (გადაფასებული)	**1,967**
გაუფასურების დანაკარგის აღდგენა	(298)
31 დეკემბერი, 2018	**1,669**

23. წმინდა მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე

წმინდა მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე შეადგენს:

	2018	2017
წმინდა მოგება მოგება-ზარალში თავდაპირველად რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებზე შეადგენს:		
მოგება სავაჭრო ოპერაციებზე, წმინდა	-	650
მოგება ჩაშენებულ წარმოებულ ინსტრუმენტებზე	-	2,067
სულ წმინდა მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებზე	-	**2,717**

24. წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე

წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე მოიცავს:

	2018	2017
დილინგი, წმინდა	6,360	6,580
საკურსო სხვაობა, წმინდა	(10,319)	(3,432)
სულ წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	**(3,959)**	**3,148**

25. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები მოიცავს:

	2018	2017
საკომისიო შემოსავლები:		
ოპერაციები პლასტიკური ბარათებით	2,847	3,020
დოკუმენტური ოპერაციები	1,761	1,964
ანგარიშსწორება	1,295	1,130
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	440	381
აკრედიტივები	344	15
სხვა	116	42
სულ საკომისიო შემოსავლები	**6,803**	**6,552**
საკომისიო ხარჯები:		
პლასტიკური ბარათებით მომსახურება	(3,715)	(4,161)
ანგარიშსწორება	(1,737)	(706)
დოკუმენტური ოპერაციები	(161)	(76)
აკრედიტივები	(14)	(44)
სხვა	(735)	(101)
სულ საკომისიო ხარჯები	**(6,362)**	**(5,088)**

26. სხვა შემოსავალი, წმინდა

სხვა შემოსავალი/(ხარჯები) მოიცავს:

	2018	2017
წმინდა გამოწერილი დაზღვევის პრემია	9,712	7,850
შემოსავალი დასაკუთრებული აქტივებისა და უძრავი ქონების რეალიზაციიდან	5,700	680
აღიარებული, მაგრამ გადაუხდელი მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	742	1,643
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	1,122	999
მიღებული ჯარიმები და საურავები	9	21
დაფარული მოთხოვნები, გადაზღვევის გამოკლებით	(6,011)	(3,997)
გადამზღვევის წილი დაფარულ მოთხოვნებში	(2,804)	(2,946)
არაღიარებული მაგრამ დაფარული მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	(600)	(695)
სხვა	215	567
სულ სხვა შემოსავალი, წმინდა	**8,085**	**4,122**

27. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	2018	2017
ხელფასები და პრემიები	11,940	10,622
კომუნიკაციის ხარჯები	2,727	2,248
ცვეთა და ამორტიზაცია	2,640	2,818
ქველმოქმედება და სპონსორობა	2,502	6,052
საოპერაციო იჯარა	2,303	2,279
დაცვის ხარჯები	652	618
წარმომადგენლობითი ხარჯები	615	246
კომუნალური ხარჯები	477	431
პროფესიული მომსახურება	300	359
საფოსტო ხარჯები	221	199
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	197	198
მივლინების ხარჯები	115	85
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	108	95
რეკლამის ხარჯები	67	132
ტრენინგის ხარჯები	51	56
სხვა ხარჯები	3,320	2,718
სულ საოპერაციო ხარჯები	**28,235**	**29,156**

28. მოგების გადასახადი

ბანკი მიმდინარე მოგების გადასახადის ოდენობასა და აქტივებისა და ვალდებულებების სახით წარმოდგენილ საგადასახადო ბაზისს ანგარიშობს და აღრიცხავს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც განსხვავდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

იმის გამო, რომ საგადასახადო მიზნებისათვის გარკვეული ხარჯები არ ექვემდებარება გამოქვითვას, ხოლო გარკვეული შემოსავალი განიხილება როგორც დაუბეგრავი, ბანკს შეიძლება გაუჩნდეს გარკვეული მუდმივი საგადასახადო სხვაობები.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებთან, დროსა და, ასევე, გარკვეული სახის აქტივების აღრიცხვიანობის სხვაობასთან საბუღალტრო მონაცემებზე დაყრდნობით.

მონაცემების შეჯამებისას გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-იან კორპორატიულ მოგების გადასახადის განაკვეთს, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე კორპორატიული საწარმოები იხდიან დასაბეგრ მოგებაზე.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები შეადგენს:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
სხვა რეზერვი	768	(133)
სხვა აქტივების რეზერვი	57	6
სხვა ვალდებულებები	28	14
ფული და ფულის ექვივალენტები	10	-
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	5	-
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	2	-
ჩაშენებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	464
კლიენტებზე გაცემული სესხები	(8,340)	(6,165)
ძირითადი საშუალებები	(569)	(490)
სუბორდინირებული სესხი	(509)	(87)
არამატერიალური აქტივები	(88)	29
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	(1)	-
გადავადების მოგების გადასახადის წმინდა ვალდებულება	**(8,637)**	**(6,362)**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯამება შემდეგნაირად აიხსნება:

	2018	2017
მოგება მოგების გადასახადამდე	32,518	56,666
გადასახადი კანონით განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთით (15%)	4,878	8,500
საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების ეფექტი	1,822	(1,193)
მუდმივი სხვაობები	(386)	(359)
მოგების გადასახადის ხარჯი	**6,314**	**6,948**
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	3,395	9,320
გადავადებული გადასახადის ხარჯი	2,919	(2,372)
მოგების გადასახადის ხარჯი	**6,314**	**6,948**

	2018	2017
1 იანვარი - გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	**(6,362)**	**(6,299)**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენებისას	**444**	-
1 იანვარი	**(5,918)**	**(6,299)**
კაპიტალში აღიარებული გადავადებული გადასახადი	200	(2,435)
მოგება-ზარალში აღიარებული გადავადებული მოგების გადასახადის სარგებელი	(2,920)	2,372
31 დეკემბერი - გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	**(8,637)**	**(6,362)**

29. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

ჯგუფი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ხდება ფინანსური ინსტრუმენტების გარებალანსური რისკების მონაწილე. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს, არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში.

ჯგუფი გარესაბალანსურ ვალდებულებებთან მიმართებაში იმავე საკრედიტო და მართვის პოლიტიკით ხელმძღვანელობს, რომელსაც იყენებს საბალანსო ოპერაციებში.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნდა პირობით ვალდებულებებზე დანაკარგების რეზერვის ხარჯი 1,669 და 2,408 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, პირობითი ვალდებულებები შეადგენდა:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
პირობითი ვალდებულებები და საკრედიტო ვალდებულებები		
გაცემული გარანტიები და მსგავსი ვალდებულები	53,530	64,691
აკრედიტივები და სხვა გარიგებებთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები	7,863	8,252
სასესხო და აუთვისებელი საკრედიტო ხაზების ვალდებულებები	48,811	22,310
სულ პირობითი და საკრედიტო ვალდებულებები	**110,204**	**95,253**

კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდა მტკიცდება ჯგუფის მიერ თითოეული შემთხვევის განხილვის საფუძველზე და დამოკიდებულია მსესხებელის ფინანსურ მდგომარეობაზე, სესხის მომსახურებასა და სხვა პირობებზე.

ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე – 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნდა არსებითი ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე.

ვალდებულებები საოპერაციო ლიზინგზე – საიჯარო ხელშეკრულებების გაუქმება ჩვეულებრივ შესაძლებელია ბანკის მხრიდან ფართის მფლობელისთვის შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. შეტყობინების გაგზავნის ვადა, როგორც წესი, ერთიდან სამ თვემდე მერყეობს და მას საკმაოდ დიდი ჯარიმების გამოწვევა შეუძლია. გაუქმების უფლების გარეშე გაფორმებული იჯარის მინიმალური გადასახდელები იყო:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
1 წელზე ნაკლი	1,832	2,111
1-5 წლანმდე	7,149	7,208
5 წელზე მეტი	-	1,773
სულ	**8,981**	**11,092**

ბანკს საოპერაციო ლიზინგით რამდენიმე ფართი აქვს აღებული. იჯარის ტიპური საწყისი პერიოდი სამიდან ხუთ წლამდე მერყეობს და მასში ჩადებულია შემდგომი განახლების ოფცია. საიჯარო გადასახდელები, საბაზრო ფასების შესაბამისად, ყოველ ორ-სამ წელიწადში იზრდება.

სასამართლო დავები – პერიოდულად და ბიზნესის ჩვეული მსვლელობისას ჯგუფი პრეტენზიებს იღებდა საკუთარი კლიენტებისა და კონტრაგენტებისაგან. ხელმძღვანელობის აზრით რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გათვალისწინებულა არანაირი შესაბამისი რეზერვის ხარჯი.

გადასახადები – საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ ბიზნესის საქმიანობის

თაობაზე თვითნებური დასკვნების გაკეთების საშიშროება. იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოები არ მოიწონებენ ბანკის რომელიმე კონკრეტულ ქმედებას, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კანონის თავისებურად გაგებას, ამან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით კანონი "საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასება" 2015 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა. კანონში შევიდა დამატებითი საანგარიშგებო და დოკუმენტაციის განმსაზღვრელი მოთხოვნები. ახალი კანონის მიხედვით საგადასახადო უწყებებს უფლება აქვთ, მეწარმეს დააკისრონ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები გარკვეული ტრანზაქციების ფარგლებში, რომლებიც ასევე მოიცავს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან, თუ საგადასახადო ორგანომ ჩათვალა, რომ ტრანზაქციის ფასი კომერციულ საფუძველზე არ არის განსაზღვრული. საგადასახადო ორგანოების მიერ ბანკის საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების ეჭვქვეშ დაყენების შესაძლო შედეგის სარწმუნოდ განსაზღვრა შეუძლებელია.

ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების, მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის შექმნისა და გარიგებების საბაზრო ფასის დადგენისას. ასევე, ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს კლიენტების სესხებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ან რეზერვის აღდგენაზე დროებითი განსხვავებების შეფასებისას, რაც იწვევს დასაბეგრი მოგების შემცირებულად წარმოდგენას. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ყველა საგადასახადო თანხა უკვე დარიცხულია და ამდენად ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი გათვალისწინებული არ არის.

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. 2017 და 2018 წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

30. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები ბანკსა და შვილობილ კომპანიებს შორის, რომლებიც ბანკის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ, ამოღებულ იქნა კონსოლიდაციის დროს და ანგარიშში წარმოდგენილი არ არის. გარიგებები ბანკსა და მის სხვა დაკავშირებულ მხარეებს შორის წარმოდგენილია ქვემოთ:

	დეკემბერი 31, 2018		დეკემბერი 31, 2017	
	დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებუ ლი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებუ ლი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
კლიენტებზე გაცემული სესხები	68,703	914,736	41,568	869,723
- სხვა დაკავშირებული მხარეები	67,950		41,146	
-უმაღლესი ხელმძღვანელობა	753		422	

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

	დეკემბერი 31, 2018		დეკემბერი 31, 2017	
	დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებუ ლი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებუ ლი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
გაუფასურების რეზერვის ხარჯი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე	(33)	(92,841)	(20)	(74,837)
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(30)		(18)	
- უმაღლესი ხელმძღვანელობა	(3)		(2)	
კლიენტების დეპოზიტები	(30,611)	(641,862)	(34,400)	(690,657)
- დამფუძნებელი	(337)		(1,812)	
- აქციონერები	(286)		-	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(29,953)		(32,527)	
- უმაღლესი ხელმძღვანელობა	(35)		(61)	
სუბორდინირებული სესხი	(190,595)	(190,595)	(208,368)	(208,368)
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(172,912)		(163,623)	
- აქციონერები	(17,683)		(44,745)	
სხვა ნასესხები სახსრები	-		(26,289)	(26,289)
- სხვა დაკავშირებული მხარეები	-		(26,289)	
სხვა ვალდებულებები	(176)	(1,007)	-	-
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(176)		-	
გაცემული გარანტიები და მსგავსი ვალდებულებები	(25,299)	(110,204)	(11,452)	(95,253)
- უმაღლესი ხელმძღვანელობა	-		(38)	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(25,299)		(11,414)	

დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2018		დეკემბერი 31, 2017	
	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებუ ლი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებუ ლი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება:				
- თანამშრომელთა მოკლევადიანი ბენეფიტები	1,043	11,940	645	9,726

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის მოგება-ზარალის ანგარიში მოიცავს შემდეგ თანხებს, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების შედეგად წარმოიშვა:

	2018		2017	
	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	ტრანზაქციები დაკავსი-რებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
საპროცენტო შემოსავალი	6,005	91,686	1,967	99,520
- დამფუძნებელი	710		-	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	5,201		1,954	
- უმაღლესი ხელმძღვანელობა	94		13	
საპროცენტო ხარჯი	(12,496)	(30,691)	(12,548)	(31,529)
- უმაღლესი ხელმძღვანელობა	(11)		-	
- დამფუძნებელი	(2,068)		(2,331)	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(10,417)		(10,217)	
ქველმოქმედება	(2,502)	(2,502)	(6,052)	(6,052)
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(2,502)		(6,052)	

31. ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება

ფასს-ის მიხედვით, რეალური ღირებულება არის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გადაცემისას შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის განხორციელებულ ტრანზაქციაში.

რეალური ღირებულების რეგულარული შეფასება

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები ითხოვენ ან ნებას რთავენ კომპანიებს რეგულარულად შეაფასონ რეალური ღირებულებები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში რეალური ღირებულებით ფასდება და მესამე დონეს მიეკუთვნება.

ისეთი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც რეგულარულად არ აისახება სამართლიანი ღირებულებით (და რომელთა მიმართ არსებობს რეალური ღირებულების განმარტების მოთხოვნა).

მოკლევადიანი (3 თვეზე ნაკლები) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია რეალურ ღირებულებასთან. ეს დაშვება აგრეთვე ვრცელდება მოთხოვნამდე ანაბრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე, რომელთა დაფარვის ვადა განსაზღვრული არ არის.

ფული და ფულის ექვივალენტები, სავალდებულო რეზერვი სებ-ში, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და კლიენტების დეპოზიტები

რეალური ღირებულების შეფასება ფულისა და ფულის ექვივალენტების, სებ-ში სავალდებულო რეზერვების, ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნებისა და გადასახდელების და კლიენტების დეპოზიტების შემთხვევაში ხდება მსგავსი დაფარვის ვადის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებზე საანგარიშგებო თარიღში არსებული საბაზრო განაკვეთების საფუძველზე.

კლიენტებზე გაცემული სესხები

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასება ეფუძნება მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებას მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. დისკონტის განაკვეთი განისაზღვრება ინსტრუმენტის ვალუტაზე, ვადასა და კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე დაყრდნობით.

ბანკების დეპოზიტები – ბანკების დეპოზიტები მოიცავს ბანკების მიერ წლის ბოლოს განთავსებულ დეპოზიტებს, რომელთა თავდაპირველი ვადიანობა 1 წელზე ნაკლებია და ლორო ანგარიშებს. ამდენად, ბანკის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ბანკების დეპოზიტების ღირებულება, რომლებიც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, მიახლოებულია მათ მიმდინარე რეალურ ღირებულებასთან.

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში

სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალური ღირებულება განისაზღვრება საზოგადოდ მიღებული საფასო მოდელების მიხედვით, რომლებიც მსგავს ინსტრუმენტებზე დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციებიდან მიღებული ფასების დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზს ეფუძნება. სავალო ინსტრუმენტებში ყველა ინვესტიციის საწყისი ვადიანობა 1 წელიწადზე ნაკლებია. ამდენად, მენეჯმენტის აზრით, მათი რეალური ღირებულება საბალანსო ღირებულებასთანაა მიახლოებული.

სუბორდინირებული სესხი – სუბორდინირებული სესხის რეალური ღირებულება განისაზღვრება საზოგადოდ მიღებული საფასო მოდელების მიხედვით, რომლებიც მსგავს ინსტრუმენტებზე დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციებიდან მიღებული ფასების დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზს ეფუძნება.

სხვა არა-წარმოებული ფინანსური აქტივები და არა-წარმოებული ფინანსური ვალდებულება - სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ძირითადად მოკლევადიან მოთხოვნებსა და ვალდებულებებშია წარმოდგენილი, ასე რომ მათი მიმდინარე ღირებულება მიიჩნევა, რომ რეალური ღირებულების ტოლია.

ქვემოთ მოცემულია ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანიღირებულება, რომელიც შედარებულია მათ შესაბამის საბალანსო ღირებულებასთან:

	რეალური ღირებულება იერარქია	2018 წ. 31 დეკემბერი		2017 წ. 31 დეკემბერი	
		საბალანსო	რეალური	საბალანსო	რეალური
ფული და ფულის ექვივალენტები	1-ელი დონე	124,535	124,535	224,644	224,644
სავალდებულო ბალანსი სებ-ში	მე-2 დონე	138,155	138,155	120,479	120,479
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	მე-2 დონე	12,380	12,380	18,800	18,800
კლიენტებზე გაცემული სესხები	მე-3 დონე	821,895	861,862	794,886	812,530
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	მე-2 დონე	19,295	19,295	27,978	27,978
ინვესტიციები კაპიტალში	მე-3 დონე	57	57	57	57
სხვა ფინანსური აქტივები	მე-3 დონე	4,066	4,066	4,889	4,889
ბანკების დეპოზიტები	მე-2 დონე	15,106	15,106	18,398	18,398
კლიენტების დეპოზიტები	მე-3 დონე	641,862	646,966	694,292	714,850
სხვა ფინანსური ვალდებულებები	მე-3 დონე	3,307	3,307	3,327	3,327
სუბორდინირებული სესხი	მე-3 დონე	190,595	190,595	208,368	208,368

რეგულარულად რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფასდებოდა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, თუ როგორ დგინდება მათი რეალური ღირებულება (კერძოდ, შეფასების ტექნიკა და გამოყენებული მონაცემები).

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	რეალური ღირებულებების იერარქია	შეფასების ტექნიკა და მონაცემები	მნიშვნელოვანი არახილული მონაცემები	რეალური ღირებულების დამოკიდებულება არახილულ მონაცემებზე
ჩაშენებული წარმოებული ინსტრუმენტი (იხილეთ შენიშვნა 8)	-	18,253	დონე 3	დისკონტირებული ფულადი ნაკადები	ფორვარდული გაცვლითი კურსი	10%-იანი ზრდა/(კლება) ფორვარდულ გაცვლით კურსში იწვევს რეალური ღირებულების ზრდას/(კლებას) 12,780/(12,780) ლარით

32. კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს აქციონერების უკუგების მაქსიმიზაცია. ხელმძღვანელობასა და აქციონერს განზრახული აქვთ, მომავალშიც განავითარონ ჯგუფი. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ კაპიტალის ადეკვატურობის სათანადო დონისა და იმ ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, რომ მოკლევადიანი ვალდებულებები ბიზნესის ჩვეული მიმდინარეობისას რეფინანსირებას დაექვემდებარება, უწყვეტი საწარმოს პრინციპი ჯგუფის მიმართ მართებულია.

ჯგუფის კაპიტალის ადეკვატურობა მონიტორინგს ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკის მეთვალყურეობისას დადგენილ კოეფიციენტებზე დაყრდნობით.

სებ-ის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად ბანკის დამოუკიდებელი ანგარიშგების მეშვეობით, რომლებიც სებ-ის აღრიცხვის წესების შესაბამისად არის შემუშავებულია.

სებ-ის რეგულაციების მიხედვით, არსებული კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან:

ა) ფლობდნენ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ დონეს შემდეგი გრაფიკით:

1. 30,000 ათასი ლარი - 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
2. 40,000 ათასი ლარი - 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
3. 50,000 ათასი ლარი - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბ) შეინარჩუნონ ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დადგენილ მინიმუმზე ან მის ზემოთ.

2017 წლის 18 დეკემბერს სებ-მა მიიღო შესწორება „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების რეგულირებაში" (ბრძანება 100/04). ახალი სქემით კაპიტალის მოთხოვნები იყოფა ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და მარეგულირებელი კაპიტალის პირველ პილარად და დამატებით ბუფერებად ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის პილარ 1-ად და პილარ 2-ად.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პირველი და მეორე პილარის ბუფერები ასე გამოიყურება:

1. პირველი პილარის ბუფერები მოიცავს შემდეგს:
   - კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი, რომელიც ძალაში იყო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
   - სისტემური რისკის ბუფერი ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში ამოქმედდება სისტემატურად მნიშვნელოვანი ბანკებისათვის;
   - კონტრციკლიური კაპიტალის ბუფერი - 0%

პირველი კომპონენტის ბუფერების კორექტირება ხდება სებ-ის შეხედულებისამებრ.
2. მეორე პილარის ბუფერები მოიცავს შემდეგს:

- სავალუტო რისკით გამოწვეული ბუფერი, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძალაშია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაჰეჯირებული სესხებისათვის;
- კონცენტრაციის რისკის ბუფერი, რომელიც ამოქმედდა სექტორულ და ინდივიდუალურ მსესხებლის რისკის პოციციებზე;
- წმინდა სტრესის ბუფერი, რომელიც ამოქმედდება ჯგუფის მიერ მიწოდებული სტრესზე ტესტირების შედეგების საფუძველზე;
- წმინდა ზოგადი რისკის შეფასების პროგრამის ბუფერი, რომელიც უნდა დაადგინოს სებ-მა და გამოყენებული იქნეს ბანკის სპეციფიური რისკების საფუძველზე.

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის მოთხოვნები, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი კაპიტალის ადეკვატურობის სქემის ფარგლებში ასე გამოიყურება:

კაპიტალის ფარდობა რისკზე შეწონილ აქტივებთან	პირველი პილარი				მეორე პილარი	31 დეკემბერი, 2018
	მოთხოვნები	პირველი პილარის ბუფერები			მეორე პილარის ბუფერები	სულ მინიმალური მოთხოვნები
		CC	SR	CCC		
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	4.5%	2.5%	0%	0%	2.27%	9.27%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	6.0%	2.5%	n/a	n/a	3.04%	11.54%
სულ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	8.0%	2.5%	n/a	n/a	9.68%	20.18%

კაპიტალის ფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან	პირველი პილარი				მეორე პილარი	31 დეკემბერი, 2017
	მოთხოვნები	პირველი პილარის ბუფერები			მეორე პილარის ბუფერები	სულ მინიმალური მოთხოვნები
		CC	SR	CCC		
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	4.5%	2.5%	0%	0%	1.49%	8.49%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	6.0%	2.5%	n/a	n/a	2.00%	10.5%
სულ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	8.0%	2.5%	n/a	n/a	2.66%	13.16%

გარდა ამისა, განახლებული მეთოდოლოგიის საფუძველზე ამოქმედდა კონკრეტული სესხის მომსახურების კოეფიციენტი (PTI) და უზრუნველყოფის კოეფიციენტი (LTV)ქვედა ზღვრები. იმ რისკის პოზიციებზე, რომლებიც ამ ქვედა ზღვრების წინასწარ განსაზღვრულ ფარგლებში არ ხვდება, გამოყენებული იქნა უფრო მაღალი რისკის კოეფიციენტები.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სებ-ის აღრიცხვის წესებისა და 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი კაპიტალის ადეკვატურობის სქემის შესაბამისად მომზადებული ანგარიშების მიხედვით ნაჩვენები კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ძირითადი პირველადი კაპიტალი	**220,764**	**222,346**
დამატებითი პირველადი კაპიტალი	-	-
პირველადი კაპიტალი	**220,764**	**222,346**
კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხები	202,351	221,585
არაკონვერტირებადი სუბორდინირებული სესხები	-	-
სესხზე დანაკარგების ზოგადი რეზერვები (რისკზე შეწონილი აქტივების 1.25%-მდე)	9,542	9,735
სულ საზედამხედველო კაპიტალი	**432,657**	**453,666**
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	**1,381,509**	**1,384,981**
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	15.98%	16.05%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	15.98%	16.05%
სულ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	31.32%	32.76%

ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ სესხების გადახდა მოხდება ბანკის მიერ ყველა სხვა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის გამოთვლისას, კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის გაითვალისწინა ზოგადი რეზერვები, რომლებიც რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-ით შემოიფარგლა.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, ბანკმა სრულად დაიცვა კაპიტალის ყველა გარე მოთხოვნა.

33. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბანკო საქმიანობაში და არის ჯგუფის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ჯგუფის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს
- საოპერაციო რისკს

რისკის მართვის მარალეფექტური პოლიტიკის გამოყენების მიზნით, ჯგუფმა დაადგინა რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია ჯგუფი დაიცვას რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით ჯგუფი ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება მმართველი ორგანოს მიერ დაწესებულ ლიმიტებში. ეს პროცესები სრულდება საკრედიტო კომიტეტის და ჯგუფის ხელმძღვანელთა საბჭოს მიერ. საკრედიტო კომიტეტის მიერ ნებისმიერი განაცხადის გაკეთებამდე საკრედიტო პროცესებთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია (მსესხებლისათვის ლიმიტების დამტკიცება, ან ცვლილებების შეტანა სესხის ხელშეკრულებებში და სხვა) განიხილება და მტკიცდება რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ.

ერთ მსესხებელზე და მსესხებელთა ჯგუფზე გასაცემი მაქსიმალური თანხის განსაზღვრის მიზნით, ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ მტკიცდება მისაღები საკრედიტო რისკის დონე, აგრეთვე ლიმიტები საკრედიტო რისკის დონეზე მსესხებლის, ან პროდუქტის მიხედვით (მრეწველობის დარგების) და რეგიონის მიხედვით. თითოეულ მსესხებელზე გასაცემი მაქსიმალური თანხის ოდენობა ექვემდებარება მონიტორინგს ყოველი ახალი სესხის გაცემისას. საკრედიტო ლიმიტების ცვლილების ინიცირება შეუძლია საკრედიტო კომიტეტს, რაც სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან დამტკიცებას საჭიროებს. ლიმიტების მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება.

სადაც ეს მართებულია და სესხების უმეტეს შემთხვევაში ჯგუფი საჭიროებისამებრ იღებს სესხის უზრუნველყოფას, კორპორატიულ ან ინდივიდუალურ თავდებობებს სესხების გარკვეულ ნაწილს ინდივიდუალური სესხები წარმოადგენს, სადაც არ არსებობს აღნიშნული სახის გირაო. ამგვარი რისკები ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს და ყოველწლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას.

კრედიტის გაცემის ვალდებულება წარმოადგენს სესხების, გარანტიების ან აკრედიტივების სახით გასაცემი კრედიტის გამოუყენებელ ნაწილს. გარებალანსური ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკი განიმარტება, როგორც კონტრაგენტის მხრიდან საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული შესაძლო დანაკარგი. რაც შეეხება შესაძლო სასესხო ვალდებულებებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს, ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს გამოუყენებელი სესხის თანხის შესაბამისი ზარალი. მიუხედავად ამისა, ზარალის სავარაუდო თანხა ნაკლებია მთლიან გამოუყენებელ თანხაზე, ვინაიდან შესაძლო სასეხო ვალდებულება პირობითია კლიენტის მხრიდან სპეციფიური საკრედიტო სტანდარტების დაცვის შესაბამისად. ჯგუფი იყენებს იგივე საკრედიტო პოლიტიკას პირობით ვალდებულებებთან მიმართებაში, როგორსაც ბალანსში ასახულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რაც ითვალისწინებს გარკვეულ პროცედურების განხორციელებას სესხის დამტკიცების მიზნებისათვის, მათ შორის ლიმიტების გამოყენებას რისკის შესამცირებლად და მიმდინარე მონიტორინგს. ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო ვალდებულებების ვადიანობას, ვინაიდან გრძელვადიან ვალდებულებებს როგორც წესი გააჩნია უფრო დიდი საკრედიტო რისკი, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდოლოგია 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

რისკის მართვის მიზნით საკრედიტო რისკის პოზიციის დადგენა რთული პროცესია და მოდელების გამოყენებას მოითხოვს, რადგან გამოვლენა ბაზრის პირობების ცვლილებებისთან, მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და დროის სვლის პარალელურად მერყეობს. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება სხვა ვარაუდების გამოთქმასაც მოიცავს, მაგალითად, დეფოლტის დადგომის ალბათობაზე და შესაბამისი დანაკარგების კოეფიციენტებსა და კონტრაგენტებს შორის დეფოლტის კორელაციაზე. ბანკი საკრედიტო რისკს ზომავს „დეფოლტის ალბათობით“ (PD), „დეფოლტის რისკის პოზიციით“ (EAD) და „დეფოლტით გამოწვეული დანაკარგით“ (LGD). ეს მიდგომა ფასს 9-ში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გასაზომად მიღებული პრაქტიკის მსგავსია.

ფასს 9-ის შესაბამისად, ბანკში გამოიყენება გაუფასურების სამეტაპიანი მოდელი, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილებას ეფუძნება:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის საკრედიტო რისკის მატარებელი თავდაპირველი შეფასებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე და მისი საკრედიტო რისკის მონიტორინგი მუდმივად მიმდინარეობს.

- თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის (SICR) გამოვლენის შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტი გადადის მე-2 ეტაპზე, მაგრამ საკრედიტო რისკით გაუფასურებლად ჯერ არ ითვლება.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი საკრედიტო რისკით გაუფასურებულია, ის შემდეგ გადადის მე-3 ეტაპზე.
- 1-ელი ეტაპის ფინანსურ ინსტრუმენტებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი ეზომება არსებობის მანძილზე იმ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ოდენობით, რომლებიც მომდევნო 12 თვეში შესაძლო დეფოლტის მოვლენებით იქნება გამოწვეული. მე-2 და მე-3 ეტაპის ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი იზომება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო რისკის დანაკარგების საფუძველზე.
- ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო დანკარგების გაზომვის საზოგადო კონცეფციის შესაბამისად, მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს საპროგნოზო ინფორმაცია.
- საკრედიტო რისკის მატარებელი შესყიდული ან წარმოშობილი ფინანსური აქტივები ის ფინანსური აქტივებია, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას უკვე საკრედიტო რისკის მატარებელია. მათი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი ყოველთვის არსებობის მანძილზე იზომება (მე-3 ეტაპი).

ბანკი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვს აღიარებს შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც მოგება-ზარალის ანგარიშში რეალური ღირებულებით არ აისახება:

- მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ
- კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები
- ინვესტიციები სასესხო ფასიან ქაღალდებში
- სხვა მოთხოვნები
- გაცემული სასესხო გარანტიები
- გაცემული ფინანსური გარანტიის კონტრაქტები; და
- ბანკთაშორისი დეპოზიტები და საკორესპონდენტო ანგარიშები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი რეზერვის საშუალებით უნდა შეადგენდეს შემდეგ ოდენობას:

- 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი (მსდ), ანუ მსდ არსებობის მანძილზე, რომლებიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის ისეთი მოვლენიდან, რომელიც შესაძლებელია დადგეს ანგარიშგების დღიდან 12 თვის განმავლობაში (1-ელი ეტაპი); ან
- მსდ მთელი არსებობის მანძილზე, ანუ მსდ არსებობის მანძილზე, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის ყველა შესაძლო მოვლენიდან, რომელიც შესაძლებელია დადგეს ფინანსური ინსტრუმენტის მთელი არსებობის მანძილზე (მე-2 და მე-3 ეტაპები).

მთელი არსებობის მანძილზე მსდ-ის რეზერვი საჭიროა ისეთი ფინანსური ინსტრუმენტისათვის, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, მსდ შეადგენს 12 თვიანი მსდ-ის ტოლ თანხას.

აუთვისებელი სასესხო გარანტიებისა და ფინანსური გარანტიის კონტრაქტების შემთხვევაში, მსდ იზომება კრედიტის კონვერსიის, შესაბამისად, 100%-იანი და 4.01%-იანი ფაქტორის საფუძველზე.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მოთხოვნებს, ბანკთაშორის დეპოზიტებსა და საკორესპონდენტო ანგარიშებს, აგრეთვე სასესხო ინსტრუმენტებში ინვესტიციებს გაუფასურება ერიცხება 12 თვიანი მსდ-ის საფუძველზე. დეფოლტის ალბათობა და დეფოლტით გამოწვეული დანაკარგები კლიენტებისათვის მიიღება საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მოწოდებული საკრედიტო რეიტინგის ინფორმაციიდან.

სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი ფასდება ინდივიდუალურად, კლიენტის სესხზე დანაკარგის რეზერვის განაკვეთით. თუ კლიენტს ბანკში სესხი არ ჰქონია, მაშინ გამოიყენება კლიენტის საკრედიტო რეიტინგი და დეფოლტის ალბათობისა და დეფოლტით გამოწვეული დანაკარგის შესაბამისი მაჩვენებლები. გარდა ამისა, ფასდება მოთხოვნის გამოვლენილი

რისკის მოქმედების მოსალოდნელი პერიოდი. ბოლო ეტაპზე, PD, LGD და რისკის მოქმედების მოსალოდნელი პერიოდი ერთმანეთზე მრავლდება და მიიღება მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი.

კლიენტებზე გაცემული სესხები

მსესხებელთა საკრედიტო რისკდამოკიდებულებათა შესაფასებლად ბანკმა შეიმუშავა რეზერვების დადგენის ფასს 9-ის შესაბამისი მეთოდოლოგია.

ბანკი სესხების პორტფელს ყოფს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო მსესხებლების ჯგუფებად. აქედან პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან ის მსესხებლები, რომელთა რისკდამოკიდებულება ბანკის მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის 1%-ს აჭარბებს.

საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდა

თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდის აღმოსაჩენად, ბანკი მონიტორინგს ახორციელებს იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებსაც გაუფასურება ერიცხება. თუ საკრედიტო რისკი საგრძნობლად გაიზარდა, ბანკი დანაკარგის რეზერვს აფასებს მთელი არსებობის მანძილზე მსდ-ის და არა 12 თვიანი მსდ-ის საფუძველზე.

იმის შესაფასებლად, საგრძნობლად გაიზარდა თუ არა ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ბანკი მხედველობაში იღებს როგორც რაოდენობრივ, ასევე, თვისობრივ მაჩვენებლებს.

ბანკი მიიჩნევს რომ თუ მსესხებელი გახდება „უარყოფითად კლასიფიცირებული“ (როგორიცაა დაკვირვებაზე მყოფი, არასტანდარტული, საეჭვო ან ზარალის მქონე) ეროვნული ბანკის რეგულაციების მიხედვით, ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მსესხებლის კლასიფიკაცია ეროვნული ბანკის რეგულაციების მიხედვით დამოკიდებულია მსესხებლის გადახდის უნარიანობასა ან ბაზარზე სხვა ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე.

როდესაც აქტივზე ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტია, ბანკი მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი საგრძნობლად გაიზარდა და აქტივი ხვდება გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზე, ანუ დანაკარგის რეზერვი განიხილება მთელი არსებობის მანძილზე მსდ-ის მიხედვით.

მსდ-ის შეფასება ინდივიდუალურად

ინდივიდუალურად შეფასებული სესხების შემთხვევაში, მსდ ფასდება კონტრაქტით ბანკის მიერ მისაღები ფულადი ნაკადებისა და მომავალი ეკონომიკური სცენარების სიმრავლის შეწონვით მისაღები ფულადი ნაკადების სხვაობის მიმდინარე ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გარდა ამისა, მხედველობაში მიიღება გადახდები და სესხის უზრუნველყოფად ფლობილი აქტივების უზრუნველყოფის რეალიზაცია.

მსესხებელთა ჯგუფის ბიზნესიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასების მიზნით, მენეჯმენტი მხედველობაში იღებს ინფორმაციას მსესხებელთა ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის, ბიზნესისა და ფინანსური რისკების, გადაუხდელობის დონისა და საოპერაციო ფულადი ნაკადების თაობაზე. მსესხებლის თავისუფალი ფულადი ნაკადების დასადგენად ბანკი იყენებს საპროგნოზო ინფორმაციას, რაც მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ეკონომიკურ მონაცემებსა და ეკონომიკურ ინდიკატორებს. მოდელი ეყრდნობა შემდეგ მაკროეკონომიკურ ცვლადებს:

1 ნომინალური მშპ-ის ზრდის განაკვეთი - მსესხებლის შემოსავლისა და რეალიზებული საქონლის თვითღირებულების საკორექციოდ;
2 ინფლაციის განაკვეთი - მსესხებლის ირიბი დანახარჯების საკორექციოდ;
3 ლარი/აშშ დოლარი გაცვლის კურსი - მსესხებლის თავისუფალი ფულადი ნაკადების საკორექციოდ.

მაშინაც კი, როდესაც უზრუნველყოფის დასაკუთრება მოსალოდნელი არ არის, უზრუნველყოფილი სესხების მოსალოდნელ ფულად ნაკადებში ასევე შედის ის ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება

წარმოიშვას უზრუნველყოფის დასაკუთრებიდან, იმ ხარჯების გამოკლებით, რომლებიც გაიწევა უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის მიზნით.
ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას უზრუნველყოფის დასაკუთრებიდან, დამოკიდებულია უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებაზე. მათზე ვრცელდება შეფასებისა და ლიკვიდობის სამოდელო მაჩვენებლები უზრუნველყოფის თითოეული სახეობის მიხედვით. ფულადი ნაკადების გამოთვლისას გამოიყენება უზრუნველყოფის ოთხი ძირითადი სახეობა:

- უძრავი ქონება
- მოძრავი ქონება, მათ შორის ძირითადი საშუალებები
- მარაგები
- დეპოზიტები.

უზრუნველყოფის სალიკვიდაციო ღირებულება ჩვეულებრივ ფასდება ამოღების პერიოდად 2 წლისა და შეფასების განაკვეთებად უძრავი ქონებისათვის 15%-ის, მოძრავი ქონებისათვის (ძირითადი საშუალებების ჩათვლით) 30%-ის, ხოლო მარაგებისათვის 45%-ის გამოყენებით. ზოგადი მიდგომა ცალკეულ შემთხვევებში იცვლება, თუ სხვა გარემოებები მიუთითებს, რომ ამოღების პერიოდისა და შეფასების სამოდელო განაკვეთის გამოყენება არამართებულია.

როდესაც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სარისკო სესხები ინდივიდუალურად გაუფასურებულად არ ითვლება, გამოიყენება ჯგუფური შეფასების მეთოდოლოგია, სადაც მხედველობაში იიღება რეალურად გაწეული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, რომლის იდენტიფიცირება არ მომხდარა.

მსდ-ის შეფასება ჯგუფურად

მსდ-ის შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ცვლადების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- დეფოლტით გამოწვეული დანაკარგი (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი, შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით.

დეფოლტის განსაზღვრება

შეფასების დასადგენად კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება დეფოლტის განსაზღვრებას, რომელიც მსდ-ის ოდენობის შეფასებაშია ინტეგრირებული. დეფოლტის მოვლენად ბანკი მიიჩნევს შემდეგ მოვლენებს:

- ჯგუფურად შეფასებულ სესხებში მსესხებელმა ბანკის მიმართ მატერიალურ საკრედიტო ვალდებულებაზე ვადას გადააცილა 90-ზე მეტი დღით
- მსესხებელი გადავიდა პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებაში;
- საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით, მსესხებლის სესხზე დანაკარგის რეზერვირების განაკვეთის კატეგორია 30% ან მეტია;
- სხვა კრიტერიუმები, რომლებიც მიუთითებს, რომ ნაკლებ სავარაუდოა, მსესხებელმა დაფაროს ვალდებულება, მათ შორის, ცუდი რესტრუქტურიზაცია.

დეფოლტის ალბათობის მოდელი

თითოეული ჯგუფისათვის დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტის განსასაზღვრად, ბანკი იყენებს მიგრაციის მატრიცების „მარკოვის ჯაჭვის“ მეთოდოლოგიას. 12-თვიანი პერიოდის ანალიზისათვის თითოეულ ჯგუფში გაერთიანებული მსესხებლები 11 კატეგორიად ნაწილდებიან ვადაგადაცილებული დღეებისა და სებ რეზერვის მიხედვით. ანალიზი ჩატარებულია ყოველ 12-თვიან პერიოდზე 2014 წლის 1 დეკემბრიდან მოყოლებული ანგარიშგების დღემდე. მოდელში გამოყენებული საბოლოო დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს ისტორიული 12-თვიანი პერიოდის დეფოლტის ალბათობების საშუალო შეწონილ მაჩვენებელს.

ბანკმა დაადგინა, რომ საპროგნოზო ინფორმაციის ზეგავლენა ჯგუფური შეფასების მოდელში მცირეა და შედეგები მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგში არ ასახულა.
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თითოეულ წრეში საშუალო დეფოლტის ალბათობის 10%-იანი ზრდა იწვევს მთლიანი მსდ-ის 0.39%-იან ზრდას, რაც შეადგენს 359 ათას ლარს. ხოლო თითოეულ წრეში საშუალო დეფოლტის ალბათობის 10%-იანი კლება იწვევს მთლიანი მსდ-ის 3.15%-იან კლებას, რაც შეადგენს 2,928 ათას ლარს.

LGD მოდელი

გაუფასურების მოდელის კიდევ ერთი კომპონენტია LGD (დეფოლტით გამოწვეული დანაკარგები), ანუ დეფოლტის შემთხვევაში წარმოშობილი ზარალის შეფასებული ოდენობა. მის შესაფასებლად დეფოლტგანცდილი რისკგამოვლინებები სეგმენტების მიხედვით მცირდება უზრუნველყოფად გამოყენებული დეპოზიტებით, 2 წლიანი ამოღების პერიოდის უზრუნველყოფის დისკონტირებული სალიკვიდაციო ღირებულებითა და შეფასების ზღვრული განაკვეთით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეფასების ზღვრული მაჩვენებლის 10%-იანი ზრდა იწვევს მსდ-ის 5.31%-იან ზრდას, რაც შეადგენს 4,930 ათას ლარს, ხოლო შეფასების ზღვრული მაჩვენებლის 10%-იანი კლება იწვევს მსდ-ის 5.25%-იან კლებას, რაც შეადგენს 4,876 ათას ლარს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამოღების პერიოდის 10%-იანი ზრდა იწვევს მსდ-ის 6.51%-იან ზრდას, რაც შეადგენს 6,040 ათას ლარს, ხოლო ამოღების პერიოდის 10%-იანი კლება იწვევს მსდ-ის 4.42%-იან კლებას, რაც შეადგენს 4,106 ათას ლარს.

EAD მოდელი

EAD წარმოადგენს მთლიან მისაღებ თანხას დეფოლტის დროს. ბანკი მას ანგარიშობს კონტრაგენტის მიმდინარე რისკის გამოვლენისა და მიმდინარე თანხის კონტრაქტით პოტენციურად ნებადართული ცვლილებების საფუძველზე, ამორტიზაციის ჩათვლით.

საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

ბანკი მსდ-ს გამოთვლებში იყენებს საპრონგოზო ინფორმაციას. ეს ინფორმაცია მოიცავს ეკონომიკურ მონაცემებსა და ეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზს, რომელსაც მონეტარული სამსახურები აქვეყნებენ. დეფოლის ალბათობის განსაზღვრის საფუძველს ქმნის სამი ეკონომიკური სცენარი (საბაზისო, პესიმისტური, ოპტიმისტური). თითოეული მათგანი დეფოლტის განსხვავებულ ალბათობას იძლევა. ამ სცენარების შექონვა ქმნის დეფოლტის საშუალო შეწონილი ალბათობის საფუძველს, რომელიც მსდ-ის გამოთვლაში გამოიყენება. 12 თვიანი მსდ (1-ლი ეტაპის სესხები) ფასდება მხოლოდ თორმეტთვიანი დეფოლტის ალბათობით. არსებობის მანძილზე მსდ (მე-2 და მე-3 ეტაპების სესხები) ფასდება ყველა წლიური ზღვრული დეფოლტის ალბათობებით სესხის ვადის გასვლამდე.

ფასს 9-ის მიზნებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზებს სხვადასხვა სცენარით და მათ წონას გამოთვლეში. საბაზისო სცენარი ყველაზე სავარაუდო სცენარია და მისი წონა გამოთვლებში 50%-ია. პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარების წონა 25%-ია. ისტორიული მონაცემების სტატისტიკური ანალიზის გამოყენებით ბანკმა შეაფასა ურთიერთქმედება მაკროეკონომიკურ ცვლადებსა და საკრედიტო რისკსა და დეფოლტის ალბათობას შორის. სამი მაკროეკონომიკური ცვლადი (მშპ-ს ზრდა, ლარი/დოლარის გაცვლითი კურსი და უმრავი ქონების ფასები) გათვალისწინებულია ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხების მოსალოდნელ ეკონომიკურ სცენარებში. კოლექტიურად გაუფასურებული სესხების შემთხევაში ბანკმა მხოლოდ მშპ-ს ზრდის გათვალისწინება შეძლო, სათანადოდ გამყარებული ინფორმაციის არარსებობის გამო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2018 წლის 31 დეკემბრის გამოყენეულ 2019-2023 წლების საქართველოს ეკონომიკურ სცენარებში შესული ინდიკატორები, რომლებიც დიდ ზეგავლენას ახდენს მსდ-ზე.

	2019	2020	2021	2022	2023
მშპ-ს ზრდის დონე					
საბაზისო სცენარი	5.00%	5.00%	5.00%	5.00%	5.00%
აღმავალი სცენარი	6.50%	5.50%	5.00%	5.00%	5.00%
დაღმავალი სცენარი	2.00%	3.00%	4.00%	4.00%	4.00%
ლარი/ აშშ დოლარის გაცვლითი კურსის ცვლილება (წლიდან წლამდე)					
საბაზისო სცენარი	0%	0%	0%	0%	0%
აღმავალი სცენარი	3%	2%	2%	0%	0%
დაღმავალი სცენარი	-15%	-10%	5%	0%	0%
უმრავი ქონების ფასის ცვლილება (წლიდან წლამდე)					
საბაზისო სცენარი	2.90%	3.00%	3.00%	0.00%	0.00%
აღმავალი სცენარი	3.60%	3.30%	3.00%	0.00%	0.00%
დაღმავალი სცენარი	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%

პროგნოზირებული ურთიერთობა ეკონომიკურ ინდიკატორებსა და დეფოლტსა და დანაკარგის განაკვეთებს შორის სესხის პორტფელებში შემუშავდა ბოლო 5 წლის მონაცემების საფუძველზე.

ბანკის მიერ შემუშავებული ეკონომიკური მოდელის თანხმად, არ აღინიშნება მნიშვნელოვანი დამოკიდებულება მაკრო ეკონომიკურ ცვლადებსა და სესხების პორტფელის ხარისხს შორის.

მსდ-ს გამოთვლა

თითოეული სეგმენტის ზღვრული PD-ების და LGD-ის დადგენის შემდეგ, მსდ-ს საბოლოო კალკულაციები კონკრეტული სესხის რისკის მახასიათებლებზე დაყრდნობით კეთდება. 12 თვიანი მსდ პირველი ეტაპის სესხების ითვლება, ხოლო მეორე და მესამე ეტაპის სესხებისთვის მსდ არსებობის მანძილზე ითვლება, მოსალოდნელი ფულადი დეფიციტების დისკონტირებით ანგარიშგების თარიღისთვის.

რესტრუქტურიზებული სესხები

კლიენტებზე გაცემულ სესხებზე პირობების ცვლილება, როგორც წესი, ხდება კლიენტებთან ურთიერთობის განვითარების პროცესის ფარგლებში ან მსესხებლის მდგომარეობის გაუარესების დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოლაპარაკების შედეგად შესაძლოა გაგრძელდეს სესხის გადახდის ვადა ან შეიცვალოს გადახდის გეგმა, რომლის მიხედვითაც ბანკი შეღავათიან საპროცენტო განაკვეთს სთავაზობს იმ მსესხებლებს, რომლებიც ნამდვილად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. ამის შედეგად, აქტივი კვლავაც ვადაგადაცილებული რჩება და ინდივიდუალურად გაუფასურებულია, თუ ხელმეორე მოლაპარაკების შედეგად დადგენილი საპროცენტო განაკვეთისა და ძირითადი თანხის გადახდა ნაკლებია აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებაზე. სხვა შემთხვევაში, მოლაპარაკებების შედეგად იდება ახალი ხელშეკრულება, რომელიც ახალ სესხად განიხილება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია იმ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, კლასების მიხედვით, რომელთა პირობები შეიცვალა:

ფინანსური აქტივის კლასი	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
კლიენტებზე გაცემული სესხები	138,552	44,027

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმ ამჟამად 1-ელი ეტაპის სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება, რომელთა პირობები შეიცვალა, როდესაც ისინი მე-2/მე-3 ეტაპზებზე განიხილებოდა და ზარალის რეზერვი ფასდებოდა 12-თვიანი თანხით, ნულის ტოლია.

კლიენტებზე გაცემული სესხების მოძრაობა ეტაპებს შორის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2018			
	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12 თვის მსდ	მსდ არსებობის მანძილზე - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	მსდ არსებობის მანძილზე - საკრედიტო რისკით გაუფასურებეული	სულ
	1	2	3	
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	**480,070**	**81,680**	**307,973**	**869,723**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენების გამო	8,359	5,756	16,599	30,714
სრული ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	488,429	87,436	324,572	900,437
ახალი წარმოშობილი სესხები (დარიცხული საპროცენტო სარგებლით)	285,827	9,279	52,373	347,479
ცვლილებები სრულ ღირებულებაში:				
- გადავიდა 1-ელ ეტაპზე	6,533	(6,533)	-	-
- გადავიდა მე-2 ეტაპზე	(98,220)	102,381	(4,161)	-
- გადავიდა მე-3 ეტაპზე	-	(58,188)	58,188	-
გადახდილი სესხები	(237,501)	(27,687)	(77,490)	(342,678)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი	-	-	(2,660)	(2,660)
ჩამოწერილი სესხების აღდგენა	-	-	178	178
ზარალი საკურსო სხვაობის შედეგად	3,303	2,283	6,394	11,980
სრული ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	**448,371**	**108,971**	**357,394**	**914,736**

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოძრაობა ეტაპებს შორის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12 თვის მსდ	მსდ არსებობის მანძილზე - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	მსდ არსებობის მანძილზე - საკრედიტო რისკით გაუფასურებეული	სულ
	1	2	3	
რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,444**	**2,431**	**68,962**	**74,837**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენების გამო	1,717	545	13,011	15,273
რეზერვი 2018 წლის 1 იანვარს	5,161	2,976	81,973	90,110
ახალი წარმოშობილი სეხები	3,619	150	16,970	20,739
ცვლილებები რეზერვში:				
- გადავიდა 1-ელ ეტაპზე	866	(866)	-	-
- გადავიდა მე-2 ეტაპზე	(1,195)	2,056	(861)	-
- გადავიდა მე-3 ეტაპზე	-	(1,579)	1,579	-
გადახდილი სესხები	(2,401)	(560)	(20,979)	(23,940)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი	-	-	(2,660)	(2,660)
ჩამოეწერილი სეხების აღდეგან	-	-	178	178
საკრედიტო რისკით გამოწვეული ცვლილებები	(1,137)	4,858	1,126	4,847
საპროცენტო შემოსავლის კორექტირება	-	-	2,173	2,173
სარგებელი საკურსო სხვაობის შედეგად	42	223	1,129	1,394
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერს	**4,955**	**7,258**	**80,628**	**92,841**

საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდოლოგია 2018 წლის 1 იანვრამდე

2018 წლის 1 იანვრამდე ბანკი საკრედიტო რისკს აფასებდა ბასს 39-ის მიხედვით შედგენილი მეთოდოლოგიით.

ბანკი სესხების პორტფელს ჰყოფს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ჯგუფებად. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია მსესხებლების ის ჯგუფი, რომელთა რისკგამოვლინება ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 1%-ს აჭარბებს.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხების გაუფასურების ინდივიდუალური შეფასება

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხების გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად, საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი სახსრების განსაზღვრით.

მსესხებელთა ბიზნესის ჯგუფიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების პროგნოზირების მიზნით, ხელმძღვანელობა განიხილავს მთელ ხელმისაწვდომ ინფორმაციას მსესხებელთა ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის, ბიზნესისა და ფინანსური რისკების, გადაუხდელი ანგარიშებისა და ოპერაციებიდან მისაღები ფულადი ნაკადების თაობაზე.

უზრუნველყოფილი სესხების პროგნოზირებულ მომავალ ფულად ნაკადებში ასევე გათვალისწინებულია ის ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას გირაოს რეალიზაციის შემთხვევაში, უზრუნველყოფის მოპოვებისა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით, იმის მიუხედავად, არის ეს მოსალოდნელი თუ არა.

ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს უზრუნველყოფის რეალიზაციის შედეგად, დამოკიდებულია უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებაზე, აგრეთვე უზრუნველყოფის თითოეული ტიპისათვის შეფასების მიდგომასა და ლიკვიდობის რისკის ფაქტორზე. ფულადი ნაკადების შეფასებისას გამოიყენება უზრუნველყოფის სამი ძირითადი სახეობა:

- უძრავი ქონება
- მოძრავი ქონება, მათ შორის, მატერიალური აქტივები და მარაგები;
- ფინანსური აქტივები, მათ შორის დეპოზიტები.

პროგნოზირებული ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას უზრუნველყოფის რეალიზაციის შედეგად მისი მოპოვებისა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით, დისკონტირდება სესხის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით გაყიდვის დარჩენილი მთელი სავარაუდო დროის განმავლობაში.

გაყიდვამდე დარჩენილი დრო დამოკიდებულია უზრუნველყოფის სახეობაზე და ფასდება ხელმძღვანელობის შეხედულებისამებრ დეფოლტის დღიდან უზრუნველყოფის გაყიდვამდე სავარაუდო პერიოდის შეფასებით.

იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხი არ ჩაითვალა გაუფასურებულად, გაწეული მაგრამ კონკრეტულად არაიდენდტიფიცირებული გაუფასურების დანაკარგების მოსაცავად გამოიყენება ჯგუფური შეფასების მეთოდოლოგია.

ჯგუფური შეფასების მეთოდოლოგია

ჯგუფური შეფასებისას სესხების პორტფელი იყოფა სესხების ორ - გაუფასურების გამომწვევი მოვლენებით და გაუფასურების გამომწვევი მოვლენების გარეშე - ჯგუფებად.

გაუფასურების გამომწვევი მოვლენიანი სესხების შეფასების მეთოდოლოგიით დაიშვება, რომ დეფოლტი მოხდა და გამოითვლება დანაკარგი დეფოლტის შემთხვევაში. მასში ჩანს ის დისკონტირებული ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სესხზე უზრუნველყოფის რეალიზაციის შემთხვევაში, მისი მოპოვებისა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. უზრუნველყოფის რეალიზაციისას წარმოშობილი ფულადი ნაკადების შეფასებითი მიდგომა აღწერილია ზემოთ.

სესხები გაუფასურების გამომწვევი მოვლენების გარეშე ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე.

გაუფასურების გამომწვევი მოვლენების გარეშე არსებული ჯგუფურად შეფასებული სესხებისათვის გაუფასურების დანაკარგების გამოსათვლელად, ბანკი მხედველობაში იღებს შემდეგ პარამეტრებს: დეფოლტის ალბათობა და დანაკარგი დეფოლტის შემთხვევაში.

გარე ან შიდა გარემოს ცვლილების დროს ან ისეთ შემთხვევაში, როდესაც ისტორიული მონაცემები არსებულ მდგომარეობას აღარ ასახავს, ბანკი რისკ პარამეტრებს აკორექტირებს მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების

საფუძველზე, რათა ამით მოიცვას იმ მიმდინარე გარემოებების ეფექტი, რომლებიც წინა პერიოდებში არ არსებობდა და გააუვნებელყოს იმ წარსული გარემოებების ეფექტი, რომლებიც ამჟამად აღარ მოქმედებს.

დეფოლტის განსაზღვრებაში შედის ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა:

- 180 დღით ვადაგადაცილება
- სხვა კრიტერიუმები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ ნაკლებად სავარაუდოა, მსესხებელმა დაფაროს ვალდებულებები. მათ შორისაა ცუდი ვალების რესტრუქტურიზაცია.

გაწეული მაგრამ არაიდენტიფიცირებული გაუფასურების დანაკარგების გათვალისწინების მიზნით ბანკმა, გარდამავალი მატრიცების მიდგომის გამოყენებით შეიმუშავა დეფოლტის ალბათობის მოდელი.

თითოეულ სეგმენტზე დაკვირვების პერიოდად აღებულია ბოლო 3 წელი. ამ ვადის განმავლობაში, ვადაგადაცილებულ ჯგუფებში იქმნება ყოველთვიური მიგრაციის მატრიცები, თვის ბოლოს არსებული მდგომარეობისა და თითოეული სესხის ოდენობის ანგარიშის მიხედვით. ამის შემდეგ იწყება მიგრაციის 12-თვიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა შეფასდეს დეფოლტის ალბათობის პარამეტრი.

უზრუნველყოფისა და კრედიტის სხვა გამაძლიერებლების ანალიზი

საჭირო უზრუნველყოფის ტიპი და ოდენობა დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. შემუშავებულია მეთოდოლოგია უზრუნველყოფის მისაღები ტიპებისა და შეფასების პარამეტრების შესახებ. ჩადებული უზრუნველყოფების ძირითადი ტიპები მოიცავს შემდეგს:

- კომერციული სესხების შემთხვევაში - უძრავ ქონებას, გარანტიებს, სატრანსპორტო საშუალებებს, აღჭურვილობებსა და მარაგებს.
- საცალო სესხების შემთხვევაში - საცხოვრებელი ქონების, აღჭურვილობის, სატრანსპორტო საშუალებებისა და გარანტიების იპოთეკას.

მენეჯმენტი აკვირდება უზრუნველყოფის საბაზრო ფასებს, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას და მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის შეფასების მანძილზე აკვირდება უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

თანდართულ ცხრილში წარმოდგენილია სესხების პორტფელის ანალიზი უზრუნველყოფების ტიპების მიხედვით:

უზრუნველყოფის სახეობა	31 დეკემბერი, 2018 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 მსდ რეზერვი	31 დეკემბერი, 2018 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 უზრუნველყოფის რეალური ღირებულება
უძრავი ქონება	764,348	(48,369)	715,978	1,608,899
ნაღდი ფული	11,363	(551)	10,811	22,610
აღჭურვილობა	64,107	(16,340)	47,768	267,314
მარაგები	20,323	(1,030)	19,293	102,278
სხვა უზრუნველყოფა	14,074	(1,628)	12,447	16,747
უზრუნველყოფის გარეშე	40,521	(24,923)	15,598	-
სულ	914,736	(92,841)	821,895	2,017,848

უზრუნველყოფის სახეობა	31 დეკემბერი, 2017 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 მსდ რეზერვი	31 დეკემბერი, 2017 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 უზრუნველყოფის რეალური ღირებულება
უძრავი ქონება	800,420	(61,932)	738,488	1,960,254
ნაღდი ფული	7,290	-	7,290	23,258
აღჭურვილობა	18,730	(4,231)	14,499	360,075
მარაგები	13,512	(98)	13,414	137,779
სხვა უზრუნველყოფა	9,191	(3,965)	5,226	20,533
უზრუნველყოფის გარეშე	20,580	(4,611)	15,969	-
სულ	**869,723**	**(74,837)**	**794,886**	**2,501,899**

ბანკის პოლიტიკა გულისხმობს ამგვარ სესხებზე მათი გაცემის თარიღში სესხი/ღირებულების (ს/ღ) საშუალოდ 70%-იანი კოეფიციენტის მინიჭებას უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულების დასადგენად. ეს ის უმცირესი ღირებულებაა, რომლის რეალიზებას და მსდ გამოთვლებში გამოყენებასაც ბანკი ვარაუდობს.

ს/ღ კოეფიციენტი უზრუნველყოფის დისკონტირებულ ღირებულებაზე დაყრდნობით	31 დეკემბერი, 2018 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 მსდ რეზერვი	31 დეკემბერი, 2018 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	136,471	(303)	136,168
51-70%	125,038	(314)	124,724
71-90%	141,899	(651)	141,248
91-100%	48,539	(2,057)	46,482
100%-ზე მეტი	462,789	(89,516)	373,273
სულ	**914,736**	**(92,841)**	**821,895**

ს/ღ კოეფიციენტი უზრუნველყოფის დისკონტირებულ ღირებულებაზე დაყრდნობით	31 დეკემბერი, 2017 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 მსდ რეზერვი	31 დეკემბერი, 2017 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	139,008	-	139,008
51-70%	195,008	(482)	194,526
71-90%	192,917	(4,293)	188,624
91-100%	64,053	(2,134)	61,919
100%-ზე მეტი	278,736	(67,928)	210,809
სულ	**869,723**	**(74,837)**	**794,886**

მენეჯმენტის შეფასებით, უზრუნველყოფის რეალური ღირებულება სესხის გაცემის მომენტში სულ მცირე შესაბამისი უზრუნველყოფილი სესხების საბალანსო ღირებულების ტოლია. უზრუნველყოფის ღირებულება გადაფასებულია 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სესხების პორტფელის ანალიზი უზრუნველყოფის რეალური ღირებულებით ს/ღ კოეფიციენტის მიხედვით:

ს/ღ კოეფიციენტი რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით	31 დეკემბერი, 2018 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 მსდ რეზერვი	31 დეკემბერი, 2018 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	289,016	(708)	288,308
51-70%	217,900	(2,989)	214,911
71-90%	192,042	(23,661)	168,381
91-100%	70,069	(15,871)	54,198
100%-ზე მეტი	145,709	(49,612)	96,097
სულ	**914,736**	**(92,841)**	**821,895**

ს/ღ კოეფიციენტი რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით	31 დეკემბერი, 2017 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 მსდ რეზერვი	31 დეკემბერი, 2017 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	342,675	(506)	342,169
51-70%	243,367	(4,609)	238,758
71-90%	84,601	(9,870)	74,731
91-100%	67,671	(18,176)	49,495
100%-ზე მეტი	131,409	(41,676)	89,733
სულ	**869,723**	**(74,837)**	**794,886**

საკრედიტო რისკის პოზიციის მაქსიმალური ოდენობა

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება ბოლო წლის განმავლობაში ძალზე გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო ბაზარზე არსებული პირობებით. თუმცა, ამ ზრდის მიუხედავად, ბანკის პორტფელის მომგებიანობის მაჩვენებლების გაუარესება არ შენიშნულა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საბალანსო და გარებალანსური აქტივების მაქსიმალური საკრედიტო რისკის პოზიციისადმი დაქვემდებარებას. ბალანსი ფინანსურ აქტივებზე მაქსიმალური დაქვემდებარება უტოლდება აქტივების საბალანსო ღირებულებას გაქვითვამდე და უზრუნველყოფამდე. ჯგუფის მაქსიმალური პოზიცია საკრედიტო რისკისადმი იმ შემთხვევაში თუ უზრუნველყოფა და ფასიანი ქაღალდები გაუფასურებულია და პირობითი ვალდებულებები, ან კრედიტის გაცემის ვალდებულება არ სრულდება, წარმოდგენილია ამ ინსტრუმენტების კონტრაქტით გათვალისწინებული ღირებულებით.

31 დეკემბერი, 2018	მაქსიმალური პოზიცია	წმინდა პოზიცია
ფული და ფულის ექვივალენტები	124,581	124,535
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	138,191	138,155
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	12,392	12,380
კლიენტებზე გაცემული სესხები	914,736	821,895
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	19,309	19,295
ინვესტიციები კაპიტალში	57	57
სხვა ფინანსური აქტივები	4,485	4,066
გაცემული გარანტიები და მსგავსი პირობითი ვალდებულებები	53,530	52,246
აკრედიტივები და ტრანზაქციებთან დაკავშირებული სხვა პირობითი ვალდებულებები	7,863	7,863
ნაკისრი ვალდებულებები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	48,811	48,426

31 დეკემბერი, 2017	მაქსიმალური პოზიცია	წმინდა პოზიცია
ფული და ფულის ექვივალენტები	224,375	224,375
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	120,479	120,479
ფინანსური აქტივები მოგება-ზარალში	18,253	18,253
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	18,800	18,800
კლიენტებზე გაცემული სესხები	869,723	794,886
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	27,978	27,978
ინვესტიციები კაპიტალში	57	57
სხვა ფინანსური აქტივები	4,889	4,889
გაცემული გარანტიები და მსგავსი პირობითი ვალდებულებები	64,691	62,590
აკრედიტივები და ტრანზაქციებთან დაკავშირებული სხვა პირობითი ვალდებულებები	8,252	8,252
ნაკისრი ვალდებულებები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	22,310	22,227

გარესაბალანსო რისკი

გარებალანსური რისკების სამართავად ჯგუფი ძირითადად იყენებს რისკის მართვის იმავე პოლიტიკას რითაც სარგებლობს საბალანსო რისკების მართვისას. რას შეეხება სესხის გაცემისა და კლიენტებისა და კონტრაგენტების ვალდებულებებს, ჯგუფი იყენებს იმავე საკრედიტო მართვის პოლიტიკას, რითაც სარგებლობს სესხებისა და ავანსების შემთხვევაში. მოთხოვნილი უზრუნველყოფა დამოკიდებული იქნება კონტრაგენტის სიძლიერესა და გარიგების სპეციფიკაზე.

გეოგრაფიული კონცენტრაცია

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აკონტროლებს ჯგუფის საქმიანობის შესაბამისობას კანონმდებლობისა და რეგულირების მოთხოვნების მიმართ და მათ გავლენას ჯგუფის საქმიანობაზე. ეს მეთოდი საშუალებას აძლევს ჯგუფს მინიმუმამდე დაიყვანოს საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს ცვლილებებთან დაკავშირებული შესაძლებელი დანაკარგები.
აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

	საქართველო	სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები	ეთგო-ს ქვეყნები	დეკემბერი 31, 2018 სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	115,539	3,200	5,796	124,535
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	138,155	-	-	138,155
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	6,212	-	6,168	12,380
კლიენტებზე გაცემული სესხები	817,917	3,083	895	821,895
ინვესტიციები კაპიტალში	57	-	-	57
ნაკისრი სესხები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	19,295	-	-	19,295
სხვა ფინანსური აქტივები	4,066	-	-	4,066
სულ ფინანსური აქტივები	**1,101,241**	**6,283**	**12,859**	**1,120,383**
ფინანსური ვალდებულებები				
ბანკების დეპოზიტები	15,095	11	-	15,106
კლიენტების დეპოზიტები	619,013	19,641	3,208	641,862
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,307	-	-	3,307
სუბორდინირებული სესხი	190,595	-	-	190,595
სულ ფინანსური ვალდებულებები	**828,010**	**19,652**	**3,208**	**850,870**
წმინდა პოზიცია	**273,231**	**(13,369)**	**9,651**	

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

	საქართველო	სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები	ეთგო-ს ქვეყნები	დეკემბერი 31, 2017 სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	212,482	3,914	8,248	224,644
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	120,479	-	-	120,479
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	18,253	-	-	18,253
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	6,507	-	12,293	18,800
კლიენტებზე გაცემული სესხები	776,046	17,714	1,126	794,886
გასაყიდად განკუთვნილი ინვესტიციები	57	-	-	57
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	27,978	-	-	27,978
სხვა ფინანსური აქტივები	4,889	-	-	4,889
სულ ფინანსური აქტივები	**1,166,691**	**21,628**	**21,667**	**1,209,986**
ფინანსური ვალდებულებები				
ბანკების დეპოზიტები	18,398	-	-	18,398
კლიენტების დეპოზიტები	655,741	21,026	13,890	690,657
სხვა ნასესხები სახსრები	-	-	26,289	26,289
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,327	-	-	3,327
სუბორდინირებული სესხი	208,368	-	-	208,368
სულ ფინანსური ვალდებულებები	**885,834**	**21,026**	**40,179**	**947,039**
წმინდა პოზიცია	**280,857**	**602**	**(18,512)**	

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასის მიხედვით

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება მიმდინარე საკრედიტო რეიტინგის მიხედვით, რომელიც გამოსცა საერთაშორისო სააგენტო "Fitch"-მა. უმაღლესი შეფასება არის AAA. საინვესტიციო ფინანსურ აქტივებს გააჩნიათ შეფასებაAAA-დან BBB-მდე. ფინანსური აქტივები, რომელთა შეფასება BBB-ზე ნაკლებია, კლასიფიცირდება როგორც სპეკულაციური რეიტინგის მქონე.

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგს:

	AAA	AA	A	BBB	< BBB	შეუფასებელი	სულ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	1	62,090	55,403	7,041	124,535
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	-	-	-	-	138,155	-	138,155
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	-	-	6,168	-	556	5,656	12,380
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	-	-	25,794	796,101	821,895
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	-	-	-	-	-	57	57
ინვესტიციები კაპიტალში	-	-	-	-	19,295	-	19,295
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	4,066	4,066

2:46 PM

	AAA	AA	A	BBB	< BBB	შეუფასებელი	სულ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	7,658	124,623	79,359	13,004	224,644
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	-	-	-	-	120,479	-	120,479
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	18,253	18,253
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	-	-	11,904	389	-	6,507	18,800
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	-	-	-	794,886	794,886
ინვესტიციები კაპიტალში	-	-	-	-	-	57	57
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	-	-	-	-	27,978	-	27,978
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	4,889	4,889

კლიენტებზე გაცემული სესხებისგან განსხვავებული ფინანსური აქტივები რანჟირდება იმ მიმდინარე საკრედიტო რეიტინგის მიხედვით, რომელიც მათ მიენიჭათ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს (ფითჩი, სთანდარდ & ფურზი და მუდისი) მხრიდან.

ჯგუფი ახორციელებს მრავალ გარიგებას ისეთ კონტრაგენტებთან, რომელთაც საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები რეიტინგს არ ანიჭებს. ასეთი კონტრაგენტების რეიტინგის შესაფასებლად ჯგუფს შემოუშებული აქვს შეფასების შიდა მოდელები. მსესხებლები ფასდებიან ფინანსური სიძლიერის, სახსრების მიზნობრიობისა და უზრუნველყოფის მიხედვით, რომლებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა რისკზე სეიწონებიან. სესხის სტაბილურობასა და კლიენტის რეიტინგს ბანკი ამ სამი ინდიკათორის მიხედვით ანგარიშობს.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი ეხება დეპოზიტების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას.

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი აკონტროლებს ზემოთ აღნიშნულ რისკებს ვადიანობის ანალიზის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას შემდგომი ფინანსური პერიოდისათვის. მიმდინარე ლიკვიდობის კონტროლი ხორციელდება სახაზინო დეპარტამენტის მიერ, რომლის ფუნქციაც არის ფულად ბაზრებზე გარიგებების დადება, მიმდინარე ლიკვიდობის შენარჩუნება და ფულადი ნაკადების ოპტიმიზაცია.

ლიკვიდობის რისკის სამართავად, ჯგუფი ახორციელებს კლიენტების და ჯგუფის ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დირექტორთა საბჭო აწესებს ლიმიტებს ხელმისაწვდომი სახსრების მინიმალურ პროპორციაზე გასანაღდებელი დეპოზიტების უზრუნველსაყოფად და ბანკთაშორისი და სხვა სასესხო წყაროს მინიმალურ დონეზე, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს განარდება მოთხოვნის მოულოდნელი წარმოქმნისას.

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზი:

(ა) ფინანსური ვალდებულებების დაფარვის პირობა, რომელიც იანგარიშება ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის ადრეული თარიღით, როდესაც ჯგუფი ვალდებული იქნება დაფაროს ვალდებულება; და

(ბ) ფინანსური ვალდებულებების ვადიანობა, რომელიც დაანგარიშებულია არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისას ფინანსურ ვალდებულებებზე ადრეული თარიღით, როდესაც ჯგუფმა უნდა გამოისყიდოს ვალდებულება, და

(გ) ფინანსური აქტივების დაფარვის პირობა, რომელიც იანგარიშება ფინანსურ აქტივებზე (პროცენტის ჩათვლით) არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის და რომელიც მიღებული იქნება აქტივებზე დაფარვის საკონტრაქტო პირობაზე დაყრდნობით, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ჯგუფი ვარაუდობს, რომ ფულადი სახსრების შემოდინება სხვა დროსაა მოსალოდნელი.

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფების მიხედვით ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკები. ქვემოთ მოცემული მონაცემები ეფუძნება ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2018 წლის დეკემბერი 31, სულ
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ექვივალენტები	96,497	-	-	-	-	96,497
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	138,155	-	-	-	-	138,155
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	-	5,656	556	-	3,843	10,055
კლიენტებზე გაცემული სესხები	128,815	37,117	187,126	349,450	119,387	821,895
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	3,470	7,075	8,750	-		19,295
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივები	**366,937**	**49,848**	**196,432**	**349,450**	**123,230**	**1,085,897**
ფული და ფულის ექვივალენტები	28,038	-	-	-	-	28,038
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	-	-	2,325	-	-	2,325
ინვესტიციები კაპიტალში	57	-	-	-	-	57
სხვა ფინანსური აქტივები	3,083	624	3	356	-	4,066
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური აქტივები	**31,178**	**624**	**2,328**	**356**	**-**	**34,486**
სულ ფინანსური აქტივები	**398,115**	**50,472**	**198,760**	**349,806**	**123,230**	**1,120,383**
ფინანსური ვალდებულებები						
კლიენტების დეპოზიტები	98,733	12,673	232,384	26,127	22	369,939
ბანკების დეპოზიტები	-	360	14,721			15,081
სუბორდინირებული სესხი	-	107	-	-	190,488	190,595
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები	**98,733**	**13,140**	**247,105**	**26,127**	**190,510**	**575,615**
ბანკების დეპოზიტები	25	-	-	-	-	25
კლიენტების დეპოზიტები	271,923	-	-	-	-	271,923
სხვა ფინანსური ვალდებულებები	655	-	2,652	-	-	3,307
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური ვალდებულებები	**272,603**	**-**	**2,652**	**-**	**-**	**275,255**
სულ ფინანსური ვალდებულებები	371,336	13,140	249,757	26,127	190,510	850,870
საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის დეფიციტი	**268,204**	**36,708**	**(50,673)**	**323,323**	**(67,280)**	
საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ჯამური დეფიციტი	**268,204**	**304,912**	**254,239**	**577,562**	**510,282**	
ლიკვიდობის დეფიციტი	26,779	37,332	(50,997)	323,679	(67,280)	
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	**26,779**	**64,111**	**13,114**	**336,793**	**269,513**	

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2017 წლის დეკემბერი 31, სულ
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ექვივალენტები	45,000	-	-	-	-	45,000
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	120,479	-	-	-	-	120,479
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	-	6,000	507	-	-	6,507
კლიენტებზე გაცემული სესხები	119,685	43,273	149,435	286,992	195,501	794,886
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	4,491	9,283	14,204	-	-	27,978
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივები	**289,655**	**58,556**	**164,146**	**286,992**	**195,501**	**994,850**
ფული და ფულის ექვივალენტები	179,644	-	-	-	-	179,644
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	6,109	264	1,379	6,945	3,556	18,253
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	-	-	8,245	-	4,048	12,293
ინვესტიციები კაპიტალში	57	-	-	-	-	57
სხვა ფინანსური აქტივები	4,889	-	-	-	-	4,889
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური აქტივები	**190,699**	**264**	**9,624**	**6,945**	**7,604**	**215,136**
სულ ფინანსური აქტივები	**480,354**	**58,820**	**173,770**	**293,937**	**203,105**	**1,209,986**
ფინანსური ვალდებულებები						
კლიენტების დეპოზიტები	147,125	9,087	167,635	67,864	4,687	396,398
ბანკების დეპოზიტები	-	-	14,602	-	-	14,602
სუბორდინირებული სესხი	-	95	-	-	208,273	208,368
სხვა ნასესხები სახსრები	-	-	-	26,289	-	26,289
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები	**147,125**	**9,182**	**182,237**	**94,153**	**212,960**	**645,657**
კლიენტების დეპოზიტები	294,259	-	-	-	-	294,259
ბანკების დეპოზიტები	3,796	-	-	-	-	3,796
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,327	-	-	-	-	3,327
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური ვალდებულებები	**301,382**	-	-	-	-	**301,382**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**448,507**	**9,182**	**182,237**	**94,153**	**212,960**	**947,039**
საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის დეფიციტი	142,530	49,374	(18,091)	192,839	(17,459)	
საპროცენტო განაკვეთის ჯამური დეფიციტი	**142,530**	**191,904**	**173,813**	**366,652**	**349,193**	
ლიკვიდობის დეფიციტი	31,847	49,638	(8,467)	199,784	(9,855)	
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	**31,847**	**81,485**	**73,018**	**272,802**	**262,947**	

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკების ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ქვემოთ მოცემული მონაცემები ეფუძნება ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას. ამ ცხრილებსი წარმოდგენილი თანხები არ შეესაბამება ანგარიშში წარმოდგენილ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც მიუთითებს კონტრაქტით გათვალისწინებულ დარჩენილ გადახდებზე (საპროცენტო განაკვეთის ჩათვლით), რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	დეკემბერი 31, 2018 სულ
ფინანსური აქტივები							
ფული და ფულის ექვივალენტები	4.17%	96,497	-	-	-	-	96,497
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	0.86%	138,155	-	-	-	-	138,155
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	5.25%	-	6,044	556	-	4,108	10,708
კლიენტებზე გაცემული სესხები	10.72%	135,894	46,851	234,294	479,994	121,670	1,018,703
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	7.21%	3,473	7,148	9,063	-	-	19,684
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივები		**374,019**	**60,043**	**243,913**	**479,994**	**125,778**	**1,283,747**
ფული და ფულის ექვივალენტები მოგება-ზარალში რეალური		28,038	-	-	-	-	28,038
ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები		-	-	-	-	-	-
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ		-	-	2,325	-	-	2,325
ინვესტიციები კაპიტალში		57	-	-	-	-	57
სხვა ფინანსური აქტივები		3,083	624	3	356	-	4,066
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური აქტივები		**31,178**	**624**	**2,328**	**356**	**-**	**34,486**
სულ ფინანსური აქტივები		**405,197**	**60,667**	**246,241**	**480,350**	**125,778**	**1,318,233**
ფინანსური ვალდებულებები							
კლიენტების დეპოზიტები	4.95%	101,342	12,862	239,754	27,849	892	382,699
ბანკების დეპოზიტები	4.80%	-	636	14,798	-	-	15,434
სუბორდინირებული სესხი	5.50%	-	2,245	6,861	36,448	232,860	278,414
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები		**101,342**	**15,743**	**261,413**	**64,297**	**233,752**	**676,547**
ბანკების დეპოზიტები		25	-	-	-	-	25
კლიენტების დეპოზიტები		271,923	-	-	-	-	271,923
სხვა ფინანსური ვალდებულებები		655	-	2,652	-	-	3,307
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური ვალდებულებები		**272,603**	**-**	**2,652**	**-**	**-**	**275,255**
სულ ფინანსური ვალდებულებები		**373,945**	**15,743**	**264,065**	**64,297**	**233,752**	**951,802**
გაცემული გარანტიები		1,710	9,703	24,916	17,116	85	**53,530**
აკრედიტივები და სხვა ტრანზაქციები		2,765	784	4,314	-	-	**7,863**
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები		10,285	946	13,131	15,311	9,138	**48,811**
სულ ფინანსური და პირობითი ვალდებულებები		**388,705**	**27,176**	**306,426**	**96,724**	**242,975**	**1,062,006**

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასობით ლარში)

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენ-ტო განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	დეკემბერი 31, 2017 სულ
ფინანსური აქტივები							
ფული და ფულის ექვივალენტები	7.25%	45,068	-	-	-	-	45,068
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	1.25%	120,479	-	-	-	-	120,479
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	8.00%	-	6,068	-	-	-	6,068
კლიენტებზე გაცემული სესხები	10.00%	125,653	53,755	194,227	391,094	234,328	999,057
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	7.28%	4,500	9,380	14,759	-	-	28,639
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივები		**295,700**	**69,203**	**208,986**	**391,094**	**234,328**	**1,199,311**
ფული და ფულის ექვივალენტები		179,643	-	-	-	-	179,643
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები		6,109	264	1,379	6,945	3,556	18,253
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ		-	-	8,245	-	4,048	12,293
ინვესტიციები კაპიტალში		57	-	-	-	-	57
სხვა ფინანსური აქტივები		1,295	777	2,133	380	304	4,889
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური აქტივები		**187,104**	**1,041**	**11,757**	**7,325**	**7,908**	**215,135**
სულ ფინანსური აქტივები		**482,804**	**70,244**	**220,743**	**398,419**	**242,236**	**1,414,446**
ფინანსური ვალდებულებები							
კლიენტების დეპოზიტები	3.25%	147,896	9,497	175,880	99,845	5,044	438,162
ბანკების დეპოზიტები	4.5%	-	-	14,901	-	-	14,901
სუბორდინირებული სესხი	5.5%	-	2,452	9,132	39,805	250,057	301,446
სხვა ნასესხები სახსრები	5.5%	-	-	-	33,054	-	33,054
სულ საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური ვალდებულებები		**147,896**	**11,949**	**199,913**	**172,704**	**255,101**	**787,563**
ბანკების დეპოზიტები		3,796	-	-	-	-	3,796
კლიენტების დეპოზიტები		294,259	-	-	-	-	294,259
სხვა ფინანსური ვალდებულებები		931	2,396	-	-	-	3,327
სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური ვალდებულებები		**298,986**	**2,396**	**-**	**-**	**-**	**301,382**
სულ ფინანსური ვალდებულებები		**446,882**	**14,345**	**199,913**	**172,704**	**255,101**	**1,088,945**
გაცემული გარანტიები		2,284	10,004	25,057	27,246	100	64,691
აკრედიტივები		7	-	8,245	-	-	8,252
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები		9,271	628	4,938	6,264	1,209	22,310
სულ ფინანსური და პირობითი ვალდებულებები		**458,444**	**24,977**	**238,153**	**206,214**	**256,410**	**1,184,198**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ ბანკის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების ან ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდადებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება ჯგუფი. ჯგუფის მიერ რისკების გამოთვლის მეთოდებსა და რისკების მართვაში ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

ჯგუფი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკებს, ვინაიდან ის სესხებს ირებს როგორც ფიქსირებული, ასევე მცოცავი განაკვეთებით. ჯგუფი ამ რისკებს მართავს ფიქსირებული და მცოცავი განაკვეთის მქონე სესხების დაბალანსების საშუალებით.

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აგრეთვე მართავს საპროცენტო განაკვეთისა და საბაზრო რისკებს ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის პოზიციის ადეკვატურობით, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის პოზიტიურ საპროცენტო მარჟას. ჯგუფის ხელმძღვანელობა აწარმოებს ჯგუფის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას ჯგუფის მომგებიანობაზე.

ჯგუფის სასესხო კონტრაქტების და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უმეტესობა, რომლებიც საპროცენტო სარგებლის მატარებელია, ან ცვლადია ან მოიცავს პირობას, რომელიც საპროცენტო განაკვეთის გამსესხებლის სეხედულებისამებრ შეცვლისუ საშუალებას იძლევა. ჯგუფი ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის მარჟის მონიტორინგს და შესაბამისად, მიაჩნია, რომ არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთისა და ფულადი სახსრების მოძრაობის მნიშვნელოვან რისკს.

მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ

საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკებს ჯგუფი მართავს პოთენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით, რომელიც შესაძლებელია წარმოისვას ბაზრის კონიუქთურის ნეგატიური ცვლილებების შედეგად. ჯგუფის ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს, აფასებს ჯგუფის მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების ცვლილების მიმართ და მის გავლენას ჯგუფის მომგებიანობაზე.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის რისკის მგრძნობიარობის ანალიზს, რომელიც განისაზღვრა „რისკის ცვალებადობის შესაძლო მისაღებ ცვლილებებზე" დაყრდნობით. ამ ცვლილებების დონე განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ და გათვალისწინებულია რისკების ანგარიშებით, რომლებსაც ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას წარუდგენენ.

საპროცენტო განაკვეთის 2 ბაზისური პუნქთით ცვლილების გავლენა მოგებაზე გადასახადის გადახდამდე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე დაყრდნობით 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

	დეკემბერი 31, 2018		დეკემბერი 31, 2017	
	საპროცენტო განაკვეთი +5%	საპროცენტო განაკვეთი -5%	საპროცენტო განაკვეთი +5%	საპროცენტო განაკვეთი -5%
წმინდა ზეგავლენა დასაბეგრ მოგებაზე	25,514	(25,514)	17,571	(17,571)
წმინდა ზეგავლენა კაპიტალზე	21,687	(21,687)	14,826	(14,826)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმართება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ჯგუფი ექვემდებარება ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკათორების დადგენილი საფუძვლების რია სავალუტო პოზიციის მართვით, რაც ჯგუფს აზღევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით სახაზინო განყოფილება ახორციელებს ჯგუფის რია სავალუტო პოზიციის ყოველდღიურ მონიტორინგს.

ჯგუფის რია სავალუტო პოზიცია იმ ძირითად უცხოურ ვალუტაში , რომელშიც ბანკი აქტივებსა და ვალდებულებებს ფლობს, მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.070 ლარი	სხვა ვალუტა	დეკემბერი 31, 2018 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	53,381	62,490	4,775	3,889	**124,535**
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	-	126,294	11,861	-	**138,155**
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	6,212	3,844	2,324	-	**12,380**
კლიენტებზე გაცემული სესხები	253,467	544,525	23,903	-	**821,895**
ინვესტიციები კაპიტალში	57	-	-	-	**57**
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	19,295	-	-	-	**19,295**
სხვა ფინანსური აქტივები	1,799	1,859	407	1	**4,066**
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	**334,211**	**739,012**	**43,270**	**3,890**	**1,120,383**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ბანკების დეპოზიტები	2	15,101	3	-	**15,106**
კლიენტების დეპოზიტები	101,182	493,633	46,920	127	**641,862**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	92	2,390	825	-	**3,307**
სუბორდინირებული სესხი	-	190,595	-	-	**190,595**
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**101,276**	**701,719**	**47,748**	**127**	**850,870**
ღია საბალანსო პოზიცია	**232,935**	**37,293**	**(4,478)**	**3,763**	

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.1044 ლარი	სხვა ვალუტა	დეკემბერი 31, 2017 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	69,593	143,398	10,751	902	**224,644**
ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	-	109,873	10,606	-	**120,479**
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	18,253	-	-	-	**18,253**
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	6,507	4,048	8,245	-	**18,800**
კლიენტებზე გაცემული სესხები	230,496	543,869	20,521	-	**794,886**
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	57	-	-	-	**57**
დაფარვამდე ფლობილი ინვესტიციები	27,978	-	-	-	**27,978**
სხვა ფინანსური აქტივები	4,295	437	157	-	**4,889**
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	**357,179**	**801,625**	**50,280**	**902**	**1,209,986**

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.1044 ლარი	სხვა ვალუტა	დეკემბერი 31, 2017 სულ
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ბანკების დეპოზიტები	1,413	16,982	3	-	**18,398**
კლიენტების დეპოზიტები	131,942	504,034	54,328	353	**690,657**
სხვა ნასესხები სახსრები	-	26,289	-	-	**26,289**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,396	931	-	-	**3,327**
სუბორდინირებული სესხი	-	208,368	-	-	**208,368**
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**135,751**	**756,604**	**54,331**	**353**	**947,039**
ღია საბალანსო პოზიცია	**221,428**	**45,021**	**(4,051)**	**549**	

მგრძნობიაროება სავალუტო რისკის მიმართ

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობიარობას 30%-იან ზრდასა და შემცირებაზე აშშ დოლარის ლართან მიმართებაში. 30% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის უცხოური ვალუტის რისკზე ანგარიშის წაღდგენისას და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შეფასებას. მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ არსებული უცხოური ვალუტით დენომინირებულ ფულად ერთეულებს და აკორექტირებს მათ გაცვლით კურსს პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის განაკვეთის 30%-იანი ცვლილებით.

გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულებაზე დაყრდნობით, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

	2018 31 დეკემბერი		2017 31 დეკემბერი	
	ლარი/აშშ დოლარი +30%	ლარი/აშშ დოლარი -30%	ლარი/აშშ დოლარი +30%	ლარი/აშშ დოლარი -30%
ზეგავლენა მოგება/ზარალზე გადასახადამდე	11,188	(11,188)	13,506	(13,506)
ზეგავლენა კაპიტალზე	9,510	(9,510)	11,480	(11,480)

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილი ახდენს ძირითად დაშვებებში ცვლილებების შედეგების დემონსტრირებას, ხოლო სხვა დაშვებები რჩება უცვლელი. რეალობაში არსებობს კორელაცია დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მგრძნობიაროება არ არის წრფივი და უფრო დიდი ან პატარა გავლენა არ უნდა იქნას ინტერპოლირებული, ან ექსტრაპოლირებული ამ შედეგებიდან გამომდინარე.

მგრნობიარობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები საკმაოდ აქტიურად იმართება. ამასთან, ჯგუფის ფინანსური პოზიცია შეიძლება იცვლებოდეს იმ დროისათვის, როდესაც ფაქტობრივი საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას. ვინაიდან საინვესტიციო ბაზარს ახასიათებს სხვადასხვა ცვლილებების დონე, მართვის ქმედებებმა შესაძლოა მოიცვას ინვესტიციების გაყიდვა, საინვესტიციო პორტფელის გადანაწილების ცვლილებები და სხვა დაცვითი ღონისძიებების განხორციელება. ამის შედეგად დაშვებებში ცვლილებების ფაქტობრივ გავლენას შეიძლება არ ქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხება. ასეთ გარემოებებსი აქტივებისა და ვალდებულებების განსხვავებულმა შეფასებამ შეიძლება მიგვიყვანოს აქციონერების კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა სეზრუდვები მგრძნობიარობის ანალიზსი მოიცავს სავარაუდო საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოთენციური რისკის დემონსთრირებისათვის, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის სეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის მსგავსად იმოქმედებს.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია კონკრეტული ფასიანი ქაღალდისთვის, ან მისი გამომსვებისთვის სპეციფიური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებულ ყველა ფასიანი ქაღალდზე მოქმედი ფაქტორებით. ჯგუფზე გავლენას ახდენს მისი პროდუქტების საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

ჯგუფი საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტების, მარჟებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ. გაუნარდებელ სასესხო ვალდებულებებთან მიმართებაში ჯგუფი პოტენციურად ექვემდებარება ამგვარი ვალდებულებების მთლიანი ოდენობის დანაკარგს. თუმცა, დანაკარგის სავარაუდო ოდენობა ნაკლებია, ვინაიდან პირობითი ვალდებულებების უმეტესობა დამოკიდებულია საკრედიტო ხელშეკრულებების გარკვეულ პირობებზე.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს რომელიც წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არ არსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები და ფინანსური ზარალი. ჯგუფი ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოთენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავთორიზაციისა და შედარების პროცედურებს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

34. შემდგომი მოვლენები

2019 წლის 29 იანვარს და 2019 წლის 16 აპრილს ბანკმა გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 20,000 ლარის და 25,000 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190535893
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	15.05.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ციური ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2-23-08-90.
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	59478950063619

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

15.05.2019 წელს, საქართველო, თბილისი, ი.ჭავჭავაძის 68, ნოტარიუსი ციური ბერიძე, ვამოწმებ ჩემთვის ცნობილი თარჯიმნის ეთერი ზატუაშვილის (დაბ. 04.01.1997 წელს, პირადი № 13001032222, «PTE»-ს მიერ 14.08.2017 წელს გაცემული ინგლისური ენის სერთიფიკატი №500/1926/0) ხელმოწერის ნამდვილობას თარგმანზე ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე, რომელმაც ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

15.05.2019, Georgia, Tbilisi, #68 I. Chavchavadze Ave. I, a notary Tsiuri Beridze, certify the authenticity of the signature of the translator Eter Zatuashvili (born 04.01.1997, personal № 13001032222, Certificate Of English Language issued by «PTE» on 14.08.2017, certificate number 500/1926/0), who is duly authorized to translate from English into Georgian and who witnesses to the accuracy of the translation.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (საფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა–186.00 ლარი და რეგისტრაციის საფასური - 2 ლ 39-ე მუხლის I-ლი პუნქტისა, დღგ-33.48 ლ. სულ გადახდილია: 221.48 ლ.

Notary duty paid for notary services according to provisions about payment for notary actions provided for by resolution № 507 passed 29.12.2011 by Government of Georgia about Notary Chamber of Georgia "Payments Regulations and Terms of Services Rendering" (Article 31, paragraph 3), - 186.00 L. and fees for a notary act registration according- 2 L. 39 to paragraph 1 of Article, VAT-33.48 L, total fees paid: – 221.48 L.

ნოტარიუსი ც. ბერიძე
Notary Tsiuri Beridze

